



საქართველოს ეროვნული მუზეუმი
Georgian National Museum

ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი
OTAR LORDKIPANIDZE CENTRE OF ARCHAEOLOGY

ძ ი ე ბ ა ნ ი

საქართველოს არქეოლოგიაში

№ 22

D Z I E B A N I

Journal of the Georgian Archaeology

თბილისი 2014 Tbilisi

UDC (შპკ) 902(479.22)
ძ-531

რედაქცია: **გ. კვირკველია** (რედაქტორი)
გ. გამყრელიძე
დ. კაჭარავა
ზ. მახარაძე
მ. წერეთელი
მ. ჩარკვიანი (მდივანი)

Editors
of the volume: **G. Kvirkvelia** (editor-in-chief)
M. Charkviani
G. Gamkrelidze
D. Kacharava
Z. Makharadze
M. Tsereteli

ISSN 1512-0589

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2014
Georgian National Museum, 2014

სარჩევი CONTENTS

საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება FIELD INVESTIGATIONS

თენგიზ მეშველიანი, რონ პინჰასი, ანა ბელფერ-კოენი, ზინოვი მაცკევიჩი, კეით ვილკინსონი, გაი ბარ-ოზი, ნინო ჯაყელი წყალტუბოს ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო ექსპედიციის მიერ 2013 წელს ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგები.....	5
T. Meshveliani, R. Pinhasi, A. Belfer-Cohen, Z. Matskevich, K. Wilkinson, G. Bar-Oz, N. Jakeli THE RESULTS OF THE TSQALTUBO INTERNATIONAL STONE AGE 2013 EXPEDITION	8
ლერი ჯიბლაძე, ალექსანდრე ორჯონიკიძე ორჭოსნის ნასახლარისა და სამაროვნის 2003-2000 წწ. გათხრების ძირითადი შედეგები.....	13
L. Jibladze, A. Orjonikidze THE MAIN RESULTS OF THE EXCAVATIONS OF ORTCHOSANI SETTLEMENT AND CEMETERY IN 2003-2005	20
გურამ კვირკველია, ალექსანდრე ორჯონიკიძე არქეოლოგიური გათხრები გრაკლიანის გორაზე 2011 წელს. I. ადრებრინჯაოს ხანა	34
G. Kvirkvelia, A. Orjonikidze ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS ON GRAKLIANIS GORA IN 2011. I. EARLY BRONZE AGE	38
ზურაბ მახარაძე, ბიძინა მურვანიძე ანანაურის № 3 დიდი ყორღანი.....	50
Z. Makharadze, B. Murvanidze ANANAURI № 3 BIG KURGAN	54
ზურაბ მახარაძე, ბიძინა მურვანიძე ყორღანი „ჭინჭრიანი გორა“	69
Z. Makharadze, B. Murvanidze KURGAN “TCHINTCHRIANIS GORA”	71
†ზებედე შატბერაშვილი, ვახტანგ შატბერაშვილი მარაბდა – ახალქალაქის ექსპედიციის მიერ შესწავლილი ბედენური ყორღანები ბედენის პლატოდან	81
†Z. Shatberashvili, V. Shatberashvili THE KURGANS OF BEDENI CULTURE EXCAVATED AT BEDENI PLATEU BY MARABDA – AKHALQALAQI EXPEDITION	86
გურამ კვირკველია, კრისტოფერ რატტე, სულხან ხარაბაძე, იანა მოკრისოვა, ანჯელა კომიტო, რაიან ჰიუზი, ანა მაკკურტი ვანის რაიონის სოფ. შუამთაში 2010 წელს ჩატარებული სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები.....	102
G. Kvirkvelia, Chr. Ratte, A. Commito, R. Hughes, A. MacCourt, J. Mokrisova, S. Kharabadze ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS AT SHUAMTA IN 2010	109
დავით სულხანიშვილი, რევაზ კვირკვაია, ვახტანგ შატბერაშვილი, ნიკოლოზ ჩადუნელი, მაია ჩარკვიანი, ნინო ჯანაშვილი შიოსუბნის სამაროვანი და ნამოსახლარი.....	124
D. Sulkhaniashvili, R. Kvirkvaia, V. Shatberashvili, N. Chaduneli, M. Charkviani, N. Janashvili SHIOSUBANI BURIAL GROUND AND THE SETTLEMENT.....	128
დავით მინდორაშვილი არქეოლოგიური გათხრები ქაშუეთთან	133
D. Mindorashvili ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS NEAR KASHVETI, TBILISI	136

სტატიები ARTICLES

მედია ნიორაძე, მანანა გაბუნია, ლამარა ნებიერიძე, გიორგი ნიორაძე პალეოლითელი ადამიანის განსახლება შიდა ქართლის ტერიტორიაზე	139
M. Gabunia, M. Nioradze, L. Nebieridze, G. Nioradze DISPERSAL OF THE PALEOLITHIC MEN ON THE TERRITORY OF SHIDA KARTLI	143
მანანა გაბუნია, მედია ნიორაძე, ლამარა ნებიერიძე, გიორგი ნიორაძე ივრის ზეგნის ქვედა და შუა პალეოლითი	150
M. Gabunia, M. Nioradze, L. Nebieridze, G. Nioradze LOWER AND MIDDLE PALAEOLITHIC OF THE IORI PLATEAU	155
V. Sadradze, G. Chikovani, E. Ghlighvashvili ON THE PROBLEMS OF ORIGIN AND DATE OF THE EARLY FARMING STRATUM (SIONI-TSOPI GROUP)	162
ელგუჯა ლლიღვაშვილი, თამარ სადრაძე, ვაჟა სადრაძე ტარშეურჩენელი სატევრები სამთავროს ველის „ნაშალი“ ფენიდან	163
E. Ghlighvashvili, T. Sadradze, V. Sadradze DAGGERS WITH MISSING GRIP FROM THE DESTROYED LAYER OF SAMTAVRO	166
მალხაზ ცინდელიანი, ლერი ჯიბლაძე, მარი ბაქრაძე სამარხეული ბრინჯაოს ინვენტარი ქვემო სვანეთიდან.....	168
M. Tsindeliani, L. Jibladze, M. Bakradze BRONZE BURIAL GOODS FROM LOWER SVANETI.....	174
რევაზ პაპუაშვილი, ლერი ჯიბლაძე ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული ნარმოების ცენტრი ყულევის ნამოსახლარიდან	178
R. Papuashvili, L. Jibladze CENTER OF THE SECONDARY METALLURGICAL PRODUCTION AT THE QULEVI SETTLEMENT	186
რევაზ პაპუაშვილი სოფ. ყულევი	192
R. Papuashvili QULEVI VILLAGE	205
ალექსანდრე ორჯონიკიძე შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა ორჭოსნიდან	209
A. Orjonikidze MIEVEAL ARCHAEOLOGICAL FINDS FROM ORCHOSANI	211
ნოდარ ფოფორაძე, ნინო კალანდაძე, ოლა სესკურია, ფლორიან შტრობერე ანანაურის №3 დიდ ყორღანში აღმოჩენილი ღეროსა და დისკოს კომპლექსური კვლევა	216
N. Poporadze, N. Kalandadze, O. Seskuria, F. Shtröbele COMPLEX STUDY OF THE DISK AND THE ROD FOUND IN THE KURGAN ANANAURI 3	222

ბახსენება IN MEMORIAM

დავით გოგელია	223
ზებედე (ბედი) შატბერაშვილის ხსოვნას	225
ირინე ჯალალანია	227
შემიკვებათა განმარტება Abbreviations	229

საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება FIELD INVESTIGATIONS

თენგიზ მემშველიანი, რონ პინჰასი, ანა ბელფერ-კოენი, ზინოვი მაცკევიჩი, კეით ვილკინსონი, გაი ბარ-ოზი, ნინო ჯაყელი

წყალტუბოს ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო ექსპედიციის მიერ 2013 წელს ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგები

2013 წელს საწურბლიას მღვიმეში (GPS კოორდინატები X371444 Y469736), რომელიც მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავის ტერიტორიაზე, 2013 წლის 10 ივნისიდან 20 ივლისამდე მიმდინარეობდა, ჩვენი ჯგუფის მიერ, ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მეხუთე სეზონი [მემშველიანი და სხვ. 2013 მემშველიანი და სხვ. 2013ა; მემშველიანი და სხვ. 2011; Мешвелиანი 2013; ვეკუა და სხვ. 2011; ყვავაძე და სხვ. 2011]. სამუშაოები წარმოებდა საერთაშორისო საქართველო-ირლანდია-ისრაელის პროექტის “სამხრეთ კავკასიის შუა და ზედაპალეოლითური ძეგლების დათარიღებისათვის” ფარგლებში (არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობა №09/12/648, გაცემული 14.06.13. ექსპედიციის ხელმძღვანელი თ. მემშველიანი). ექსპედიციის დაფინანსება მოხდა National Geographic-ის მხარდაჭერით, GNFNE- 7813 გრანტის შესაბამისად.

საველე და კამერალურ სამუშაოებში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს მხრიდან: თ. მემშველიანი, ნ. ჯაყელი, ე. ყვავაძე, ა. თეთრუაშვილი, ირლანდიის მხრიდან რ. პინჰასი, კ. ვილკინსონი, ო. შერონეტი, ისრაელის მხრიდან: ა. ბელფერ-კოენი, ზ. მაცკევიჩი, გ. ბარ-ოზი, დ. შახამი. საველე სამუშაოებში მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტები ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან: ბ. ფარულავა, დ. დვალისვილი, შ. სიმსივე, ფ. ნადარეიშვილი.

საანგარიშო წელს გაგრძელდა სამუშაოები მღვიმის შესასვლელსა და მის სიღრმეში; სტრატეგრაფიის და მონაცემთა აღრევის თავიდან ასაცილებლად, ამ ორ უბანს პირობითად ვუწოდეთ A და B უბანი. A მღვიმის შესასვლელთან, ჩრდილო-დასავლეთის მხარეს და B მის სიღრმეში, სამხრეთ-დასავლეთით, მდებარე ქრილებს (ტაბ. I, მღვიმის გეგმა). A უბანზე (ტაბ.

II₁) გაითხარა 7 ახალი კვადრეტი R20-24 და S-T24. გათხრები დაიწყო -3,35-4,10 და გაითხარა -4,70-4,80 მ სიღრმეზე. R20-22 კვადრატებში ზედაპალეოლითური ფენები -4,35-4,45 მ-დან იწყება. ხოლო R23-24 და S-T23 კვადრატებში, ზედაპალეოლითის შემდგომი პერიოდის (ენეოლითის?) ფენები უფრო მძლავრია და პლეისტოცენის დანალექებთან კონტაქტი დაახლოებით 4,75-5,00 მ-ზე ფიქსირდება.

წელს A უბანზე გამოიყო 2 საცხოვრებელი დონე, ქვების კონსტრუქციით შემოფარგლული „კერა“, სადაც აღინიშნება ნახშირისა და დამწვარი ძვლების კონცენტრაცია (ტაბ. II₂). B უბანზე 8 ახალი კვადრეტი გაიხსნა X-Y4-7, რომელიც მდებარეობს წინა სეზონში გათხრილი T-W4-6 კვადრატებსა და 80-იან წლებში კ. კალანდაძის მიერ გაკეთებული ჭრილის შორის (ტაბ. II₄). გათხრები დაიწყო -4,05-4,10 მ-დან და დავედით -5,30 მ სიღრმემდე (გარდა Y4 და Y5c-d-ში, სადაც გათხრები დასრულდა -4,55 მ-ზე).

გაგრძელდა საკონტროლო ჭრილის გათხრა, ვიდრე -5,70 მ არ დავედით კ. კალანდაძის გათხრილი ჭრილის ძირზე. ჩვენს მიერ წარმოებული გათხრების ზედა ნაწილი წარმოადგენს დიდ ორმოს-დეპრესიას, რომელიც ძვ.წ. V ათასწლეულის მასალას შეიცავს [ტაბ. III₂]. ეს ფენები უმეტეს კვადრატში 5,00-5,05 მ-მდე ვრცელდება. ჯერჯერობით დაუდგენელია მათი გავრცელება X4-X5b-d კვადრატებში. ამ დანალექი ფენების ქვეშ გამოვლინდა ზედაპალეოლითური მასალა. B უბანზეც, -5,25-5,30 მ სიღრმეზე აღმოჩნდა 80 მ დიამეტრის, წრიული ფორმის “კერა” [ტაბ. III₃], დიდი რაოდენობის ნახშირითა და დამწვარი ძვლოვანი მასალით.

გათხრების შედეგად მოპოვებული ქვისა და ფაუნისტური მასალიდან გამომდინარე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მღვიმეში ზედაპალეოლითური დასახლება ძალიან ინ-

ტენსიური იყო. თუ სადამდე ვრცელდება კულტურული ფენები, ამას შემდგომი გათხრებისას დავადგენთ. A და B უბანში აღმოჩენილი კულტურული ფენები ლითოლოგიურად ერთმანეთს შეესაბამება. ფენათა სტრატოგრაფია ასეთია:

ფენა I – ფხვიერი თიხნარი, დიდი რაოდენობით შეიცავს ქვებს, დაახლოებით 70 მ. ფენა შეიცავს ნეოლოთურ, ენეოლითურ, შუასაუკუნეების და თანამედროვე პერიოდის არეულ მასალას.

ფენა II – მუქი ფერის ქვიშიანი თიხნარი. ფენა შეიცავს ზედაპალეოლითურ მასალას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ კვადრატში კიდევ ჩნდება ზედა ფენიდან ჩამოცვენილი კერამიკული მასალა, რომელიც ძირითადად ენეოლითური ხანისაა. ფენის სიმძლავრე დაახლოებით 80 მ-ია.

ფენა III – მოყავისფრო-მოშავო თიხნარი, რომელშიც ალაგ-ალაგ ჩანაცვლებულია დიდი ზომის ლოდები. ეს ფენა, ჩვენი აზრით, სუფთა, ფინალური ზედაპალეოლითური ფენაა.

მიღებულია 5 აბსოლუტური თარიღი ორივე უბნის II და III ფენებიდან (ცხრილი 1).

მიუხედავად იმისა, რომ ზედაპალეოლითური II და III ფენა სტრატოგრაფიულად გაყოფილია, ქვის ინდუსტრიაში ჯერჯერობით განსხვავება არ ჩანს. მასალიდან და აბსოლუტური თარიღებიდან გამომდინარე, ესაა ზედაპალეოლითის ფინალური ფაზა, რომელიც შეესაბამება ძუძუნას მღვიმეში C ფენის შემდგომ პერიოდს. მასალაში ჭარბობს მიკროლამელებზე დამზადებული იარაღები, მათ შორის გამოირჩევა მიკროგრავეტის ტიპის წვეტანების ნაირსახეობა [ტაბ. III_{1,5}]. მეტია დაბლაგვებული და ნაკლებია გვერდრეტუმირებული მიკროლამელა. ბიპოლარულად დაბლაგვებული ნივთების მაჩვენებელი დიდია II ფენაში. საერთო მასალაში საფხეკების [ტაბ. II₅] რაოდენობა აჭარბებს საჭრისების [ტაბ. II₆; ტაბ. III₁] და სახვრეტების რიცხვს. იარაღის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც აქამდე არ იყო ნანახი დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლ-

ითურ კულტურაში, არის ნაგრძელებული ფორმის მართკუთხედი/ტრაპეცია [ტაბ. III₁; ტაბ. IV₂], რომელიც განსხვავდება გეომეტრიული ფორმის მართკუთხედისაგან. განსხვავებაა ზომებში, ფორმასა და რეტუშის ხასიათში. ძუძუნას მღვიმეში არსებული თარიღებიდან გამომდინარე [Bar-Yosef et al.] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სანურბლიას ეს ინდუსტრია ავსებს იმ კულტურულ ჰიატუსს, რომელიც დაფიქსირებულია ძუძუნას მღვიმის C და B ფენებს შორის.

ფაუნისტურ მასალაში [ცხრილი 2] ყველაზე მეტია ტახი, *Sus scrofa*, რომელიც ტყისა და დაბლობი ლანდშაფტის ბინადარია. რაოდენობრივად შემდეგი სახეობაა კეთილშობილი ირემი, *Cervus elapus*, ასევე ტყის ბინადარი. ფაუნისტურ მასალაში კარგადაა ასახული ის ზონალური განსხვავება, რომელიც ფიქსირდება ძუძუნას და კოტიას კლდის მღვიმეებში [Bar-Yosef et al. 2011; Bar-Oz et al. 2009; Meshveliani et al. 2007].

საანგარიშო ნელი არ გამოირჩევა ძვლის იარაღების რაოდენობითა და მრავალფეროვნებით. ბევრია ნიჟარის (*Theodoxu pallsi*) მძივი. აღსანიშნავია ფიქალზე დამზადებული საკიდი [ტაბ. IV₃], ცხოველის კბილზე დამზადებული ღარიანი საკიდი [ტაბ. IV₄], ქვის, სილიციტის, საკიდი [ტაბ. IV₅] და ძალიან პარტარა ქვის მძივი [ტაბ. IV₆]. საინტერესოა ქვის, ნაგრძელებული მართკუთხედის ფორმის ორნამენტირებული საკიდი [ტაბ. IV₇], რომელიც, სამწუხაროდ, გატეხილია და ასევე ძვლის ფრაგმენტი, რომელიც შემკულია არასისტემური ჭდეულებით [ტაბ. IV₈] (ნახატი შეასრულა რუსუდან ბერიძემ).

სანურბლიას მღვიმეში 2014-2017 წლებში გაგრძელდება არქეოლოგიური სამუშაოები შ. რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „იმერეთის ქვის ხანის ზოგიერთი ძეგლის გვიან პლეისტოცენისა და ჰოლოცენის პერიოდის კულტურების გენეზისის საკითხისათვის“ ფარგლებში.




ცხრილი 1. აბსოლუტური თარიღების სერია სანურბლიას მღვიმიდან

Table 1 – absolute dates from Satsurblia cave

ფენა	კვადრატი	სიღრმე	მასალა	შენიშვნა	OXA	თარიღი
A/II	R21a	460-465	ძვალი	იატაკი B/C	29120	13,765
A/II	R21b	465-470	ძვალი	იატაკი C	29122	13,705
B/II	Y51	515-529	ძვალი		29121	20,610
B/III	X6d	525-530	ძვალი		29121	20,860
B/III	Y7d	540-545	ძვალი		29124	20,580

ცხრილი 2. ფაუნისტური მასალის სია სანურბლიას მღვიმიდან

Table 2 – list of fauna from Satsurblia cave



THE RESULTS OF THE TSQALTUBO INTERNATIONAL STONE AGE 2013 EXPEDITION

Summary

Two main excavation areas were excavated during 2013 season at Satsurbliia cave (West Georgia) area A, situated in the North-Western part of the cave, near the entrance of the cave and area B in the rear part of the cave in South-West direction. In area A 7 new squares were opened R20-24 and S-T 24 and two occupational episodes 'living floors' were defined in the Upper Paleolithic deposits. In area B 8 new squares were opened X-Y4-7. At 5,25-5,30cm. a circular fireplace, diameter of ca. 80 cm. associated with large quantities of charcoal and burned material was excavated. Even though stratigraphically Upper Paleolithic occupation in Satsurbliia cave is divided mainly into two units preliminary lithic studies do not reveal a cultural (lithic) distinction between the industries of those units. Overall, those can be assigned as the later phase of the Upper Paleolithic (post Unit C of Dzudzuana cave) dominated by backed bladelet tools. A tool type, not reported from earlier excavations in the region is a rectangle which differs from the geometric trapeze-rectangle of the Mesolithic culture in size, shape and retouch. One can assume that the Satsurbliia assemblage represents the cultural variant which fills the gap presented in Dzudzuana cave among units B and C.

ლიტერატურა

- ვეკუა ა., ბენდუქიძე ო., მეშველიანი თ., ჯაყელი ნ., კალანდაძე ვ., ვანიშვილი ნ. 2011. სანურბლიას მღვიმის ფრინველები. – *სემ, მაცნე, საბუნებრივმეცნიერული და პრეისტორიული ხანა*, № 3, 65-74.
- მეშველიანი თ., ვეკუა ა., ჩაგელიშვილი რ., ჯაყელი ნ. 2013. ბელემნიტის საკიდი სანურბლიას მღვიმიდან. – *სემ, მაცნე, საბუნებრივმეცნიერული და პრეისტორიული ხანა*, № 5, 20-23.
- მეშველიანი თ., პინჰასი რ., ბელფერ-კოენი ა., მაცკევიჩი ზ., ჯაყელი ნ. 2013ა. სანურბლიას მღვიმეში 2012 წ. ჩატარებული სამუშაოების ანგარიში. – *ძიებანი*, № 21, 7-13.
- მეშველიანი თ., ვეკუა ა., რუსიშვილი ნ., ყვავაძე ე., ჩაგელიშვილი რ., ჯაყელი ნ. 2011. სახელმწიფო გრანტის „მონადირე-შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა საქართველოში“ ფარგლებში 2008-2009 წწ. ჩატარებული საველე არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. – *ძიებანი*, № 20, 9-27.
- ყვავაძე ე., მეშველიანი თ., ჯაყელი ნ., მარტყოფიშვილი ი. 2011. სანურბლიას მღვიმეში 2010 წელს მოპოვებული მასალის პალინოლოგიური კვლევის შედეგები. – *სემ, მაცნე, საბუნებრივმეცნიერული და პრეისტორიული ხანა*, № 3, 85-100.
- Bar-Yosef O., A. Belfer-Cohen, T. Meshveliani, N. Jakeli, G. Bar-Oz, E. Boaretto, P. Goldberg, E. Kvavadze, Z. Matskevich 2011, Dzudzuana: an Upper Paleolithic cave site in the Caucasus foothills (Georgia). – *Antiquity*, 85, 331-349.
- Bar-Oz G., A. Belfer-Cohen, T. Meshveliani, N. Jakeli, Z. Matskevich, and O. Bar-Yosef, 2009. Bear in Mind: Bear Hunting in the Mesolithic of the Southern Caucasus. – *Archaeology, Ethnology & Anthropology of Eurasia*. 37/1(2009),15-24
- Meshveliani T., Bar-Oz G., Bar-Yosef O., Belfer-Cohen A., Boaretto N., Jakeli N., Koridze E., Matskevich Z. 2007. Mesolithic Hunters at Kotias Klde, Western Georgia: Preliminary Results. – *Paléorient*, 33.2, 47-58.

სურათების აღწერილობა

ტაბ. I – სანურბლიას მღვიმის გეგმა

ტაბ. II – 1. უბანი A, ჭრილი; 2. უბანი A, „კერა“; 3. უბანი B, ჭრილი; 4. უბანი B, „კერა“; 5. საფხეკები; 6. საჭრისები.

ტაბ. III – 1. მიკროგრავეტი და ტრაპეცია; 2. ენოლითური დანა და ცული; 3. დუბლირებული იარაღები; 4. თავრეტუმირებული ლამელა და ხონები; 5. მიკროგრავეტები

ტაბ. IV– 1. ტრაპეცია; 2. გეომეტრიული ფორმის იარაღები; 3. ფიქალის საკიდი; 4. ამოღარული საკიდი ცხოველის კბილზე; 5. სილიციტის საკიდი; 6. ქვის მძივი; 7. ქვის ორნამენტირებული საკიდი. 8. ძვლის ფრაგმენტი ნაჭდევებით

LIST OF ILLUSTRATIONS


Pl. I – Plan of Satsurbliia cave

Pl. II – 1. Area A, section; 2. Area A, “fireplace”; 3. Area B, section; 4. Area B, “fireplace”; 5. Endscrepers; 6. Burins.





Pl. III – 1. Microgravette and rectangles; 2. Eneolithic knife and axe; 3. Doubled tools; 4. Truncated blade and piece equilles; 5. Microgravettes.

Pl. IV – 1. Rectangles; 2. Geometric forms; 3. Pendant on shale; 4. Curved pendant on animal tooth; 5. pendant on silicate; 6. Stone bead; 7. Stone pendant, 8. Bone with notches.


ക്രമ. I




Keith Wilkinson
Total station survey 5-11 July 2013



ცბ. III



צב. IV



1

2



3




4




5



6



7



8



ორჭოსნის ნასახლარისა და სამაროვნის 2003-2000 წწ. გათხრების ძირითადი შედეგები



სურ. 1

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე BP-ის მილსადენის დერეფანში არაერთი საყურადღებო ძეგლი აღმოჩნდა, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი უნდა მიეკუთვნოს ორჭოსნის ნასახლარსა და სამაროვანს. იგი მდებარეობს ახალციხის რაიონის დაბა ვალეს დასავლეთით მდ. ფოცხოვის მარცხენა სანაპიროზე საქართველო-თურქეთის საზღვოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით - 200 მეტრის დაშორებით (სურ. 1). ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით ამ მიდამოებში 2002 წელს წარმოებული სადაზვერვო სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, რომელიც განფენილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ოდნავ დაქანებულ პატარა ველზე და მიმდებარე ბორცვოვან ზოლში. მახლობად შემორჩენილია შუასაუკუნეების მიწისზედა ნაგებობების ნაშთები [ორჯონიკიძე და სხვ. 2002]. ამის საფუძველზე 2003-2005 წლებში პერიოდულად ორჭოსნის ნასახლარზე სტაციონალურ არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა საქართველოს მეც-

ნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიცია, რის შედეგად დადასტურდა სხვა არქეოლოგიური პერიოდების ძეგლებიც [ორჯონიკიძე 2003; ბარამიძე, ფხაკაძე 2003; ბარამიძე და სხვ. 2006].¹ ნავთობსადენი და გაზსადენი მილების დერეფანში შესასწავლი ტერიტორია დაყოფილი იქნა ნაკვეთებად, სადაც ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით სწორხაზოვნად, ერთმანეთის გაგრძელებაზე გაჭრილი იქნა სხვადასხვა ზომისა და სიღრმის თხრილი (ტაბ. I). მთლიანობაში შესწავლილ ფართობზე შემდეგი სტრატეგრაფიული სურათი გამოიკვეთა:

1. უძველესი პერიოდის-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები მეტ-ნაკლები ინტენსივობით ვრცელდებოდა თითქმის მთელ შესწავლილ ტერიტორიაზე და ძირითადად წარმოდგენილი იყო სამეურნეო-საკულტო დანიშნულების ორმოე-

¹ ახალციხის არქეოლოგიურ ექსპედიციას 2003 წლის ივნის-აგვისტოში ხელმძღვანელობდა ალ. ორჯონიკიძე (I ეტაპი, A, A1, A2, A3 ნაკვეთის ნაწილი), ხოლო 2003 წლის სექტემბრიდან 2005 წლის ჩათვლით მალხაზ ბარამიძე.

ბით, კულტურული ფენის ნაშთებით, რამდენიმე სამარხითა და ქვის დარღვეულ, შესაძლოა დამხმარე ნაგებობასთან დაკავშირებული ნარჩენებით [ორჯონიკიძე 2005: 69; ბარამიძე, ფხაკაძე 2003].

2. კლასიკური ხანა წარმოდგენილი იყო გვიანანტიკური ხანის სამარხებით, რომლებიც მხოლოდ ზოგიერთ თხრილში დადასტურდა [ბარამიძე, ფხაკაძე 2003; ბარამიძე და სხვ. 2006; ჯიბლაძე 2003-2005].

3. ადრე და განვითარებული შუასაუკუნეების ნაშთები მთელ შესწავლილ ფართობზე გამოვლინდა ქვის ფრაგმენტულ ნაგებობათა და დასახლების დამცავი სასიმაგრო ზღუდეების სახით, სამარხებით, სამეურნეო ორმოებით და სხვ. [ორჯონიკიძე და სხვ. 2002; ორჯონიკიძე 2003; ბარამიძე, ფხაკაძე 2003; ბარამიძე და სხვ. 2006].

4. XIX და XX საუკუნეების პირველი ნახევრის ე.წ. „თურქი მესხების“ სამარხები.

როგორც აღინიშნა, ორჭოსნის ნასახლარზე გამოვლენილი უადრესი კომპლექსები ადრე-ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება, რომელთა უმრავლესობა არქეოლოგიური მასალების შემცველი დანიშნულების დაახლოებით 120 სამეურნეო ორმოთია წარმოდგენილი. მათი კონცენტრაცია შეინიშნებოდა ნავთობსადენისა და გაზსადენის ნაკვეთებზე (A1, A2, A3, DA, DB) გამავალ თხრილებში (ტაბ. II, IV, V, VIII). მთელ შესწავლილ ტერიტორიაზე სამეურნეო ორმოები ძირითადად დაფარული იყო ადრე და განვითარებული შუასაუკუნეების ხანის ნამოსახლართა ნაშთებით. ზოგიერთ მონაკვეთში (B1, C ნაკვეთები, მეორე ქვაბული) ისინი ძლიერ დაზიანებული აღმოჩნდა გვიანანტიკური და სხვა პერიოდების (განსაკუთრებით კი „თურქი მესხების“) სამარხებით.

ადრე-ბრინჯაოს ხანის სამეურნეო ორმოები განთავსებული იყო მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,40 მ-დან 1 მ. სიღრმეში. მათი ზედაპირი მუქი ფერისაა და ადვილად განირჩეოდა მოყვითალო თიხნარი გრუნტისაგან. ხშირად ორმოებს ზემოდან ქვაყრილი ედო. დიამეტრი მერყეობდა 0,50 მ-დან 2 მ. შორის. ორმოების უმრავლესობას გეგმაში წრიული ფორმა ჰქონდა (ტაბ. IX₁₋₄). თუმცა, გვხვდებოდა ოვალური და ნაგრძელებული ფორმის. ისინი ერთმანეთთან ახლოს იყო განლაგებული. ზოგჯერ კი გვერდი-გვერდ მიჯრით იყო გადაბმული, ანდა ერთი ორმო მეორეს კვეთდა. გვხვდებოდა როგორც მომცრო (0,30-0,40 მ), ისე 2 მ-ზე მეტი სიღრმის ორმოები, ძირითადად კი გავრცელებული იყო

0,70-1,20 მ სიღრმის ორმოები. მათი უმეტესობას სწორხაზოვნად, ზოგჯერ კი დამრეცად ჩაჭრილი კედლები გააჩნდა, რომლებსაც ბრტყელი, მომრგვალებული ან კონუსური მოყვანილობის ძირი ჰქონდა. გვხვდებოდა ქვემოთ ზარისებურად გაფართოებული ორმოებიც. უმეტესობის კედლები შეუღლესავი იყო. ყველა ორმო სავსე იყო ნაცრით, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ქვებით, ძირითადად კი თიხის ჭურჭლის ნატყეხებით. მცირე რაოდენობით გვხვდებოდა ობსიდინისა და კაჟის ინვენტარი. ასევე ძვლოვანი მასალა. იშვიათად კი ბრინჯაოს ნივთები.

როგორც ჩანს, სამეურნეო-საკულტო დანიშნულების ორმოებიანი მონაკვეთი წარმოადგენდა ნასახლარის პერიფერიულ ნაწილს. დასახლების ძირითადი ტერიტორია კი ალბათ საძიებელია ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ბორცვოვანი ზოლის ფერდებზე, რაც ცდებოდა საკვლევ ტერიტორიას. ადრე-ბრინჯაოს ორმოების შიგნით სტრატეგრაფიული სურათი არ იკვეთებოდა. აქ მოპოვებული არქეოლოგიური არტეფაქტების უმრავლესობა თიხის ჭურჭელია, ძირითადად, მტკვარ-არაქსული და ბედენური იერის. მასთან ერთად თითქმის ყოველთვის გვხვდება უხეში კერამიკაც (დერგის, ქილის, ტაფის ფორმის ჭურჭელი, პირთან შემკული შვერილებით, კოპებით, ანდა მის ქვემოთ შიგნიდან გაკეთებული გამჭოლი ნახვრეტების ჰორიზონტალური რიგით, ძირზე კი წნულის, წრიული ანაბეჭდების კვალით).

ორჭოსნის ნამოსახლარზე ადრე-ბრინჯაოს ხანის რამდენიმე სამარხიცაა დადასტურებული. ყურადღებას იქცევს A1 თხრილის (B3 კვადრადი) აღმოჩენილი მრგვალი ფორმის ქვაყრილიანი ორმოსამარხი, ზომით 1,60 x 60 მ-ზე (სიღრმე 0,50 მ) [ბარამიძე, ფხაკაძე 2003; ორჯონიკიძე 2003] (ტაბ. IV). სამარხს ქვით ნაგები და ნაცრით შეღესილი ბორდიური გააჩნდა. იგი ბრტყელი ქვით იყო გადახურული. მიცვალებული ესვენა მოხრილად, მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. საყურადღებოა, რომ აქაც მტკვარ-არაქსული და ბედენური იერის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებთან ერთად აღმოჩნდა არქაული სახის კერამიკაც.

A2 ნაკვეთში ერთ-ერთი ორმოსამარხის თავზე სამსხვერპლო იყო გამართული. იგი ერთმანეთზე დანყობილი თიხის სამი კვადრატული ფილისაგან იყო (0,50 x 0,50 მ-ზე) წარმოქმნილი, რომელთა შორის ნაცროვანი შრე იყო მოქცეული. ზედა ფილას, მსგავსად მტკვარ-არაქსული კულტურის რქისებური სადგრის ზოგიერთი

ტიპისა, კუთხეებში 10 სმ სიმაღლის 4 კონუსური შვერილი გააჩნდა. სამსხვერპლოს ქვეშ მოქცეული ბავშვის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე მოხრილად იყო დაკრძალული [ორჯონიკიძე 2005: 69].

ადრებრინჯაოს ხანის ფენაში ტიპური საცხოვრებლის ნაშთი კერით და იატაკით არ დაფიქსირებულა. რამდენიმე მონაკვეთში აღმოჩენილი სწორხაზოვანი ქვის ნყობა შესაძლო დამხმარე ნაგებობის არსებობაზე მიუთითებდა. მომრგვალებული ფორმის ქვის ნაგებობა დადასტურდა A ნაკვეთში [ორჯონიკიძე 2005: 69]. D ნაკვეთის B თხრილში ასევე გამოვლინდა საშუალო ზომის რიყის ქვის ცალპირა ნყობით გამართული, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით დამხრობილი, ორი პარალელურკედლიანი, ალბათ დამხმარე ნაგებობის ნაშთი (სისქე 0,30-0,60 მ, სიგანე 2,60 მ; ტაბ. IX₂). ეს კედლები ერთმანეთისაგან 7,80 მ-ით იყო დაშორებული და შედიოდა გაუთხრელ ფართობში. იატაკი არც აქ დაფიქსირებულა. იქმნებოდა ერთგვარი შთაბეჭდილება, რომ ნაგებობას კუთხე, სადაც ორი თუ სამი ქვა იყო შემორჩენილი, მომრგვალებული უნდა ჰქონოდა.

C ნაკვეთის სამხრეთ ნაწილში ზედაპირიდან 0,70 მ. სიღრმეზე A7-A9, B7-B9 კვადრატებში გამოვლინდა სხვადასხვა ზომის რიყის ქვის ორპირა ნყობით შედგენილი დამხმარე ნაგებობის (6 x 10 მ) კედელი. მათი შემკვრელი მოექცა გაუთხრელ ფართობში და აცდა საკვლევ ტერიტორიას. შესაძლოა, ნაგებობას შესასვლელი ჰქონდა აღმოსავლეთის მხრიდან, სადაც ერთმანეთისაგან ორი მეტრით დაშორებული, სავარაუდოდ, ბოძების საყრდენი ორი ქვა იდო. შიდა სივრცეში დაფიქსირდა ერთმანეთის პარალელურად, გვერდი-გვერდ განლაგებული 8 დანახშირებული ძელის ფრაგმენტი. შესაძლოა ისინი სახურავის ნარჩენებს წარმოადგენდა, რომლებიც იატაკს დაწვის შემდეგ დაეფინა. სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში თიხატყეპნილი იატაკი კარგად იყო დაცული. აქ გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის კერამიკის ფრაგმენტები [ბარამიძე, ფხაკაძე 2003; ჯიბლაძე 2003-2005]. სათავსოს იატაკი ჩაჭრილი აღმოჩნდა (A-10 კვადრატი) ადრეშუასაუკუნეების ხანის უინვეტარო ორმოსამარხით (1,10 x 1,70 მ, სიღრმე 0,60 სმ.).

ადრებრინჯაოს ხანას უნდა ეკუთვნოდეს გაზსადენის ტრასის № I ქვაბულში (B უბანი) გამოვლენილი ქვაყრილი, რომლის სიმაღლე 0,40 მ, ხოლო ფართობი 16 კვ.მ იყო. მას გვერდით შემოსდევდა მოზრდილი ქვები, ხოლო შიდა

სივრცე კი მომცრო ზომის ქვებით იყო შევსებული. ქვაყრილი სამარხის შთაბეჭდილებას ტოვებდა, თუმცა ვარაუდი არ გამართლდა და მისი დანიშნულება გაურკვეველი დარჩა. ორჭოსნის ნასახლარზე ადრებრინჯაოს ხანის სამეურნეო-საკულტო დანიშნულების ორმოებიდან მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური არტეფაქტები მომდინარეობს, რომლებიც არაერთხელ იქნა გამოქვეყნებული [ორჯონიკიძე 2005: 69-83; ორჯონიკიძე, ჯიბლაძე 2010: 105-114; ორჯონიკიძე, ჯიბლაძე 2010ა: 133-135]. ამიტომ მათ დეტალურ დახასიათებას არ შევუდგებით და მოკლედ განვიხილავთ. მოპოვებული მასალის უმეტესობას წარმოადგენს კერამიკა. იგი ხელითაა ნაძერწი, შავად, ლეგად, მოყავისფროდ და მონითალოდ გამომწვარ-გაპრიალებული ზედაპირით. მასში ორი ჯგუფი გამოიყოფა [ორჯონიკიძე 2005: 71]. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება შედარებით უხეში ნაწარმი ძირითადად უყურო დერგის, ქილის, ტაფისებრი ფორმის თიხის ჭურჭლით, ზოგჯერ შემკული პირთან მიძერწილი ერთეული შვერილებით, ან კოპებით. ზოგს, განსაკუთრებით კი ტაფისებრ ჭურჭელს, აქვს პირქვეშ შემოყოლილი, შიგნიდან გაკეთებული გამჭოლი ნახვრეტების მწკრივი, ძირზე წნულის წრიული ანაბეჭდების კვალი. ეს მასალა სრულ თანხვედრაშია აქვე აღმოჩენილ, განსხვავებული ხასიათის მქონე კომპლექსების, ნაგებობებისა და სამარხების კერამიკასთან. პირველ ჯგუფთან თანაარსებობს მეორე ჯგუფის კერამიკა. იგი მტკვარ-არაქსული, განსაკუთრებით ბედენური თიხის ჭურჭლის მსგავსია. არაკერამიკული ნაწარმი, ქვისა და ლითონის ნივთებიც, ძალზე ემსგავსება მარტყოფული და ბედენური კულტურების წრის მასალებს: ბრინჯაოს სხვადასხვა ტიპის, მათ შორის პირამიდულთავიანი ისრისპირები, საკიდი, ანკესები, ღეროები, პატარა ზომის ყუნწიანი სატევრისპირი, ობსიდიანის ისრისპირები, კაჟის ნამგლის ჩასართები, ძვლის მახათები, სადგისები, სახვრეტები, ნემსები. სხვა მონაპოვარი მასალებიდან აღსანიშნავია ქვის ხელსაფქვავეები, სანაყები, სასრესები, გამომწვარი თიხის ანთროპომორფული 2 ქანდაკება და ა.შ. [ორჯონიკიძე 2003; ორჯონიკიძე 2005: 69-83; ორჯონიკიძე, ჯიბლაძე 2010ა: 133-141; ბარამიძე, ფხაკაძე 2003; ბარამიძე და სხვ. 2006; ჯიბლაძე და სხვ. 2008: 10-13].

ძალზე მნიშვნელოვანი იყო ორჭოსნის ნამოსახლარზე (C თხრილი, მეორე ქვაბული) ადრებრინჯაოს ხანის კავკასიისათვის ერთადერთი ბრინჯაოს თიხის აღმოჩენის ფაქტი [Джибладзе

2005: 100-101]. იგი ძალზე წააგავს ჩრდილო კავკასიაში მაიკოპის კულტურის ძეგლებიდან (პსეკუპსკის სამარხი 150, ზამანკულსკის, მაიკოპის ყორღანები, გალიუგაი I-ის ნამოსახლარი) მომდინარე ანალოგიურ ნიმუშებს [Кореневский 1995: 63-65; Мунчаев 1994: 199]. საინტერესოა, რომ ორქოსნის ბრინჯაოს თოხი წინააზიური და მაიკოპური იარაღების მსგავსად შენადნობებში შეიცავს ნიკელის შენაერთებს, რაც განასხვავებს ადგილობრივი დარიშხნიანი ბრინჯაოსაგან დამზადებული ნივთებისაგან [Инанишвили, Джигладзе 2010: 99-114; ინანიშვილი, ჯიბლაძე 2010-2012: 7-24].

შემდეგი პერიოდი – გვიანანტიკური ხანა – წარმოდგენილი იყო მხოლოდ ცალკეული სამარხების სახით იმ მონაკვეთებში (C, B1 და მეორე ქვაბული), რომლის თავზე შეინიშნებოდა ე.წ. „თურქი მესხების“ სამარხების კონცენტრაცია (ტაბ. V₂, VI₂, VII₂). ეს სამარხები გვხვდებოდა ადრე და განვითარებული შუასაუკუნეების სამარხებთან და ქვის ნაგებობათა ნარჩენებთან ერთად, ადრე ბრინჯაოს ფენის თავზე [ბარამიძე, ფხაკაძე 2003; ბარამიძე და სხვ. 2006; ჯიბლაძე 2003-2005]. აღნიშნული პერიოდების კომპლექსებს დაზიანებული და ჩაჭრილი ჰქონდათ როგორც ერთმანეთი, ასევე მათ ქვეშ მდებარე უფრო ადრეული ძვ.წ. III ათასწლეულის ფენა. განსაკუთრებით ამ პერიოდის ძეგლები დაზიანდა ე.წ. „თურქი მესხების“ სამარხების გაჭრისას და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამართვისას. ორქოსანში მთლიანობაში შესწავლილი იქნა სხვადასხვა პერიოდის 70-მდე სამარხი, რომელთაგან 20-მდე სამარხი განეკუთვნებოდა გვიანანტიკურ ხანას. ძირითადად გვხვდებოდა გრუნტში ჩაჭრილი წრიული და ოვალური ფორმის სამარხები, რომლებიც მდებარეობდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,40 მ-დან 1,20 მ-დე სიღრმეში. სამარხების ზომები 1,30 x 0,70 მ. შორის მერყეობდა. მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ ინდივიდუალურად მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, კიდურებმოხრილი (ტაბ. IX₂, X₁). იშვიათად გვხვდებოდა ორმოებშიც დაკრძალვაც (მეორე ქვაბული, ტაბ. X₂). ჩატანებული ჰქონდათ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ინვენტარი: ბრტყელძირიანი კოჭბები, ჯამები, ხელალები, პატარა სასმისები, დოქები, ბრინჯაოს ოვალურფარაკიანი თვლიანი ბეჭედი, ბრტყელგანიკვეთიანი ბეჭდის რკალი, ძვლის ორპროტომიანი ბრტყელი საკიდი, სადაც ცხენის გამოსახულებაა ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით გადმოცემული, რკინის ბეჭ-

დები, ბრტყელფარაკიანი, სარდიონის გემით, ბრინჯაოს რგოლები, რკინის დანები, ვერცხლის მონეტები, ოქროს ფირფიტა, რომელიც ქარონის ობოლის ფუნქციას ასრულებდა, სხვადასხვა სახეობის მძივები და სხვ. [ბარამიძე, ფხაკაძე 2003; ბარამიძე და სხვ. 2006]. გვიანანტიკური პერიოდის სამარხები წარმოდგენილი სხვადასხვა ინვენტარის მიხედვით, განსაკუთრებით ახლოს დგას იქვე, ვალეში შესწავლილ ჭორატისა და კლდის სამაროვნების მასალებთან [ბარამიძე 2004]. არქეოლოგიური არტეფაქტებითა და მთელი რიგი ელემენტებით მეტნაკლები მსგავსება შეინიშნება აღმოსავლეთ საქართველოს თანადროული ძეგლების მასალებთან.

ადრე და განვითარებული შუასაუკუნეების უინვენტარო სამარხები თავმოყრილი იყო B1, C ნაკვეთებში და II ქვაბულის ტერიტორიაზე იქ, სადაც გვიანანტიკური ხანის სამაროვანი იყო განთავსებული. ისინი მდებარეობდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,50 მ-დან 1,6 მ-დე სიღრმეში. გავრცელებული იყო გრუნტში ჩაჭრილი ოვალური, ნაგრძელებული და მართკუთხა ფორმის ორმოსამარხები ინდივიდუალური დაკრძალვით (0,50მ x 1,7მ-ზე, სიღრმე 0,40-0,50 მ). მიცვალებულთა უმრავლესობა განისვენებდა ქრისტიანული წესით ზურგზე გამოლტილ მდგომარეობაში (ტაბ. X_{4,5}), თავით დასავლეთით, ჩრდილოეთით და სხვა მიმართულებით (იშვიათად გვხვდებოდა მარჯვენა გვერდზე მოხრილ მდგომარეობაში დასვენებული მიცვალებულები). ხანდახან სამარხებს ირგვლივ შემოსდევდა ხის ნაშთები, რომლის კვალი კარგად იკვეთებოდა მათ კედლებზე. ეს ფაქტი უნდა მიუთითებდეს სამარხების ხის კონსტრუქციით გადახურვაზე, ანდა მიცვალებულთა სასახლის ნაშთებზე.

ადრე შუასაუკუნეების ხანის ზოგიერთი სამარხი (A, B1 ნაკვეთები, № 2 ქვაბული) იშვიათად ინვენტარიანი იყო. ძალზე საინტერესო სურათი დაფიქსირდა მშრალ ხევთან გავლებულ № 2 თხრილში (A ნაკვეთი), სადაც მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 2,80 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ოთხი ნაგრძელებული, თავებმომრგვალებული, უინვენტარო ორმო სამარხი (0,40 x 1,40 მ-ზე, სიღრმე 0,40 მ), სადაც 5 მიცვალებული ესვენა გვერდიგვერდ, გულაღმა გამოტილ პოზაში, გულ-ხელდაკრეფილები, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ დამხრობით. ზოგიერთი სამარხის კედლებზე აქაც შემორჩენილი იყო ხის ნაშთები. ეს სამარხებიც სავარაუდოდ, შუასაუკუნეების ხანას უნდა ეკუთვნოდეს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სამარხები ქვის

წრეში იყო მოქცეული.

ადრე და განვითარებული შუასაუკუნეების ხანის სამოსახლის ნაშთები ორჭოსნის მთელ შესწავლილ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. სამარხების გარდა, იგი წარმოდგენილი იყო ნაგებობათა ნარჩენებით, არქეოლოგიური არტეფაქტებით, თონეებითა და სხვა ელემენტებით. ამ პერიოდის ფენებს გადაფარული ჰქონდათ ძვ.წ. III ათასწლეულის ფენა. A3- A5 ნაკვეთებში დაფიქსიდა აღმოსავლეთიდან, ჩრდილო-დასავლეთით დამხრობილი კირქვის ქვებისაგან ორ ნყობად შედგენილი კედელი (სიგრძე 31 მ, სიგანე 1,25-2 მ), რომელიც მის თავზე და სიახლოვეს შემორჩენილი მონაცისფროდ გამომწვარი თანმხლები ქვევრების, დერგების, ტაფების, ხელადა-დოქების ფრაგმენტებით კარგად თარიღდება ადრეშუასაუკუნეების პერიოდით. ამ ხანის მასალებთან ერთად გვხვდებოდა ადრებრინჯაოს არტეფაქტებიც. როგორც ჩანს, ამ მონაკვეთში ეს ფენა დაზიანდა ადრეშუასაუკუნეების ხანის კედლის გამართვისას, რის შედეგადაც მოხდა ერთ დონეზე ქრონოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავებული მასალების თანხვედრა. A ნაკვეთში ამავე პერიოდის შენობათა კედლებს, ქვით მოგებული ფართობითა და სხვა შემადგენელი კომპონენტებით კარგად ათარიღებს შესატყვისი არქეოლოგიური მასალები და განსაკუთრებით, ხოსრო II სასანიდის (591-628) ვერცხლის მონეტა. შენობათა გადასახურავად კრამიტის გამოყენება და თიხის ანტიფიქსი ხაზს უსვამს ამ ნასახლარის მნიშვნელობას [ორჯონიკიძე 2003].

2003 წელს შესწავლილ C ნაკვეთში არ ჩანს ნაგებობათა ნაშთები, თუმცა აღმოჩენილი კერამიკული მასალა როგორცაა: ქვევრები, რომელთაც ახასიათებთ გადამლილი პირი, ბრტყელი ბაკო და კორპუსის ირგვლივ შემოყოლებული რელიეფური ჭდეული ორნამენტებით შემკული სარტყლები და სხვა ელემენტები, ამ მონაკვეთს კარგად ათარიღებს ადრეშუასაუკუნეების პერიოდით.

შუასაუკუნეების კედლის ნაშთი (სისქე 1 მ, სიგრძე 2 მ), ნაგები წვრილი ქვებით თიხის ხსნარის გამოყენებით აღმოჩნდა № 1 ქვაბულში (თხრილი). კედელთან ახლოს გამოვლენილი 1227 წელს რუსუდანის მიერ მოჭრილი მონეტა, ამ ძეგლს თანადროულ კერამიკულ მასალასთან ერთად, კარგად საზღვრავს განვითარებული შუა საუკუნეების ხანით (XIII ს.).

ადრეშუასაუკუნეების სამოსახლოს ნაშთები დაფიქსირდა გაზსადენის ტრასაზე № 2 ქვა-

ბულში (C თხრილი). შესწავლილ ფართობზე, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,30-0,40 მ სიღრმეში ფლეთილი ქვებისაგან შედგენილი ნაგებობა კლდოვან თირზე იყო გამართული. 3 მ სიგრძისა და 1 მ სიგანის კედლები ნაგები მშრალი ნყობით დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. კედლების გარე და შიდაპირი საგულდაგულოდაა დამუშავებული და დაკუთხული. სავარაუდოდ, ნაგებობა ოთხკუთხა ფორმის უნდა ყოფილიყო. დარღვეული კედლის გარეთ და შიდა სივრცეში მრავლად აღმოჩნდა ამავე პერიოდის სამეურნეო ჭურჭელი, მათ შორის დერგები, ქვევრები. ასევე გამოვლინდა იატაკში ჩადგმული დიდი ზომის ქვევრის ფრაგმენტები. იქვე ახლოს დაფიქსირდა მონაცრისფრო, უხეში ზედაპირიანი, კარგად დამუშავებული, კუთხეჩაღრმავებული, ერთი ქვის არქიტექტორული დეტალი, რომელსაც ნაგრძელეული ოთხკუთხა ფორმა გააჩნდა. მის კიდეებზე და ზედაპირზე დატანილია ბორჯღალის, მზის დისკოსა და სავარცხლისებური გამოსახულება. იგი კერამიკულ მასალასთან ერთად ნაგებობის თანადროული ჩანს (ადრეშუასაუკუნეების ხანა) [ბარამიძე და სხვ. 2006] (ტაბ. XII_{2,3}). ნავთობსადენის ტრასის ყველაზე სამხრეთ ნაწილში, მშრალ ხევთან გავლებულ თხრილში (A ნაკვეთი ტაბ. VI₁) მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,60 მ სიღრმეზე, დაფიქსირდა 15,5 მ სიგრძის (სისქე 2,25-3,5 მ) მშრალი ნყობით გამართული ქვის კედელი (ყორე). მის თავზე 0,30 მ სიღრმეზე აღმოჩნდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით დამხრობილი ორი პარალელური კედელი, რომელიც შესწავლილი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გადიოდა. მათი სიგრძე აღწევდა 10-11 მ, სიმაღლე 0,60-0,70 მ, ხოლო სისქე 1,3-1,7 მ-ს. კედლებს შორის დაშორება უდრიდა 8,50 მ-ს. ისინი გამართული იყო საშუალო ზომის რიყის ქვებით, შიგადაშიგ ხურდა ქვებისა და მიწის გამოყენებით. კედლების გვერდებზე კი გამოყენებული იყო ე.წ. ჩამკეტი დიდი ზომის ქვები. კედლების ასეთი ზომები გვაფიქრებინებს, რომ საქმე უნდა გვექონდეს შუასაუკუნეების ხანის მოზრდილი დასახლების გამაგრებასთან, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან იცავდა ამ ტერიტორიას მტრის შემოსევებისაგან. საყურადღებოა, რომ ამ მონაკვეთში ძალიან მწირე არქეოლოგიური არტეფაქტები დადასტურდა. შესაძლოა ეს გამომწვეული უნდა ყოფილიყო თავდაცვითი ზღუდის, თვით ამ ნაგებობის დანიშნულებით. კერძოდ, იგი არ ჩანს საყოფაცხოვრებო სამეურნეო ხასიათის შენობა,

რომელსაც თან ახლავს მასალა. № 2 თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთით გამოვლინდა საშუალო ზომის რიყის ქვებისაგან შედგენილი კედელი (სიგრძე 2,5 მ, სიგანე 0,50 მ, სიმაღლე 0,40 მ), რომელიც დასავლეთის მხრიდან კლდოვან ქანს ებჯინებოდა. ეს მონაკვეთი იმით იყო საყურადღებო, რომ აქ მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,80 მ და 1,50 მ სიღრმეში დადასტურდა ადრეშუასაუკუნეებისა და ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენები კერამიკული მასალებით. ასევე აქ შესწავლილი იქნა 5 ორმო, სადაც დაფიქსირდა ადრებრინჯაოს ხანის მასალები. მათ შორის ძირებზე გამოყვანილი წნულის წრიული ანაბეჭდებიანი თიხის ჭურჭელი. ეს ადგილი წარმოადგენდა ნავთობსადენისა და გაზსადენის ტრასის დერეფანში ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენის გავრცელების უკიდურეს სამხრეთ მონაკვეთს.

შესაძლოა შუასაუკუნეების საფორტიფიკაციო დანიშნულების კედლები (ყორეები) აღმოჩნდა გაზსადენის ტრასის D უბანზე. აქ A ნაკვეთში დაფიქსირდა ერთმანეთის პარალელურად მიმართული, საშუალო და დიდი ზომის რიყის ქვებისაგან მშრალი წყობით ნაგები ორი კედელი (სიგრძე 4 მ, სისქე 1-2 მ, დაშორება კედლებს შორის 1,20-1,75 მ; ტაბ. X₆). წყობაში ცარიელი სივრცეების შესავსებად გამოყენებულია ქვალორლიანი მიწა და პატარა ზომის ე.წ. ხურდა ქვები. კედლები დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით და შედიოდა გაუთხრელ ფართობში. D უბნის B თხრილში ასევე აღმოჩნდა ალბათ იგივე ფუნქციის მატარებელი დასავლეთიდან აღმოსავლეთით ერთმანეთის პარალელურად მიმართული № 1 (სიგრძე 8,50 მ, სისქე 1-1,2 მ) და № 2 (სიგრძე 20,30 მ, სისქე 1 მ) ქვის კედლები (ტაბ. XI_{1,3}). ისინი ნაგები იყო მშრალი წყობით დიდი და საშუალო ზომის რიყის ქვებისაგან. შედგებოდა ქვედა და ზედა დონეებისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო ხრემნარევი, ქვალორლიანი მიწით (ტაბ. XI₁). იქმნებოდა ერთგვარი შთაბეჭდილება, რომ ქვალორლიანი მიწა დაყრილი იყო უფრო ადრეულ კედელზე. შემდეგ კი უფრო მოგვიანო პერიოდში მოხდა მისი განახლება. როგორც ჩანს, ყორეების შუაში გამავალი მონაკვეთი სპეციალურად მოკირნლული იყო პატარა ქვებით, რომლის თავზე მრავლად აღმოჩნდა ოვალურთავიანი ლურსმნები, ცხენის ნალები, ლურჯი მინის ნატეხები, საქონლის ძვლები, მოჭიქული კერამიკის რამდენიმე ნატეხი და სხვ. ორჭოსნის ნამოსახლარზე საკმაოდ მრავლად

იყო წარმოდგენილი ადრეშუასაუკუნეების შედარებით მოგვიანო ხანის მასალები. მათ შორის გამოვყოფდით ბადიის ტიპის ჭურჭელს სითხის გადმოსასხმელი მილით, წისქვილის ქვებს, შუაში ღეროს ჩასამაგრებელი ოთხკუთხა და მრგვალი ნახვრეტებით და ა.შ. [ბარამიძე, ფხაკაძე 2003; ბარამიძე და სხვ. 2006]. საყურადღებოა აქ აღმოჩენილი ღია ფერის ე.წ. „მქრქალი“ მინის თხელკეციანი, მხარზე ტალღოვანი ორნამენტით შემკული ფრაგმენტები, რომელიც სხვა ელემენტებთან ერთად კარგად ათარილებს ამ ფენას.

მომდევნო, განვითარებული შუასაუკუნეების ხანის მასალები წინა პერიოდთან შედარებით მწირია. კერამიკულ მასალასთან ერთად გვხვდება რკინის საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების ნივთები, თონეები, კეცები. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამავე ფენას ეკუთვნის რუსუდან დედოფლის მიერ 1227 წელს მოჭრილი მონეტა. აღსანიშნავია, რომ გვიანშუასაუკუნეების დასახლება ორჭოსანში ძალზე მკრთალადაა წარმოდგენილი. შემორჩენილია გვიანი შუასაუკუნეების მიწისზედა ნაგებობათა ნანგრევები. შესაძლოა ამის მიზეზი იყოს ის მუდმივი ნგრევა და თავდასხმები, როდესაც დაიწყო ოსმალეთის იმპერიის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე ინტენსიური ექსპანსია, რომელსაც პირველ რიგში, როგორც მოსაზღვრე რეგიონი, განიცდიდა სამცხის ტერიტორია, მათ შორის ორჭოსანიც.

ყველაზე ბოლო პერიოდი ორჭოსნის ტერიტორიაზე (XIX-XX საუკუნის პირველი ნახევარი) წარმოდგენილია ე.წ. „თურქი“ მესხების სამარხებით, რომლებიც ინტენსიურად იყო განფენილი C, B1 ნაკვეთებში და № 2 ქვაბულში გავლებულ თხრილებში. დადგინდა, რომ „თურქი მესხების“ სამარხები ტერიტორიულად ემთხვეოდა ორჭოსნის გვიანანტიკურსა და ადრე შუასაუკუნეების ხანის სამარხებს. მათი მცირე ნაწილი კანონმდებლობის სრული დაცვით გადასვენებული იქნა უსაფრთხო ტერიტორიაზე. უმრავლესობა კი დაცული იქნა ადგილზე.

ამრიგად, ორჭოსნის ნასახლარზე 2003-2005 წწ. გათხრილი მთელი ფართობის მასალების შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. ორჭოსანში დასახლება იწყება ადრებრინჯაოს ხანაში და, ალბათ, ნახევარი საუკუნის განმავლობაში გრძელდება. ამ დროის კერამიკული ნაწარმი წარმოდგენილია გვიანმტკვარარაქსულ-ბედენური და უხეში სამზარეულო ჭურჭელით. ეს უკანასკნელი

გავრცელებულია ადრესამინათმოქმედო ხან-
იდან მოკიდებული, შუაბრინჯაოს ხანამდე
[Дедабришвили 1969: 35-75; საქართველოს არ-
ქეოლოგია 1992: 263-265]. ამიტომ, ორჭოსნის
ნამოსახლარის ქრონოლოგიური განსაზღვრი-
სათვის იგი ნაკლებად გამოდგება. ამ თვალსაზ-
რისით გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს აქ
ბედენური და მტკვარ-არაქსული ტიპის კერამი-
კის არსებობას. აქვე აღმოჩენილი ლითონის
ყუნწიანი სატევრისპირი და პირამიდულთავიანი
ისრისპირები პირდაპირ ანალოგებს პოულობს
ე.წ. ადრეყორღანული ხანის ძეგლების მასა-
ლებში [ორჯონიკიძე, ჯიბლაძე 2010ა:133-141].
კერამიკის ამ ჯგუფების თანაარსებობა ორ-
ჭოსნის ნასახლარის განსხვავებული ხასიათის
მქონე არაერთ ათეულ „დახურულ“ კომპლექს-
ში ცხადყოფს მათ თანადროულობას. ამიტომ,
ძნელი გასაზიარებელია მოსაზრება ორჭოსნის
ნასახლარზე შულავერ-მომუთეფეს კულტურის
არსებობის შესახებ [Пхакаძე 2004:120-121. და-
ლზე მნიშვნელოვანია ორჭოსნის ნასახლარზე,
ერთ-ერთ ორმოში მაიკოპური ტიპის ბრინ-
ჯაოს თოხის აღმოჩენა. ეს თოხი, წინააზიური
და ჩრდილოკავკასიური იარაღების მსგავსად,
შენადნობებში ნიკელის შემცველია, რაც გა-
ნასხვავებს მას ადგილობრივი დარიშხნიანი
ბრინჯაოსგან დამზადებული ნავთებისაგან
[ინანიშვილი, ჯიბლაძე 2010: 79-114].

ორჭოსნის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი
მდებარეობს უძველესი დროიდან გამავალ იმ
სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე, რომელიც ერთ-
მანეთთან აკავშირებდა ჩრდილო კავკასიას წინა
აზიასთან, განსაკუთრებით კი ანატოლიასთან
[ინანიშვილი, ჯიბლაძე 2010: 79-114; ინანიშ-
ვილი, ჯიბლაძე 2010-2012: 7-24]. აქვე გადიოდა
კოლხეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს და-
მაკავშირებელი ერთ-ერთი უმოკლესი გზაც
[გოგაძე 1997: 33-58]. ეს მომენტი მნიშვნელოვან-
ნილად განაპირობებდა რეგიონში ადრებრინ-
ჯაოს ხანის კულტურის სახის ჩამოყალიბებას.
ვფიქრობთ, რომ ორჭოსნის ნასახლარზე გამოვ-
ლენილი უძველესი მასალები უნდა ასახავდეს
მეზობელ რეგიონებს შორის არსებულ იმ ურთ-
იერთობას, რომელთაც ადგილი ჰქონდა არა ად-
რესამინათმოქმედო კულტურის ხანაში [ფხაკაძე
2009: 222-239; Пхакаძე 2004: 120-121; ჯაფარიძე
2013: 7-8], არამედ გაცილებით გვიან, ადრე-
ბრინჯაოს ხანის ბოლოსათვის, რომლის აბსო-
ლუტურმა თარიღმა მნიშვნელოვნად გადაინია
ძვ.წ. III ათასწლეულის სიღრმეში [ქავთარაძე
1981; საქართველოს ისტორიისა და კულტურის

ძეგლთა აღწერილობა 1990: 359].

2. ორჭოსნის ტერიტორია შესწავლილი გვი-
ანანტიკური სამაროვნის გავრცელების არ-
ეალების მიხედვით, საკმაოდ მჭიდროდ უნდა
ყოფილიყო სამოსახლოდ ათვისებული. რა თქმა
უნდა ამ პერიოდის ძეგლები აქ გაუთხრელ მონ-
აკვეთებშიც არის სავარაუდო. ორჭოსანში ეს
აღმოჩენა იმითაც არის საყურადღებო, რომ ამ
პერიოდის ძეგლები სამცხეში მცირე რაოდე-
ნობითაა ცნობილი (ჭორატი, კლდე). სოციალ-
ური სტრუქტურის თვალსაზრისით, რომლის
წარმოდგენის საშუალებას იძლევა სამაროვნის
მასალები, გვიანანტიკურ ხანაში აქ მცირე შე-
ძლების ხალხს უნდა ეცხოვრა (ორი, სამი სა-
მარხის მასალები რამდენადმე განსხვავებულ
სურათს იძლევა). მათი უმრავლესობა რიგითი
მეთემეები უნდა ყოფილიყო.

3. ორჭოსნის ტერიტორია საკმაოდ მძლავრად
ჩანს დასახლებული ადრე და განვითარებულ
შუასაუკუნეების ხანაში. როგორც ჩანს, ამ პერი-
ოდის ნამოსახლარები მუდმივ ნგრევასა და გა-
ნახლებას განიცდიდნენ, განსაკუთრებით გან-
ვითარებული შუასაუკუნეების პერიოდში. ამას
გეოგრაფიული ფაქტორიც განაპირობებდა,
რაც უნდა აიხსნას აქ მოსახლე ხალხის ტერიტო-
რიული სიახლოვით აღმოსავლეთით მცხოვრებ
თურქ-სელჯუკთა ტომებთან.

THE MAIN RESULTS OF THE EXCAVATIONS OF ORTCHOSANI SETTLEMENT AND CEMETERY IN 2003-2005

Summary

Not far from the Vale, in the border strip of Georgia at the corridor of BP Pipeline in 2003-2005 was archaeologically studied Ortchosani settlement and cemetery.

1. In Ortchosani remnants of Early Bronze Age with greater or lesser intensity are presented on all studied territory. They are presented by household and cult pits, several burials and the remains of the ruined stone buildings. Most of the artifacts of this time comes from pits and presented by fragments of ceramics. Chronologically they do not separated from each other. In the same complex are the late Kura-Araxes, Bedeni and kitchen ceramics with rough texture. This last with the same intensity is widespread in eastern and in western Georgia since the early farming cultures and up to the Middle Bronze Age. Dating meaning for the pits have Kura-Araxes and Bedeni materials.

2. Materials of late Antique period are presented only by graves, excavated at the some plots of the studied area.

3. Remains of the Medieval Epoch are represented by remnants of stone buildings and parts of defensive walls, graves, household pits and etc.

ლიტერატურა

ბარამიძე მ., ფხაკაძე გ. 2003: ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის 2003 წ. მუშაობის (სექტემბერ-ოქტომბერი) ანგარიში. ხელნაწერი ინახება ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის საველე და სამეცნიერო დოკუმენტაციის ანგარიშების სექტორში.

ბარამიძე მ. 2004: ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის 2004 წლის მუშაობის შედეგები. ვალე-ჭორატის ნამოსახლარი და სამაროვანი. ანგარიში. ხელნაწერი ინახება ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის საველე და სამეცნიერო დოკუმენტაციის ანგარიშების სექტორში.

ბარამიძე მ., ჯიბლაძე ლ., თოდუა თ., ორჯონიკიძე ალ. 2006: ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის კამერალურ სამუშაოთა II ეტაპი, ორჭოსნის ნამოსახლარი და სამაროვანი. ელექტრონული ვერსია ინახება ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის საველე და სამეცნიერო დოკუმენტაციის ანგარიშების სექტორში.

გოგაძე ელ. 1997: კოლხური კულტურის გენეზისის ერთი ასპექტის შესახებ. – გურია, ტ. II, თბილისი, 33-38.

ინანიშვილი გ., ჯიბლაძე ლ. 2010-2012: კავკასიისა და მცირე აზიის კულტურული ურთიერთობის საკითხისათვის (ძვ. წ. III ათასწლეული). – ბიბლიური და არქეოლოგიური კვლევის ამერიკულ-ქართული ინსტიტუტის ბიულეტენი, 8, თბილისი, 7-24.

ორჯონიკიძე ალ., ჩიხლაძე ვ., მარგველაშვილი მ. 2002: მილსადენის კორიდორში მოქმედი ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის 2002 წლის სექტემბერში ჩატარებული მუშაობის ანგარიში. ხელნაწერი ინახება ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის საველე და სამეცნიერო დოკუმენტაციის ანგარიშების სექტორში.

ორჯონიკიძე ალ. 2003: ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ივნის-აგვისტოში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში. ხელნაწერი ინახება ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის საველე და სამეცნიერო დოკუმენტაციის ანგარიშების სექტორში.

ორჯონიკიძე ალ. 2005: ორჭოსნის ნასახლარის ადრეული კომპლექსები. – ძიებანი, № 15-16, 69-83.

ორჯონიკიძე ალ., ჯიბლაძე ლ. 2010: კიდევ ერთხელ ორჭოსნის ნამოსახლარის შესახებ. – ძიებანი, 19, 105-114.

ორჯონიკიძე ალ., ჯიბლაძე ლ. 2010ა: ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა ურთიერთობისათვის სამხრეთ საქართველოში (ორჭოსნის ნამოსახლარის მიხედვით). – ბაქო- თბილისი -ჯეიჰანი. სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბილისი, 133-141.

საქართველოს არქეოლოგია 1992: თბილისი.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა 1990: V, თბილისი.

ფხაკაძე გ. 2009: სამხრეთ კავკასიის ადრესამინათმოქმედო კულტურის შესახებ (სამცხე-ჯავახეთი). – ანალები, თბილისი, 222-239.

ქავთარაძე გ. 1981: საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე. თბილისი

ჯაფარიძე ო. 2013: ბრინჯაოს ინდუსტრიის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი

ჯიბლაძე ლ., თოდუა თ., ხვისტანი რ. 2008: არქეოლოგიური კვლევა-ძიება ახალციხის რ-ნის დაბა ვალეს მიდამოებში. – საისტორიო ვერტიკალები, № 14, თბილისი, 10-13

ჯიბლაძე ლ. ორჭოსნის ნამოსახლარისა და სამაროვნის 2003-2005 წწ. საველე დღიურები. ინახება პირად არქივში.

Дедабришвили Ш. 1969: Памятники эпохи ранней и средней бронзы. – ТКАЭ, I, 35-75

Джибладзе Л. 2005: Новая уникальная находка из Орчосани. – АЭФК, Баку, 100-101

Инанишвили Г., Джибладзе Л. 2010: Никеловая бронза на Кавказе. Археология Кавказа, № 2-3, Тбилиси, 99-116.

Кореневский С. Н. 1995: Галюгай I - поселение Маикопской культуры. Москва

Мунчаев Р. 1994: Маикопская культура. Ранняя и средняя бронза Кавказа. Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Москва, 158-225

Пхакадзе Г. 2004: Новый очаг раннеземледельческой культуры в Южной Грузии Тбилиси, 120-121

ტაბულაჰის აღწერილობა

სურ. 1 – ორჭოსნის ნასახლარის საერთო ხედი.

ტაბ. I – ორჭოსნის ტოპოგეგმა.

ტაბ. II – ორჭოსნის ნასახლარის სიტუაციური გეგმის ნაწილი.

ტაბ. III – A ნაკვეთი. გეგმა და ჭრილები.

ტაბ. IV – 1. A1-A3 ნაკვეთები; 2-ადრებრინჯაოს ხანის სამარხი.

ტაბ. V – 1. A3 ნაკვეთის გეგმა და ჭრილი; 2. C ნაკვეთი. სამაროვნის გეგმა და ჭრილი.

ტაბ. VI – 1. A ნაკვეთის სიტუაციური გეგმა; 2. B1 ნაკვეთის გეგმა და ჭრილი.

ტაბ. VII – 1. C ნაკვეთის (№ 2 ქვაბული და № 2 თხრილი) გეგმა და ჭრილი; 2. B ნაკვეთის გეგმა და ჭრილი.

ტაბ. VIII – 1. D ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის სიტუაციური გეგმა; 2. ორმოები B თხრილიდან.

ტაბ. IX – 1-4. სამეურნეო-საკულტო დანიშნულების ორმოები D უბნის B თხრილიდან; 5. ქვის ნაგებობათა ნაშთები ადრებრინჯაოს ხანის ფენიდან (B თხრილი); 6. გვიანანტიკური ხანის სამარხი № 2 თხრილიდან (C ნაკვეთი).

ტაბ. X – 1-2. გვიანანტიკური ხანის სამარხები № 2 თხრილიდან; 3- 5- ადრემუასაუკუნეების სამარხები № 2 თხრილიდან; 6. ქვის კედლის ნაშთები D უბნის A თხრილიდან.

ტაბ. XI – 1-3. ქვის ნაგებობათა ნაშთები D უბნის B თხრილიდან.

ტაბ. XII – 1. ქვის კედლის გეგმა და ჭრილი B თხრილიდან; 2-3. არქიტექტორული დეტალი № 2 თხრილიდან.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – General view of the Ortchosani settlement.

Pl. II – Topographical plan of the Ortchosani.

Pl. III – Plot A. Plan and sections.

Pl. IV – 1. Plots A1-A3; 2. Early Bronze Age grave.

Pl. V – 1. Plot A3. Plan and section; 2. Plot C. Plan and section of the cemetery.

Pl. VI – Plot A3. Situational plan; 2. Plot B2. Plan and section.

Pl. VII – Plot C (cave No. 2 and trench No. 2). Plan and section.; 2. Plot B. Plan and section.

Pl. VIII – Plot D and surrounding territory. Situational plan; 2. Pits from the trench B.


Pl. IX – Household-cult pits from the trench B, plot D; 5. Remaons of the building from the EBA layer (trench B); 6. Roman time grave from trench 2 (plot C).

Pl. X – 1-2. Roman time grave from trench 2; 3-5. Early Medieval graves from trench 2; 6. Remains of the stone wall from trench A, plot D.


Pl. XI – 1-3. Remains of the stone constructions from trench B, plot D.

Pl. XII – 1. Plan and sections of the stone wall from trench 2; 2-3. Architectural detail from trench 2.


ჭაბ. I




குட. II




ക്രമ. III




ტაბ. IV



ტაბ. V




1




2

ቅጽ. VI




1

ORCHOSANI
BPMG-15
AREA B'
IV-323




2

ტაბ. VII



ጥልቅ. VIII



1




2




1



2



3



4



5



6



1



2



3



4



5



6


ჭაბ. XI



1




2



3

ᑕᓐᓃ. XII



1



2



3

არქეოლოგიური გათხრები გრაკლიანის გორაზე 2011 წელს. I. ადრებრინჯაოს ხანა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ექსპედიციამ¹ 2011 წლის 10 ოქტომბრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით (55 სამუშაო დღე) გათხრებს ანარმოებდა ბაქო-სუფსის მილსადენის ტრასის იმ მონაკვეთზე, რომელიც გადის სოფ. სამთავისის მიდამოებში, „გრაკლიანის გორის“ თხემზე (WREP KP 109+100-450 მ). სამუშაოები განხორციელდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და კომპანია BP საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

გრაკლიანის გორა მდებარეობს კასპის რაიონში, საქართველოს ცენტრალური საავტომობილო გზის პირას, მდ. ლეხურასა და თორთლას ხერთვისში. გორა სამკუთხა მოყვანილობისაა, კონცხისებურად ვიწროვდება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. სამხრეთ-დასავლეთიდან მას საზღვრავს მდ. თორთლა, აღმოსავლეთიდან – მდ. ლეხურა. გორა დასავლეთისკენ თანდათან დაბლდება სოფ. გამდლისწყაროს მიმართულებით (ტაბ. I). გორის ზედაპირზე, რომელიც დაახლ. 740 მ სიმაღლეზე მდებარეობს ზღვის დონიდან, გამოირჩევა რამდენიმე სხადასხვა ზომის ბორცვი და სხვა მცირე შემაღლება.

გრაკლიანის გორა და მისი მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ არქეოლოგიურ ძეგლებს პერიოდულად სწავლობდა სხვადასხვა არქეოლოგიური ექსპედიცია [Бохочадзе, Мирианашвили 1986: 47-48; Бохочадзе, Мирианашвили, Зангури 1987: 73; ბოხოჩაძე, მირიანაშვილი 2004: 108; მირიანაშვილი 1999: 48-50; მირიანაშვილი 2003: 53-64; ლიჩელი ვ. 2010: 25-38; კვიციანი და სხვ. 2011: 47-67].

2009 წლის აპრილსა და ივნისში არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ. კვიციანი) ჩაატარა აქ II ეტაპის დაზვერვითი ხასიათის არქეოლოგიური სამ-

უშაოები [კვიციანი და სხვ. 2011: 47-67]. ამ სამუშაოების შედეგად დადგინდა გრაკლიანის გორის თხემზე სამი განსხვავებული ქრონოლოგიური პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების არსებობა:

ადრებრინჯაოს ხანა, წარმოდგენილი მტკვარ-არაქსული კულტურის სამეურნეო ორმოებით.

გვიანბრინჯაოს ხანა, წარმოდგენილი მხოლოდ და მხოლოდ სამარხებით.

გვიანრომაული ხანა, წარმოდგენილი სამოსახლოს ნაშთებით, სამეურნეო ორმოებით და სამარხებით.

სადაზვერვო თხრილების საშუალებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაიგეგმა III ეტაპის სამუშაოები.

ძეგლის ხასიათიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შეირჩა სადაზვერვო თხრილებით ჯერ კიდევ 2009 წელს დადგენილი არქეოლოგიური ობიექტების ინტენსიური განლაგების მთელი ფართობის გადაჭრა ერთიანი 4 მ-ის სიგანისა და 450 მ სიგრძის თხრილით (WREP KP 109 +100-550 მ), რომლის ცენტრალური ღერძი ადგილზევე წინასწარ მოგვინიშნა BP-ს შესაბამისმა სამსახურმა და რომელიც მიყვებოდა მომავალი მილსადენის მონაკვეთს (ტაბ. I₂). გასათხრელი დერეფანი დამხრობილი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით.

გათხრილი დერეფნის მთელ სიგრძეზე, როგორც წესი, დედაქანი ჩნდებოდა 0.30-დან 0.50 მ-მდე სიღრმეზე. ეს იყო თიხნარი, თიხნ-კირქვოვანი-კირქვოვანი ან კირქვოვან-ლორლოვანი კლდოვანი გრუნტი. მის თავზე მდებარე ზედაფენა წარმოადგენდა ნაშალი, ნაბრუნები, გადანაცვლებული ნიადაგის მასას, რომელიც საკმაო რაოდენობით შეიცავდა კერამიკის, ძირითადად, უსახო ფრაგმენტებს.

2011 წლის გათხრების შედეგად ძეგლის სტრატეგრაფიაზე ადრე მიღებული მონაცემები არ შეცვლილა. დაფიქსირდა ადრებრინჯაოს ხანის ნაშთები, გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები, გვიანანტიკური ხანის სამარხები, საცხოვრებლის ნაშთები, სამეურნეო დანიშნულების ორ-

1 ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: გ. კვიციანი (ხელმძღვანელი), ბ. მურვანიძე, ვ. შატბერაშვილი, რ. დავლიანიძე, ა. ორჯონიკიძე (არქეოლოგები), დ. სულხანიშვილი, ს. ხარაბაძე, ე. ქორიძე, მ. ჩარკვიანი (სავლე ასისტენტები), ე. სახვაძე (არქიტექტორი), ა. თევზაძე (ტოპოგრაფი) და 45 მუშა.

მოები. შევისწავლეთ სხვადასხვა პერიოდის კომპლექსების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც შეიცავდა საკმაოდ საინტერესო არქეოლოგიურ მასალას. გადავწყვიტეთ ეს ინფორმაცია სამეცნიერო საზოგადოებას მივანოდოთ ცალ-ცალკე, ქრონოლოგიური პერიოდების მიხედვით. ამჟამად ვაქვეყნებთ გათხრების წინასწარი ანგარიშების პირველ ნაწილს, რომელიც მოიცავს ადრებრინჯაოს ხანის მონაპოვარს.

მტკვარ-არაქსული კულტურის ნაშთები შესწავლილი დერეფნის აღმოსავლეთ ნაწილში იყო დადასტურებული – WREP KP 109+102.5-370 მ მონაკვეთის ფარგლებში. როგორც წესი, ეს იყო სხვადასხვა ზომისა და ფორმის სამეურნეო ორმოები, შევსებაში სპეციფიკური, ვარდისფერ-სარჩულიანი ყავისფრად ან შავად ნაპრიალები ჭურჭლის ფრაგმენტების შემცველი. სულ გაითხარა ერთი ორმოსამარხი (№ 20) და თოთხმეტი სამეურნეო ორმო.

+102.5 მ ნიშნულზე 1.35 მ სიღრმეზე დაფიქსირდა მტკვარ-არაქსული ხანის ჭურჭლის სამი ფრაგმენტი და ქვა-ლორლოვან დედაქანში ჩაჭრილი ორმო, მასალის გარეშე. ორმო ნაწილობრივ დაზიანებული იყო (ტაბ. II₁). შემორჩენილი ზომებია: სიღრმე სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს — 0.60 მ; ჩრდილო-დასავლეთ მხარეს — 0.30 მ. დმ. პირის და ძირის — 1.30 მ. თხრილის ამ მონაკვეთში შეინიშნებოდა ჩაღრმავება სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით (შეესაბამება მთლიანი ფერდის დახრილობას).

+119 მ ნიშნულზე, დერეფნის SW კედელთან (E 8450608; N 4651762) გაიწმინდა ყვითელი ფერის თიხნარში ჩაჭრილი მტკვარ-არაქსული ხანის, გეგმაში მრგვალი მოყვანილობის ორმო, შევსებული მუქი ფერის ნაცარნარევი მიწით (ტაბ. II₂); დმ – 0.90 მ, სიღრმე 0.70 მ. ორმო განიერდებოდა სიღრმეში, ძირის დმ შეადგენდა 1.20 მ-ს. ორმოში აღმოჩნდა მტკვარ-არაქსული ხანის სხვადასხვა სახის ჭურჭლის (ქოთნები, კოჭბები, ჯამები და სხვ.) ყელპირის, ძირის, ყურისა და კედლის 40-მდე ფრაგმენტი (ტაბ. VI₁₋₁₈, VII₁₋₁₃).

+133 მ ნიშნულზე (E 8450597; N 4651770) მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 30 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა მრგვალი მოხაზულობის ორმო, ჩაჭრილი ყვითელი ფერის ქვა-ლორლოვან კონგლომერატში (ტაბ. II₃, V₁). ორმო ცილინდრული ფორმის იყო. პირის დმ. 0.80 მ. უკვე 10 სმ სიღრმეზე დაფიქსირდა მტკვარ-არაქსული ხანის ჭურჭლის ხუფის და ფეხიანი ჭურჭლის ფრაგმენტები. ორმოს ძირი გამოჩნდა 0.65 მ სიღრმეზე. სიღრ-

მეში ორმოს შევსება უფრო ნაცროვანი გახდა, მტკვარ-არაქსულ მასალას დაემატა საქონლის ძვლები (ტაბ. VII₁₄₋₁₅, VIII₁₋₇).

+138.5 მ ნიშნულზე აღმოჩნდა მოყვითალო ფერის ქვალორლოვან დედაქანში ჩაჭრილი ოვალური მოხაზულობის ორმო, ზომები 0.90x0.55 მ, სიღრმე – 0.30 მ, ორიენტირებული SW-NE დერძზე – სამარხი № 20 (ტაბ. II₃, V₂). ორმოს ჩრდილო-დასავლეთი კედლის გასწვრივ, მის ძირზე, გაიწმინდა ძლიერ დაშლილი ძვლების ფრაგმენტები (სავარაუდოდ მცირეწლოვანი ბავშვის). თავის ქალის ფრაგმენტები არ დაფიქსირებულა. სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეში აღმოჩნდა მთელი ჭურჭელი – მტკვარ-არაქსული ხანის ყურიანი სასმისი (კათხა), ნამოქცეული, პირით შიდა სივრცისკენ (ტაბ. VIII₈).

+144 მ ნიშნულზე თხრილის ცენტრალურ ნაწილში გაიწმინდა მრგვალი მოყვანილობის ორმო. GPS: E 8450588; N 4651778. ორმო ჩაჭრილი იყო მოყვითალო ფერის ქვა-ლორლოვან დედაქანში, შევსებული მუქი ნაცარნარევი მასით. ორმო ცილინდრული ფორმის იყო, დმ – 0.70 მ, სიღრმე – 0.90 მ. შევსებაში – მცირეოდენი მტკვარ-არაქსული ხანის მასალა და ცხოველის ძვლის ფრაგმენტები აღმოჩნდა (ტაბ. II₄, V₃).

WREP KP 109+167-170 მ მონაკვეთში, უშუალოდ დედაქანის ზედაპირზე, აღმოჩნდა რიყის ქვის წრიული ყრილი, ≈3.80 მ დიამეტრის, რომლის ცენტრში დაფიქსირდა რიყის ქვების კომპაქტური მასა. ქვანრის შიდა ფართობში და მის ქვეშ, ქვალორლიან დედაქანზე, განფენილი იყო კერამიკის ნატეხები, უმეტესად მტკვარ-არაქსული ხანის. +167 მ ნიშნულზე (E 8450569; N 4651789), ქვანრის სამხრეთით, აღმოჩნდა ყვითელ თიხნარში ჩაჭრილი ორმო, რომლის პირი ამოტენილი იყო რიყის ქვის (ტაბ. III₁, V₄) და შეიცავდა მეტად მცირე რაოდენობის მტკვარ-არაქსული იერის ფრაგმენტებს (ტაბ. VIII₉₋₁₉). ორმოს პირის დიამეტრია 0.90 მ, სიღრმე – 1.20 მ; ორმო ძირისკენ ფართოვდებოდა, დმ ძირზე – 1.30 მ. ეს ორმო დაზიანებული იყო NW მხრიდან უფრო გვიანდელი, გვიანანტიკური ხანის ორმოთი.

+170 მ ნიშნულზე აღმოჩნდა კიდევე ერთი მტკვარ-არაქსული ხანის ორმო, ჩაჭრილი დედაქანში (E 8450564; N 4651788). ორმო ძაბრისებურად ვიწროვდებოდა ქვემოთ, შემდეგ იკეთებდა ყელს და გვერდებში განიერდებოდა (ტაბ. III₁, V₅). ყელში მისი სიგანე 1.05 მეტრი იყო. შევსებაში აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის 25 ფრაგმენტი, მათ შორის 0.70 მ დონეზე დიდი ზომის ჭურჭლის

პირისგვირგვინისა და გვერდის ყურიანი ფრაგ-
მენტი (ტაბ. VIII₂₀₋₂₁, IX₁₄₋₁₆). ორმოს ზომები: პირის
დმ – 1.20 მ, ყელის დმ – 1.05 მ, სიღრმე – 1.00 მ,
ყელის სიმაღლე – 0.20 მ.

+184 მ ნიშნულზე (E 8450554; N 4651801), თხრ-
ილის SW კედელთან, აღმოჩნდა ქრილში მსხ-
ლისებური მოყვანილობის ორმო (ტაბ. III₂), რომ-
ლის შევსებაში ნაპოვნი იყო მტკვარ-არაქსული
ხანის ფრაგმენტები. მისი პირის დმ – 1.00 მ.
შევსება ნაცროვანი იყო, მასში გვხვდებოდა მხ-
ოლოდ მტკვარ-არაქსული ხანისათვის დამახა-
სიათებელი კეცისა და ფაქტურის ფრაგმენტები
(ტაბ. IX₁₇₋₂₄, X₁₋₉). 0.70 მ სიღრმეზე აღმოჩნდა
ხარის თავის ქალა (ტაბ. V₆).²

WREP KP 109+275-277 მ მონაკვეთზე (GPS: E
8450481, N 4651857), თხრილის NE კედელთან,
დაფიქსირდა ორი სხვადასხვა სიდიდის ორმო.
მცირე ზომის ორმოში (0.70×0.80 მ), რომლის
სიღრმე მხოლოდ 0.10 მ შეადგენდა, აღმოჩნდა
მცირე ზომის მტკვარ-არაქსული იერის ცალყუ-
რა ტოლჩა (ტაბ. X₁₀).

+290 მ ნიშნულზე (GPS – E 8450470; N 4651864),
ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან, აღმოჩნდა
ოვალური, თითქმის წრიული მოყვანილობის,
ნაცრით შევსებული ორმო, ზომები 1.50 × 1.35 მ
(ტაბ. III₃). სხვადასხვა დონეზე ამოდიოდა მტკ-
ვარ-არაქსული იერის კერამიკული ნატეხები, ძვ-
ლების ფრაგმენტები, აღმოჩნდა კაჟის ყუნწიანი
ისრისპირი და ნამგლის ჩასართები (ტაბ. X₁₁₋₁₇).
ამ ორმოს სამხრეთ კუთხესთან მცირე ზომის
ასევე ოვალური მოყვანილობის ორმოა, 0.85×0.70
მ ზომის, სიღრმე – 0.20 მ. ფსკერზე მოზრდილი
ჭურჭლის ნატეხი აღმოჩნდა.

WREP KP 109+308-310 მ მონაკვეთში გამოიკვე-
თა თხრილი, გამომავალი დერეფნის ჩრდილო-
აღმოსავლეთი NE კედლიდან და შემავალი სა-
მხრეთ-დასავლეთი კედლის ქვეშ, დამხრობილი
E-W ღერძზე (ტაბ. IV₁, V₇). თხრილის სიგანე ზედა
ნაწილში შეადგენდა დაახლოებით 3.10 მ-ს და
ვიწროვდებოდა ძირისაკენ. სიღრმე თხრილის
დასავლეთი ნაწილში დღევანდელი ზედაპირი-
დან 2 მეტრზე მეტი იყო. ქვედა 0.5 მ სიმძლავრის,
შავი ფერის ფენაში, რომელიც განამარხ ჰუმუსს
წარმოადგენდა, დაფიქსირდა მტკვარ-არაქსუ-
ლი კერამიკა, საკმაოდ მცირე რაოდენობით.

+311 მ მონაკვეთზე, თხრილის შუა ნაწილში,
დაფიქსირდა გეგმაში წრიული მოხაზულობის

ორმო (GPS – E 8450453; N 4651876), ვიწრო პი-
რიანი, ძირისაკენ გაფართოებული (ტაბ. IV₁, V₈).
პირის დმ – 1.0 მ, სიღრმე – 0.90 მ. სიგანე ძირში –
1.15 მ. ორმოში მტკვარ-არაქსული იერის ფრაგ-
მენტები იყო აღმოჩენილი (ტაბ. X₁₈₋₂₂).

+339 მ ნიშნულთან, თხრილის შუაგულში, აღ-
მოჩნდა მტკვარ-არაქსული ორმო (ტაბ. IV₂). ორ-
მოს პირის დმ – 0.75 მ, სიმაღლე – 0.75 მ, ძირის
სიგანე – 1.25 მ. ორმო მსხლისებური მოყვანილო-
ბის იყო, ყელის სიმაღლე 0.20 მ. GPS – E 8450429;
N 4651892. შევსებაში კერამიკული ფრაგმენტები
იყო აღმოჩენილი (ტაბ. X₂₃₋₂₉).

+369 მ ნიშნულთან, № 16 სამარხის სამხრეთ-
დასავლეთით, დაფიქსირდა მრგვალი მოყვა-
ნილობის ორმო (GPS – E 8450409; N 4651912), დმ
– 1.50 მ, სიღრმე – 0.25 მ (ტაბ. IV₃). შევსებაში –
ნაცროვანი მინა, მტკვარ-არაქსული ფრაგმენ-
ტების შემცველი (ტაბ. X₃₀).

+370 მ ნიშნულთან, აღმოჩნდა მრგვა-
ლი მოყვანილობის ორმო (GPS – E 8450407; N
4651913), დმ – 1.40 მ, სიღრმე – 0.60 მ (ტაბ. IV₃).
შევსება მოყავისფრო, მტკვარ-არაქსული კერა-
მიკით (ტაბ. X₃₁).

KP 109+370 მ ნიშნულთან აღმოჩენილი
მტკვარ-არაქსული ორმო უკანასკნელი აღმოჩნ-
და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით.

ამდენად, მტკვარ-არაქსის კულტურის მასა-
ლები უმთავრესად ორმოებიდან მომდინარეობს.
მოპოვებული მასალის უმეტესობა, 2009 წლის
გათხრების მსგავსად [კვირკველია, მურვანიძე,
ნიკოლაიშვილი, ორჯონიკიძე 2011: 48-49], ძირი-
თადად თიხის ნაწარმითაა წარმოდგენილი. ქვის
იარაღი, კვლავ მწირია, ხოლო ლითონის ნივთები
არ აღმოჩენილა.

თიხის ჭურჭელი შავპრიალა, მოვარდისფრო
და ლეგა-მონაბლისფროა. მისი მნიშვნელოვანი
ნაწილი ატარებს ძლიერ ცეცხლში მოხვედრის
კვალს. ორნამენტი, თუ არ ჩავთვლით ნაკანრით
შემკვულ ერთ შავპრიალა ფრაგმენტს, მას არ
გააჩნია.

კოლექციაშია თიხის ცალყურა კოჭბის თუ ბა-
დიის ტიპის ჭურჭელი (ტაბ. VI₁, VIII₈, IX₁₄₋₁₅, X_{10, 23-24}).
ეს ნაწარმი მეტ-ნაკლებად ერთმანეთის მსგავ-
სია – აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, რამდენადმე
გამოყვანილი ყელი, რომელიც დაბალი ნიბოთი
გადადის ქვემოთ შევიწროვებულ კორპუსზე და
ვიწრო, ბრტყელი ძირით თავდება. უმეტესობას
აქვს შიდაქართლური კერამიკული ნაწარმი-
სათვის დამახასიათებელი ზურგნიბოიანი ყური
[კვიციანი 1972:74]. ამ კოჭბის პარალელებს მრავ-
ლად ვხვდებით მტკვარ-არაქსის კულტურის

2 ან განსვენებული მეცნიერის ოლეგ ბენდუქიძის
განსაზღვრებით, ხარის თავის ქალა განეკუთვნება
ოს ფრონტოსუს-ის ჯიშს.

განვითარებული საფეხურის ძეგლებზე, მსგავსად აქვე აღმოჩენილი ქოთნის თუ დერგის ტიპის ჭურჭლისა [ჯაფარიძე 1961: ტაბ. XXI_{1,3}; ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: ტაბ. IV₃₉₉; კიკვიძე 1972: ტაბ. XXVI₁; მახარაძე 1994: ტაბ. XXXIX₆; XIX₂].

ყურადღებას იქცევს ტაფისებური ჭურჭელი. ზოგიერთს ზედა მხარე მოგლუვებული აქვს, ქვედა კი უსწორმასწორო, სხვადასხვა ანაბეჭდებით (ტაბ. VII₉, VIII₁, X₁₈₋₁₉). გვხვდება გვერდშედრეკილი ყურიანი ტაფაც (ტაბ. VII₄, IX₁₇), ანალოგიური შიდა ქართლის სინქრონულ ძეგლებზე აღმოჩენილი ცალებისა. მას ამ რეგიონის კერამიკული პროდუქციის დამახასიათებელ და ორიგინალურ ტიპად მიიჩნევენ [კიკვიძე 1972: 74-75].

ცალკე ჯგუფს ქმნის ჯამის ტიპის ჭურჭელი. გრაკლიანის გორაზე ძირითადად მისი პირმოყრილი ვარიანტის ფრაგმენტებია ნაპოვნი (ტაბ. VII_{5,7-8}, VIII₃, IX₁₆, X_{3-6,12-13,25,29}). ამგვარი ჯამი ფართოდ იყო გავრცელებული ამ კულტურაში. თუმცა, შიდა ქართლის ლოკალურ ვარიანტს უფრო მეტად პირგადაშლილი ფორმა ახასიათებს [კიკვიძე 1972:73].

აღსანიშნავია ფრაგმენტები პატარა შვერილებით, რომლებიც შესაძლოა ფეხიან ჭურჭელს ეკუთვნოდეს (ტაბ. VIII_{4,5}), ან მსგავსად ხიზანანთგორის C₁ ფენის ცალისა, წარმოადგენდეს ტაფისებური ჭურჭლის შემკობას [კიკვიძე 1972: ტაბ. XXIV₈].

თიხის ჭურჭელთანაა დაკავშირებული თიხის მრგვალი სარქველიც, რომლის არაერთი ფრაგმენტია გრაკლიანის კომპლექსებში (ტაბ. VII_{12,13}, VIII₆, X_{22,31}). იგი ძალზე დამახასიათებელია მტკვარ-არაქსის კულტურისათვის. ფართოდ გავრცელებულ ამ ნაწარმში შეინიშნება განსხვავება ზედაპირისა და კიდის მოყვანილობაში. ძირითადად გვხვდება სწორზედაპირიანი და შუაგულჩაზნეილ ზედაპირიანი ცალები, სხვადასხვა კვეთის მქონე კიდით. ჩვენი ეგზემპლარები მხოლოდ სწორზედაპირიანია.

შესაძლოა მრგვალი კერის ნაწილებს წარმოადგენდეს თიხის მსხვილ ნაკეთობათა ნატეხები. თუმცა, ძლიერ ფრაგმენტულობის გამო, ამის მტკიცება ჭირს.

რაც შეეხება ქვის იარაღს, იგი მოყავისფრო კაჟის ანატეცზე დამზადებული მინიატურული ყუნწიანი ისრისპირითა (ტაბ. X₁₆) და ნამგლის ჩასართებით (ტაბ. X_{15,17}) შემოიფარგლება. ორივე იარაღი ფართოდ იყო გავრცელებული მტკვარ-არაქსულ არეალზე.

ორმოებში აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა და

ზემოთ აღნიშნული ხარის თავის ქალის გარდა, წარმოდგენილია ცხვრის, თხისა და გოჭის ძვლებით.

ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS ON GRAKLIANIS GORA IN 2011. I. EARLY BRONZE AGE

Summary

Graklianis Gora lies in Kaspi district, near the Georgian central motorway, at the confluence of the Lekhura and Tortla rivers. The hill is triangular in shape, narrowing toward south-east (pl. I₁).

According to the contract signed between the company "BP Exploration (Caspian Sea) Ltd., Georgia" and the Georgian National Museum (C-08-BPCS-152703), archaeological expedition worked along the crest of Graklianis Gora in 2011 from December, 10 to November, 24 at the section of the Baku-Supsa Pipeline route (WREP KP 109+100-550 m). In April and June 2009 here survey works were carried out. Remains of three different chronological periods were identified [Kvirkvelia et al. 2011: 47-67]: 1. Early Bronze Age, represented by household pits; 2. Graves of Late Bronze period; 3. Remains of habitations and graves of Late Roman period.

In 2011 was excavated 4 m width and 450 m long trench from South-East to North-West (pl. I₂). As a result of these excavations previously obtained conclusions have not changed. This article focuses on the finds of Early Bronze Age.

Remains of Early Bronze Age Kura-Araxes culture were fixed at the eastern part of investigated corridor, in the interval WREP KP 109+102.5-370 m. As a rule it were household pits of different shapes and sizes (pls. II-V) with peculiar fragments of walls of pink-lining, brown or black polished pottery in filling; one grave was also found (pl. V₂). Stone tools were very rare, and no metal object was found.

It should be noted one-handle pots or buckets (pls. VI₁, VIII₈, IX₁₄₋₁₅, X_{10,23-24}), pan shaped vessels (pls. VII₉, VIII₁, X₁₈₋₁₉, XI₁₇), bowls (pls. VII_{5,7-8}, VIII₃, IX₁₆, X_{3-6,12-13,25,29}), lids (pls. VII₁₂₋₁₃, VIII₆, X_{22,31}) and other types of pottery.

The parallels for these assemblage of potter are known well from sites of a developed stage of the Kura-Araxes culture dated to the first half of the 3rd millennium BC.

As about flint items they are represented by small arrowhead and inserts for sickle (pls. X₁₅₋₁₇). Both are widespread in the areal of Kura-Araxes culture.

ლიტერატურა

- ბოხოჩაძე ა., მირიანაშვილი ნ. 2004: ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია 1989-1990 წწ. – საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წწ. მოკლე ანგარიშები. თბილისი, 107-108.
- კიკვიძე იაზ. 1972: სიზანანთგორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. თბილისი.
- კვიციანი გ., მურვანიძე ბ., ნიკოლაიშვილი ვ., ორჯონიკიძე ა. 2011: არქეოლოგიური გათხრები გრაკლიანის გორაზე 2009 წელს. – ძიებანი, № 20, 47-67.
- ლიჩელი ვ. 2010: კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები ცენტრალურ ამიერკავკასიაში (გრაკლიანი გორა). – Academia, № 1, 25-38.
- მახარაძე ზ. 1994: ციხიანთგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი. თბილისი.
- მირიანაშვილი ნ. 1999: ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია. – მილსადენის არქეოლოგია, I. თბილისი, გვ. 48-50.
- მირიანაშვილი ნ. 2003: ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია მილსადენის მშენებლობის ზონაში 2001 წელს. – მილსადენის არქეოლოგია, II. თბილისი, 53-64.
- ჯავახიშვილი ალ., ლლონტი ლ. 1962: ურბნისი, I. თბილისი.
- ჯაფარიძე ოთ. 1961: ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბილისი.
- Бохоч адзе А., Мирианашвили Н. Г. 1986: Настакиская археологическая экспедиция. – ПАИ, 1983. Тбилиси, 47-48.
- Бохочадзе А., Мирианашвили Н. Г., Зангури А. Н. 1987: Настакиская экспедиция в 1984 г. – ПАИ, 1984-1985. Тбилиси, 73.

ტაბულაციის აღწერილობა

ტაბ. I – 1. გრაკლიანის გორა, ტოპოგრაფიული გეგმა; 2. გათხრილი დერეფანი, ტოპოგრაფიული გეგმა.

ტაბ. II – გრაფიკული ნახაზები: 1. სამეურნეო ორმო +102.5 მ ნიშნულზე, გეგმა და ჭრილები; 2. სამეურნეო ორმო +119 მ ნიშნულზე, გეგმა და ჭრილები; 3. სამეურნეო ორმო +133 მ ნიშნულზე და სამარხი +138.5 ნიშნულზე, გეგმა და ჭრილები; 4. სამეურნეო ორმო +144 მ ნიშნულზე, გეგმა და ჭრილები.

ტაბ. III – გრაფიკული ნახაზები: 1. სამეურნეო ორმოები +165-170 მ ნიშნულებზე, გეგმა და ჭრილები; 2. სამეურნეო ორმო +184 მ ნიშნულზე, გეგმა და ჭრილები; 3. სამეურნეო ორმო +290 მ ნიშნულზე, გეგმა და ჭრილები.

ტაბ. IV – გრაფიკული ნახაზები: 1. თხრილი +308-310 მ ნიშნულებზე და ორმო +311 მ ნიშნულზე, გეგმა და ჭრილები; 2. სამეურნეო ორმო +339 მ ნიშნულზე, გეგმა და ჭრილები; 3. სამეურნეო ორმოები +369-370 მ ნიშნულებზე, გეგმა და ჭრილები.

ტაბ. V – ფოტოსურათები: 1. სამეურნეო ორმო +133 მ ნიშნულზე; 2. სამარხი +138.5 მ ნიშნულზე; 3. სამეურნეო ორმო +144 მ ნიშნულზე; 4. სამეურნეო ორმო +167 მ ნიშნულზე; 5. სამეურნეო ორმო +170 მ ნიშნულზე; 6. ხარის თავის ქალა +184 მ ნიშნულზე მდებარე სამეურნეო ორმოს ფსკერზე; 7. თხრილი +308-310 მ მონაკვეთში; 8. სამეურნეო ორმო +311 მ ნიშნულზე.

ტაბ. VI-X – ადრებრინჯაოს ხანის მასალა, გრაფიკული ჩანახატები.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – 1. Graklianis gora, topographic plan; 2. Excavated trench, topographical plan.

Pl. II – drawings: 1. WREP KP 109 +102.5 m, household pit, plan and sections; 2. WREP KP 109 +119 m, household pit, plan and sections; 3. WREP KP 109 +119 m, household pit, plan and sections, and WREP KP 109 +138.5 m, grave, plan and sections; 4. WREP KP 109 +144 m, household pit, plan and sections.



Pl. III – drawings: 1. WREP KP 109 +165-170 m, household pits, plan and sections; 2. WREP KP 109 +184 m, household pit, plan and sections; 3. WREP KP 109 +290 m, household pit, plan and sections.

Pl. IV – drawings: 1. WREP KP 109 +308-311 m, trench and household pit, plan and sections; 2. WREP KP 109 +339 m, household pit, plan and sections; 3. WREP KP 109 +369-370 m, household pits, plan and sections.


Pl. V – photos: 1. WREP KP 109 +133 m, household pit; 2. WREP KP 109 +138.5 m, grave; 3. WREP KP 109 +144 m, household pit; 4. WREP KP 109 +167 m, household pit; 5. WREP KP 109 +170 m, household pit; 6. Bull head on the bottom of the household pit at WREP KP 109 +184 m; 7. WREP KP 109 +308-310 m, trench; 8. WREP KP 109 +311 m, household pit.

Pl. VI-X – Early Bronze Age materials, drawings.


ცაბ. 1






ტაბ. II




ტაბ. III




ჭაბ. IV






1




2



3




4




5



6




7




8


ቅጽ. VI



צדב. VII




চিত্র. VIII





ტაბ. X



ანანაურის № 3 დიდი ყორღანი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ზ. მახარაძე) 2012 წელს ალაზნის ველზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (აფენის სოფსაბჭო, სოფ. ჭაბუკიანის სამხრეთით 6 კმ დაშორებით, GPS კოორდინატები: x -0580688; Y-4623442; სიმაღლე ზღვის დონიდან 238 მ), მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს, შეისწავლა „ანანაურის № 3 დიდი“ ყორღანული სამარხი.

ყორღანის დიამეტრი — 100 მ, სიმაღლე — 12 მ (ტაბ. I).

ძეგლის ტერიტორია დაიყო ოთხ, 50 x 50 მ სექტორებად (A, B, C, D), რომელიც ასევე დაიყო 5 x 5 მ კვადრატებად.

ყორღანის ცენტრში, W-E ხაზზე, C და D სექტორებში, გაივლო 10 მ სიგანის და 12 მ სიღრმის საძიებო თხრილი. დასაკრძალავი კამერის გამოვლენის შემდეგ, თხრილი გაფართოვდა ყორღანის ცენტრალურ ნაწილში A და B სექტორებში. საბოლოოდ მივიღეთ თხრილი 35 x 25 მ, ცენტრალურ ნაწილში.

საძიებო თხრილის მეშვეობით გაირკვა, რომ ყრილი თიხით იყო მოზვიანული და ჰქონდა 0,5-1 მ სისქის რიყის ქვისაგან გაკეთებული ჯავშანი, რომელშიც ობსიდიანის ანატეცები გვხვდებოდა. თიხა 2-3 მ სისქის ფენებად იყო მოზვიანული, ძირითადად ყვითელი ფერის, ხოლო უშუალოდ კამერის თავზე, მუქი ნაცრისფერი.

ყორღანის ცენტრში, ძველი ზედაპირის დონეზე დაფიქსირდა მუხის 0,3-0,35 მ დიამეტრის მორებით მოგებული მოედანი, 25 x 15 მ. მორების მოედანი დაფარული იყო 0,15-0,2 მ სისქის ხის ნაფოტების ფენით. მოედანი და მის ირგვლივ მიწის ზედაპირი დაფარული იყო ოქრით.

მორების მოედნის კუთხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 5 მ-ში, D სექტორში, გამოვლინდა მართკუთხა ფორმის, ძელებით შეკრული კონსტრუქცია 2,3 x 2,2 მ, შიდა ფართობი 1,75 x 1,6 მ, ორიენტირებული NW-SE ხაზზე. გაითხარა 0,4 მ სიღრმეზე, ცარიელი აღმოჩნდა (ტაბ. I).

მორებით დანყობილი მოედანი დასაკრძალავი კამერის გადახურვა იყო. თვითონ გადახურვა მუხის მორების ორმაგი ფენისგან შედგებოდა,

მათ შორის ჩაფენილი ქილობით.

გადახურვა ფარავდა დაახლოებით 15 x 10 მ ორმოს, რომელშიც ჩადგმული იყო ხის ნაგებობა. დასაკრძალავი კამერის შიდა ზომებია 9 x 6,5 მ, სიღრმე 2,75 მ. კამერა მართკუთხა ფორმისაა, ორიენტირებული W-E ხაზზე, ოდნავ გადახრით. კედლები ორმაგია, გარეთა რიგი მრგვალი მორებით, ხოლო შიდა რიგი გათლილი ოთხკუთხა ძელებით არის ნაგები. კედლის მორები კუთხეებში ჯარგვალური წესით არის გადაბმული. იატაკი ფიცრებით მოგებული იყო, ზედ გადაფარებული ქილობით. გადახურვა ეყრდნობოდა სამ სვეტს და შვიდ ჰორიზონტალურად გადებულ ძელს (ტაბ. II-IV) (სურ. 1).

გადახურვა ჩაქცეული იყო კამერაში და დარღვეული რამდენიმე ადგილას. კამერის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ეტყობოდა, რომ ჩაჭრილია და შემდეგ გადაფარებულია უფრო ნვრილი ძელებით, ფართობი 4 x 2 მ. როგორც შემდგომ გაირკვა, სხვა მიცვალებული იყო ჩასვენებული, ძირითადის გარდა. ასევე კამერის აღმოსავლეთიდან და დასავლეთ კედელთან, ცენტრალურ ნაწილში, ეტყობოდა შეღწევის კვალი, რომელიც მძარცველების თხრილები აღმოჩნდა.

სამარხი ორჯერ გაძარცვული იყო, მაგრამ, როგორც გაირკვა, შეღწევა მოხდა გადახურვის ჩაქცევის შემდეგ, რამაც ნაწილობრივ გადაარჩინა ინვენტარი.

დასაკრძალავ კამერაში (ტაბ. V) აღმოჩნდა ორი ოთხთვალა ეტლი: ეტლი № 1 – სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ეტლი № 2 – ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ეტლები ორიენტირებულია აღმოსავლეთით, ორი ორნამენტირებული უღელი კამერის აღმოსავლეთ კედელთან იყო, იატაკზე (სურ. 2).

გაძარცვის შედეგად, ყველა ჩონჩხი არეული და ნაკლულია. ფიქსირდება შვიდი ინდივიდის ნაშთი. ეტლი № 1 – ერთი ინდივიდი ეტლის ძარაზე და ერთი ეტლის ქვეშ, იატაკზე. ეტლი № 2 – ორი ინდივიდი ძარაზე (ერთი მოზარდი), ერთი ეტლის ქვეშ, იატაკზე. ორი ინდივიდი (ერთი მოზარდი) კამერის ჩრდილო-აღმოსავ-

ლეთ ნანილში.

კამერის კედლების და გადახურვის კოლაფს-მა გამოიწვია ეტლების დეფორმაცია. ბორბლები დაეცა ძარას და ეტლები გააბრტყელა კამერის იატაკზე. ეტლებს შორის არე, რომელიც შედარებით დაცული იყო კამერის დასავლეთი საყრდენი სვეტით, როგორც ჩანს, დაზიანდა ძარცვის

დროს. ვერტიკალურად გაჭრილი მძარცველის თხრილი პირდაპირ № 1 ეტლის ძარაზე ჩადიოდა (თხრილში, იატაკიდან 1 მ სიმაღლეზე, აღმოვაჩინეთ 3 ოქროს ნივთი, რომელიც მძარცველს დაუვარდა), ხოლო შემდეგ უკვე შიგნით შეაღწია № 2 ეტლთან. ამიტომ № 1 ეტლის მარცხენა და № 2 ეტლის მარჯვენა ჭალები დაზიანებულია.



სურ. 1. ანანური № 3. დასაკრძალავი კამერა

ეტლების კონსტრუქცია იდენტურია, მცირე განსხვავებით დეტალებში: სიგრძე – 2,8 მ, სიგანე – 1,1-1,2 მ. ძარა წარმოადგენდა შეკრულ ხის ჩარჩოს, ფიცრული იატაკით, ფიგურული ხის დეტალებით წინა და უკანა მხარეს. ჭალები 0,35-0,4 მ სიმაღლის, ვერტიკალური წვრილი ხის წნელებით იყო აგებული. № 1 ეტლის შემთხვევაში, ისინი შიგნიდან ტყავით იყო ამოკრული, გარედან კი ნითლად შეღებილი ქსოვილით. № 2 ეტლის შემთხვევაში, ჭალები შიგნიდან ტყავით იყო ამოკრული, ინკრუსტირებული ხის თხელი, ორნამენტით შემკული ფირფიტებით. ბორბლების ღერძები ძარის ქვეშ გადიოდა. ბორბლების

დიამეტრი – 1,4 მ. ბორბლები სამნაწილადაა, ყოველი თვალი შედგენილია ფარული სოლებით ერთმანეთთან დაკავშირებული მთლიანი ხისგან გამოთლილი სამი სეგმენტისაგან, რომელთაგან შუას აქვს ორივე მხარეს გაშვებული მძლავრი მორგვი, მრგვალი ნახვრეტით ღერძის გასაყრელად. № 1 ეტლის მეორე და მესამე ბორბალთან და № 2 ეტლის პირველ ბორბალთან, გარეთა მხარეს, მორგვთან, აღმოჩნდა ლითონის სამი დისკოიანი ღერო (ტაბ. X). ლითონის ამ ნივთების *in situ* მდგომარეობაში აღმოჩენა, აშკარად მიუთითებს, რომ ისინი ბორბლების ღერძის ჩამკეტს წარმოადგენენ.



სურ. 2. ანანაური № 3. ლასაკრძალავი კამერა. ეტლები.

ლითონის ნივთის ღეროს სიგრძეა 14 სმ, დიამეტრი – 3 სმ, დისკოს დიამეტრი – 11 სმ, სისქე – 0,7 სმ. ნივთები დაფარული იყო მწვანე და იისფერი პატინით. ბორბლების რაოდენობიდან გამომდინარე, ასეთი ნივთი უნდა ყოფილიყო რვა, მაგრამ ხუთი მათგანი, როგორც ჩანს, მძარცველებმა წაიღეს.

ორივე ეტლს ზევიდან ედო 3,5 მ სიგრძის, 15

სმ დიამეტრის ხელნა. როგორც ჩანს, ხელნები ეტლების წინ იყო მიყუდებული.

მიუხედავად გაძარცვისა, სამარხში აღმოჩნდა მრავალფეროვანი ინვენტარი.

კამერის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, (ტაბ. V₂), № 1 ეტლთან, ბორბლების და ეტლის ქვეშ აღმოჩნდა ხის სავარძლის მარჯვენა გვერდი ორნამენტირებული დეტალებით (სურ. 3). სავარ-

ძლის ეს ფრაგმენტი, როგორც ჩანს, სიმბოლოურად იყო ჩატანებული, როგორც ძალაუფლების სიმბოლო, ტახტი. მასთან ერთად იყო სამი ხის ფიგურული ფეხებიანი და ორნამენტირებული სამფეხა ჭურჭელი, და მოწნული კალათა. აქვე აღმოჩნდა ტყის კენკრის ნაყოფები – ონდყოფა

და კვრინჩხი, რომელიც თაფლში იყო ამოვლებული. კამერის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თხილი და ნაბლი და ხის წნული კალათების ნაშთები და ხის სახელურები. აგრეთვე ოქროს, სარდიონის და შავი ონიქსის მძივები, ქსოვილის ფრაგმენტები.



სურ. 3. ანანური № 3. სავარძელი.

კამერის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, № 2 ეტლთან, აღმოჩნდა ოქროსა და ქარვის მძივები. ქარვის მძივების (ტაბ. XII₁₀) მთელი ასხმა (39 ცალი) აღმოჩნდა ეტლის წინა, მარცხენა ბორბლის ქვეშ.

კამერის ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი კერამიკის ნატეხებით იყო დაფარული (ტაბ. V₁). ოცამდე თიხის ჭურჭელი, ძირითადად მოზრდილი დერგები, იყო ჩატანებული სამარხში. კერამიკა შავპრიალაა, შემკული რელიეფური სპირალური სახეებით, შევრონებით, კოპებით (ტაბ. VII-IX). გამოირჩევა ერთი ჭურჭელი (ტაბ. IX₂), თხელკეციანი ღია ნაცრისფერი, ვინოყელიანი. სამწუხაროდ, გადახურვის მორების ჩაქცევის შემდეგ, კერამიკა ძლიერ დაზიანებული და ფრაგმენტირებულია, რაც მის აღდგენას ართულებს.

კერამიკის გროვის ქვეშ, აღმოსავლეთ საყ-

რდენ სვეტთან, იატაკზე, აღმოჩნდა ქალცედონის რგოლი (ტაბ. XII₇). № 1 ეტლის ხელნის ქვეშ, ტყავის ფორებიანი ნივთი (ჩანთა?), ხის დისკოები, რომელიც კალათების ძირებს წარმოადგენენ და სხვ.

კამერის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი (ტაბ. V₁), ძლიერ არეული იყო გაძარცვის დროს. როგორც ვახსენეთ, აქ ჩაშვებული სამარხის არსებობას ვვარაუდობთ, რაზეც მეტყველებს ამოჭრილი და შემდეგ გადაფარული გადახურვა (ტაბ. III₁). ჩვენი აზრით, ამ სამარხის გამართვა მოხდა იმ პერიოდში, როდესაც კამერის გადახურვა დასრულებული იყო, ხოლო ყრილი ჯერ არ იყო მოზვინული. სავარაუდოდ, ამ სამარხში, ძირითადი მიცვალებულების ოჯახის წევრი იყო დაკრძალული. ამ სამარხის გაძარცვა მოხდა გადახურვის ჩაქცევის შემდეგ, კამერაში, აღმოსავლეთიდან შემომავალი თხრილის მეშვეო-

ბით. მძარცველის თხრილში, იატაკიდან 0,5-0,7 მ სიმაღლეზე, აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალა და კერამიკის ფრაგმენტები. იატაკზე მდებარეობდა ძლიერ არეული ინვენტარი ადამიანის ძვლებთან ერთად: კერამიკის ფრაგმენტები, ხისგან დამზადებული ნივთების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები, კალათების ძირები და სახელურები, ქსოვილის ჩანთა ხის სახელურით, ქსოვილის ფრაგმენტები, ოქროს და სარდიონის მძივები. ასევე, ხუთი ობსიდიანის და კაჟის ქუსლამოლარული ისრისპირი და მათთან ერთად ბრტყელი, წაგრძელებული შავი ფერის ქვა, ოთხი ნახვრეტით კუთხეებში (ტაბ. XII₁₁₋₁₆).

კამერის აღმოსავლეთ კედელთან, იატაკზე, იდო ხარის ორი ორნამენტირებული უღელი ფიგურული თავებით და მასთან დაკავშირებული ხის დეტალები ფიგურული თავებით, ტყავის საღებავებით.

სამარხი კამერის ალაგების და იატაკის ფიცრების აყრის შემდეგ გაირკვა, რომ საყრდენი სვეტები საგანგებოდ გამაგრებული იყო ხის სოლებით.

კამერა ცისფერი თიხის გრუნტში იყო ჩადგმული.

„ანანაურის № 3 დიდი“ ყორღანული სამარხის შესწავლამ მეტად მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა, მისი უნიკალური დაცულობის გამო პირველად სამხრეთ კავკასიაში დაფიქსირდა ორი ეტლის ჩატანება ერთ სამარხში. ხისგან

დამზადებული მრავალფეროვანი ინვენტარი, სავარძელი, სამფეხა ჭურჭელი და კალათები, ორნამენტირებული კერამიკა, კაჟის და ობსიდიანის ისრისპირები, ქალცედონის რგოლი, ქსოვილის (შალი) და ტყავის ნაკეთობები. სარდიონის, შავი ონიქსის და ქარვის მძივები. ქარვის ეს ნაკეთობა, დღევანდელი მონაცემებით, ყველაზე ადრეულია არა მარტო სამხრეთ კავკასიაში, არამედ მთელ ახლო აღმოსავლეთში. ოქროსგან დამზადებული 23 ნივთი, სამკაული – მძივები, უმბონები, საკიდები.

მეტად მდიდარია პალეობოტანიკური მასალა. დიდი რაოდენობით მოპოვებულია თხილი, ნაბლი, რკო, ცაცხვი და მათთან ერთად ტყის კენკროვანი მცენარეების ნაყოფები, ონდყოფა და კვრინჩხი, რაც უნიკალური შემთხვევაა.

„ანანაურის № 3 დიდი“ ყორღანული სამარხი, მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე, მიეკუთვნება ე.წ. „ბედენის“ არქეოლოგიურ კულტურას, რომელიც ადრებრინჯაოს ხანაში გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და თარიღდება ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებით და მეორე ნახევრით. უშუალოდ ყორღანი რადიოკარბონული მონაცემებით დათარიღდა ძვ.წ. 2400 წლით.

მოპოვებული მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შესაბამის საცავებში. მიმდინარეობს საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები და ლაბორატორიული კვლევა.

Z. Makharadze, B. Murvanidze

ANANAURI № 3 BIG KURGAN

Summary

In 2012 the archaeological expedition of the Georgian National Museum studied a burial mound located in the eastern Georgia on the territory of Lagodekhi Municipality, at the left bank of the Alazani River (the head of the expedition – Dr. Zurab Makharadze).

The diameter of the burial mound is 100 m and it is 12 m high.

The kurgan was expected to have a stone mound but the investigative trenching became clear that the mound was of yellow clay soil that had 0.5-1 m large armor of cobblestones with obsidian flakes in it.

At the level of the old surface a 25 x 15 m large square was identified that was arranged with large (0.30-0.35 m thick) wooden logs. The square of logs was covered with chips of wood and the ground surface around it was covered with ochre.

The square arranged with logs turned out to be the roofing for the burial chamber. The roofing itself contained two rows of logs with matting layer between them.

The roofing covered a 15 x 10 m large pit with a wooden structure set in it. The inner dimensions of the burial chamber were 9 x 6.5 m, 2.75 m deep. The chamber was right-angled, oriented to the W-E line with a slight bend. The walls were double-layered. The outer row was built with round logs and the inner one was arranged with

quadrangular skinned logs. In the corners the logs of the walls were tied together like the wooden hut construction.

The flooring of the burial chamber was wooden planks covered with the matting. The roofing was supported with three poles and seven logs those were laid horizontally.

The roofing was fallen down to the chamber and it was destroyed at several places. It was visible that in the north-eastern part of the roofing the logs were cut and then covered with relatively thin beams. Later it became clear that one more person was interred in the chamber besides the main deceased. In addition there were traces of entries to the burial chamber from the east side and at the western wall, in the central part of it those turned out to be the trenches made by the plunderers.

The burial was robbed twice but as it became obvious the robbery took place after the falling the roofing down that partially saved the grave goods.

Two four-wheeled wooden wagons were discovered in the burial. The wagon № 1 was found in the south-western part and the wagon № 2 – in the north-western part. The wagons were oriented to the east. Two ornamented yokes were at the eastern wall of the chamber. One deceased was let down and reposed in the north-eastern part of it.

The burial was plundered as it was mentioned above. All the skeletons were disturbed and incomplete. The skeletal remains of seven individuals were identified. The wagon № 1 – one deceased was on the wagon and the other one was under it on the floor. The wagon № 2 – two deceased persons were on the wagon (one of them teenage) and the other one was found under it on the floor. Two individuals were identified in the north-eastern part of the burial chamber.

Despite the plunder various goods were discovered in the burial: two ornamented four-wheeled wooden wagons, wooden armchair and three-legged vessels, ornamented ceramics, flint and obsidian arrowheads, a chalcedonic ring, textile and leather goods, beads of cornelian, jet and amber, three metal stems with disk-shaped heads associated to the wagons, 23 items made out of gold, adornment-beads, umbones, pendants. Should be noted that the mentioned string of amber beads is ancient not only in the South Caucasus but in the whole Near East.

Great variety of palaeobotanical material was identified at the site. A large amount of nut, chestnut, acorn and together with them forest berries were found that is really a unique case.

The process of restoration/conservation of the artefacts obtained from the kurgan is in progress at the moment and during this process a row of interesting information is revealed like the fact that the bones of the dead people were kept in honey that is an indication to embalming. The further investigation of the recovered material promises a lot of information in addition.

Based on the obtained material the Ananauri № 3 big kurgan can be preliminarily dated by the middle period of the III mill B.C., the Early Bronze Age. It can be assigned to the "Bedeni" archaeological culture. According to the C14 results the kurgan was dated to 2400 BC.

The material recovered from the Ananauri № 3 big kurgan is kept in the relative depositories of the Georgian National Museum in Tbilisi.

სურათების და ტაბულების აღწერილობა

სურ. 1. ანანაური № 3. დასაკრძალავი კამერა.

სურ. 2. ანანაური № 3. დასაკრძალავი კამერა. ეტლები.

სურ. 3. ანანაური № 3. დასაკრძალავი კამერა. ტახტი, დეტალი.

ტაბ. I – ანანაური № 3 – ყორღანის გეგმა და ქრილი.

ტაბ. II – ანანაური № 3 – ყორღანის გეგმა და ქრილი.

ტაბ. III – ანანაური № 3 – კამერის გადახურვის გეგმა და ქრილები.

- ტაბ. IV – ანანაური № 3 – კამერის ქრილები.
- ტაბ. V – ანანაური № 3 – კამერის გეგმები.
- ტაბ. VI – ანანაური № 3 – კამერის რეკონსტრუქცია.
- ტაბ. VII – ანანაური № 3 – კერამიკა.
- ტაბ. VIII – ანანაური № 3 – კერამიკა.
- ტაბ. IX – ანანაური № 3 – კერამიკა.
- ტაბ. X – ანანაური № 3 – ლითონის ღერო დისკოთი.
- ტაბ. XI – ანანაური № 3 – ოქროს ნივთები.
- ტაბ. XII – ანანაური № 3. 1-6, 9. სარდიონის და შავი ონიქსის მძივები; 7. ქალცედონის რგოლი; 8. მთის ბროლი; 10. ქარვის მძივები; 11-15. ობსიდიანის და კაჟის ისრისპირები; 16. შავი ქვა.



DESCRIPTION OF THE FIGURES AND PLATES

- Fig. 1 – Ananauri № 3. Burial chamber.
- Fig. 2 – Ananauri № 3. Burial chamber. Four-wheeled wooden wagons.
- Fig. 2 – Ananauri № 3. Wooden armchair.
- Pl. I – Ananauri № 3. Plan and section.
- Pl. II – Ananauri № 3. Plan and section of the burial mound.
- Pl. III – Ananauri № 3. Plan and sections of the roofing.
- Pl. IV – Ananauri № 3. Sections of the burial chamber.
- Pl. V – Ananauri № 3. Plans of the burial chamber.
- Pl. VI – Ananauri № 3. Graphic reconstruction of the burial chamber.
- Pl. VII – Ananauri № 3. Ceramics.
- Pl. VIII – Ananauri № 3. Ceramics.
- Pl. IX – Ananauri № 3. Ceramics.
- Pl. X – Ananauri № 3. Metal stems with disk-shaped heads.
- Pl. XI – Ananauri № 3. Golden jewelry.
- Pl. XII – Ananauri № 3. 1-6, 9. Cornelian and black onyx beads; 7. Chalcedony ring; 8. Rock-crystal; 10. amber beads; 11-15. Obsidian and flint arrowheads; 16. Black stone.

ტაბ. I

ლაგოდები 2012


ანანაური III




ტაბ. II

ლაგოდები 2012


ანანაური III




ჭრილი დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე




ჭრილი ჩრდილო-სამხრეთის ღერძზე




ტაბ. III



ჭრილი 1-1



ჭრილი 2-2




ტაბ. IV

ჭრილი 3-3 მ 1:50



ლაგოდეხი 2012
ანანური III

1.00




ჭრილი 4-4 მ 1:50

1.00





ჭრილი 5-5 მ 1:50

1.00




ჭრილი 6-6 მ 1:50

1.00




ტაბ. V

ლაგოდეხი 2012
ანანური III




ტაბ. VI



ლაგოდები 2012
ანანაური III
რეკონსტრუქცია






ჭრილი 7-7




ჭრილი 8-8












1



2


0 2 4



3




4




5

0 2 4




6




7

0 2 4



8


0 2 4






9


0 2 4

զձԲ. X



გზბ. XI





0 1 2

ზურაბ მახარაძე, ბიძინა მურვანიძე

ყორღანი „ჭინჭრიანი გორა“

საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ზ. მახარაძე) 2012 წელს ალაზნის ველზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (აფენის სოფსაბჭო, სოფ. ჭაბუკიანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 6 კმ დაშორებით, GPS კოორდინატები: X-0583999; Y-4622363; h ზღვის დონიდან 226 მ), მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს შეისწავლა ყორღანული სამარხი „ჭინჭრიანი გორა“.

ყორღანი მიწაყრილიანია, ყრილი ძლიერ დაზიანებული იყო, შერჩენილი დიამეტრი – 55 მ, სიმაღლე – 2,5 მ, თუმცა ყრილის გადასწორების გამო, ამჟამად ბორცვის დიამეტრი 90 მ აღწევს. ყრილის ცენტრალურ ნაწილში, ბორცვი გადაჭრილი იყო ტექნიკით, 6-7 მ სიგანის და 3-3,5 მ სიღრმის თხრილს გასულ საუკუნეში სასილოსე ორმოდ იყენებდნენ. თხრილის კედლები ჩამოშლილი იყო.

ბორცვის ტოპოგრაფიკა მოხდა 90 x 90 მ ფართობზე და დაიყო 5 x 5 მ კვადრატებად.

თხრილი გასუფთავდა 45 მ სიგრძეზე და მივიღეთ ყრილის ჭრილი. გაირკვა რომ ყორღანის ყრილი ყვითელი და ნაცრისფერი თიხის ფენებით იყო მოზინული. ჭრილში გამოჩნდა ორმოს ჩაქცევის ადგილი და შესაბამისად დაიდო 20 x 12 მ თხრილი ყორღანის ცენტრალურ ნაწილში, რათა სამარხი ორმო მთლიანად მოქცეულიყო თხრილში. ასევე გაიჭრა ცენტრიდან დასავლეთის მიმართულებით 30x1,5 მ ფართობის საძიებო თხრილი, რათა გამოკვლეული ყოფილიყო ყრილის აგებულება. ყრილი მთლიანად თიხნარისგან შედგებოდა, რომელშიც ობსიდიანის ანატკეცები გვხვდებოდა. ყრილის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა ქვით და აგურით ნაგები მე-20 საუკუნის 4,5 მ დიამეტრის და 2,5 მ სიღრმის მრგვალი ავზი.

ყრილის ცენტრალურ ნაწილში, ძველი ზედაპირის დონეზე, გამოიკვეთა სამარხი ორმო, ძლიერ მომრგვალებული კუთხეებით, თითქმის მრგვალი. მისი დიამეტრი 11 მ აღწევდა (ტაბ. I).

სამარხი ორმო მინის ძველი ზედაპირიდან 8,5 მ სიღრმეზე იყო ჩაშვებული, 11 მ ყორღანის დღევანდელი ზედაპირიდან (პირობითი ნულოვანი წერტილი).

ორმოს ზედა 3 მ ამოვსებული იყო ნა-

ცრისფერი მკვრივი თიხით, რომელშიც ობსიდიანის ანატკეცები ჩნდებოდა. ამ ფენაში აღმოჩნდა ირმის რქები. უფრო ქვემოთ დაფიქსირდა 2 მ სისქის გადახურვის ნაშთი, რომელიც 0,2-0,25 მ დიამეტრის მუხის ძელებით ოთხ ფენად იყო დაწყობილი, ჩრდილოეთ-სამხრეთისა და დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ხის ძელების ფენებს შორის 0,3 მ სისქის თიხის ფენები იყო გამოვლენილი.

გადახურვის ქვეშ ორმო ვიწროვდება. მის ცენტრალურ ნაწილში, იატაკზე, ხის ძელებით ნაგები დასაკრძალავი კამერა იყო გამართული. კამერის ზომები 5 x 3,5 მ, ორიენტირებული იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. ხის ნაგებობის კედლების სიმაღლე 0,6 მ იყო, კამერა ძელებით იყო გადახურული, ხოლო მისი იატაკი ხის ფიცრებით იყო მოგებული. კამერის იატაკის ქვეშ გამოვლინდა 1 მ დიამეტრის, 0,5 მ სიღრმის ორმო, რომელიც სავარაუდოდ სამალავის ფუნქციას ასრულებდა (სურ. 1, ტაბ. II-IV).

უნდა აღინიშნოს, რომ გათხრები მეტად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა, რადგან 6,25 მ სიღრმეზე უხვად წამოვიდა გრუნტის წყალი, რაც ხელს უშლიდა გათხრას და ფიქსაციას. ხის კონსტრუქციის ნაშთები ხშირად მხოლოდ კვალის სახით იყო შერჩენილი. მასალის ამოღება გვიხდებოდა ლაფიდან და წვრილი ნივთების უმრავლესობა მხოლოდ მინის გარეცხვის შემდეგ გამოჩნდა.

სამარხი გაძარცული აღმოჩნდა, ერთმანეთში არეული იყო ადამიანის და ცხოველების ძვლები. სულ დაფიქსირდა 4 ან 5 ინდივიდის ნაშთი. ინვენტარი, ძირითადად კერამიკა, გვხვდებოდა დასაკრძალავი კამერის გადახურვის თავზე, იატაკზე და სამალავ ორმოში, არეულ მდგომარეობაში.

ინვენტარი წარმოდგენილია მრავალფეროვანი კერამიკით (ტაბ. V-VIII), ბრინჯაოს (ტაბ. IX₁), ობსიდიანის და კაჟის ისრისპირებით (ტაბ. IX₂₋₈), სარდიონის მძივებით და საკიდებით (ტაბ. IX_{13,15}), მთის ბროლის მძივებით (ტაბ. IX_{12,14}) და ერთი ოქროს მძივით (ტაბ. IX₁₀).

„ჭინჭრიანი გორის“ ყორღანული სამარხი, მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე, მიეკუთვნება ე.წ. „ბედენის“ არქეოლოგიურ

კულტურას, რომელიც ადრებრინჯაოს ხანაში გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და თარიღდება ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებით და მეორე ნახევრით.

მოპოვებული მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შესაბამის საცავში. მიმდინარეობს კერამიკის სარესტავრაციო სამუშაოები და ანტროპოლოგიური და პალეოზოოლოგიური კვლევები.



სურ. 1. სამარხი ორმო

KURGAN "TCHINTCHRIANIS GORA"

Summary

In 2012 the archaeological expedition of the Georgian National Museum studied a burial mound named "Tchintchriani Gora" located in the eastern Georgia on the territory of Lagodekhi Municipality, at the left bank of the Alazani River, 6 km south-east from v. Tchabukiani (the head of the expedition – Dr. Zurab Makharadze).

The diameter of the burial mound is 55 m and 2,5 m in high. The surface of burial mound was badly damaged by modern 6-7 m width and 3-3.5 m depth trench which was used in the 20 century as a silage pit.

The excavations revealed that the mound consists of layers of yellow and gray clay with inclusions of Obsidian flakes.

In the central part, on the level of old surface, were revealed the contours of the burial pit size with strongly rounded corners, almost circular, 11 m in a diameter, 8,5 m depth (pl. I). Upper 3 m layer consisted of gray dense clay with obsidian flakes. In the same layer horns of the deer were found.

Bellow was fixed 2 m thick remains of the ceiling, composed by oak logs, 0.20-0.25 cm in diameter arranged in four layers. Between these layers 0.30 m thick clay layers were presented.

Under the ceiling the pit narrowed. In its' central part, on the floor, was discovered burial chamber constructed by the wooden beams. Its' sizes 5 x 3.5 m, oriented from west to east, was covered by logs, and floor was lined with boards. Under the floor 5 m depth pit was revealed, which, obviously, has served as the cache (pl. II-IV).

The burial was robbed in antiquity, the bones of people and animals were mingled. Burial goods, mainly shards of pottery, were found on the ceiling, on the floor, and also in the cache. In addition to ceramics (pls. V-VIII), the inventory is presented by bronze, obsidian and flint arrowheads (pl. IX₁₋₈), carnelian beads and pendants (pl. IX_{13,15}), beads of rock crystal (pl. IX_{12,14}) and one gold bead (pl. IX₁₀).

According the found items the burial belongs to the "Bedeni" culture of Early Bronze Age and can be dated to middle-second half of the 3rd millennium B.C.

ტაბულაჰის აღწერილობა

სურ. 1. სამარხი ორმო.

ტაბ. I – ყორლანი „ჭინჭრიანი გორა“, გეგმა და ჭრილი.

ტაბ. II – ყორლანი „ჭინჭრიანი გორა“, სამარხი ორმოს გეგმები.

ტაბ. III – ყორლანი „ჭინჭრიანი გორა“, სამარხი ორმოს და კამერის გეგმები და ჭრილი.

ტაბ. IV – ყორლანი „ჭინჭრიანი გორა“, სამარხი ორმოს ჭრილები.

ტაბ. V – ყორლანი „ჭინჭრიანი გორა“, კერამიკა.

ტაბ. VI – ყორლანი „ჭინჭრიანი გორა“, კერამიკა.

ტაბ. VII – ყორლანი „ჭინჭრიანი გორა“, კერამიკა.

ტაბ. VIII – ყორლანი „ჭინჭრიანი გორა“. 1-8. კერამიკა; 9-10. ქვა.

ტაბ. IX – ყორლანი „ჭინჭრიანი გორა“. 1. ბრინჯაოს; 2-8. კაჟის და ობსიდიანის ისრისპირები; 10. ოქროს მძივები; 11. ვერცხლის (?) მძივები; 13, 15. სარდიონის მძივები; 14. მთის ბროლის მძივი; 12. მთის ბროლის პრიზმები.

DESCRIPTION OF THE PLATES

Fig. 1 – burial chamber

Pl. I – burial mound, plan and section.

Pl. II – plans of burial chamber.

Pl. III – plans and section of burial chamber.

Pl. IV – sections of burial chamber.

Pl. V – ceramics.


Pl. VI – ceramics.

Pl. VII – ceramics.









Pl. VIII – 1-8. Ceramics; 9-10. Stone.

Pl. IX – 1. Bronze arrowhead; 2-8. Flint and obsidian arrowheads; 10. Golden bead; 11. Silver (?) bead; 13, 15. Carnelian beads; 12, 14. rock crystal beads.


ტაბ. I




ცაბ. II




ტაბ. III








1 ჩრდილოეთი კედელი — ქრილი



2 აღმოსავლეთი კედელი — ქრილი





3 სამხრეთი კედელი — ქრილი




4 დასავლეთი კედელი — ქრილი

ტაბ. V







צדב. VII



ტაბ. VIII



ტაბ. IX



მარაბდა – ახალქალაქის ექსპედიციის მიერ შესწავლილი ბედენური ყორღანები ბედენის პლატოდან

ქციისა და ალგეთის წყალგამყოფი ბედენის მთა მდებარეობს ქვემო ქართლში. იგი განო-ლილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, დაახლოებით 20 კილომეტრის სიგრძეზე და შემოისაზღვრება წალკის პლატოთი, ქცია-ხრამისა და ალგეთის ხეობებით. მისი უმაღლესი წერტილი 1875 მ-ია. ზღვის დონიდან 1200-1300 მ სიმაღლეზე იგი დაფარულია ტყით, უფრო ზე-მოთ კი, ზეგანზე – ალპური საძოვრებით.

1956-1971 წლებში ბედენის მთაზე (ზეგანსა და ფერდობებზე) არქეოლოგიურ გათხრებს ატარებდა ისტორიის ინსტიტუტის არქეოლო-გიური ექსპედიცია (ხელმძღვ. გ. გობეჯიშვილი), რომელმაც შეისწავლა ბრინჯაოს ხანის სხვა-დასხვა პერიოდის 10 ყორღანი. ამავე პერიოდში საქართველოს ხელოვნების მუზეუმისა და თბი-ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპედი-ციამ ერთი ყორღანი გათხარა.

1980-91 წლებში საქართველოს მეცნიერება-თა აკადემიის არქეოლოგიის კვლევის ცენტრის მარაბდა-ახალქალაქის ექსპედიცია, რომელსაც ზებედე შატბერაშვილი ხელმძღვანელობდა, რკინიგზის მშენებარე ტრასის მიმდებარე ტერი-ტორიაზე სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებს იკვლევდა. მათ შორის აღსანიშნავია ბედენის პლატოზე გათხრილი 16 ყორღანი, რომელთაგანაც ორი – №1 და 12 ადრეული ყორღანების ბედენურ კულტურას ეკუთვნის. როგორც ზემოთ ითქვა, 50-იან და 60-იან წლებში ბედენის პლატოზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრე-ბისას შესწავლილ იქნა ყორღანები, რომლებიც გამოქვეყნდა გერმანე გობეჯიშვილის ნაშრომში „ბედენის გორასამარხების კულტურა“ [გობე-ჯიშვილი 1980]. მარაბდა-ახალქალაქის ექსპე-დიციამ გათხრებისას 1980-90 წლებში გორასა-მარხების ნუმერაცია ახლიდან დაიწყო, ამიტო-მაც მასალის პუბლიკაციისათვის მომზადებისას გადანყდა, რომ ექსპედიციის მიერ შესწავლილი ყორღანების ნომრებს დამატებოდა აბრევიატუ-რა „მააე“, რაც მარაბდა-ახალქალაქის არქეო-ლოგიურ ექსპედიციას აღნიშნავს.

ბედენის № 1 (მააე) ყორღანი მდებარეობს ბე-დენის პლატოს ცენტრალურ ნაწილში. XIX საუ-

კუნეში თეთნყაროში ჩამოსახლებული რუსები, რომლებსაც აქ სათიბი ქონდათ, მას „მთვრალ ყორღანს“ ეძახდნენ (საინტერესოა აღინი-შნოს, რომ ასეთივე სახელი აქვს თეთრინყაროს მახლობლად არსებულ მენჰირს [ნარიმანიშვილი, შანშაშვილი, ნარიმანიშვილი: 2013: 143]. ყორღა-ნი ბედენის გორასამარხებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მოზრდილია: ყრილის დიამეტრი 46 მე-ტრია, მაქსიმალური სიმაღლე 3 მეტრს აღწევს, ცენტრში 6,5 მეტრის სიგანის კრატერი იყო, რომლის სიღრმე 0,5-0,8 მეტრს შორის მერყე-ობდა (ტაბ. I). მისი შესწავლა ოთხი საველე სე-ზონის განმავლობაში მიმდინარეობდა: 1981-83 წლებში გაითხარა მხოლოდ ყრილი და ჩაშვებუ-ლი სამარხი, ხოლო 1984 წელს კი დასაკრძალავი კამერა. შესწავლილია ყორღანის ყრილის მთელი ფართობის დაახლოებით 2/3, გასათხრელი დარ-ჩა ყრილის ჩრდილო ნაწილი (ტაბ. II).

ყორღანს საინტერესო კონსტრუქცია ქონდა: ყრილი ზემოდან კლდის ფლეთილი ქვის ორი რი-გისაგან შემდგარი ჯავშნით იყო დაცული (ტაბ. I₂) რომლის ქვემოთ, გორასამარხის კიდეები-დან ცენტრისაკენ, 10 მეტრის სიღრმეში, ყრი-ლის მთელ სიმაღლეზე, მიწაყრილი იყო (ტაბ. I₂). ცენტრიდან 20 მეტრის რადიუსზე კლდის ნატეხი ქვების ორი რიგით შედგენილი წრე იყო გამართული (ტაბ. II), ხოლო 12 მეტრის რადიუ-სზე — ქვის მასიური, 2-2,5 მეტრის სიმაღლავრე ყორე (ტაბ. I₂, II), რომელიც კარგად იყო შემორ-ჩენილი ყორღანის დასავლეთ და სამხრეთ და-სავლეთ ნაწილებში, სხვაგან კი, როგორც ჩანს, გადაქცეულა. ცენტრისაკენ ყორეს ქვა-მიწა-ყრილი ენაცვლებოდა (ტაბ. V). ყორეს სამ ადგი-ლას ქონდა ტრაპეციის მსგავსი ფორმის მიწაშე-ნი – აღმოსავლეთით ორი და სამხრეთ დასავლე-თით ერთი (ტაბ. II, ტაბ. III). აღმოსავლეთის მიწა-შენები თეთრი კირქვის ფილებით იყო ნაგები. № 2 მიწაშენი (ტაბ. III₃) ყველაზე ცუდად იყო შემო-ნახული. ყორეზე მიბჯენილი მისი პატარა ფუძე 2 მეტრის სიგანე იყო, დიდი, გარეთა ფუძე კი 2,2 მეტრს აღწევდა, ტრაპეციის სიგრძე 1,5 მეტრი იყო. აქ ფილების მხოლოდ ერთი რიგი ჩანდა. № 1 მიწაშენის ყორეზე მიბჯენილი პატარა ფუძე 2

მეტრის სიგანე იყო, დიდი, გარეთა ფუძე კი 3,3 მეტრს აღწევდა. ტრაპეციის სიგრძე 2,5 მეტრი იყო (ტაბ. III₂). № 3 მინაშენი, როგორც ზემოთ ვთქვით, ყორეს სამხრეთ-დასავლეთიდან ებჯინებოდა. მისი კონტურები შემოსაზღვრული იყო ნატეხი კლდის მოზრდილი ქვებით, ხოლო შიგნითა სივრცე შედარებით მომცრო ქვებით იყო შევსებული. ყორეზე მიბჯენილი პატარა ფუძე 6,5 მეტრის სიგანე იყო, დიდი კი 8 მეტრს აღწევდა. ტრაპეციის სიგრძე 5 მეტრი იყო (ტაბ. II, III₁).

ყორღანის თავზე, კრატერის მიდამოებში, გათხრებისას, გვიანბრინჯაოსა და შუასაუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები და ობსიდიანის ანტიკეცები გვხვდებოდა. კრატერის სამხრეთით, ქვის ჯავშნის ფენის ქვეშ ოვალური ფორმის (2 x 1,4 მ) ჩაშვებული ორმოსამარხი აღმოჩნდა. სამარხის გადახურვის მოცისფრო-მომწვანო ფილები ადგილიდან დაძრული და სავარაუდოდ, მძარცველების მიერ განადგურებული იყო. ამის გამო, აქ დაკრძალვის რიტუალის პირვანდელი სურათის აღდგენა არ მოხერხდა. ყვითელ, თიხატყეპნილ, არასწორ იატაკზე, რომელიც ქვაყრილზე იყო მოწყობილი, მიმოფანტული იყო ბედენური ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი, ბრინჯაოს დანა და ოქროს მძივები, აგრეთვე ლულოვანი ძვლის ფრაგმენტები და ადამიანის კბილები.

ინვენტარი:

ქოთანის შავად გამომწვარი, ნატიფად ნაძერწი, თითქმის სარკისებურად ბზინვარე ზედაპირიანი, აქვს გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, მომრგვალებული მუცელი, მხარსა და ყელზე ოვალურ განივკვეთიანი ყურია მიძერწილი. მუცელზე ერთ რიგად დაუყვება რელიეფური კოპები. აღდგენილია ნაწილობრივ (ტაბ. IV₁).

ქოთანის შავად გამომწვარი, ნატიფად ნაძერწი, თითქმის სარკისებურად ბზინვარე ზედაპირიანი, აქვს გადაშლილი პირი, დაბალი, ცილინდრული ყელი, მომრგვალებული მუცელი, მხარზე ოვალურ განივკვეთიანი ყურია მიძერწილი. მუცელზე ერთ რიგად დაუყვება რელიეფური კოპები. ჭურჭელი მთლიანადაა აღდგენილი (ტაბ. IV₂).

ქოთანის შავად გამომწვარი, ნატიფად ნაძერწი, თითქმის სარკისებურად ბზინვარე ზედაპირიანი, აქვს გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, მომრგვალებული მუცელი, მხარზე ოვალურ განივკვეთიანი ყურია მიძერწილი. მუცელზე ერთ რიგად დაუყვება რელიეფური კოპები. აღდგენილია ნაწილობრივ (ტაბ. IV₃).

ქოთანის შავად გამომწვარი, ნატიფად ნაძერწი, თითქმის სარკისებურად ბზინვარე ზედაპირიანი, აქვს გადაშლილი პირი, დაბალი, ცილინდრული ყელი, მომრგვალებული მუცელი, მხარზე ოვალურ განივკვეთიანი ყურია მიძერწილი. მუცელზე ერთ რიგად დაუყვება ფოსოები. აღდგენილია ნაწილობრივ (ტაბ. IV₄).

ჭურჭლის ოვალური ყურის ფრაგმენტი, შავად გამომწვარი, ნაპრიალები (ტაბ. IV₅).

ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი, შავად გამომწვარი, ნაპრიალები, გვერდზე წნევით ამოღარული, ვერტიკალური ღარები დაუყვება (ტაბ. IV₆).

ჭურჭლის ყელ-გვერდის ფრაგმენტები, შავად გამომწვარი, ნაპრიალები. ყელი თითქმის ცილინდრულია (ტაბ. IV_{7,8}).

დერგის ფრაგმენტები, შავად გამომწვარი, აქვს მაღალი, კონუსური ყელი, ჰორიზონტალურად გადაკეცილი ბრტყელი, ფართო ბაკო მხარზე ორი მხრიდან ოვალურ განივკვეთიანი ყური იყო მიძერწილი. მხარს ირგვლივ შემოუყვება წნევით გამოყვანილი, დახრილი ხაზებით შევსებული შევრონები (ტაბ. IV₁₀).

მძივები, ოქროსი, ბიკონუსური, ფუყე, დმ – 0,4- 05 სმ, 30 ცალი (ტაბ. IV₉).

დანა, ბრინჯაოსი, ყუნწიანი, მხრებდაშვებული, კოროზირებული, სიგრძე – 12 სმ (ტაბ. IV₁₁).

ჩაშვებული სამარხის მასალის ნაწილი (კერამიკა) ინახება თეთრინყაროს მუნიციპალურ მუზეუმში, ხოლო ბრინჯაოს დანა და ოქროს მძივები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. კერამიკა ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი, ნატიფი, თითქმის სარკისებურად ბზინვარე ზედაპირიანია და ბედენის პლატოსა თუ მის მახლობლად მდებარე, აგრეთვე სხვა ბედენური ძეგლების მასალას ემსგავსება [იხ. გობეჯიშვილი 1980: 62-68; შატბერაშვილი, ნიკოლაიშვილი, შატბერაშვილი 2010: 194-207; Дедабришвили 1979: 44-47; შატბერაშვილი, შატბერაშვილი 2013 : 134-139 და სხვ.].

საინტერესოა სამარხში აღმოჩენილი ოქროს ნვრილი, ბიკონუსური მძივები, რომელთა პარალელი გვხვდება შუაბრინჯაოს ხანით დათარიღებულ, თრიალეთის XIV ყორღანში [გოგაძე 1972: 42; Жоржикашвили, Гогодзе 1974: 84-85].

ყორღანის ცენტრში, მისი აგების დროინდელი მიწის ზედაპირის დონეზე, მომწვანო ფერის თიხნარ გრუნტში ჩაუჭრიათ 4,5 მეტრის სიღრმის, წმინდად განლექილი ნაცრისფერი თიხით მოლესილი ორმო, რომლის მაქსიმალური დიამეტრი, სამარხის ზედა ნაწილში 3,75 მეტრი იყო, ძირისაკენ იგი თანდათანობით ვიწროვდებოდა

და 3,5 მეტრის სიღრმეზე 2,75 მეტრის სიგანე ხდებოდა. ამ სიღრმეზე დასაკრძალავი კამერის აღმოსავლეთ და ნაწილობრივ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ბაქანი იყო მოწყობილი, ჩრდილო და აღმოსავლეთ ნაწილში კი ერთი მეტრის სიღრმეზე, ელიფსის მოყვანილობის ორმო ჩადიოდა, რომლის სიგრძე 2 მ, სიგანე 1,4 მ, სიღრმე კი 0,6 მ იყო (ტაბ. VI).

დასაკრძალავი კამერის თავზე, 1.2 მეტრის სიმაღლეზე გამოიკვეთა ოვალური მოყვანილობის მინაყრილი, რომელშიც გამოვლინდა ე.წ. ბაიზურთის მასალის მსგავსი, გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკული ფრაგმენტები. ამ აღმოჩენამ აშკარა გახადა რომ სამარხი გაძარცვული იყო, ხოლო მასალა, სავარაუდოდ გაძარცვის დროზე უნდა მიგვანიშნებდეს.

დასაკრძალავი კამერის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირთან, არა ცენტრალურ ნაწილში, ოდნავ სამხრეთით, გამოვლინდა 0,8 მეტრის სიღრმეზე ჩარჭობილი ხის მორების გადანაჭრები (h 20-30 სმ, d 15-25 სმ), რომელთა ირიბად გადაჭრილი ბოლოები იმდროინდელი მიწის ზედაპირზე იყო დაყრდნობილი. ისინი კამერისაკენ 30 გრადუსიანი კუთხით იყვნენ გადახრილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა მათგანს თავები ირიბად ქონდა გადაჭრილი. მათ უსისტემო გაფანტულობაში თითქოს მაინც შეიძლება ერთი გარკვეული მიმართულების, აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე სწორება დავინახოთ. კამერის სამხრეთ კიდეში, ზემოთაღნიშნული ირიბი, მოკლე ძელების გასწვრივ და აგრეთვე კამერის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირთან, მიწის ზედაპირზე გამოვლინდა ორი დაუმუშავებელი მორის ნარჩენი. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ხის მასალა დასაკრძალავი კამერის გადამხურავი კონსტრუქციის ნაწილები უნდა ყოფილიყო, რომელიც მძარცველებს პირვანდელი ადგილიდან დაუძრავთ. ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩანდა კედელზე მიყრილი ძელები, რომელთაგან ერთი საგანგებო დამუშავებითა და ზომებით გამოირჩევა. შესაძლოა ეს ძელი კამერის გადამხურავი კონსტრუქციის თავზე იდო. კამერის კიდეებზე (დასავლეთ და სამხრეთ მხარეს) შემორჩენილი იყო თითო მორი, რომლებიც ამავე კონსტრუქციის ნაწილი უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ძელზე იყო გადაებული თავზე, რომელიც კამერის გადახურვას იჭერდა (შესაძლოა, აქ ორფერდა სახურავიანი გადახურვა იყო მოწყობილი) (ტაბ. V₂, VI, VII₁).

ხის მორების თავზე დაფიქსირდა მომწვანო

ფერის კირქვის ბრტყელი ფილები, რაც გვაგვარაუდებინებს, რომ ისინი დასაკრძალავი კამერის ხის სახურავზე ეწყო, ზედაპირი კი თიხით იყო მოტკეპნილი.

დასაკრძალავი კამერის სამხრეთ კედელზე გამოვლინდა წნელებით დანული ლასტის ფრაგმენტი (ტაბ. VIII₁). ასეთივე, მხოლოდ ძლიერ დაშლილი ლასტის ნარჩენები, თხრის პროცესში კედლების სიახლოვეს გვხვდებოდა. ამის გამო შესაძლოა ვიფიქროთ, რომ დასაკრძალავი ორმო ლასტებით იყო მოწნული.

კამერის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, კედელზე მიყუდებული იყო ხის სამსაფეხურიანი კიბე „ბნკალა“ (სისქე – 0,25-0,3 მ, სიმაღლე 2.1 მ) (ტაბ. VII₂, VIII₂), რომლის მსგავსს დღესაც შეიძლება შეხვდეს კაცი ეთნოგრაფიულ ყოფაში. იგი თავისი სამტოტა ბოლოთი მკვიდრად იდგა ბაქანზე.

სამარხი გაძარცვული იყო და მასში მხოლოდ რამდენიმე ნივთი აღმოჩნდა: სამი ცალი ხის ნიჩაბი (ტაბ. VIII_{3,4}), ერთი ურმის კოფოს(?) ნაწილი და ხის დაუდგენელი ნივთის ნაწილები (ტაბ. VIII₅).

დასაკრძალავი კამერის ძირზევე აღმოჩენილი ხის სამი ნიჩაბიდან ერთი მთლიანადაა შემონახული (სიგრძე 90 სმ), ორი კი სამუშაო პირის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი (ტაბ. VIII_{3,4}). ნიჩბები მარცვლეულის გასანიავებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული [ძიძიგური 2000: 193]. ამდაგვარი ნივთების არსებობა სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ ამ სამარხშია დადასტურებული. მარცვლეულის გასანიავებელი ნიჩბების არსებობა უნდა მიგვანიშნებდეს ბედენის კულტურის მატარებელი ხალხის ბინადარ, სამინათმოქმედო ყოფაზე.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ბედენის №1 (მააე) ყორღანი გაძარცვული აღმოჩნდა, ძეგლმა მეტად საინტერესო მასალა მოგვცა, რაც ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ბედენური კულტურის შესახებ.

1984 წელს მარაბდა-ახალქალაქის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა ყორღანი № 12 (მააე), რომელიც მდებარეობდა ბედენის პლატოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში [შატბერაშვილი 1998: 37-38]. მისი ქვაყრილი 1,3 მეტრის სიმაღლეა, დიამეტრი 34 მეტრი. ყორღანის ცენტრში 6 მეტრის დიამეტრისა და 0,5 მეტრის სიღრმის კრატერი იყო, რაც გვაგვარაუდებინებდა, რომ დასაკრძალავ კამერას ღრმა ორმო უნდა ქონოდა (ტაბ. IX_{1,2}; X₁). ჰუმუსურ ფენაში გვხვდებოდა ობსიდიანის ანატკეცები, აგრეთვე

შუასაუკუნეების კერამიკის უსახო ნატეხები. ყორღანის ქვაყრილში დაღრმავებისთანავე გამოჩნდა შავად გამომწვარი კერამიკის უსახო ფრაგმენტები. გორასამარხის აგების დროინდელი ნიადაგის – მონითალო ხრეშნარევი თიხნარის დონეზე გამოიკვეთა 2,7 მეტრის დიამეტრის ქვაყრილი (ტაბ. X₂), რომლითაც ამოვსებული იყო 0,4 მეტრის სიღრმის, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი დასაკრძალავი კამერა (2,6 x 1,9 მ) (ტაბ. IX₂, XI_{1,2,3}). სამარხში მიცვალებულის ძვლები არ იყო. კამერის განმენდისას აღმოჩენილი ნივთები ძირითადად კონცენტრირებული იყო სამარხის სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ ნაწილში (ტაბ. XI₂). იატაკზე და ყრილში მიმოფანტული იყო ადგილიდან დაძრული, სამარხის გამართვის დროინდელი კერამიკის ფრაგმენტები. სავარაუდოა, რომ ყორღანი დაზიანდა XIX-XX საუკუნეებში, როდესაც ამ ადგილს, მისი ბუნებრივი შემადგენლების გამო, მთიბავეები სადგომად იყენებდნენ (ინფორმაცია მოგვანოდა ადგილობრივმა მუშამ ნ. ანდრეევმა, რომელიც ამ დროისათვის 75 წელს იყო გადაცილებული). სამარხში აღმოჩნდა:

დერგი, შავპრიალა, ნაკლული. შიდა პირი კარგადაა დამუშავებული. აქვს ჰორიზონტალურად გამოკვეთილი, ბრტყელი ბაკო, დაბალი, ფართო ყელი, სფერული ტანი. მხარსა და მუცელზე მიძერწილია ბტყელგანივკვეთიანი ყური. მხარს ირგვლივ ამოკანრული თევზიფხური ორნამენტით შევსებული შევრონები შემოუყვება. კეცი გადანატეხში ორფენიანია – გარეთ შავია, შიგნიდან კი – ღია ყავისფერი. პირის დიამეტრი 19 სმ; მუცლის მაქსიმალური სიგანე 31 სმ. ნივთი აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ კიდეში, იატაკზე. ნაწილობრივ აღდგენილია (ტაბ. XII₄, XIII₄).

კოჭობის ფრაგმენტები, შავპრიალა, ყელი ცილინდრულია, პირი მკვეთრად გადაშლილია, კეცი გადანატეხში სამფენიანია — შავი, მოყვითალო და ნაცრისფერი. მისი ნატეხები იატაკზე იყო გაფანტული. ნაწილობრივ აღდგენილია (ტაბ. XII₆).

კოჭობის ფრაგმენტები, შავპრიალა, ყელი ცილინდრულია და მკვეთრად გადადის მხარში. პირი გადაშლილია. კეცი გადანატეხში სამფენიანია – შავი, მოყვითალო და ნაცრისფერი. ნატეხები იატაკზე იყო გაფანტული. ნაწილობრივ აღდგენილია (ტაბ. XII₇).

ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, შავპრიალა, აქვს ორი კოპი. კეცი ორფენიანია, მოყვითალო და შავი. ნატეხები იატაკზე იყო გაფანტული

(ტაბ. XII₅).

სხვადასხვა ჭურჭლის გვერდისა და ძირის წვრილი ფრაგმენტები, შავპრიალა, მოყვითალო და ნაცრისფერ კეციანი. ნატეხები აღმოჩნდა სამარხის ქვაყრილში.

ცული ბრინჯაოსი, მთლიანად სხმული, ღუზისებრი, ორნამენტირებული (ტაბ. XII₁, XIII₂); აქვს მრგვალი სატარე ხვრელი, გრძელი და ვინრო, ჰორიზონტალურ შევრილებიანი ყუა, რომლის ცენტრშიაც მცირე ზომის კოპია დასმული. პირი ღუზისებრი ფორმისაა. ზედაპირი დაფარულია კეთილშობილი პატინით. ყუის ჰორიზონტალური შევრილები შემკულია ამოკანრული ხაზებითა და ნერტილებით შედგენილი ორნამენტით, შევრილების ქვემოთ, ყუის მთელ სიმაღლეზე და პირის შიდა ნაწილზე რელიეფურადაა დატანილი თევზიფხური ორნამენტი. სიმაღლე 8 სმ, სიგანე 9,8 სმ.

სატევარი, ბრინჯაოსი (ტაბ. XII₃, XIII₁), ფოთლისებურპირიანი, მომრგვალებულ მხრებიანი, ბრტყელ და გრძელ ყუნწიანი, პირი დაბალქედიანია. სიგრძე – 13,9 სმ, სიგანე 3,9 სმ.

ისრისპირები, ყავისფერი, შავად დაწინწკლული ობსიდიანის, ყუნწიანი, ფოთლისებური ფორმის, ოდნავ ფრთებდაშვებული, შუაში შესქელებული, ხორბლის მარცვლის მავგარი რეტუმით, 3 ც., სიმაღლე 3,9-4 სმ (ტაბ. XII₂, XIII₃).

სამარხში აღმოჩენილი კერამიკა თავისი ფორმებითა და დამუშავების წესით ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს. მცირე ზომის ჭურჭლის – კოჭების ფრაგმენტები ნატიფი, თითქმის სარკისებურად ბზინვარე ზედაპირიანია. აქვე აღმოჩენილი ორყურა დერგიც გამოწვის ტექნოლოგიით, ფორმითა და ორნამენტით, ასევე ბედენურ კულტურას მიეკუთვნება.

საყურადღებოა ყორღანში აღმოჩენილი იარაღი: ბრინჯაოს სატევარი, ბრინჯაოსავე, ღუზისებური ცული და ობსიდიანის ისრისპირები.

ღუზისებური ცულები კავკასიაში აღმოჩენილია აზერბაიჯანში, კუდურლის № 14 ყორღანში [Ахундов 2001: 131-132], იჯევანში (შემთხვევითი მონაპოვარი) [Мартиросян 1964: 72; Кушнарева 1993], ყარაშამბის მდიდრულ ყორღანში [Кушнарева, Рысин 2001: 107]. ბრინჯაოს ასეთივე ცულები ცნობილია როგორც კერძო კოლექციებიდან, ისე სხვადასხვა მუზეუმებიდან [Muscarella 1998: 85]. მართალია, მათი უმრავლესობის წარმომავლობა და კომპლექსი დაუდგენელია, მაგრამ ამ ფორმის წარმოშობა მაინც შუამდინარეთში ივარაუდება [Muscarella 1998:

85]. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად კი ურის № 691 გვიანაქადურ [იხ. Tubb 1982: 2] სამარხში აღმოჩენილი ღუზისებრი ცული [Woolley 1934a: 174; Woolley 1934b: pl. 224 U 9687] მოაქვთ [Muscarella 1998: 85 და ამავე ნაშრომში მოტანილი ლიტერატურა], რაც ამ ტიპის იარაღის წარმოების დროს ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებით განსაზღვრავს [Kohl 2007: 117; Tubb 1982: 2-3 და იქვე მითითებული ლიტერატურა]. აღსანიშნავია, რომ ბედენის ღუზისებრი ცული 9.2% კალას შეიცავს [Gambaschidze et al. 2001: 270].

№ 12 ყორღანში აღმოჩენილი სატევარი მაღალი ყუნწითა და პირის მოგრძო მოყვანილობით ყველაზე მეტად ბაკურციხის ეტილიან, ბედენურ ყორღანში აღმოჩენილი იარაღის მსგავსია [Пицхелаური 1982: 18].

დასაკრძალავ კამერაში აღმოჩენილი ობსიდიანის ისრისპირები ყუნწიანი და ოდნავ ფრთებდაშვებულია და საკმაოდ იშვიათად ჩნდება სამხრეთ კავკასიის კომპლექსებში. როგორც ჩანს, ბედენის № 12 ყორღანის ყუნწიანი ისრისპირები ადრეულ, კერძოდ კი, გვიანი მტკვარარაქსის ტრადიციას აგრძელებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ა. ორჯონიკიძის მიერ გამოყოფილი I₅ ტიპის ისრისპირები [ორჯონიკიძე 2004: 25], თუმცა, საკვლევი კომპლექსიდან მომდინარე ეგზემპლარების დამუშავების ტექნიკა სხვაგვარია და ბევრად უფრო დახვეწილია. აღსანიშნავია, რომ № 12 ყორღანის ყუნწიანი ისრისპირები რეტუმის დახვეწილობით ემსგავსება ბედენური

კულტურისათვის დამახასიათებელ, ფუძემოლარულ ისრისპირებს. მესამე ათასწლეულის ბოლოხანებით დათარიღებული, ჩვენთვის ცნობილი კომპლექსებიდან ასეთი ისრისპირები მხოლოდ კუდურლუს № 14 ყორღანში გვხვდება, სადაც მათთან ერთად ფუძემოლარული ისრისპირებიცაა მოპოვებული [Ахундов 2001: 131-132].

უნდა აღინიშნოს, რომ ბედენის № 12 ყორღანის მასალას ყველაზე მეტად ემსგავსება კუდურლუს № 14 ყორღანის კომპლექსი. აღსანიშნავია აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს ღუზისებური ცული და ობსიდიანის ყუნწიანი ისრისპირები, რომელსაც ტ. ახუნდოვი ათარიღებს ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოთი ან ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნით [Ахундов 2001: 131-132].

ამგვარად, ბედენის № 1 (მააე) და 12 (მააე) ყორღანებში დადასტურდა ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური მასალა, რომელმაც არსებული ინფორმაცია გაამდიდრა და შეავსო. ამ ორ გორასამარხში მოპოვებული არტეფაქტებიდან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, უმნიშვნელოვანესი უნდა იყოს № 1 ყორღანში აღმოჩენილი მარცველულის გასანიავებელი ბარები, რომლებიც ბედენელების სამინათმოქმედო მეურნეობაზე მიანიშნებს. აღსანიშნავია № 12 ყორღანის ღუზისებრი ცული, რომელიც ახლო აღმოსავლეთის უძველეს კულტურებთან კავშირზე მიგვითითებს. ორივე ყორღანი, სავარაუდოდ ძვ.წ. მესამე ათასწლეულის მესამე მესამედით უნდა თარიღდებოდეს.

THE KURGANS OF BEDENI CULTURE EXCAVATED AT BEDENI PLATEU
BY MARABDA – AKHALQALAQI EXPEDITION

Summary

The Bedeni mountain is situated in the south Georgia and is the part of Trialeti mountain range. The slopes are covered with woods and the plateau which is 1200-1875 meters high from the sea level, is covered by the alpine vegetation. In 1956-71 the archaeological researches were held by the expedition of the Georgian institute of History (director G. Gobejishvili), which excavated 10 kurgans. From 1980 to 1991 Marabda-Akhalqalaqi archaeological expedition of the Center of Archaeological Studies (director Z. Shatberashvili) excavated 16 kurgans of various periods. Two of them belong to the Bedeni Culture. The kurgans excavated in 50-ies and 60-ies of the 20th century are published in the monograph "The Culture of Bedeni Kurgans" (in Georgian) by G. Gobejishvili [Gobejishvili 1980]. The numeration of kurgans during the excavations of Marabda-Akhalqalaqi archaeological expedition began from № 1, that's why we will add to the number of kurgans excavated in eighties the abbreviation MAAE what means Marabda-Akhalqalaqi archaeological expedition.

The kurgan № 1(MAAE), excavated during the 1981-1984 seasons is one of the biggest ones on Bedeni Plateau – the diameter is 46 m and the maximum height 3 m (pl. I₁). It had a big crater in the center (diameter 6,5 m). The kurgan pile is excavated partially – the northern part is unexcavated (pl. II). The structure of the pile was complex (see the plates I, II, III, V). On the top of the kurgan, in the north part of the crater there was a badly damaged pit-grave (2 x 1,4 m). The grave contained badly preserved human bones, black burnished, Bedeni type pottery (pl. IV_{1-8,10}), bronze knife (pl. IV₁₁), and thirty small, golden beads (pl. IV₉). The pottery has many parallels in the complexes of Bedeni culture [see Gobejishvili 1980: 62-68; Satberashvili, Nikolaiashvili, Satberashvili 2010: 194-207; Дедабришвили 1979: 44-47; Satberashvili, Satberashvili 2013: 134-139], and the beads are looking like the ones found at Trialeti kurgan № XIV, which is dated to the Middle Bronze Age [Gogashvili 1972: 42; Жоржикашвили, Гогадзе 1974: 84,85].

In the center of the kurgan, the burial chamber was cut in the greenish clay subsoil (depth – 4,5 m; max. diameter in the upper part of the pit – 3,75 m; minimum diameter – 2,75 m) (pl. VI).

On the top of the burial chamber there was an oviform soil pile, where the pottery shards of Late Bronze Age were found, what made clear the time of looting the main burial chamber. The position of wooden logs found on the top and in the burial chamber (pls. V₂, VI, VII₁) compels us to assume that the roof of the chamber could be made by wooden logs, which was covered by flat stones and soil.

The burial Chamber was looted. Only few wooden artifacts were found here. The fragments of wickerwork (pl. VIII₁) found on the walls of the burial chamber should indicate that the walls of the chamber were covered by the wickerwork. Another interesting find is the wooden stair (pls. VII₂, VIII₂), which was standing in south-east corner of the chamber. The stairs like this can be seen even today in the villages of Georgia. Of special interest are the wooden shovels and the fragment of the wagon (?) (pls. VIII_{3,4,5}). The existence of wooden shovels which should be used for cleaning the grain (the wooden shovels like that also exist in Georgian ethnography) and they may indicate to the agricultural lifestyle of Bedeni Culture people.

The kurgan № 12 (MAAE) was excavated in 1984. The diameter of kurgan was 34 m and the maximum height was 1,3 m, it had a deep crater in the center (diameter 6 m, depth 0,5 m) (pls. IX_{1,2}; X₁). The oviform burial chamber was oriented from NW to SE (diameter 2,6 x 1,9 m, depth – 0,4 m) and was filled with stone (pls. IX₂; X₁). The burial was looted but some artifacts were preserved in the SW and W parts, in the stone pile, on the depth of 0,2-0,4 meters. The pottery found in the grave (pls. XII, XIII) belongs to Bedeni Culture. The bronze anchor-shaped, shaft-hole ceremonial axe found in the burial (pls. XII₁, XIII₂) is unique for the kurgans of Bedeni Plateau. In Caucasus they were found at kurgan 14 in the Kyurduluk cluster of kurgans in northwestern Azerbaijan [Ахундов 2001: 131-132], in Armenia, Ijevan (casual find) [Мартirosян 1964: 72; Кушнарева 1993], and Karashamb kurgan [Кушнарева, Рысин 2001: 107]. The bronze axes of the same type are preserved in museums and private collections [Muscarella 1998: 85], but the origin of most of them is unknown. The anchor-shaped axe from private grave 691 in the Royal Cemetery at Ur [Woolley 1934a: 174; Woolley 1934b: pl. 224 U 9687], which is dated to the Late Acadian Period [Tubb 1982: 2] suggests that this type of axe was initially produced at least sometime toward the middle of the 3rd millennium BC. [Kohl 2007: 117].

It also should be noted that the ceremonial axe from the Bedeni kurgan № 12 was made of tin-bronze with a 9.2% of tin [Gambaschidze et al. 2001: 270].

The dagger found in the kurgan (pls. XII₃, XIII₁) looks like one found at Bakurtsikhe kurgan, which also belongs to the Bedeni Culture [Пицхелаური 1982: 18]. Obsidian arrowheads of the type found in the kurgan № 12 (pls. XII₂, XIII₃) are very rare in South Caucass. It can be stated that Bedeni arrowheads are continuing the late Kura-Arax tradition [orjonikidze 2004: 25, see the arrowheads of type I₅], but the technique of the Bedeni examples are different and more sophisticated. These type of arrowheads are also found in the Kyurduluk kurgan № 14 [Ахундов 2001:131-132] which is dated to the end of the 3rd millennium BC.

Both kurgans – Bedeni №№ 1 and 12 (MAAE) belong to the Bedeni Culture and are dated to the last third of the 3rd millennium BC.

ლიტერატურა

- გობეჯიშვილი გ. 1980:** ბედენის გორასამარხების კულტურა. თბილისი.
- გოგაძე ე. 1972:** თრიალეთის ყორღანული კულტურის ქრონოლოგია და პერიოდიზაცია. თბილისი.
- ნარიშკინი გ., შანშაშვილი ნ., ნარიშკინი დ. 2013:** სამხრეთ კავკასიის მეგალითური ძეგლების ერთი ჯგუფის შესწავლისათვის. – ძიებანი, № 21, 140-166.
- ორჯონიკიძე ა. 2005:** ქვის ისრისპირები საქართველოდან. – ძიებანი, № 13-14, 24-61.
- შატერაშვილი ზ. 1998:** ბედენური კულტურის ზოგიერთი საკითხისათვის. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია, I, მოხსენებების მოკლე შინაარსები. თბილისი, 37-38.
- შატერაშვილი ზ., ნიკოლაიშვილი ვ., შატერაშვილი ვ. 2010:** ტყემლარას ბრინჯაოს ხანის სამარხები. – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი. სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში. თბილისი, 194-207.
- შატერაშვილი ზ., შატერაშვილი ვ. 2013:** ბედენური ყორღანები დურნუკის მიდამოებიდან. – ძიებანი, № 21, 134-139.
- ძიძიგური ლ. 2000:** ამიერკავკასიის უძველესი სამინათმოქმედო კულტურა. თბილისი.
- Gambaschidze, I., Hauptmann A., Slotta R., and Yalçın Ü. (eds.). 2001:** Georgien: Schätze aus dem Land des Goldenen Vlies. Bochum: Deutsches Bergbau Museum.
- Muscarella O. W. 1998:** Bronze and iron Ancient Near Eastern artifacts in the Metropolitan Museum of Arts, The Metropolitan Museum of Arts.
- Kohl Ph. L. 2007:** The Making of Bronze Age Eurasia. Cambridge University press;
- Tubb J. N. 1982:** A crescentic axehead from Amarna (Syria) and an examination of similar axeheads from the Near East. – Iraq, 44, 1, 1-12.
- Wooley C. L. 1934a:** Ur Excavations, vol. II. The Royal cemetery, text. London and Philadelphia.
- Wooley C. L. 1934b:** Ur Excavations, vol. II. The Royal cemetery, plates. London and Philadelphia.
- Ахундов Т. И. 2001:** Северо-Западный Азербайджан в эпоху энеолита и бронзы. Баку.
- Дедабришвили Ш. 1979:** Курганы Алазанской Долины (ТКАЭ), II, Тбилиси.
- Кушнарева К. Х. 1993:** Южный Кавказ в IX-II тыс. до н. э.: этапы культурного и социал-экономического развития. СПб.
- Кушнарева К. Х., Рысин М. Б. 2001:** Новые данные к проблеме датировки цветущей поры Триалетской Культуры. – კავკასია. ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგის საკითხები (ძიებანი, დამატება VI), გვ.101-116.
- Мартиросян А. А. 1964:** Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ереван.
- Пицхелаური К. Н. 1982:** Исследования Кахетинской археологической экспедиции. – ПАИ, 1980, 17-20.
- Жоржикашвили Л., Гогадзе Э. 1974:** Памятники Триалети эпохи ранней и средней Бронзы. Тбилиси.

ტაბულაჰის აღწერა

- ტაბ. I – 1. ბედენის № 1 ყორლანი გათხრებამდე; 2. ბედენის № 1 ყორლანი, გათხრების ხედი დასავლეთიდან.
- ტაბ. II – ბედენის № 1 ყორლანი, გეგმა (არქიტექტორი მანუჩარ ყარაშვილი).
- ტაბ. III – ბედენის № 1 ყორლანი, მინაშენები.
- ტაბ. IV – ბედენის № 1 ყორლანის ჩაშვებული სამარხის მასალა (მხატვარი მაია კიტოვანი).
- ტაბ. V – 1. ბედენის № 1 ყორლანი, ყრილის ცენტრალური ნაწილი; 2. დასაკრძლავი კამერის ზედაპირი და ყორლანის ყრილი.
- ტაბ. VI – ბედენის № 1 ყორლანი, კამერის გეგმა და ჭრილი (არქიტექტორი მანუჩარ ყარაშვილი).
- ტაბ. VII – ბედენის № 1 ყორლანი, კამერა გათხრის პროცესში.
- ტაბ. VIII – ბედენის № 1 ყორლანი: 1. წნული კამერის კედელზე; 2. ბნკალა; 3. ხის ნიჩაბი და კოფოს(?) ნაწილი; 4. ხის ნიჩბები; 5. კამერის ძირზე აღმოჩენილი ხის ნივთები.
- ტაბ. IX – ბედენის № 12 ყორლანი, გეგმა და ჭრილი (არქიტექტორი მანუჩარ ყარაშვილი).
- ტაბ. X – 1. ბედენის № 12 ყორლანი გათხრებამდე; 2. ბედენის № 12 ყორლანი, ქვყყრილი კამერის თავზე.
- ტაბ. XI – ბედენის № 12 ყორლანი – 1 ქვყყრილი; 2. თიხის ჭურჭლის ნატყხეები და ბრინჯაოს იარაღი ქვყყრილში; 3. განმენდილი კამერა.
- ტაბ. XII – ბედენის № 12 ყორლანის არქეოლოგიური მასალა, ჩანახატი (მხატვარი მაია კიტოვანი).
- ტაბ. XIII – ბედენის № 12 ყორლანის არქეოლოგიური მასალა, ფოტო.

DESCRIPTION OF THE PLATES

- I – 1 Bedeni kurgan # 1 before excavations; 2. Bedeni kurgan # 1, view of excavations from est.
- II – Bedeni kurgan # 1, plan (architect Manuchar Karashvili).
- III – Bedeni kurgan # 1, annexes 1-3.
- IV – Bedeni kurgan # 1, the archaeological material from the grave on the top of the kurgan (artist Maia Kitovani).
- V – 1. Bedeni kurgan # 1, the central part of the pile; 2. The pile of the kurgan and the surface of the burial chamber.
- VI – Bedeni kurgan # 1, plan and section of the burial chamber (architect Manuchar Karashvili).
- VII – Bedeni kurgan # 1, burial chamber in the process of excavations.
- VIII – Bedeni kurgan # 1: 1. Wickerwork on the wall of the burial chamber; 2. Wooden stair; 3. Wooden shovel and the fragment of the wagon (?); 4. wooden shovel; 5. The wooden artefacts found on the bottom of the burial chamber.
- IX – Bedeni kurgan # 12 , plan and section (architect Manuchar Karashvili).
- X – 1. Bedeni kurgan # 12 before excavations; 2. Bedeni kurgan ## 12, the stone pile over the burial chamber;
- XI – Bedeni kurgan # 12 – 1. Stone pile; 2. Pottery and bronze artifacts *in situ*; 3. Cleaned burial chamber.
- XII – Bedeni kurgan # 12 , archaeological material of the artifacts found in the kurgan, drawings (artist Maia Kitovani).
- XIII – Bedeni kurgan # 12, archaeological material of the artifacts found in the kurgan, photo.




1 ბედენის № 1 ყორღანი გათხრებამდე



2 გათხრების ხედი დასავლეთიდან

ტაბ. II










1 მინაშენი სამხრეთ-დასავლეთიდან



2 მინაშენი № 1



3 მინაშენი № 2



11

ტაბ. V




1




2

კამერის გეგმა



ჭრილი 1 - 1






1




2

ტაბ. VIII



1




2




3



5




4



1

I - I



2



1



2




1




2



3





ვანის რაიონის სოფ. შუამთაში 2010 წელს ჩატარებული სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები

2009 წლის ივლისში დაიწყო საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და მიჩიგანის უნივერსიტეტის (აშშ) ერთობლივი სამუშაოები ვანის რაიონში. ამერიკელ კოლეგებთან ერთად განსახორციელებელი პროექტის მთავარი მიზანი იყო ვანისა და მის შემოგარენზე არსებული ცოდნის ინტეგრაცია არქეოლოგიის ამერიკულ სკოლაში არსებულ ტექნიკურ საშუალებებთან და გამოცდილებასთან, განსაკუთრებით არქეოლოგიური დაზვერვების განხრით. ეს მეტად პერსპექტიულ მიმართულებად ჩანს, ვინაიდან იძლევა რეგიონალური კვლევის საშუალებას ინტენსიური არქეოლოგიური ჩარევის გარეშე.

2009-2010 წლების დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები მოიცავდა ადრე ცნობილი და ახლად დაფიქსირებული არქეოლოგიური ობიექტების ექსტენსიური და ინტენსიური ხასიათის დაზვერვებით, მათი კარტოგრაფიით, GPS კოორდინატების აღებით და GIS სისტემაში მოქცევით. ამ სამუშაოებმა მოიცვა ტერიტორია საჯავახოდან დასავლეთით ფერეთამდე აღმოსავლეთით (35 კმ), რიონიდან ჩრდილოეთით მდ. ყუმურის სათავეებამდე სამხრეთით (15 კმ), სულ 525 კვ. კმ. ამავდროს განხორციელდა გეოფიზიკური ხასიათის ტესტირება (გეომაგნიტომეტრული და ელექტრულ წინააღობაზე) ვანის ნაქალაქარის აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე საყანჩის ცნობილ ნაქალაქარზე და შუამთის ადრერკინის ხანის ნასახლარზე.

სოფ. შუამთა მდებარეობს ვანის რაიონში, მდ. ყუმურის ხეობაში, ზღვის დონიდან 45 მ-ზე, ქალაქ ვანის დასავლეთით, მისგან 6 კმ-ის დაშორებით. მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სოფ. ქვედა ციხესულორი, სამხრეთიდან სოფ. ტობანიერი, დასავლეთიდან სოფ. ზედა ენერი და მთისძირი, ჩრდილოეთიდან სოფ. ჭყვიში.

შუამთის ტერიტორიაზე „ქალის“, „მელაშვილების“ და „ნატახტის“ გორებზე მიკვლეულია გვიანბრინჯაო-ადრერკინის და ანტიკური ხანის ნამოსახლარის ნაშთები (ბათქა-


შის ფრაგმენტები ხის ტოტების ანაბეჭდებით, ელინისტური ხანის კრამიტის ფრაგმენტები).

შუამთაში სადაზვერვო სამუშაოების (1981, 1986 წწ.) დროს მოპოვებულია კერამიკული მასალა, წარმოდგენილი ჭურჭლის ყურების (მათ შორის ე.წ. ზომორფული შვერილებით), ქვევრის კედლების, ძირ-გვერდების ფრაგმენტებითა და კვირისტავით, კოლხური ამფორის ქუსლით, იმპორტული კერამიკით. ამ ბოლო კატეგორიიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შავფიგურული ჭურჭლის ფრაგმენტი ატიკური კერამიკისათვის დამახასიათებელი მონთალო-ყავისფერი კეცით, რომლის გარეთა ზედაპირზე შემორჩენილია მჯდომიარე სფინქსის გამოსახულება. ზედნადები წითელი და თეთრი საღებავის გამოყენება გრავირებასთან ერთად იძლევა საშუალებას, რომ იგი კი ძვ.წ. VI ს-ით დათარიღდეს [კაჭარავა 1983: 29]. მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ზოგადად ძვ.წ. VIII-III სს-ებით თარიღდება [ბერაძე 1977: 35; გამყრელიძე 1982: 34-35; Квиციანი 1990: 280]. შუამთაში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში.

2009 წელს ინტენსიური არქეოლოგიური დაზვერვები ჩატარდა „მელაშვილების გორაზე“ (42°05'50.05" N/42°27' 15.86"), რომელიც მდებარეობს თანამედროვე სოფლის სამხრეთ ნაწილში. ნამოსახლარის ტერიტორია გადახნულია და ზედაპირზე დიდი რაოდენობით იკრიფება არქეოლოგიური მასალა, მათ შორის კერამიკა, მინისა და ბრინჯაოს ნივთების ფრაგმენტები, ბათქაშები. გორის თავზე შემორჩენილი შუასაუკუნეების ციხის ნანგრევები („ნაციხვარა“).

გეოფიზიკური მეთოდების გამოყენებით დაიზვერა 4500 კვ.მ. ფართობი ბორცვის ჩრდილო-დასავლეთ ფერდზე. გამოვლინდა ცალკეული კომპაქტური ანომალიების სერია, წარმოდგენილი ლაქების სახით (სურ. 1).

ანომალიების კონცენტრაციის ადგილების ტესტირების მიზნით მელაშვილების გორის ჩრდილო-დასავლეთ ფერდზე გაიჭრა ოთხი სადაზვერვო ხასიათის თხრილი (ტაბ. I).



სურ. 1. შუამთა. ქვედა მარცხენა ნაწილში - “მელაშვილების გორა“

№ 1 თხრილი, ზომებით 8 x 1,5 მ, ორიენტირებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე. ზედა, კერამიკული ფრაგმენტების შემცველი, ნაშალი ხასიათის ფენის მოხსნის შემდეგ, თხრილის დასავლეთ ნაწილში გაინმინდა ბათქაშების კომპაქტური მასა, რომელიც თხრილის ფარგლებს გარეთ ვრცელდებოდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით (ტაბ. II₁; III_{1,2}). ბათქაშებს შორის ჩანდა ცალკეული კერამიკული ფრაგმენტები, მათ შორის ჭურჭლის ზოომორფულშვერილიანი ყური (ტაბ. III₃). ბათქაშების ეს ფენა ზემოდან იდო მოყვითალო ფერის თიხნაროვან დედაქანზე.

ბათქაშების ყრილის გავრცელების საზღვრების დადგენის მიზნით თხრილს ჩრდილოეთიდან მივუმატეთ ფართობი ზომებით 3x5 მ. პირველ ბარისპირზე აქაც კერამიკის ფრაგმენტების შემცველი ნაბრუნები მინა ჩნდებოდა. ბათქაშების ცალკეული ფრაგმენტები კანტიკუნტად მხოლოდ მეორე ბარისპირზე გამოჩნდა. ამ ფენის მოხსნის შემდეგ დაფიქსირდა ბათქაშების ცალკეული გროვები, რომლებიც უშუალოდ ყვითელ თიხნაროვან

დედაქანზე იყო დაფენილი (ტაბ. II₁; III₄).

მომატებული ფართობის ჩრდილო კედელთან, მის შუა ნაწილში, ამ დონეზე გამოისახა მუქი ფერის ნიადაგით შევსებული ჩაღრმავება. გამოიკვეთა ორმოს კონტურები. ის 1,40 მ სიგანის ზოლად ვრცელდებოდა თხრილის ჩრდილოეთი კედლიდან სამხრეთის მიმართულებით 2,60 მ სიგრძეზე. ჩრდილოეთით ის გაუთხრელ ფართობში შედიოდა. სამხრეთი კიდე მომრგვალებულია. ორმო ჩაჭრილია ყვითელ თიხნარში მინის დღევანდელი ზედაპირიდან 0,30 მ სიღრმეზე. განსაკუთრებით კარგად იკვეთებოდა ორმოს აღმოსავლეთი და სამხრეთი კიდე, დასავლეთი კიდე თანდათან დაბლდებოდა ჩრდილოეთის მიმართულებით. ორმოს შევსებაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბათქაშის გოროხები, რიყის ქვები და კერამიკული მასალა (ტაბ. III₅).

ეს ორმო (№ 1) თავდაპირველად გაიჭრა მის შუა ნაწილში ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძზე და მოხდა მისი დასავლეთი ნაწილის ამოსუფთავება. ზედა 20 სმ ბათქაშოვანი დანაშრევის ქვეშ კვლავ ბათქაშების კომპაქტური ყრილი გამოიკვეთა. მინის ზედაპირიდან 0,75 მ, ხოლო

ორმოს კიდიდან 0,50 მ სიღრმეზე ნახშირის შავი ნაწილაკების კონცენტრაცია გაიზარდა, ხოლო მათ ქვეშ ალაგ-ალაგ ყვითელი ფერის მკვერივი თიხნარი გამოჩნდა. ამ დონეზე დაფიქსირდა ცალკეული ბათქაშების გორბები და ცეცხლის მოქმედების შედეგად განითქმეული ქვიშაქვა (ტაბ. III₆). საბოლოო ეტაპზე მოხდა ოვალური ფორმის № 1 ორმოს მთლიანი ამოსუფთავება, მისი აღმოსავლეთი ნაწილის ჩათვლით (ტაბ. III₇). შევსებაში საკმაოდ დიდი რაოდენობით გამოვლინდა წინარეანტიკური ხანის კერამიკული მასალა. ორმოს სიღრმე აღმოსავლეთ კიდეში აღმოჩნდა 0,65 მ, სამხრეთ კიდეში კი – 0,45 მ სიღრმეზე. ჩრდილოეთ მხარეში ორმოს ნაწილი ჩაჭრილია გვიანდელი სადრენაჟო ღარის მიერ.


კიდევ ერთი ორმოს (№ 2) კონტურები გამოიკვეთა თხრილის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. ორმო ამოჭრილია ყვითელ თიხნაროვან დედაქანში. მისი შევსება გამოირჩევა ნახშირის ნაწილაკებისა და ბათქაშის წვრილი ფრაგმენტების ჩანარებით. ამ ორმოს სამხრეთი კიდე თხრილის ჩრდილოეთი კედლიდან 0,75 მ დაშორებითაა დაფიქსირებული. მას მრგვალი მოყვანილობა აქვს და მისი ძირითადი ნაწილი გაუთხრელ ფართობში შედის როგორც ჩრდილოეთი, ასევე დასავლეთის მიმართულებით (ტაბ. III₈). გამოვლენილი სიგანე აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე 1,40 მ-ს შეადგენს. ორმოს სიღრმემ მისი ამოსუფთავების შემდეგ 0,30 მ შეადგინა. მის ფსკერზე დალექილი აღმოჩნდა 0,10-0,15 მ სიმძლავრის ნახშირის ნაწილაკების, ბათქაშის წვრილი ფრაგმენტებისა და კერამიკის ნატეხების შემცველი ფენა.

ამდენად, თხრილში დაფიქსირებული ზედა ფენა (პირველი ორი ბარისპირი) წარმოადგენდა ნაბრუნებ, მრავალჯერ ნახნავ და გადაადგილებულ მინის მასივს. ამ ფენაში დაფიქსირდა ათასზე მეტი კერამიკული ფრაგმენტი.

პირის გვირგვინები	865
ძირები	89
ყურები	650
კედლის ფრაგმენტები	16
სულ	1650

კერამიკულ მასალაში ძირითადად წინარე და ადრეანტიკური ხანის ფრაგმენტები იყო წარმოდგენილი (ტაბ. IV₁₋₂₂): შავზედაპირია-

ნი ქვევრის კედლები, შემკული რელიეფური ქედებითა და ოვალური ფოსოების რიგებით; ქოთნებისა და დერგების პირის გვირგვინები; მრგვალხვრელიანი ყურები; ზოომორფულშვერილიანი ყური; მუცელზე ჰორიზონტალური ღარებით შემკული ჭურჭლის კედლის ფრაგმენტები. აღსანიშნავია სამფეხა ღია ტიპის ჭურჭლისა თუ თიხის ზოომორფული ქანდაკების ფეხი (ტაბ. V₄₆). ცალკეული ფრაგმენტები ელინისტური ხანისაა, მაგ. კოლხური ამფორის პირის გვირგვინის ფრაგმენტი ტაბ. IV₁). საერთოდ, ზედაპირული დაკვირვებით, ელინისტური ხანის მასალა რაოდენობრივად მატულობს „მელაშვილების გორის“ ზედა ნაწილისკენ, „ნაცხვარას“ ნანგრევების ძირში.



სურ. 2

შემდეგი ფენა - ბათქაშების ყრილთან დაკავშირებული ან მის დონეზე, ყვითელი თიხნარის თავზე მდებარე (ნაწილობრივ ეს ფენა № 1 ორმოს თავზე გადადიოდა). მასთან დაკავშირებულია შემდეგი კერამიკული მასალა (ტაბ. IV₂₃₋₃₅):

პირის გვირგვინები	16
ძირები	17
ყურები	3
კედლის ფრაგმენტები	246
სულ	282

მონაპოვრიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თიხის მცირე ზომის ზოომორფული ქანდაკება ცხვრის(?) გამოსახულებით (სურ. 2).

მრავალფეროვანი და რიცხვმრავალი იყო ოვალური, № 1 ორმოს შეესება:

პირის გვირგვინები	76
ძირები	80
ყურები	13
კედლის ფრაგმენტები	616
სულ	785

პირის გვირგვინები წარმოდგენილია დერგებისა და ქოთნების ფრაგმენტებით (ტაბ. IV₃₉₋₅₁; V₁₋₁₆). მათ ნაწილს მხარზე სხვადასხვა სახის ორნამენტი ამკობს – ზიგზაგისებურად ტეხილი ხაზებით შემკული ზოლები, ოვალური ფოსოები და სხვ.; ყურები წარმოდგენილია როგორც სადა, ოვალურ ან მრგვალხვრელიანი ნიმუშებით, ასევე ზოომორფულშვერილიანი ცალეებით (ტაბ. V₃₀₋₄₃); აღსანიშნავია ერთი ყური, ოთხკუთხაგანიკვეთიანი, მრგვალხვრელიანი, შებრტყელებული გარეთა ზედაპირით და ამოშვერილი ქიმით (ტაბ. V₄₄); საინტერესოა ჭურჭლის სახელური ორკაპა დაბოლოებით (ტაბ. V₄₁); ჭურჭლის კედლების ფრაგმენტებზე გვხვდება სხვადასხვა, წინარეანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ორნამენტი: სავარცხლისებური იარაღით დატანილი ირიბი ჭდეების ზოლები, ღარები, რელიეფური ქედები, ნაკანრი ირიბი ხაზები (ტაბ. IV-V); ძირები სადა, ბრტყელძირა ნიმუშებითაა წარმოდგენილი (ტაბ. V₂₂₋₂₉). კერამიკის ცალკე ჯგუფს შეადგენს ვერტიკალურპირიანი ან პირმოყრილი ჯამები (ტაბ. V₁₈₋₂₄).

თხრილის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გამოლენილ ორმოში (№ 2) აღმოჩნდა შემდეგი მასალა (ტაბ. IV₃₆₋₃₈):

პირის გვირგვინები	2
ძირები	10
კედლის ფრაგმენტები	29
სულ	41

გამოირჩევა შავზედაპირიანი ქვევრების ფრაგმენტები, შემკული ღრმა ჭდეებით გამოყვანილი თევზიფხური ორნამენტით (ტაბ. IV₃₈).

მასალის ძირითადი ნაწილი, ისევე როგორც მთლიანად ორმოს შეესებადან მომდინარე არქეოლოგიური მონაპოვარი, ძვ.წ. VIII-VII სს-ით უნდა დათარიღდეს.

* * *

№ 2 თხრილი, ზომებით 8 x 1,5 მ, გაიჭრა № 1 თხრილის სამხრეთით და ორიენტირებული იყო ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (ტაბ. I, II₂₋₃). ზედა, ნაშალი ხასიათის ფენაში, გვხვდებოდა ცალკეული კერამიკული ფრაგმენტები, რომელთა რაოდენობა მომრავლდა მეორე ბარისპირზე. ფრაგმენტებს შორის წარმოდგენილი იყო როგორც წინარე და ადრეანტიკური ხანის ადგილობრივი კერამიკა, ასევე ელინისტური ხანის დაუდგენელი ცენტრის ამფორის კედლის ფრაგმენტი. თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 0,30-0,40 მ სიღრმეზე, თხრილის კიდიდან 0,5 მ დაშორებით, აღმოჩნდა ბათქაშებისა და რიყის ქვების ყრილი, რომელიც შეწყდა თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდედან, მისგან 3 მ დაშორებით (ტაბ. VI₁₋₃). ბათქაშების ეს ყრილი, სიმძლავრით 0,25 მ, უშუალოდ იდო მკვრივი ყვითელი ფერის თიხნაროვანი მასის თავზე. აქ კერამიკული ფრაგმენტების რაოდენობამ მკვეთრად იკლო.

თხრილი გამოვარძელეთ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დამატებით 5 მეტრით (ტაბ. VI₄). ამ ფართობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მიწის ზედაპირიდან 0,30 მ ღონეზე, გამოჩნდა ბათქაშების კომპაქტური ყრილი, რომელიც თითქმის ჰორიზონტალურად ვრცელდებოდა სამხრეთის მიმართულებით (ტაბ. VI₅₋₇). ბათქაშების ყრილი იწყებოდა თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთი კიდიდან და გრძელდებოდა თხრილის ჩრდილო-დასავლეთ კიდემდე, მაგრამ არაერთგვაროვნად. თუ ამ ნაწილში ის საკმაოდ კომპაქტური იყო, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ის მეჩხერდებოდა. ასევე კომპაქტურ მასად იყო ის წარმოდგენილი თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლის გასწვრივ. ყრილში ძირითადად წვრილი და საშუალო ზომის ბათქაშებია, რომლებშიც შერეული იყო სხვადასხვა ზომის რიყის ქვები.

ამ თხრილში სამუშაოების წარმოების ბოლო

ფაზაზე მოხდა ბათქაშების ყრილების აყრა და კერამიკული მასალის ამოკრეფა. ბათქაშების ქვეშ მდებარეობდა მოყვითალო-მომწვანო ფერის ფხვიერი თიხნარის თხელი ფენა, რომელიც ბათქაშების წვრილ ნამცეცებს და კერამიკის უმნიშვნელო რაოდენობას შეიცავდა. თავის მხრივ, მის ქვეშ უკვე სტერილური ყვითელი ფერის თიხნარი დედაქანი მდებარეობდა (ტაბ. VI_გ).

ზედა, ნაშალი და ნაბრუნები ფენის მასალა წარმოდგენილი იყო შემდეგი ნიმუშებით:

ქვევრის ფრაგმენტები	8
პირის გვირგვინები	3
ძირები	3
ყურები	9
კედლის ფრაგმენტები	98
სულ	122

ორი ფრაგმენტი, შესაძლოა, ზოომორფული ქანდაკების ფეხებია (ტაბ. VII_{2,4}), დანარჩენი მასალა წარმოდგენილია შავზედაპირიანი ქვევრებისა თუ დერგების ფრაგმენტებით, ყავისფერკეციანი ჭურჭლის ნატეხებით: ბრტყელი ძირები, ოვალურგანივკვეთიანი ყურები, სხვადასხვა ჭურჭლის კედლები, ზოგჯერ ორნამენტირებული მარტივი ნაკანრი სახეებით (ტაბ. VII_{1,3,5-6}).

ბათქაშებიანი ყრილების მასალა:

პირის გვირგვინები	9
ძირები	15
ყურები	4
კედლის ფრაგმენტები	122
სულ	153

კერამიკის ამ კრებულში წარმოდგენილია ქოთნებისა თუ დერგების პირისგვირგვინები, ჭურჭლის ყურები, მათ შორის ერთი ზოომორფული, ქვევრების შავზედაპირიანი კედლები, შემკული რელიეფური ქედებით; ერთ ფრაგმენტს ამკობს რელიეფური წნული ორნამენტი (ტაბ. VII₇₋₂₁).

* * *

№ 3 თხრილი გაიჭრა №№ 1 და 2 თხრილებს შორის, ზომებით 3 x 3 მ, ორიენტირებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (ტაბ. I, II₄).

ზედა, ნაშალ-ნაბრუნები მიწის ფენის მოხსნის შემდეგ, გამოიკვეთა ბათქაშებისა და ნახშირის

ნაწილაკების შემცველი მომრგვალებული მოხაზულობის ლაქა. ამ ფენილის სისქე 0,15-0,20 მ-ს შეადგენდა და ჩალრმაგებული იყო ყვითელ თიხნარში (ტაბ. VIII₁). ამ ბათქაშებიანი ფენის განმდისა და ფოტოფიქსაციის შემდეგ ის მოიხსნა. მის ქვეშ გამოვლინდა მომრგვალებული მოყვანილობის სტრუქტურა – ორმო, რომელიც ყვითელი თიხნარისაგან გამოირჩეოდა შიგთავსის მუქი შეფერილობით. მისი ზომები იყო 1,95 x 2,10 მ. დავინყეთ ორმოს შევსების ამოსუფთავება მის სამხრეთ ნაწილში. ამოსუფთავების კვალდაკვალ ჩნდებოდა ბათქაშის, ნახშირის ნაწილაკებისა და კერამიკის ფრაგმენტები. შევსების ზედა დონეზე აღმოჩნდა თიხის ზოომორფული ქანდაკება. განსაკუთრებით მსხვილი ზომის ბათქაშის გორბები ჩნდებოდა ორმოს დასავლეთ კიდეზე და ერთგვარად საზღვრავდნენ მის კონტურს (VIII_{2,3}). ამ ბათქაშებსა და ორმოს კედლებს შორის დანახშირებული ძელის კვალი შეიმჩნეოდა. ორმოს კიდიდან 0,5 მ სიღრმეზე, მის ძირზე აღმოჩნდა მასში ჩაცვენილი ბათქაშები და ნახშირის ფრაგმენტები (VIII_{4,5}). ორმოს დასავლეთ კიდეზე მსხვილი ბათქაშების ფენა თითქმის ვერტიკალურად ეშვებოდა ქვემოთკენ. აქვე დაფიქსირდა ორი ქოთნის ფრაგმენტები, რომლებიც ორმოში ფსკერით ზემოთკენ იყო ჩავარდნილი. ორმოს ფსკერი მის სამხრეთ ნაწილში გამოვლინდა დასავლეთ კედელთან 0,55 მ სიღრმეზე.

ამ ეტაპზე დავაფიქსირეთ ფსკერზე დაცვენილი ბათქაშების ყრილი ორმოს სამხრეთ ნახევარში და დავინყეთ მისი ჩრდილო ნაწილის ამოსუფთავება. დავედით ორმოს ფსკერზე დავარდნილი ბათქაშების ფენამდე და მოხდა მისი მთლიანად განმენდა. ყრილში ჩართული აღმოჩნდა რიყის ქვები, ასევე ცალკეული კერამიკული ფრაგმენტები (VIII₆₋₇). აქვე აღმოჩნდა ქვის ხელსაფქვავის ნატეხებიც. გადამწვარი ბათქაშები და ადგილზე ჩალენილი ჭურჭლის კონცენტრაცია შეიმჩნევა თხრილის დასავლეთ ნაწილში. ნიშანდობლივია, რომ აქ აღმოჩენილი მეტ-ნაკლებად მთელი ჭურჭლის ფრაგმენტები ორმოში პირით ქვემოთ იყო ჩამხოზილი. შესაძლოა, რომ თიხით შელესილი ხის საცხოვრებელი ნაგებობა ორმოს დასავლეთ კედესთან იდგა და განადგურების დროს მისი ნაშთები ორმოში ჩაცვივდა, რომელიც ამ დროისათვის ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა. ორმოს ფუნქციის საკითხი ღიად რჩება.

სამუშაოების ბოლო ეტაპზე ორმო მთლიანად ამოინმინდა. ალაგდა ბათქაშების ყრილი და კერამიკის ფრაგმენტები. დაფიქსირდა ორმოს საბოლოო ზომები. მისი დიამეტრი სამხრეთ-ჩრდილოეთის ღერძზე 2,20 მ-ს შეადგენდა,

აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე – 2,35 მ-ს; სიღრმე დასავლეთ კიდეში – 0,65 სმ. ორმოს კედლები თითქმის ვერტიკალურად იყო ჩაჭრილი თიხნარ დედაქანში (VIII_გ).

ზედა, ნაშალ ფენაში, დაფიქრდა შუამთის ნამოსახლარისთვის ტიპური კერამიკის ასორტიმენტი – შავზედაპირიანი და რელიეფურქედებიანი ქვევრების ფრაგმენტები, ჭურჭლის ზოომორფულშევრილიანი ყურები, რელიეფურქიმიანი ყური, ზიგზაგისებურორნამენტიანი კედელი (ტაბ. IX₁₋₈).

პირის გვირგვინები	14
ძირები	11
ყურები	9
კედლის ფრაგმენტები	87
სულ	127

ორმოს შევსებაშიც არსებითად იგივე სახის მასალა იყო დადასტურებული, თუმცა გაცილებით მეტი რაოდენობით (IX₉₋₃₇). აღსანიშნავია ქვის ხელსაფქვავის ფრაგმენტები ორმოს ფსკერიდან და თიხის ზოომორფული ქანდაკება (სურ. 3). ის საკმაოდ უჩვეულოა – გამოსახულ არსებას ცილინდრული ტანი აქვს, ნაგრძელეული დრუნჩი, ზემოთ აზიდული ყური, რომელშიც გამჭოლი ნახვრეტია დატანილი. ყელზე მას გველი აქვს შემოხვეული, რომლის თავი კუდზეა გადადებული. ცილინდრული ტანი ქვემოთკენ გაფართოებული და ძირშებრტყელებულია. ამ ფიგურის გამოყენება შეიძლებოდა როგორც დამდგარ მდგომარეობაში, ასევე საკიდად.

პირის გვირგვინები	62
ძირები	82
ყურები	8
კედლის ფრაგმენტები	936
სულ	1088



სურ. 3

* * *

№ 4 თხრილი გაიმართა ნაკვეთის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, “ნაცხვარას” ძირში, ნაკვეთის საზღვარზე (ტაბ. I, II₃). ამ ადგილას გეოფიზიკურმა გამოკვლევამ აჩვენა მაღალი სიმკვრივის ანომალის არსებობა. თავდაპირველი თხრილის ზომები იყო 10 x 1,5 მ. ის დამხრობილი იყო ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძიდან 60°-იანი გადახრით.

თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში პირველივე ბარისპირზე გამოჩნდა დიდი ზომის გადამწვარი ბათქაშების ყრილი. ყრილში ცალკეული კერამიკული ფრაგმენტები იყო ჩართული. ამ ყრილის გავრცელება სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით წყდება თხრილის კიდიდან 1,40 მ დაცილებით. მას ამ მიმართულებით ენაცვლებოდა მოყავისფრო თიხნაროვანი ნიადაგი, რომელშიც ცალკეული რიყის ქვები იყო ჩართული. თხრილის დაახლოებით შუა ნაწილში უკვე ამ დონეზე ყვითელი ფერის თიხნარი დედაქანი გამოჩნდა. თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კიდიდან 2,5 მ დაცილებით, გამოიკვეთა შავი ფერის ნიადაგის ლაქა, რომელიც შეიცავდა ბათქაშების ფრაგმენტებსა და ნახშიროვან ნაწილაკებს (ტაბ. X₁).

შემდგომი დადაბლებისას თხრილის ცენტრალურ ნაწილში გამოიკვეთა კიდეც ერთი ორმო, რომელიც ჩაჭრილი იყო თიხნარ დედაქანში (ტაბ. X₂). ორმოს შევსებაში გვხვდებოდა ცალკეული რიყის ქვები, ნახშირის ნაწილაკები, კერამიკული ფრაგმენტები.

თხრილი გაფართოვდა ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ 3 მეტრით და მისი ზომები გახდა 4,5 x 10 მ. მომატებულ ფართობში გამოგრძელდა თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გამოვლენლი ბათქაშების ყრილი (ტაბ. X₃). ის ფართო ზოლად გრძელდებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და შემდეგ თითქმის მართი კუთხით უხვევდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. გარეთა მხრიდან ყრილს შემოუყვებოდა რიყის ქვების ზოლი (ტაბ. X₄₋₅). ბათქაშებს შორის ფიქსირდებოდა კერამიკული ფრაგმენტები, მათ შორის ქოთნის პირის გვირგვინები და ყელისა და მხრის ნატეხები (ტაბ. X₆₋₇).

მომატებულ ფართობში, მის შუა ნაწილში, დაფიქსირდა თიხნაროვან დედაქანში ჩაჭრილი ჩაღრმავების საზღვარი, რომელზედაც წყდება ბათქაშების ყრილის გავრცელება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. კიდეც უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით, ყრილიდან 1 მ დაშო-

რებით, დაფიქსირდა მომრგვალებული კონტურების მქონე ბათქაშების ყრილის ლაქა (ტაბ. X₈).
გათხრების ამ ეტაპზე სამუშაოები შეწყდა, თხრილი დაკონსერვდა და მიეყარა მიწა.

ზედა ფენის მასალები წარმოდგენილია ჭურჭლის პირის გვირგვინებით, ძირებით, ყურებით, კედლების ფრაგმენტებით (ტაბ. XI₁₋₈).

პირის გვირგვინები	16
ძირები	14
ყურები	4
კედლის ფრაგმენტები	235
სულ	259

აღსანიშნავია კიდევ ერთი თიხის ზოომორფული ქანდაკება ცხენის(?) გამოსახულებით (სურ. 4).



სურ. 4

არსებითად, იმავე სახის კერამიკული კომპლექსი დადასტურდა ბათქაშების ყრილში (ტაბ. XI₁₆₋₁₉).

პირის გვირგვინები	14
ძირები	2
ყურები	2
კედლის ფრაგმენტები	177
სულ	202

მცირერიცხოვანი კერამიკული ფრაგმენტები დაფიქსირდა თხრილის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილ ორმოშიც. აღსანიშნავია ჭურჭლის კედლები, შემკული ირიბი ჭდეებით, ზიგზაგისებურად ტეხილი ხაზებით შექმნილი ზოლებით, რელიეფური ქედებით და სხვ. (ტაბ. X₉₋₁₄).

პირის გვირგვინები	3
ძირები	-
ყურები	-
კედლის ფრაგმენტები	58
სულ	61

მთლიანდ „მელაშვილების გორაზე“ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა შეიძლება დათარიღდეს ძვ.წ. VIII-V სს-ით.

ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS AT SHUAMTA IN 2010

Summary

The purpose of the regional survey project begun in 2009 is to integrate existing knowledge about Vani and environs into the kind of technological and conceptual framework characteristic of contemporary American survey archaeology. Of particular importance is the use of Geographical Information Systems (GIS) as an organizational and analytical tool, and geophysical prospection both in the immediate environs of Vani and at regional sites.

Survey in 2009-2010 consisted of two main activities: visits to previously recorded sites in the foothills of the lesser Caucasus east and west of Vani (between Sajavakho in the west and Phereta in the east, and between the Phasis River in the north and the upper reaches of the Qumuri River in the south, a total area of approximately 35 km east-west by 15 km north-south, or 525 sq km), and geophysical survey of selected areas both at Vani, and at the sites of Saqanchia and Shuamta.

The goals of the program of geophysical reconnaissance carried out in 2009 were to test the applicability of two forms of prospection, electrical resistivity and magnetic (fluxgate gradiometer) survey, to three different situations at Vani and environs: 1) areas just outside the hill of Vani, 2) the area of Saqanchia, 3) regional sites (for which we chose the site of Shuamta).

Most of the effort put into geophysical prospection in 2010 was spent at Melashvilebisgora at Shuamta, where we resurveyed areas first surveyed in 2009, using a higher sampling density with the fluxgate gradiometer, and surveying in an east-west direction as well as in a north-south direction with the electrical resistivity meter.

Excavation at Shuamta was carried out in 4 trenches. The area examined was a roughly L-shaped field on the east slope of Melashvilebisgora, on the east side of the modern village of Shuamta (fig. 1).

Trenches 1, 2, and 4 were all designed to investigate linear anomalies visible as lines or chains of dots in the map of the magnetic survey results. All three were initially 1.5×8 m trenches laid out at a perpendicular to the respective anomalies. In all three cases, these anomalies turned out to be “compact masses” of burnt daub, visible just below the topsoil. The trenches were all then enlarged to investigate the anomalies further. Trench 3 was a 3×3 m square, unlike the other trenches, dug to investigate a “point target” rather than a linear feature. It proved to be a pit filled with burnt daub (pls. I-II).

Trench 1 was a 1.5×8 m trench plus a 3×5 m extension, located near the reentrant corner of the L-shaped field (pls. I-II₁). Here, the anomaly detected by the magnetic survey proved to be a north-south oriented pit 1 feature (1.55 m wide, 2.6 m long as excavated), filled with burnt daub and pottery. The pit extends further to the north of north edge of trench, but was fully excavated (i.e., dug down to the bottom at a maximum depth of 0.8 m below the present ground surface) within confines of trench (pl. III₁₋₈). The pit had been dug into undisturbed soil, and we excavated the area around it down to the top of undisturbed soil layer, but no features such as postholes were perceived either at the bottom of pit or around the edges. The ancient ground level, however, was unclear, and it is possible that it has been removed by modern ploughing (i.e., that it lay within the plough zone, between the present ground surface and the top of the undisturbed soil layer as preserved, which might have had the effect of making a pit feature such as this one especially noticeable in the magnetic survey).

Trench 2 was a 1.5×13 m trench dug at a perpendicular to a hillside sloping down from southwest to northeast, southwest of Trench 1 (pls. I-II₂₋₃). Excavation in this trench revealed only “cultural layers” – lenses thick with burnt daub and sherds – at both the southwest and the northeast ends of the trench (ca. 0.25 m below surface). Toward the uphill (southwest) part of the trench, this lens is level, and so possibly in situ. Toward the downhill (northeast) end of the trench, it slopes down at the same angle as the present ground surface, and so probably represents material washed down from above. Excavation proceeded through both cultural layers (max Th. ca. 0.25 m), but did not reach undisturbed soil. The maximum depth reached was approximately 0.45 m. below the present ground surface in the southeast, 0.75 m below the present ground surface in the northwest (pl. VI₁₋₈).

As noted above, Trench 3 was a 3×3 m square, dug to investigate a “point-target” rather than a linear feature, which proved, as predicted by geophysicist D. Maki, to be a circular pit, 2.3 m in diameter, largely filled with burnt daub and pottery (pls. I-II₄, VIII₁₋₈). The pit was completely excavated (in two stages, first the south half, then the north half); its

upper edges lay between 0.3 and 0.5 m below the present ground surface, its bottom between 0.9 and 1.1 m below the present ground surface. The daub was concentrated around edges of pit, especially on the west side, and it is possible that it belongs to the remains of wattle-and-daub walls built up from inside the pit – but it did not appear to be in situ, and it is equally possible and perhaps more likely that it was debris fallen or dumped into the pit. As in the case of the pit feature in Trench 1, no postholes or other features were perceived either in the bottom of pit or around the edges, but the ancient ground level was unclear. Its size suggests that this pit was more likely dug for storage than for habitation.

Trench 4 was a 4.5×10 m trench dug uphill from (southwest of) Trench 2, at the edge of the modern field (pls. I-II₅). The maximum depth reached was approximately 1.4 m below the present ground surface. In the north part of the trench, a large mass of burnt daub was revealed only in plan, just below the present ground surface. It was not clear on the basis of our excavations whether or not this mass was associated with a pit structure. But its very clearly defined east and south outlines show that it is in situ (unless these edges were defined by a later cut feature). An unusual feature was a large number of small cobbles, especially at the northwest edge of the burnt daub layer. Also present in the trench was an oval mass of burnt daub, almost certainly a small pit (pl. X₁₋₈).

In all four trenches were found more than 4,700 pieces of ceramics. Particularly high concentration of them was in the filling of pits and depressions.

Ceramics from the upper shifted layers is represented mainly by fragments of tablewares and kitchenwares of 8th-4th centuries BC. There are also fragments of Hellenistic items, including several fragments of Colchian amphorae. For general observations, Hellenistic pottery from the upper displaced layers increases in the number toward the top of the hill.

Ceramics from burnt daub layers is more homogeneous and consists of fragments of pithoi with black surface, decorated with relief vertical and horizontal ridges, rows of oval depressions; vessels with so-called “zoomorphic” handles; pots of different types and sizes; vessels decorated with horizontal and vertical grooves.

We should also mention some clay zoomorphic figurines – sheep, ox or horse, undefinable creature with a long neck, which is wrapped by a snake (figs. 2-4).

The totality of the base material can be dated 8th-7th centuries BC.

ლიტერატურა

ბერაძე თ. 1977: ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან. – ვანი, ტ. III. თბილისი, 28-42.

გამყრელიძე გ. 1982: ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბილისი.

კაჭარავა დ. 1983: ძვ.წ. VI-IV საუკუნეების მოხატული, შავლაკიანი და სადა კერამიკა. – ვანი, ტ. VII. თბილისი, 26-50.

Квирквелия Г. Т. 1990: Ванский регион в VIII-V вв. до н. э. – Причерноморье в VII-V вв. до н. э. Письменные источники и археология. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани – 1987. Тбилиси, 280-283.

ტაბულაჟის და სურათების აღწერილობა

სურ. 1 – შუამთა. აეროფოტო.

სურ. 2 – ცხვრის თიხის ფიგურა № 1 თხრილიდან.

სურ. 3 – ზომორფული თიხის ფიგურა № 3 თხრილიდან.

სურ. 4 – ზომორფული თიხის ფიგურა № 4 თხრილიდან.

ტაბ. I – „მელაშვილების გორა“, ტოპოგრაფიული გეგმა.

ტაბ. II – თხრილები №№ 1-4, გეგმები და ქრილები.

ტაბ. III – თხრილი № 1: 1. მეორე ბარისპირზე გამოჩენილი ბატეაშვიანი ყრილი; 2. ბატეაშვილის ზოლი თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში; 3. ბატეაშვილის ყრილი, დეტალი; 4. მომატებულ ფართობში აღმოჩენილი ბატეაშვილის ყრილი; 5. იგივე, მსხვილი პლანით, ხედი სამხრეთიდან; 6. ორმოს დასავლეთი ნაწილი პირველი 20 სმ ფენის ალების შემდეგ;

7. ორმო № 1 სრული ამოსუფთავების შემდეგ; 8. თხრილის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში არსებული ორმო № 2-ის შევსების მოცილების შემდეგ.

ტაბ. IV – თხრილი № 1: 1-22. კერამიკა ზედა ჩამორეცხილი ფენიდან; 23-35. კერამიკა ბათქაშების ყრილიდან; 36-38. კერამიკა № 2 ორმოს შევსებიდან; 39-51. კერამიკა № 1 ორმოს შევსებიდან.

ტაბ. V – თხრილი № 1: 1-57. კერამიკა № 1 ორმოს შევსებიდან.

ტაბ. VI – თხრილი № 2: 1. ბათქაშების ყრილი თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან; 2. იგივე, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან; 3. ბათქაშების ყრილი. დეტალი; 4. საერთო ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. მოჩანს მომატებულ ფართობში გამოვლენილი ბათქაშების ყრილი; 5. ბათქაშების ყრილი თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან; 6. იგივე მსხვილი პლანი; 7. იგივე. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან; 8. ბათქაშების ყრილის სრული მოხსნის შემდეგ. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

ტაბ. VII – თხრილი № 2: 1-6. კერამიკა ზედა ჩამორეცხილი ფენიდან; 7-21. კერამიკა ბათქაშების ყრილიდან.

ტაბ. VIII – თხრილი № 3: 1. ზედა ბათქაშებიანი ფენის მოხსნის შემდეგ. ჩანს წრიული მოხაზულობის ორმო: 2. ბათქაშები ორმოს დასავლეთ კიდეზე; 3. იგივე, მსხვილი პლანი; 4. იგივე, განმენდის შემდეგ. ხედი სამხრეთიდან; 5. იგივე, განმენდის შემდეგ. ხედი დასავლეთიდან; 6. ბათქაშების ყრილი ორმოს ფსკერზე, ხედი აღმოსავლეთიდან; 7. ბათქაშების ყრილი ორმოს ფსკერზე, ხედი სამხრეთიდან; 8. ორმო სრული განმენდის შემდეგ. ჭურჭელი ორმოს დასავლეთ კიდეში, ხედი ჩრდილოეთიდან.

ტაბ. IX – თხრილი № 3: 1-8. კერამიკა ზედა ფენიდან; 9-37. კერამიკა ორმოს შევსებიდან.

ტაბ. X – თხრილი № 4: 1. თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, შავი ფერის ლაქა. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან; 2. თხრილის შუა ნაწილში დაღრმავების შემდეგ. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან; 3. ბათქაშების ყრილი აღმოსავლეთიდან მომატებულ ფართობში. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან; 4. ბათქაშების ყრილი, ხედი აღმოსავლეთიდან; 5. ბათქაშების ყრილი, ხედი ჩრდილოეთიდან; 6. ბათქაშების ყრილი, დეტალი; 7. ბათქაშების ყრილი, დეტალი. 8. ბათქაშების გროვა თხრილის სამხრეთ ნაწილში. ხედი სამხრეთიდან.

ტაბ. XI – თხრილი № 4: 1-8. კერამიკა ზედა ჩამორეცხილი ფენიდან; 9-14. კერამიკა თხრილის დასავლეთ ნაწილში არსებული ჩაღრმავებიდან; 15-19. კერამიკა ბათქაშების ყრილიდან.

DESCRIPTION OF THE FIGURES AND THE PLATES

Fig. 1. – Shuamta. Aerial.

Fig. 2 – Clay figurine from the trench # 1.

Fig. 3 – Clay figurine from the trench # 3.

Fig. 4 – Clay figurine from the trench # 4.

Pl. I – Shuamta, “Melashvilebis Gora”, topographical plan.

Pl. II – Trenches 1-4, plans and sections.

Pl. III – Trench 1: 1. Burnt daub layer; 2. Burnt daub layer at the eastern part of the trench; 3. Burnt daub layer, detail; 4. Burnt daub layer at the additional part of the trench; 5. The same, details; 6. West part of the pit 1 after removing first 20 cm layer; 7. Pit 1 after full removing of the filling; 8. Pit 2 at the north-west corner of the trench.


Pl. IV – Trench 1: 1-22. Pottery fragments from the upper disturbed and replaced soil; 23-35. Pottery fragments from burnt daub layer; 36-38. Pottery shards from the filling of the pit 2; 39-51. Pottery shards from the filling of the pit 1.

Pl. V – Trench 1: 1-57. Pottery shards from the filling of the pit 1.





Pl. VI – Trench 2: 1. Burnt daub layer at the north-western part of the trench; 2. The same, view from the south-east; 3. Burnt daub layer, detail; 4. General view from the north-west. Burnt daub layer in additional part of the trench; 5. Burnt daub layer at the south-eastern part of the trench; 6. the same, in detail; 7. The same, view from the south-east; 8. View of the trench after removing of the burnt daub layer.

- Pl. VII – Trench 2: 1-6. Pottery fragments from the upper disturbed layer; 7-21. Pottery fragments from the burnt daub layer.
- Pl. VIII – Trench 3: 1. After removing of upper burnt daub layer. The outlines of a circular in plan pit is visible; 2. Burnt daubs at the western edge of the pit; 3. The same, in detail; 4. The same, view from the south; 5. The same, view from the west; 6. Burnt daubs on the bottom of the pit, view from the east; 7. Burnt daubs on the bottom of the pit, view from the south; 8. Pit after removing of the filling.
- Pl. IX – Trench 3: 1-8. Pottery shards from the upper layer; 9-37. Pottery shards from the filling of the pit.
- Pl. X – Trench 4: 1. Black colored patch at the south-eastern part of the trench; 2. The middle part of the trench with depression; 3. Burnt daub layer in additional eastern part of the trench; 4. Burnt daub layer, view from the east; 5. Burnt daub layer, view from the north; 6. Burnt daub layer, detail; 7. Burnt daub layer, detail; 8. Compact mass of the burnt daub at the south part of the trench.
- Pl. XI – Trench 4: 1-8. Pottery fragments from the upper disturbed and replaced soil; 9-14. Pottery fragments from the depression at the western part of the trench; 15-19. Pottery fragments from the burnt daub layer.

ტაბ. 1



ტაბ. II



ტაბ. III



1



2



3



4



5



6




7




8

գծ. IV



ცაბ. V



ക്രമം. VI



1



2




3



4



5




6



7



8



ცაბ. VIII



1



2



3



4



5



6



7




8

ᑕᑕ. IX



ტაბ. X



1



2



3




4




5




6



7



8



შიოსუბნის სამაროვანი და ნამოსახლარი

2013 წლის ივლის-აგვისტოში, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს დაფინანსებითა და ეროვნული მუზეუმის მონაწილეობით, განხორციელდა პროექტი, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდების ჩართვა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვლევაში. პროექტი აგრეთვე ითვალისწინებდა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების, ქართველი და უცხოელი სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდების დაახლოებასა და ინტეგრაციას. პროექტში სამმა ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა. ისინი ეროვნული მუზეუმის ნასტაკისის არქეოლოგიურ ბაზაზე ცხოვრობდნენ, უზრუნველყოფილნი იყვნენ კვებით, უტარდებოდათ ლექცია-საუბრები საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის შესახებ, ენობოდა ექსკურსიები არქეოლოგიურ და ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე.

ამ ადგილებში პირველი ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვები ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ 1925 წელს ჩატარდა. 1962-1972 წლებში მიმდინარეობდა არქეოლოგიური დაზვერვები და მცირემასშტაბიანი გათხრები, რომელსაც ლ. ჭილაშვილი და ი. გაგომიძე აწარმოებდნენ, ხოლო 1972 წლიდან 90-იანი წლების ბოლომდე მუშაობდა მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია ა. ბოხორაძისა და ნ. მირიანაშვილის ხელმძღვანელობით. ამ ექსპედიციას უკავშირდება მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩენები. მათ შორის ქალაქის ტიპის მსხვილი დასახლება, რომელიც ძვ.წ. IV-ახ.წ. VII სს. თარიღდება და სხვადასხვა პერიოდის სამაროვნები და ცალკეული სამარხები.

2013 წელს, ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა მცხეთის მუნიციპალიტეტში, სავანეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე, მშენებელთა მიერ ნაწილობრივ დაზიანებულ ორ ობიექტზე: შიოსუბნის სამაროვანზე და ნამოსახლარზე, რომლებიც ერთმანეთისაგან საკმაოდ ახლოს, დაახლოებით 150 მ დაშორებით მდებარეობენ (ტაბ. I).

შიოსუბნის სამაროვანი. აქ გაითხარა ორი სამარხი (ტაბ. II₁).

სამარხი № 1 წარმოადგენს სწორკუთხედის ფორმის თიხის სარკოფაგს (სიგრძე 2 მ, სიგანე 0,65 მ. ტაბ II₃), რომელიც გადახურული ყოფილა ხის ექვსი ძელით. დამწვარი ძელები სარკოფაგის სარქველზე ეწყო. სამარხი დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მასში დაფიქსირდა ორი მიცვალებულის (ქალისა და მამაკაცის) ნეშტი. ორივე მათგანი სარკოფაგში გამოტილ მდგომარეობაში ჩაუსვენებიათ თავით დასავლეთისაკენ (როგორც ჩანს, თავები გადავარდნილი ჰქონდათ). ჩონჩხების ცუდი დაცულობის გამო, მიცვალებულთა პოზის ზუსტი განსაზღვრა ჭირს. სარკოფაგის იატაკი აღმოსავლეთ მხარეს კირით შეუღესავთ, რაც მის მეორად გამოყენებაზე მიუთითებს. როგორც ჩანს იატაკის შეღესვა მეორე მიცვალებულის დაკრძალვის დროს უნდა მომხდარიყო.

სამარხში ერთ-ერთი მიცვალებულის თავთან აღმოჩნდა რკინის ორი საკინძი, რომელიც ფრაგმენტების სახით იყო წარმოდგენილი (ტაბ. IV₅).

სამარხი № 2. სწორკუთხედის ფორმის თიხის სარკოფაგს წარმოადგენდა (სიგრძე 2 მ, სიგანე 0,7 მ. ტაბ II₄), რომელსაც თიხისავე სახურავი ფარავდა. სახურავზე ხის ორი ძელი იდო. მასში დაკრძალული ორი მიცვალებულიდან ერთი გამოტილ მდგომარეობაში დაუკრძალვთ, ხოლო მეორე ფეხებმოკეცილი. დამხრობილები იყვნენ თავით დასავლეთისაკენ. სარკოფაგიცა და ჩონჩხებიც ცუდად იყო დაცული. სარკოფაგს საფუძვლიანი შეკეთების კვალი ეტყობოდა: როგორც ჩანს მისი დაზიანებული იატაკი მოგვიანებით კირისხნარით შეუღესავთ, ხოლო ჩრდილოეთის მხარეს კედელი ბრტყელი კრამიტით ამოუშენებიათ. ისევე როგორც პირველ სარკოფაგში, აქაც მიცვალებულები სხვადასხვა დროს ჩანან დაკრძალულები, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ გამოტილ პოზაში დაკრძალული მიცვალებული უფრო მაღლა იყო, ვიდრე მეორე. მიცვალებულები სახით ერთმანეთისკენ იყვნენ მიქცეულნი.

სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენდა

ბრინჯაოს ორი ძვლისთავიანი საკინძი, რომლებიც ერთ-ერთი მიცვალებულის თავის ქალასთან აღმოჩნდა (ტაბ. IV₄).

თიხის სარკოფაგები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში გამოვლინდა საგურამოსა და ალაიანში [მაკალათია 1941: 89], რომლებიც მათში დადასტურებული მასალის მიხედვით, IV-V სს. დათარიღდა. მოგვიანებით, 80-ან წლებში, ამავე ტერიტორიაზე კვლავ აღმოჩნდა და გაითხარა ათი სარკოფაგი. ამჯერად მათი თარიღი უფრო დაზუსტდა და IV საუკუნითა და V საუკუნის პირველი ნახევრით განისაზღვრა [მირიანაშვილი 1983: 100-103]. ასევე დათარიღდა სოფ. ნატახტართან, ადგილ „საფურცლებზე“ 2003 წელს გათხრილი სარკოფაგიც [ნიკოლაიშვილი 2006: 96]. გაცილებით ადრეულია (ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი) სოფ. ალაიანში, რიყიანის ველზე გამოვლენილ სამაროვანზე დადასტურებული სარკოფაგები [ნიკოლაიშვილი 2006: 39-40]. თიხის სარკოფაგები აღმოჩენილია მუხრანის ველზეც: 1946 წელს აქ გაითხარა ექვსი ქვისსამარხი, რომლებშიც ჩადგმული იყო თიხის დიდრონი სარკოფაგები [უგრელიძე 1977: 14-15]. სამი ბანურსახურავიანი, აბაზანისებური თიხის სარკოფაგი აღმოჩნდა სოფ. გოროვანთან. 1986 წელს საგურამოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, აღმოჩნდა სამთავროსა და საფურცლის სარკოფაგების მსგავსი და მათი სინქრონული სარკოფაგები. 1972 წელს სამთავროზე, საქართველოს სამხედრო გზის გაფართოებისას, აღმოჩნდა ებრაული ეპიტაფია, ვინმე იეგუდას (გურიკის) საფლავის ქვაზე. ქვიშაქვის სტელა ებრაული წარწერით სამთავროზე აღმოჩნდა 1938 წელსაც. გამოთქმულია ვარაუდი რომ, ეს სტელები შესაძლოა აღმართულნი იყვნენ ქვისსამარხებზე, რომლებშიც თიხის სარკოფაგები იყო ჩადგმული [ნიკოლაიშვილი 2006: 94].

გარდა ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიისა (რომელსაც შიოსუბანიც მიეკუთვნება), თიხის სარკოფაგების აღმოჩენის ცალკეული შემთხვევები დადასტურებულია ოძისში და ატენში (ხაშურისა და გორის მუნიცი.). ურბნისის ნაქალაქარზე კი 1959 და 1964 წლებში 13 თიხის სარკოფაგი გაითხარა (თითო ან ორი მიცვალებულის ნეშტით), რომლებიც IV-V სს. თარიღდებიან.

ყოველივე ამის გათვალისწინებით შიოსუბნის სამაროვანიც IV ს-ის მეორე ნახევრითა და V ს. უნდა დათარიღდეს.

ვ. ნიკოლაიშვილი ვარაუდობს, რომ სარკოფაგების არსებობა საქართველოში და, კერძოდ,

დიდი მცხეთის ტერიტორიაზე, ებრაელთა ინტენსური დასახლებისა და წმ. ნინოს მოღვაწეობის პერიოდს უკავშირდება. მისი აზრით, სარკოფაგებში სწორედ ებრაელები (ჯერ იუდეველნი, შემდეგ გაქრისტიანებულნი) იკრძალებოდნენ. მოგვიანებით კი სარკოფაგები ადგილობრივ მცხოვრებთა დასაკრძალავიც გახდა, რაზეც ის გარემოებაც მეტყველებს, რომ მათში დადასტურებული დაკრძალვის წესი და ინვენტარი არ განსხვავდება სხვადასხვა ტიპის სინქრონული სამარხებისაგან. სამარხთა ეს ტიპი და მათში მიცვალებულთა დაკრძალვის იდეა ვ. ნიკოლაიშვილს ახლო აღმოსავლეთიდან (იერუსალიმი, ბაბილონი) შემოსულად მიაჩნია [ნიკოლაიშვილი 2006: 98]. ახალი მასალის აღმოჩენა და შემდგომი კვლევები ამ საკითხს ალბათ მეტ ნათელს მოჰყვენს. რაც შეეხება შიოსუბნის სარკოფაგებს, მიცვალებულთა პოზისა და დამხრობის გათვალისწინებით ისინი, ჩვენი აზრით, ქრისტიანთა სამარხებს წარმოადგენდნენ.

შიოსუბნის ნამოსახლარი მდებარეობს სამაროვნის აღმოსავლეთით, მისგან 150 მ დაშორებით. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი რამოდენიმე წლის წინ მშენებლებმა დააზიანეს. კულტურული ფენა იწყებოდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 30-70 სმ სიღრმეზე. ამ ფენას ფარავდა ბორცვის ფერდობიდან დაცურებული 40-80 სმ ფენა, რომლის აღებისას ძირითადად გვიანანტიკური ხანის კერამიკის ფრაგმენტები ჩნდებოდა. გაითხარა ერთი ნაგებობა, რომელიც ორი სათავსისაგან შედგებოდა (ტაბ. II₂).

გათხრების პროცესში ნათელი გახდა, რომ ნაგებობა ძლიერი ხანძრის შედეგად უნდა განადგურებულიყო. ჭრილში კარგად ჩანდა ფენების მონაცვლეობა შემდეგი თანმიმდევრობით: დამწვარი ბათქაში (17-52 სმ), ნახშიროვანი ფენა, რომელიც შეიცავდა ხის ძელებისა და გადახურვის ნაშთებს. ამავე დონეზე ჩნდებოდა დანახშირებული სარ-ლასტის ფრაგმენტები; დამწვარი ბათქაშის თხელი ფენა (5-15 სმ). თხრილში (6,6 x 3 მ) დაფიქსირდა გადარჩენილი ნაგებობის ნაწილი (6,6 x 1,4 მ), სადაც განმენდის შედეგად გამოვლინდა მისი ორი სათავსი (ტაბ II₂).

ნაგებობის განმენდისას გამოვლენილი ძელების ჩასადგმელი ფოსოები, გვაფიქრებინებს, რომ მას ბანური გადახურვა ქონია. 1,5 მ სიღრმეზე დაფიქსირდა თიხატკეპნილი იატაკის ნაშთი.

ჩრდილოეთის მხარეს შემორჩენილი № 1 სათავსის ფართობია 2,4 x 1,4 მ. ჩრდილოეთის კედელი, როგორც ჩანს, ალიზის აგურით იყო ნაგები,

ვინაიდან ორი ასეთ აგური (ზომები: 0,55 x 0,36 მ) დაფიქსირდა მის შემორჩენილ, დასავლეთ ნაწილში. აღმოსავლეთი კედლის კუთხეებში დაფიქსირდა ხის საყრდენი ძელების ორი ფოსო, ხოლო იატაკზე ჩნდებოდა კერამიკის ფრაგმენტები.

სამხრეთით მდებარე № 2 სათავსის შემორჩენილი ფართობია 3,3 x 1,4 მ. ნაყარ ფენაში სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა რკინის ნივთები. ნაგებობაში დაფიქსირდა თარო, რომლის დადაბლებისას აღმოჩნდა რკინის ნივთის ფრაგმენტი, ხოლო ჩრდილოეთით, გამყოფ უღელთან, ხილის კურკები.

სათავსის იატაკზე აღმოჩნდა თიხის ექვსი ჭურჭელი, დასავლეთის მხარეს, — იატაკზე რკინის წიდა, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში კი ჩამტვრეული ჭურჭელი, რომელშიც მარცვლელული ყოფილა მოთავსებული.

სულ ნამოსახლარზე აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი:

კრამიტის ფრაგმენტი. ლეგა-მოყავისფროდ გამომწვარი, ასეთივე ფერის კარგად განლექილი კეცით, ღარიანი. აღმოჩნდა № 2 სათავსში, II კვადრატში (ტაბ. IV₁).

ხელადა. თიხის. ლეგა-მოშავო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. პირგადაშლილი, შეზნექილი ყელით, ფართო და ბრტყელი ძირით. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მხარსა და მუცელზე. მთელს კორპუსზე დაუყვება წვრილი, ჰორიზონტალური, კონცენტრული ღარები. აღმოჩნდა № 2 სათავსში (ტაბ. III₂).

ხელადა. თიხის, ოდნავ გადაშლილი პირით, მაღალი და შეზნექილი ყელით, გამობერილი მუცლით, ბრტყელი ძირით, ჰქონია ოვალურგანივკვეთიანი ყური, რომელიც მიძერწილი ყოფილა პირსა და მუცელზე. შემკულია ნახატი ორნამენტით: მუცლის შუა ნაწილზე შემოუყვება შავი საღებავით დატანილი ჰორიზონტალური წვრილი ხაზი, ხოლო მის ზემოთ ორ პარალელურ, ნახევრადწრიულ რკალს შორის დატანილი წითელი წერტილები. წრიულ ხაზსა და ნახევარრკალებს შორის დატანილია შავი საღებავით შესრულებული ხვიისებური ორნამენტი. ნაკლულია: აკლია გვერდისა და ძირის ნაწილი. აღმოჩნდა № 2 სათავსში, II კვადრატში (ტაბ. III₃).

დოქი. თიხის, ღია ჩალისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით (აკლია პირი და ყელი). ეტყობა ცეცხლში ყოფნის კვალი. აქვს გამობერილი მხრები და მუცელი, რომელიც მკვეთრად დაქანებულია ბრტყელი ძირისაკენ. მუცელზე შემოუყვება ორ პარალელურ ხაზს შორის მო-

თავსებული, ტალღისებური, ამოღარული ორნამენტი. მხარზე ემჩნევა ოვალურგანივკვეთიანი ყურის გადანატეხი. აღმოჩნდა № 2 სათავსში, III კვადრატში (ტაბ. III₄).

დოქი. თიხის. ღია-ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. ნაკლულია (აკლია პირი, ყელის დიდი ნაწილი და ყური). მხრებგამობერილი, ფართო ბრტყელი ძირით. მუცელზე ატყვია ოვალურგანივკვეთიანი ყურის გადანატეხი. მხარზე შემოუყვება სუსტად ამოღარული ჰორიზონტალური ხაზი, ხოლო ყელის ძირზე — რელიეფური ხაზი. აღმოჩნდა № 2 სათავსში, III კვადრატში (ტაბ. III₅).

ქოთანი. თიხის. რუხი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით (აკლია პირი და მხრის ნაწილი). აქვს შეზნექილი ყელი, გამობერილი მხრები და მუცელი, ფართო და ბრტყელი ძირი. აღმოჩნდა № 2 სათავსში (ტაბ. III, 6).

ხელადა. თიხის. ყავისფერი ზედაპირითა და შიდაპირით, რუხი კეცით (აკლია პირის ყელისა და გვერდის ნაწილი). პირგადაშლილი, შეზნექილი ყელით, გამობერილი მუცლით, ფართო და ბრტყელი ძირით. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მხარსა და მუცელზე. ყველგან შემოუყვება მსუბუქად ამოღარული, წვრილი, კონცენტრული ხაზები. აღმოჩნდა № 2 სათავსში, III კვადრატში (ტაბ. III₇).

ხელადა. თიხის. ღია ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით (აკლია პირისა და მუცლის ნაწილი). პირგადაშლილი, შეზნექილი ყელით, გამობერილი მუცლით, ფართო და ბრტყელი ძირით. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მხარსა და მუცელზე. მთელ კორპუსზე შემოუყვება სუსტად ამოღარული, ჰორიზონტალური, პარალელური ხაზები. აღმოჩნდა № 2 სათავსში, III კვადრატში (ტაბ. III₈).

ხელადა. თიხის. მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და წვრილმარცვლოვანი კეცით (აკლია პირისა და გვერდის ნაწილი). პირგადაშლილი, ფართო ტუჩით, შეზნექილი ყელით, გამობერილი მუცლით, ბრტყელი ძირით. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია ყელსა და მუცელზე. მთელს კორპუსზე შემოუყვება სუსტად ამოღარული, კონცენტრული წრეები. ეტყობა ცეცხლში ყოფნის კვალი. აღმოჩნდა № 2 სათავსში, III კვადრატში (ტაბ. III₉).

ხელადა. თიხის. ყავისფერი ზედაპირით, რუხი შიდაპირითა და ასეთივე ფერის წვრილმარცვლოვანი კეცით. აკლია პირის ნაწილი. პირგადაშლილი, შეზნექილი ყელით, გამობერილი მუცლით, ფართო და ბრტყელი ძირით. ბრტყელ-

განივკვეთიანი ყური მიძერწილია მხარსა და მუცელზე. მთელს კორპუსზე შემოუყვება სუსტად ამოღარული, კონცენტრული წრეები. ეტყობა ცეცხლში ყოფნის კვალი. აღმოჩნდა № 2 სათავსში, II კვადრატში (ტაბ. III₁₀).

ხელადა. თიხის. ღია ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი, წვრილმარცვლოვანი კეციტით. აკლია პირისა და გვერდის ნაწილი. პირგადაშლილი, შეზნეილი ყელით, გამობერილი მუცლით, ფართო და ბრტყელი ძირით. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მხარსა და მუცელზე. მთელს კორპუსზე შემოუყვება სუსტად ამოღარული, წვრილი, კონცენტრული წრეები. ეტყობა ცეცხლში ყოფნის კვალი. აღმოჩნდა № 2 სათავსში, II კვადრატში (ტაბ. III₁₁).

ხელადა. თიხის. მინიატურული. ჩალისფერი ზედაპირითა და შიდაპირით. ოდნავ გადაშლილი პირით, მაღალი, შეზნეილი ყელით, გამობერილი მუცლით, ფართო და ბრტყელი ძირით. ბრტყელგანივკვეთიანი ყური, რომელიც სიმაღლეში ოდნავ აცდენილია პირს, მიძერწილია პირსა და მხარზე. მთელს კორპუსზე შემოუყვება სუსტად ამოღარული, კონცენტრული წრეები. აღმოჩნდა № 2 სათავსში, II კვადრატში (ტაბ. III₁).

ნამოსახლარზე ასევე აღმოჩნდა: თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (მათ შორის მოჭიქული), 4 კგ. რკინის წიდა, სპილენძის ფირფიტა, რკინის ლურსმნები, ბათქაშის ფრაგმენტები, სალესი და სასრესი ქვები (ტაბ. IV_{2,3}) და სხვ.

განსაკუთრებით გამოირჩევა რამდენიმე ნივთი, რომლებიც ძეგლს ყველაზე უკეთ ათარიღებს. ამ მხრივ გამორჩეულად საინტერესოა მოხატული ხელადა (ტაბ. III₃). განიხილავდა რა ამ ტიპის ჭურჭლებს, ვ. ჯაფარიძე აღნიშნავდა: “მცირე გამონაკლისის გარდა, ჭურჭლების ეს ჯგუფი უმთავრესად პატარა ნატეხების სახითაა წარმოდგენილი” [ჯაფარიძე 1956: 20]. ასე რომ, შიოსუბნის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ხელადა, რომელიც თითქმის მთლიანად აღდგენილია, სწორედ ამ „მცირე გამონაკლისთა“ შორისაა. ამ ტიპის ჭურჭელი აღმოჩენილია დმანისში, გუდარეხში, რუსთავში, თბილისში, თრიალეთში და X-XIII სს-ით თარიღდება [ჯაფარიძე 1956: 20, ტაბ. IX_{1,2,3,4,8,9}]. ასევე უნდა დათარიღდეს შიოსუბნის ხელადაც და, შესაბამისად, ნამოსახლარიც, მით უმეტეს რომ, ძეგლზე აღმოჩენილი სხვა ჭურჭლის ფორმებიც სწორედ განვითარებული შუა საუკუნეებისათვისაა დამახასიათებელი.

SHIOSUBANI BURIAL GROUND AND THE SETTLEMENT

Summary

In 2013, with funding from the Ministry of Sport and Youth Affairs, with the participation of the National Museum of Georgia, a project whose goal was to involve young people of different nationalities living in Georgia into the study of the cultural heritage of the country. The project has conducted archaeological research in the Shiosubani settlement and burial, which are located on the territory of Mtskheta municipality, on the north-eastern slope of Savaneti ridge.

At the cemetery was found two clay sarcophagus (pl. III₃₋₄). In each of them were buried two persons, male and female, according to the Christian rite, in the extended position on the back, head to the west. In grave 1 were found two iron pins, and in the grave 2 – two bronze hairpins with bone heads (pl. IV, V). Graves are dated back to the second half of the 4th and 5th cent. AD.

On settlement Shiosubani, 150 m east of the burial ground, was excavated building partially destroyed by constructors, which consisted of two rooms (pl. II₂). Apparently, the building was destroyed in a fire. Judging by clay pottery found on the floor of one of the rooms, the settlement dates back to the 1st-13th centuries (pls. III, IV_{1,2,3}).

ლიტერატურა

მაკალათია ს. 1941: არქეოლოგიური გათხრები საქართველოში, სოფ. საკობიანოში, დაბლა გომსა და ალაიანში. – სსმმ, XI, 81-91.

ნიკოლაიშვილი ვ. 2006: ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ებრაელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის დამადასტურებელი წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემები. – დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, IV, 92-99.

მირიანაშვილი ნ. 1883: შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი.

უგრელიძე ნ. 1977: ადრეული შუასაუკუნეთა მინის წარმოების ისტორიისათვის. თბილისი.

ჯაფარიძე ვ. 1956: ქართული კერამიკა (X-XIII სს.). თბილისი.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. შიოსუბნის სამაროვნისა და ნამოსახლარის ტოპოგეგმა.

ტაბ. II. 1. შიოსუბნის სამაროვნის გეგმა; 2. შიოსუბნის ნამოსახლარის გეგმა და ჭრილი; 3. სამარხი №1; 4. სამარხი №2.

ტაბ. III. თიხის ჭურჭელი შიოსუბნის ნამოსახლარიდან.

ტაბ. IV. 1. კრამიტი შიოსუბნის ნამოსახლარიდან. 2. სასრესი ქვები შიოსუბნის ნამოსახლარიდან. 3. სალესი ქვა შიოსუბნის ნამოსახლარიდან. 4. ბრინჯაოს ძვლისთავიანი საკინძები შიოსუბნის სამაროვნის №2 სამარხიდან. 5. რკინის საკინძები შიოსუბნის სამაროვნის №1 სამარხიდან.

DESCRIPTION OF THE PLATES


Pl. I – 1. Topographical plan of Shiosubani burial ground and settlement.

Pl. II – 1. Plan of Shiosubani burial ground; 2. Plan and section of Shiosubani settlement; 3. Grave 1; 4. Grave 2.


Pl. III – Clay pottery from Shiosubani settlement.

Pl. IV – 1. Roof tile from the Shiosubani settlement; 2. Grater stones from the Shiosubani settlement; 3. Grindstone from the Shiosubani settlement; 4. Bronze hairpins with bone heads from grave 2; 5. Iron pins from the grave 1.

ტაბ. I



ტაბ. II



ക്രമ. III









Fig. IV



4



5



არქეოლოგიური გათხრები ქაშუეთთან

თბილისში, ქაშუეთის ეკლესიასა და კინოთეატრ „რუსთაველს“ შორის, იმ ადგილას, სადაც ადრე სასტუმრო „ინტურისტი“, შემდგომში კი „მხატვრის სახლი“ იდგა (რუსთაველის გამზირი № 7), მშენებლების მიერ ქვაბულის ამოღებისას, ქვაბულის ჩრდილოეთ კიდედთან თავი იჩინა თიხის ჭურჭლის ნატეხებმა და კედლის ნაშთებმა.¹ აღმოჩენის შესახებ 2008 წლის სექტემბერში მშენებლებმა აცნობეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელობას.

ძეგლს ჩრდილოეთიდან საზღვრავდა ქვაბულსა და ქაშუეთის ეკლესიას შორის არსებული გზა. ამ მხარეს მუშაობა ქმნიდა გზის ჩამოშლის საშიშროებას. იგივე უნდა ითქვას ძეგლის დასავლეთით მიმდებარე ფართობზეც, საიდანაც ძეგლს რუსთაველის გამზირი და 6-7 მ სიმაღლის ვერტიკალურად ჩაჭრილი ქვაბულის კიდე ესაზღვრებოდა. დასავლეთი ნაწილის შესწავლა არ გამოიყურებოდა პერსპექტიულად, ვინაიდან ამ მხარეს მხოლოდ თანამედროვე ნყალმომარაგების მილები და სანიაღვრე ჭები ჩანდა. სამხრეთი ნაწილი მთლიანად იყო განადგურებული, როგორც იმჟამინდელი, ისე იმ ადგილას უფრო ადრე ჩატარებული სამშენებლო

1 კედლის ნაშთების გარდა, რომელიც, როგორც შემდგომში გაირკვა, გვიანდელ შუასაუკუნეებს განეკუთვნებოდა, მშენებლობის პროცესში ქვაბულის ჩრდილოეთი კიდის დასავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 6 მ სიღრმეზე, ანუ გვიანდელ ნაგებობებზე გაცილებით ღრმად, აღმოჩნდა რკინის იარაღის (დანის?) უსახური ნატეხები (ტაბ. II₂₀) და მიცვალებულის ძვლები. ქვაბულის კიდეზე ჩვენს მიერ გაკეთდა 2 მ სიგრძის, 70 სმ სიგანისა და 60 სმ სიღრმის ჭრილი, სადაც გამოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა ფეხის წვივის ძვლისა და მარცხენა ფეხის კოჭისა და ფალანგის ძვლები. მიცვალებული დასვენებული უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე, თავით აღმოსვლეთით. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა თხრილის სხვადასხვა მიმართულებით გაფართოება უფრო მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად. არაა გამორიცხული, რომ აქ წინაქრისტიანული სამაროვნის ნაშთთან გვეკონდეს საქმე.

სამუშაოებისას. ერთადერთი, რაც შეიძლება გაკეთებულიყო, ეს იყო ქვაბულის ჩრდილოეთი კიდის განმენდა, სადაც ჭრილში ნაგებობათა კედლების ნაშთები ჩანდა.

ქვაბულის ჩრდილოეთი კიდის დაახლოებით ცენტრალურ ნაწილში, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 2-2,5 მ სიღრმეზე გაიწმინდა კედლის ნაშთი. ეს იყო აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი 5 მ სიგრძის, 70 სმ სიგანისა და 60-70 სმ სიმაღლემდე შემორჩენილი, რიყის ქვითა და კვადრატული აგურით თიხამინაზე ნაშენი კედელი, რომელიც წარმოადგენდა საცხოვრებელი თუ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობის ჩრდილოეთ კედელს. ქვა და აგური წყობაში ირიბად „წოლით“ იყო დალაგებული. კედლის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა 1 მ სიგრძისა და 20 სმ სიგანის თახჩა, რომლის სიმაღლე 20 სმ-დე იყო შემორჩენილი (ტაბ. I₁).

კედლის დასავლეთი კიდიდან 1 მ-ის დაშორებით გამოვლინდა თონე, რომლის ძირი კედლის საძირკველიდან 30 სმ-ით მაღლაა. თონე ნაკლულია. ის შედგებოდა სამი, ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმული ნაწილისაგან (თონის ზომები: სიმაღლე 70 სმ, დმ 55 სმ, კედლის სისქე 2,5 სმ. ტაბ. I₁, №1). თონეში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი (ტაბ. II₄₋₅).

აღნიშნული თონიდან დასავლეთით, ქვაბულის ჭრილში, თავი იჩინა მეორე თონემ (ტაბ. I₁, №2), რომელიც პირველ თონესთან შედარებით მინაში 50-60 სმ-ით უფრო ღრმად იყო ჩამჯდარი. თონე ნაკლულია (დაზიანებული იყო მშენებლების მიერ). თონის პირი რამდენადმე შესქელებულია. ბაკოზე შემოუყვება ამოღარული ტალღოვანი სარტყელი. გვირგვინის კიდე შემკულია რელიეფური „თოკისებრი“ ორნამენტით (ტაბ. I₂). ისიც სამი ნაწილისაგან შედგებოდა. იმჟამად მხოლოდ ერთი ნაწილი იყო შემორჩენილი (თონის ზომები: სიმაღლე 1 მ, დმ 65 სმ, კედლის სისქე 2,5 სმ). თონეს ჩრდილოეთიდან ეკვროდა 2,8 მ სიგრძეზე და 90 სმ სიმაღლეზე შემორჩენილი, რიყის ქვით ტალახზე ნაშენი კედელი (ტაბ. I₁). კედლის აღმოსავლეთ ნაწილში შეიმჩნოდა რამდენადმე მომრგვალებული კუთხე. თონის

პირი თითქმის კედლის ძირზე მოდიოდა. ჩანს, თონე მინაში პირამდე იყო ჩადგმული.

ქვაბულის ჩრდილოეთი კიდის შესწავლით გაირკვა, რომ აქ საქმე გვაქვს ძველი თბილისის საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობების ნაშთებთან. ანალოგიური წესითაა ნაშენი ძველი თბილისის სხვადასხვა უბანში გამოვლენილი შენობები. კედლების წყობაში იქაც გამოყენებულია ირიბად „წოლით“ დალაგებული რიყის ქვა და აგური. შემაკავშირებელი მასალა თიხამინაა [მინდორაშვილი 2009: 30].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვაბულის ტერიტორიის შესწავლისას ორი თონე გამოვლინდა. ცნობილია, რომ თბილისური სახლის ეზოში საცხოვრებელი ნაგებობის გარდა, იდგა სამეურნეო დანიშნულების შენობებიც: სათონე, მარანი, საჯინიბო, საბძელი [თბილისის ისტორია 1990: 440]. ამის შესახებ არაერთი ცნობა მოგვეპოვება XVII-XVIII სს-ის დოკუმენტებში. მოვიტანო რამდენიმე მათგანს: „გიბოძეთ დარბაზი, შიგნით დიდი სახლი, სათორნე, აქათ მარანი“; „ერთი დარბაზი და ერთი სათორნე და ერთი საჯინიბო“; „გერგო მამისეული სახლ-კარისგან დარბაზი, მარანი, კიდევ დარბაზის მოკიდებით სათორნე“ [დოკ. თბ. ისტ. 1961: 19, 29, 30, 75]. თბილისური საცხოვრებელი სახლის განუყოფელ ნაწილს თითქმის ყოველთვის შეადგენდა: სათონე, მარანი, საჯინიბო და სხვა სამეურნეო სათავსები. ასეთი ვითარება ჩანს ძველი თბილისის ტერიტორიაზე, კერძოდ ერეკლე II-ს მოედანზე გამოვლენილ გვიანდელი შუასაუკუნეების ნაგებობებში და ტყავის ჩიხის № 13-ში არსებული სინაგოგის ქვეშ არქეოლოგიურად შესწავლილ XVIII-XIX სს-ის შენობებში [გძელიშვილი, ტყემელაშვილი 1961: 17-18; მინდორაშვილი 2009: 33].

ამრიგად, ქვაბულის განათხარი ნაგებობების ნაშთებში თუმცა არასრულად, მაგრამ მაინც ფიქსირდება საცხოვრებელ შენობასთან არსებული ისეთი დამხმარე სამეურნეო სათავსები, როგორცაა სათონეები.

განათხარი მასალა არაა მრავალრიცხოვანი. არტეფაქტებიდან პირველ რიგში ყურადღებას იმსახურებს თონეები. ისინი ძირითადად ერთი ზომისაა. შედგებიან სიმაღლეზე გაჭრილი სამსამი თანაბარი ნაწილისაგან. თონეების პირები შესქელებულია და ფორმით გარკვეულწილად ქვევრის პირებს გვანან. ზოგიერთი თონის პირს ამოღარული ტალღოვანი ხაზები და რელიეფური „თოკისებრი“ ორნამენტი ამკობს (ტაბ. I₂). ანალოგიური ფორმისა და ორნამენტის მქონე სამნაწილიანი თონეები კარგადაა ცნო-

ბილი ძველი თბილისის განათხარი ძეგლებიდან [გძელიშვილი, ტყემელაშვილი 1961: 17-18; მინდორაშვილი 2009: 34].² რაც შეეხება თონეების სამ-სამ ნაწილად დამზადებას, ეს წესი კარგად იყო ცნობილი ეთნოგრაფიული მასალების, კერძოდ, კახური მეთუნეობის მიხედვით [ბოჭორიშვილი 1949: 142].

არქეოლოგიურ მასალაში ქვევრის პირის ერთი ნატეხია (ტაბ. I₃). ანალოგიური ქვევრების ნატეხები ცნობილია თბილისის სხვადასხვა უბნიდან [მინდორაშვილი 2009: 35]. ქვევრის ნატეხის აღმოჩენა საცხოვრებელ ნაგებობასთან სავსებით ბუნებრივად გამოიყურება, თუ გავითვალისწინებთ ზემოთ მოტანილ წერილობით წყაროებს, საიდანაც ირკვევა, რომ თბილისური საცხოვრებელი სახლის სამეურნეო ნაგებობების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს სათონესთან ერთად მარანიც წარმოადგენდა.

სადა კერამიკული ნაწარმი ძირითადად სუფრის ჭურჭლის ნატეხებითაა წარმოდგენილი. ესაა ფართოყელიანი დოქები (ტაბ. I₄), რომელთა ნაწილი მოჩალისფროდაა გამომწვარი და შემკულია კონცენტრული ამოღარული ტალღოვანი თუ სწორი ხაზების სარტყლებით (ტაბ. I₅). განათხარ მასალაში გვხვდება დიდი და მცირე ზომის ჯამები (ტაბ. I₆₋₁₂). მათ მრავლად მოეპოვებათ ანალოგები თბილისის XVIII-XIX სს-ის განათხარ ძეგლებზე [მინდორაშვილი 2009: 38, ტაბ. XXIII₂₇₋₂₈]. სადა კერამიკულ ნაწარმს მიეკუთვნება ჯამის ფორმის სასანთლე, ცენტრში დაძვრნილი სანთლის ჩასამაგრებელი ბუდით (ტაბ. I₁₃).

განათხარი მასალის საინტერესო ჯგუფს შეადგენს წერნაქით მოხატული კერამიკა. მათ შორის გვხვდება კოკების პირისა და გვერდის ნატეხები (ტაბ. II₁). ზოგიერთ ნატეხზე შემორჩენილია წერნაქის წინწკლები (საინვ. №14). ანალოგიური ფორმისა და შემკულობისაა ანჩისხატთან აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი [ლომთათიძე, გძელიშვილი 1956: 22]. მართალია, მათ გამთხრელები თავის დროზე უფრო ადრეული ხანით (XI-XIII სს-ით) ათარილებდნენ, მაგრამ შემდგომმა აღმოჩენებმა ცხადყო, რომ ისინი XVIII-XIX სს-ის ნაწარმია [მინდორაშვილი 2009: 35-36, ტაბ. XIX_{61,66}].

წერნაქითაა მოხატული ქილები, რომლებიც პირისა და გვერდის ნატეხებითაა შემორჩენილი. უკანასკნელი შემკულია რელიეფური „თოკ-

² XIX ს-ის ერთი ამგვარი თონე 2012 წ. შემთხვევით აღმოჩნდა ისნის ტერიტორიაზე, ვ. ჯორბენძის ქუჩაზე, №32 სახლის რეაბილიტაციისას.

ისებრი“ ორნამენტითა და წერნაქის ფართო ზოლით (ტაბ. II₂₋₃). ანალოგიური ორნამენტით შემკული XIX სს-ით დათარიღებული ქილები აღმოჩნდა თბილისში, სინაგოგის ტერიტორიის გათხრებისას [მინდორაშვილი 2009: 37]. მათი თანადროულია წერნაქის ტალღოვანი ფართო ზოლებით მხრებმოხატული №1 თონეში აღმოჩენილი ფართოყელიანი ხელადა (ტაბ. II₄). წერნაქის ლაქებითა და წინკლებითაა შემკული № 1 თონეში აღმოჩენილი თიხის მილის ნატეხი, რომელიც მთელ სიგრძეზე ჩაღრმავებულ-ამობურცულია (ტაბ. II₆). შესაძლოა ნატეხი წარმოადგენდა ე. წ. „ჩაიდნისებური“ ხელადის მილს. უფრო კი ის ჩვენში XVII-XVIII სს-ში ფართოდ გავრცელებული სასანთლებების [არჩვაძე 1978: 118, ტაბ. III₁₋₃] ფრაგმენტი უნდა იყოს.

არქეოლოგიური მასალის მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენს წერნაქით შეღებილი კერამიკა. სამზარეულო დანიშნულების ნითლად შეღებილი ჭურჭლებიდან გვხვდება ხუფის ნატეხი დისკოსებური სახელურით. გვერდზე აქვს ნახვრეტი (ტაბ. II₁₀). ნითლად შეღებილი სხვა ჭურჭლიდან გვხვდება მოზრდილი ხელადები (ტაბ. II₅₋₆). მათი ნაწილი შემკულია ამოკანრული მცენარეული ორნამენტით (ტაბ. II₇) ან ირიბი ნაჭდევებითა და ტალღოვან-სწორხაზოვანი სარტყლებით (ტაბ. II₈). წერნაქით შეღებილი ანალოგიური ფორმისა და ორნამენტის ჭურჭელი ფართოდაა გავრცელებული გვიანდელი შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში. ისინი აღმოჩენილია: ნარიყალაზე [არჩვაძე 1974: 176, 178], თბილისის ქარვასლასა და სინაგოგაში [მინდორაშვილი 2009: 22-23, 40-41], მცხეთაში, სვეტიცხოვლის გალავნის სამხრეთ კედელთან [არჩვაძე 1974: 177]. დმანისში აღმოჩენილ ანალოგიურ ჭურჭელს თავის დროზე ვ. ჯაფარიძე XI-XIII სს-ს მიაკუთვნებდა [ჯაფარიძე 1956: ტაბ. VIII]. თუმცა, შემდგომმა აღმოჩენებმა ცხადყო, რომ ისინი გვიანდელი ნახელავია. ასევე წერნაქითაა შეღებილი გათხრებისას აღმოჩენილი ერთი ყელნიბოიანი ხელადის ნატეხი (ტაბ. II₉), რომელსაც პარალელები მოეპოვება თბილისის ქარვასლაში და სინაგოგაში აღმოჩენილი ნითლად შეღებილი ხელადების სახით [მინდორაშვილი 2009: ტაბ. XII₅₄₋₅₅]. ამრიგად, ჩვენს მიერ მიკვლეული წერნაქიანი კერამიკა, როგორც სტრატეგრაფიული მონაცემებით, ისე ანალოგების მიხედვით ძირითადად XVIII, უფრო კი XVIII-XIX სს-ით უნდა დათარიღდეს.

კერამიკის ცალკე ჯგუფს შეადგენს მოჭიქული ჭურჭელი, რომელიც განვითარებული შუა-

საუკუნეების მოჭიქული კერამიკისაგან განსხვავებით, აღარ გამოირჩევა ფორმებისა და შემკულობის მრავალფეროვნებით. მოჭიქული კერამიკა სუფრის ჭურჭლითაა წარმოდგენილი. ბადია ნაკლულია. შიგნიდან ნაცრისფრად, გარედან კი იისფრადაა მოჭიქული (ტაბ. I₁₅). ბადია თავისი ფორმითა და ჭიქურის ელფერით XVIII-XIX სს-ით უნდა დათარიღდეს. მისი თანადროულია მომწვანო-მოცისფრო ჭიქუროვანი საღებავის ზოლებით მოხატული ხელადისა და ჯამის ნატეხები (ტაბ. II_{11,12,13}). მოჭიქულ კერამიკაში ცალკე გამოიყოფა ფირუზისფრად მოჭიქული ჯამები (ტაბ. I₁₄) და პატარა ხელადა ცილინდრული ყელითა და სფერული მუცლით (ტაბ. II₁₄). იქვეა აღმოჩენილი მეორე ხელადის ყური (ტაბ. II₁₅). ანალოგიური მოჭიქული ჭურჭელი ძალზე დამახასიათებელია გვიანდელი შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურისათვის. ისინი აღმოჩენილია: თბილისში, ნარიყალაზე [მინიშვილი 1974: 194], თელავში [ჩიკოიძე 1979: 79, ტაბ. XVI₁]. მრავლად გვხვდება მსგავსი მოჭიქული ჭურჭელი XVIII-XIX სს-ის ძეგლებზე [მინდორაშვილი 2009: 45].

საინტერესოა მცირე ზომის (შემორჩენილი სიმაღლე 6,5 სმ) ნაცრისფრად ანგობირებული და მწვანე ჭიქურის ლაქებით შემკული თიხის ქანდაკება, რომელიც კიდებაკეცილი ქუდის მიხედვით რუსის ჯარისკაცის გამოსახულება უნდა იყოს (ტაბ. II₁₇). ქანდაკება ნაკლულია. საფიქრებელია, რომ ის რაღაც ნივთის ნაწილს (ხუფის სახელური?) შეადგენდა. როგორც მოჭიქვის ხერხის, ისე თემატიკის მიხედვით ქანდაკება XIX სს-ით თარიღდება. გათხრებისას აღმოჩნდა სპილენძის რუსული მონეტა – ხუთკაპიკიანი, მოჭრილი 1770 წელს (წონა 52,4 გრ, დმ 42 მმ). განათხარ მასალაში ძვლის მხოლოდ ერთი ნივთი გამოვლინდა. ესაა უხეშად დამუშავებული (გაჩორკნილი) ირმის რქა (ტაბ. II₁₉).

ამრიგად, ქაშუეთის მახლობლად აღმოჩნდა ძველი თბილისის საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთი, თავისი დამხმარე სამეურნეო სათავსებით (სათონეებით). გათხრებისას გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა თარიღდება XVIII-XIX სს. გათხრების ძირითად შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ თბილისის არქეოლოგიურ რუკას შეემატა ახალი ძეგლი, მცირე, თუმცა საინტერესო არტეფაქტებით.

ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS NEAR KASHVETI, TBILISI

Summary

In this paper is observed archaeological remains of houses and ancillary outbuildings (bakeries) found during constructional works in Tbilisi, on the territory located between Kashveti church and picture palace "Rustaveli" (pl. I.).

Part of the found artifacts consist of plain pottery, others – red dyed (pl. II_{1-4,16}). Interesting group of finds constitutes red painted vessels (pl. II₅₋₁₀). During the excavations were found also glazed table wares (pl. II_{14-15'}, pl. II_{11-15,17}). There was also found Russian five kopecks coin minted in 1770. From other finds it must be mentioned processed antler (pl. II₁₉). Archaeological finds are dated 18th-19th centuries.

ლიტერატურა

- არჩვაძე თ. 1974: თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი წერნაქიანი ჭურჭელი. — ფსაძ, ტ. II. 174-188.
- არჩვაძე თ. 1978: აღმოსავლეთ საქართველოს გვიანფეოდალური ხანის მოუჭიქავი თიხის ნაწარმი. — ფსაძ, ტ. III, გვ. 111-130.
- ბოჭორიშვილი ლ. 1949: ქართული კერამიკა (კახური), თბილისი.
- გძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო. 1961: თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბილისი.
- დოკ. თბ. ისტ. 1962: დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.), წიგნი I. — შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილმა, თბილისი.
- თბილისის ისტორია 1990: თბილისის ისტორია, ავტორთა კოლექტივი, ტ. I, თბილისი.
- ლომთათიძე გ., გძელიშვილი ი. 1956: ახალი მასალები თბილისის არქეოლოგიისათვის, „მეცნიერება და ტექნიკა“, №8. 21-23.
- მინდორაშვილი დ. 2009: არქეოლოგიური გათხრები ძველ თბილისში (ქარვასლა, სინაგოგა), თბილისი.
- მინიშვილი მ. 1974: თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა. — ფსაძ, ტ. II. 189-200.
- ჩიკოიძე ც. 1979: ქალაქი თელავი, თბილისი.
- ჯაფარიძე ვ. 1956: ქართული კერამიკა, XI-XIII სს, თბილისი.


ტაბულაციის აღწერილობა

- ტაბ. I – 1. რუსთაველის გამზირი №7. განათხარი ნაგებობები და თონეები (ჭრილი); 2-15. განათხარი კერამიკა.
- ტაბ. II – 1-18. განათხარი კერამიკა; 19. ირმის დამუშავებული რქა; 20. მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 6 მ სიღრმეზე მიცვალებულის ძვლებთან ერთად აღმოჩენილი რკინის დანის ნატეხები.





DESCRIPTION OF THE PLATES

- Pl. I – Rustaveli av., excavated buildings and bakeries (section); 2-15. Found pottery.
- Pl. II – 1-18. Found pottery; 19. Antler; 20. fragments of iron knife found at a depth of 6 m, together with human bones.

ცდბ. I



1





მედია ნიორაძე, მანანა გაბუნია, ლამარა ნებიერიძე, გიორგი ნიორაძე

კალენდრული ადამიანის განსახლება შიდა ქართლის ტერიტორიაზე

შიდა ქართლი წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილს, რომელსაც ირგვლივ ესაზღვრება ზემო იმერეთის, სამხრეთ ოსეთის, ფშავ-მთიულეთის, კახეთის, ქვემო ქართლისა და სამცხის ტერიტორიები. შიდა ქართლის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურება მდგომარეობს მის ტაფობისებურ მოყვანილობაში. რელიეფში წარმოდგენილია ნაფენი ვაკეები, ტერასირებული ხეობები და ბორცვისებური სერები. აბსოლუტური სიმაღლეები შიდა ქართლის ფარგლებში მერყეობს 350მ-დან 1200-1500 მ-მდე.¹

შიდა ქართლის ჰავა კოლხეთის მეზობელი რაიონების ჰავაზე საგრძნობლად უფრო მშრალი და კონტინენტურია, რაც გამოწვეულია არა მარტო შავი ზღვისაგან მისი უფრო მეტად დაშორებით, არამედ ლიხის ქედის კლიმატური ზღუდის არსებობითაც [მარუაშვილი 1964: 252-253].

როგორც ცნობილია საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ცხადი გახადა, რომ ძველი ქვის ხანის (აშელის და მუსტიეს) ადამიანი, ძირითადად, საქართველოს ექვს ძირითად რეგიონებში ყოფილა განსახლებული, სადაც ადამიანის ცხოვრებისათვის ოპტიმალური პირობები უნდა არსებებოდა. კარგი ბუნებრივი პირობების არსებობაზე მიუთითებს გათხრების დროს იქ მიკვლეული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მონაცემებიც. ეს რეგიონებია: I. შავისზღვისპირა ზოლი, აფხაზეთის ტერიტორიის ჩათვლით; II. რიონ-ყვირილას აუზი; III. შიდა ქართლი ისტორიული სამაჩაბლოს ჩათვლით; IV. ქვემო ქართლი; V. ჯავახეთის მთიანეთი; VI. იორ-ალაზნის აუზი [კალანდაძე 1970: 87; კალანდაძე 1968: 34]. ამ ექვს რეგიონთა შორის ქვედა და შუაპალეოლითური ძეგლებით მდიდარი აღმოჩნდა შიდა ქართლი ისტორიული სამაჩაბლოს ჩათვლით.

აქ გასული საუკუნის 50-იან წლებში ძველი ქვის ხანის მატერიალური კულტურის ძეგლებს მოიპოვებდა და მათ კვლევა-ძიებას აწარმოებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის და სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციები (ა. კალანდაძე, ვ. ლუბინი). მათი მუშაობის შედეგად აღნიშნულ ტერიტორიაზე მიკვლეულია ათეულობით აშელური და მუსტიური ხანის სადგომი. წარმოდგენილია ისინი ლია ტიპის და მღვიმური ადგილსამყოფლებით. მათ შორის უმრავლესობას ღია ადგილსამყოფლები შეადგენენ. აშელის ხანის ღია სადგომები მიკვლეულია შიდა ქართლის სხვადასხვა ადგილას, სოფლებში: კობი, კავთისხევი, ნაღვლი, მეტეხი, ცრუ, ძალინა, თიღვა, კვერნეთი, დამპალეთი, აჩაბეთი, ზედადვანი, კალეთი, ლაშე-ბალთა და სხვ. ჩამოთვლილ ძეგლთა შორის ყველაზე უფრო მეტყველი და შედარებით უფრო მრავალრიცხოვანი მასალა ლაშე-ბალთაშია მიკვლეული, რის გამოც ძეგლი უკეთაა შესწავლილი [Лубини 1960: 29-63].

ადგილსამყოფელი ლაშე-ბალთა მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფლის მახლობლად, ზნაურის მუნიციპალიტეტის ფარგლებში, მდ. მეტეხის ფრონეს ტყე-ველიან ზოლში. პირველყოფილი ადამიანების მიერ ამ მიდამოების საცხოვრებლად ათვისების დროს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა აქ არსებული ბუნებრივი რესურსების სიმდიდრეს (ლანდშაფტის ნაირსახეობა, მდინარეთა სიახლოვე და სხვ.). ძეგლი 1951 წელს მიაკვლია, ხოლო 1951-1955 და 1957-1958 წლებში შეისწავლა ვ. ლუბინმა.

ქვის ნაწარმი ძირითადად თავმოყრილი აღმოჩნდა ორ პატარა გამშრალ ხევში, რომლებიც მდ. მეტეხის ფრონეს მარჯვნიდან ჩამოედის. ნივთების დიდი ნაწილი მიწის ზედაპირზეა შეგროვილი, მცირე ნაწილი კი აქა-იქ ჩართული აღმოჩნდა ქვიან-ხვინჭოვან ფენაში, რომელიც თიხნარითაა შედუღებული. აღნიშნულ ფენას, რომლის სიმძლავრე 1.0-2,10 მ ფარგლებში

1 ნაშრომი ქვეყნდება შ. რუსთაველის ეროვნული სემინარიის ფონდის გრანტის (დ/467/2-105/12) პროექტის ფარგლებში

მერყეობს, ზემოდან ედო 1.30-3.40 მ სიმძლავრის ფენები [კალანდაძე 1959ა: 29].

ლაშე-ბალთაში 200-ზე მეტი ქვის ნაკეთობაა მოპოვებული. შეგროვილ ნაწარმთა შორის წარმოდგენილია: ხელცულები, უხეში საჩეხისებური იარაღები, წვეტანები, სახოკები, ნუკლეუსები და ნუკლეუსისმაგვარი ქვის ნატეხები, ანატკეცები და ლამელები [Любин 1960: 35]. იარაღის დასამზადებლ ნედლ მასალად ძირითადად გამოყენებულია ანდეზიტი და კაჟქვიერი, უხეში ქანები. ლაშე-ბალთაში მიკვლეული ქვის ნაწარმი საკმაოდ სქელი პატიინითაა დაფარული და ძლიერ ნაგორებიც არის, რაც მოწმობს ნიაღვრების მიერ მათ გადმოადგილებას უფრო მაღლა მდებარე ადგილიდან.

ხელცულების უმრავლესობას ნუშისგულისებური მოყვანილობა აქვს. კოლექციაში გვხვდება აგრეთვე ოვალური, სამკუთხედისებური, გულისებური მოყვანილობის ხელცულებიც. ნუკლეუსების უმრავლესობა დისკოსებურია. მოიპოვება კუბისმაგვარი, სწორკუთხა, ატიპიური ნუკლეუსებიც. ანატკეცებს შორისაა კლექტონური და ლამელისებური ანატკეცები (ტაბ. I). მოპოვებული მასალის ტექნიკურ-ტიპოლოგიური მახასიათებლის მიხედვით ღია ადგილსაპოვებელი — ლაშე-ბალთა განვითარებული აშელის ხანითაა დათარიღებული [Любин 1960: 63].

შიდა ქართლის ტერიტორიაზე აშელისა და მუსტიეს ხანის მასალების შემცველი კულტურული ფენები სამ მღვიმურ ძეგლზეა გამოვლენილი და შესწავლილი [Любин 1977: 15]. ეს ძეგლებია: წონა, კუდარო I, კუდარო III, რომლებიც მდებარეობს შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი კალთის მაღალ და საშუალომთიან ზოლში, ჯავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ზღვის დონიდან მღვიმეები საკმაოდ მაღლა იმყოფებიან (კუდარო I, III — 1600 მ, წონა — 2150 მ). ასეთ სიმაღლეებზე არსებულ მღვიმეებში აშელურ-მუსტიური ნაშთების აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი შორეული წინაპრების კავკასიონის მთიანეთში განსახლების საკითხის შესწავლისათვის.

წონას მღვიმე 1958 წელს აღმოაჩინა, ხოლო 1958-1961, 1965 და 1968 წლებში გათხარა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის პალეოლითურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. კალანდაძე) [კალანდაძე 1959ბ: 3-5; კალანდაძე 1960: 6-10; კალანდაძე 1961: 3-7; კალანდაძე 1962:

3-6; Каландадзе 1965]. 1977 წელს კი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. დ. თუშაბრამიშვილი) [Тушабрамишвили 1978: 5-18] წონის მღვიმეში დამატებითი სავლე სამუშაოები ჩაატარა. წონას მღვიმე დიდია, მისი ფართობია ~ 1000 მ². მისი ზომებია 90 მ x 15 მ x 14 მ. მღვიმის შესასვლელი მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

გათხრების შედეგად ფენათა სტრატოგრაფიულ ჭრილში კლდოვან საფუძვლამდე ლითოლოგიურად განსხვავებული 11 ფენა გამოვლინდა, რომელთა საერთო სიმძლავრე 6 მ-ია. აშელისა და მუსტიეს ეპოქის ნაშთებს შეიცავდნენ მე-5, მე-5ა, მე-6, მე-6ა, მე-6ბ, მე-7, მე-7ა ფენები, მათი სისქე 3.40 მ-ია. მუსტიურ ეპოქას 1.4 მ სიმძლავრის, მე-5, მე-5ა ფენები წარმოადგენენ, ხოლო მე-6, მე-6ა, მე-6ბ და მე-7, მე-7ა ფენები, რომელთა სისქე 2 მ-ია აშელურ ეპოქას განეკუთვნებიან, ამათგან 6, 6ა, 6ბ ფენები I აშელურ ფენას შეადგენს, ხოლო 7, 7ა ფენები II აშელურ ფენას წარმოადგენს [კალანდაძე 1962: 4]. წონას მღვიმის აშელურ ფენებში ძირითადად ნადირობასთან დაკავშირებული, დასრულებული იარაღებია მიკვლეული. მათი რაოდენობა I აშელურ ფენებში 104 ერთეული (ტაბ. II_{1,2,6}), ხოლო II აშელურ ფენებში — 30 ერთეულია (ტაბ. II_{3,4,5}). იარაღის დასამზადებლად გამოყენებულია ანდეზიტი, არგილიტი, ქვიშაქვა, კაჟოვანი კირქვა.

I აშელის ფენა შეიცავს ხელცულებს, უხეშ საჩეხისებურ მჭრელ იარაღებს, სახოკებს, უხეშ წვეტანებს, მცირე რაოდენობით ურეტუშო და რეტუშირებულ ანატკეცებს (ტაბ. II). აღსანიშნავია ფენაში მიკვლეული არგილიტის ე.წ. წონის ტიპის წალდი, რომლის მსგავსი აღმოჩნდა კუდარო I-ში (ტაბ. II₆).

II აშელის ფენა შეიცავს ძირითადად ანატკეცებს, სახოკებს, წვეტანებს, უხეშ მჭრელ იარაღს (ტაბ. II).

აშელის ხანის ფენები დიდი რაოდენობით შეიცავდა ცხოველთა ძვალს, რაც მონაპოვარ ქვის ნაწარმთან ერთად იმის მაუწყებელია, რომ წონას მღვიმე ამ ეპოქაში წარმოადგენდა არა მუდმივ საცხოვრებელს, არამედ მონადირეთა დროებით თავშესაფარს. როგორც ჩანს, მეოთხეულის დასაწყისში კავკასიონზე აცივებულა, რის გამოც აღნიშნულ სიმაღლეზე (ზღვის დონიდან 2150 მ) ხანგრძლივი ცხოვრება შეუძლებელი გამხდარა [კალანდაძე 1970: 90]. წონას მღვიმის აშელური ფენების მასალები შუა აშელის ხანით თარიღდება [ბუგიანიშვილი 1991: 107]

წონას მღვიმის მუსტიეს ეპოქის ფენებში (მე-5, მე-5ა) 71 ქვის ნივთი და დიდი რაოდენობით ცხოველის ძვალია მიკვლეული. ქვის ნაწარმი, რომელთა მისაღებად გამოყენებულია ფიქალი, არგილიტი, ანდეზიტი, კაჟი, ობსიდიანი, ძირითადად წარმოდგენილია ნადირობასთან და ნანადირევის დამუშავებასთან დაკავშირებული იარაღ-ხელსაწყოებით, როგორებიცაა: წვეტანები, სახოკები, დაკბილული იარაღი, საფხეკი, ზურგიანი დანები (ტაბ. II₇₋₁₀). მასალა გვიანი მუსტიეთი თარიღდება [კალანდაძე 1959ა: 32; ბუგაიანიშვილი 1991: 108].

შიდა ქართლის ტერიტორიაზე წონას მღვიმის მსგავსად აშელისა და მუსტიეს ხანის კულტურული ფენები მიკვლეულია მღვიმეებში: კუდარო I და კუდარო III [Любин, Беляева 2004; Любин, Левковская 1972; Любин, Ренгартен и др. 1978; Любин, Селиванова и др. 1978a].

კუდარო I მდებარეობს დაბა კვაისას მახლობლად, მთა ჩასავლის სამხრეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 1600 მ სიმაღლეზე. მღვიმეში საველე სამუშაოები გასული საუკუნის 50-იან — 80-იან წლებში მიმდინარეობდა (ვ. ლუბინი). აშელის ხანის ნაშთები 0.4-1.9 მ სიმაღლის მე-5 კულტურულ ფენაში აღმოჩნდა რომელიც 3 ჰორიზონტად იყოფა. ფენაში მიკვლეული კერის ნაშთი, რამდენიმე ათასი ქვის ნაწარმი და ცხოველთა მრავალრიცხოვანი ძვალი, აგრეთვე ჰომინიდის კბილის ნატეხი, მონმოზს, რომ აშელის ეპოქაში კუდარო I უძველეს ადამიანთა ხანგრძლივ სადგომ-სახელოსნოს წარმოადგენდა.

კუდარო I-ის აშელური ფენის ქვის ნაწარმი ძირითადად ფიქლისაგან და ქვიშაქვისგანაა დამზადებული და არალევალუური ხასიათისაა. კოლექციაშია: კაჭრები, ნუკლეუსები (დისკოსებური, ფუძიანი), ანატკეცები, როგორც ფართო, გლუვი, დაქანებულ დარტყმისმოედნიანები და რელიეფურბურცობიანები ისე ქერცლისებურები, სხვადასხვა ანამტვრევები, აგრეთვე იარაღ-ხელსაწყოები: ხელცულები, სახოკები, ჩოპერები, ჩოპინგები, ამოღარული, დაკბილული იარაღები და სხვ. (ტაბ. III₁₋₉)

ვ. ლუბინი კუდარო I-ის აშელურ ნალექებს მინდელს (მინდელის შიდა (?) დათბობას) და მინდელ-რისს მიაკუთვნებს [Любин 1989: 31].

კუდარო I-ის მე-3 და მე-4 ფენები მუსტიეს ხანის (100-ზე მეტ) ნივთს შეიცავდა, სადაც არ არის წარმოების ნარჩენები. მზა იარაღი, რომელთა დასამზადებლად გამოყენებულია ფიქალი, ქვიშაქვა, კაჟი და ანდეზიტი წარმოდგენილია წვეტანებით, სახოკებით, ზურგიანი დანე-

ბით, შუბისპირებით, ამოღარული იარაღებით და სხვ. (ტაბ. III₁₁₋₁₄). ინდუსტრია ლევალუური, ლამელარული და ფაცეტირებული ხასიათისაა. ფენაში ფაუნის ნაშთებიცაა აღმოჩენილი. მონაპოვარი მასალა მიუთითებს, რომ კუდარო I მუსტიეს ხანაში წარმოადგენდა არა ხანგრძლივ სადგომს, არამედ პირველყოფილ მონადირეთა დროებით ბანაკს და გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება [Любин 1969: 162].

მღვიმე კუდარო III კუდარო I-საგან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარეობს მთა ჩასავლის სამხრეთ ფერდობზე. მღვიმე 1955 წლიდან 1977 წლამდე ითხრებოდა დროგამოშვებით (ვ. ლუბინი). კუდარო III-ის კულტურულ ფენებში წონას და კუდარო I-ის აშელისა და მუსტიეს ხანის მსგავსი ნაშთებია მიკვლეული (ტაბ. III) [Любин, Левковская 1972: 25-40].

შიდა ქართლში მუსტიეს ხანის ღია ტიპის სადგომები მიკვლეულია აგრეთვე ცხინვალის, ჯავის, ზნაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, ესენია: მორგო, ჯიჯოთი, ყორნისი.

1952 წელს აღმოჩნდა სამხრეთ ოსეთის პირველი პალეოლითური ადგილსამოკვებელი მორგო. სადგომი მდებარეობს ზღვის დონიდან 1500მ სიმაღლეზე, შუა მთიანი ზოლის სამხრეთ ნაწილში, ამავე სახელწოდების სოფლის სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე. შეგროვილი ნაწარმის ნედლ მასალას წარმოადგენს ანდეზიტი, იშვიათად გამოყენებულია კაჟიც. მორგოს კოლექცია 136 ერთეულს ითვლის. მათ ნაგორების კვალი არ ეტყობათ, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ისინი თავიანთ პირვანდელ განლაგებაში გვხვდება და არ არიან სხვა ადგილიდან გადმოადგილებული.

მორგის ინვენტარი შეიცავს: წვეტანებს, სახოკებს, ლამელებს, ანატკეცებს, ნუკლეუსებს. ნუკლეუსებს (13 ც.) შორისაა: უხეში პრიზმული, ორფუძიანი, სამკუთხედის ფორმის და ოვალური. ანატკეც-ლამელებს (79 ც.) შორის უმრავლესობა ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. ზოგიერთ მათგანს ფაცეტირებული, ნაწარმის მუცლის მხარესთან სწორი კუთხით განლაგებული დარტყმის მოედანი გააჩნია. წვეტანები (5 ც.) დამზადებულია სამკუთხამოყვანილობის ლამელისებურ ანატკეცებზე, სახოკები (3 ც.) — მოკლე, განიერ ანატკეცებზე. ნათელია, რომ მორგოს სადგომი მუსტიეს ეპოქისათვის დამახასიათებელ ქვის ნაწარმს შეიცავს (ტაბ. IV 1-11). როგორც მიუთითებს ვ. ლუბინი ძეგლის დათარიღება მუსტიეს ეპოქის გვიანი პერიოდით სავსებით შესა-

ძლებელია [Любин 1960: 75].

ჯიჯოითის სადგომიც შუამთიანი ზოლის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს, სოფ. ზემო რუსთავის (ცხინვალის მუნიციპალიტეტი) ჩრდილოეთით 3 კმ-ის მანძილზე, ზღვის დონიდან 1500 მ სიმაღლეზე. პალეოლითური ნაშთები მიკვლეულია ნაღვარში, რომლის სიგრძე 2,5 მ-ია, სიგანე დაახლ. 1 მ. ამ ბუნებრივად წარმოქმნილ „შურფში“, ხვინჭოვან-კენჭოვან ფენაში, რომელიც თიხნართაა შეცემენტებული, შეგროვდა დამუშავებული ანდეზიტის ნაწარმთა ჯგუფი, რომელთა შორის გვხვდება ლაშე ბალთას მსგავსი ქვის იარაღები. იარაღები დამზადებულია ლავური ქანებისაგან, რომელთა გამოსავლები ჯიჯოეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 6კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ქვის ინვენტარი მცირერიცხოვანია (6 ერთეული), მაგრამ საკმაოდ მეტყველი. ანდეზიტის ნაწარმთა შორის 4 ცალი ანატეცია, ერთი სახოკია და ერთი ც ნვეტანა. (ტაბ. IV_{12,13}) გამოფიტვის, პატინიზაციისა და გორების კვალი ნაკლებადაა შესამჩნევი. ნვეტანისათვის მასიური, წაგრძელებული სამკუთხა მოყვანილობის ანატეცია გამოყენებული (7.3 x 4.3 x 1.4 სმ). იარაღის წვერი და გვერდები უხეში რეტუშითაა დამუშავებული. სახოკი დამზადებულია სქელ ანატეცზე (5,5 x 5 x 1,2 სმ.) და უხეში რეტუშითაა დამუშავებული.

როგორც მიუთითებს ვ. ლუბინი ჯიჯოითის ქვის მასალა შესაძლებელია, რომ დათარიღდეს მუსტიეს ხანით [Любин 1960: 65].

მუსტიეს ეპოქის შესატყვისი მასალები მოპოვებულია აგრეთვე სოფ. ყორნისთან. გორაკის აბსოლუტური სიმაღლე, რომლის ზედაპირზე შეგროვდა კულტურული ნაშთები 1300-1350მ-ია. იარაღის დასამზადებლად გამოყენებულია კირქვიერი კაჟი, კოლექციაში გვხვდება: რამდენიმე ათეული ანატეცია და ანამტვრევი. ანატეცებს კარგად ეტყობა დარტყმის მოედანი, ატეცის ბურცობი და ნიჟარისებური ზადი. ანატეცებს ხშირ შემთხვევაში სამკუთხედის ან ოვალის მოყვანილობა აქვს და წარმოადგენდა ნამზადს ნვეტანისათვის და მასიური საფხეკისათვის. საყურადღებოა დისკოსებური ნუკლეუსები, რომელთაგან აიტკიცებოდა სასურველი ფორმისა და ზომის ანატეცები და ლამელები. ყორნისის მასალების შესწავლის შედეგად გამოთქმულია მოსაზრება მათი მუსტიედან ზედა პალეოლითში გარდამავალი ხანით დათარიღების თაობაზე [კალანდაძე 1959ბ: 3].

მუსტიეს ეპოქის დამახასიათებელი ნაშთების შემცველი ათეულობით ახალი ღია ად-

გილსამყოფლები აღმოჩნდა ხაშურის, კასპის, დუშეთის, ქართლის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, აგრეთვე სოფ. დილომთან და ქ. თბილისში.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე გამოვლენილი მუსტიეს ხანის ძეგლებიდან აღსანიშნავია ცხინვალის თავისებური ტიპიური მუსტიეს კულტურის ძეგლთა ჯგუფი, რომელიც მიაკვლია ვ. ლუბინმა 1955 წელს. ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი კალთის მთისწინეთში, მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირის ტერასებზე, 900-1000 მ აბსოლუტურ სიმაღლეზე, ქ. ცხინვალის შემოგარენში გამოვლენილია ღია ადგილსამყოფლები: კარკუსთაკაუ, თამარაშენი, კუსრეთი I-III და პეკვინარი [Любин 1977: 96-142]. ძეგლთა კულტურული ფენები დაშლილია და ქვის მასალა მიწის ზედაპირზეა მიმოხეული. როგორც ირკვევა, ადგილსამყოფლები ქვის დამუშავების მთლიანი ციკლის მქონე სადგომ-სახელოსნოების ნაშთებს წარმოადგენენ. იარაღის დასამზადებელ ნედლ მასალად ძირითადად ანდეზიტია გამოყენებული. გვხვდება, აგრეთვე, კაჟი, ფიქალი, ქვიშაქვა, ობსიდიანი. ძეგლთა კოლექციები შეიცავს: ნუკლეუსებს (დისკოსებური, ფუძიანი არალევალუური და ლევალუური), ანატეც-ლამელებს (არალევალუური და ლევალუური, ტრონკირებული) ლევალუურ, მუსტიეურ ნვეტანებს, სხვადასხვა სახოკებს, საფხეკებს, ზურგიან დანებს, დაკბილულ-ამოღარულ იარაღებს, სატეხ-სათლელისებურ იარაღებს, ჩოპერებს, ჩოპინგებს, ბიფასებს (ტაბ. V).

ცხინვალის მუსტიეური ღია ძეგლების ჯგუფის ინდუსტრია, ტექნიკურ-ტიპოლოგიური მონაცემებით, ლევალუური ფაციესის ლამელარული, ფაციტირებული ტიპიური მუსტიეს მეტად თავისებურ, ლოკალურ სახესხვაობას მიეკუთვნება. ინდუსტრიის თავისებურებას წარმოადგენს როგორც ურეტუშო ზურგიანი დანების ფართოდ გავრცელება, აგრეთვე რიგი ზედაპალეოლითური (საფხეკები, ტრონკირებული ანატეც-ლამელები) და ამოღარულ-დაკბილული ფორმების, შარანტის ზოგიერთი ელემენტის, ერთეული ჩოპერების, ჩოპინგების და ბიფასების არსებობა. ცხინვალის ძეგლთა ინდუსტრიის გენეზისი დღეისათვის გაურკვეველია. სავარაუდო ასაკია რისვიურმის გამყინვარებათაშორისი ეპოქის ბოლო ან ვიურმის გამყინვარების დასაწყისის თბილი ინტერსტადიალი. ინდუსტრია მუსტიეს ეპოქის პირველ ნახევარს უნდა განეკუთვნებოდეს [Лю-

БИН 1977: 142].

ამრიგად, შიდა ქართლის ტერიტორიაზე ძველი ქვის ხანის ძეგლების აღმოჩენა მოწმობს, რომ მეოთხეულ გეოლოგიურ ეპოქაში, კერძოდ,

შუა და ზედა პლეისტოცენში აქ პალეოლითელი ადამიანის ცხოვრებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობები უნდა ყოფილიყო.

M. Gabunia, M. Nioradze, L. Nebieridze, G. Nioradze

DISPERSAL OF THE PALEOLITHIC MEN ON THE TERRITORY OF SHIDA KARTLI

Summary

Discoveries since 50's of the last century manifested that Shida Kartli is rich with the Stone Age sites. Dozen of Lower and Middle Paleolithic sites are found on this territory. Most important is surface site Lashe-Balta, which is attributed to a developed Acheulian period. Mousterian sites are Morgo, Jijoeti, Qornisi. Remarkable are the sites of Tskhinvali Mousterian group (Karkusta-Kau, Tamarasheni, Kusreti I-III, Pekvinari) which have very local and distinguished cultural features.

In the cave sites as Tsona, Kudaro I, Kudaro III which are located on the 2,150-1,600 m. from the sea level are revealed Acheulian and Mousterian cultural layers. Those discoveries are very important to study the development and dispersal of the Paleolithic Men in the mountain region of Caucasus.

Discoveries of the Lower Stone Age sites on the territory of Shida Kartli, clearly shows, that in the geological Quaternary period, in Middle and Upper Pleistocene, the environmental and climatic conditions were very acceptable for the Paleolithic Men.

ლიტერატურა

ბუგიანიშვილი თ. 1991: ქვედა პალეოლითი. – საქართველოს არქეოლოგია, I, ქვის ხანა. თბილისი, 70-129.

კალანდაძე ა. 1959ა: ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, ქვედა პალეოლითი. – საქართველოს არქეოლოგია. თბილისი, 21-35.

კალანდაძე ა. 1959ბ: ზემო რაჭისა და სამხრეთ ოსეთის პალეოლითური ექსპედიციის 1958 წლის მუშაობის შედეგები. – ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1958 წ. წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბილისი, 3-5.

კალანდაძე ა. 1960: შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის პალეოლითური ექსპედიციის 1959 წ. მუშაობის ძირითადი შედეგები. – ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1959 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბილისი, 6-10.

კალანდაძე ა. 1961: შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის პალეოლითური ექსპედიციის 1960 წ. მუშაობის შედეგები, არქეოლოგიურ სამუშაოთა საკოორდინაციო კომისია და ისტორიის ინსტიტუტი. – საქართველოში 1960 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბილისი, 3-7.

კალანდაძე ა. 1962: შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის პალეოლითური ექსპედიციის 1961 წ. მუშაობის შედეგები. – არქეოლოგიურ სამუშაოთა საკოორდინაციო კომისია და ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოში 1961 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბილისი, 3-6.

კალანდაძე ა. 1968: ძიებანი წინანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგიაში, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი. თბილისი.

კალანდაძე ა. 1970: ქვედა პალეოლითი. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბილისი, 77-95.

მარუაშვილი ლ. 1964: საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბილისი.

Каландадзе А. 1965: Цонская пещера и ее культура. – Карст и пещеры Грузии. Спелеологический сборник, 3. Тбилиси, 32-36.

Любин В. П. 1960: Нижнепалеолитические памятники Юго-Осетии. – Материалы и исследования по археологии СССР, 79, IV.

Москва-Ленинград, 9-78ю

Любин В. П. 1969: Ранний палеолит Кавказаю Природа и развитие первобытного общества на территории Европейской части СССР. Москва.

Любин В. П. 1977: Мустьерские культуры Кавказа. Ленинград.

Любин В. П. 1989: Палеолит Кавказа, Нижний палеолит. – Палеолит Кавказа и Северной Азии, Ленинград, 9-93.

Любин В. П., Беляева Е. В. 2004: Стоянка *Homo Erectus* в пещере Кударо, I. Санкт Петербург.

Любин В. П., Левковская Г. М. 1972: Пещера Кударо III. – МИА СССР, 185, Ленинград, 25-40.

Любин В. П., Ренгартен Н. В., Черняховский А. Г., Барышников Г. Ф., Левковская Г. М. 1978: Пещера Кударо I. – Археология и палеогеография раннего палеолита Крыма и Кавказа. Москва, 76-87.

19. Любин В. П., Селиванова Н. Б., Барышников Г. Ф., Левковская Г. М. 1978: Пещера Кударо III. – Археология и палеогеография раннего палеолита Крыма и Кавказа. Москва, 87-95.

20. Тушабрамишвили Д. 1978: Итоги работ Цуцхватской и Цонской археологических экспедиций за 1976-1977 гг. – *ssmae*, VI, 5-18.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I — **ლასე ბალთა**: 1, 3. ხელცულები; 2, 4. ნუკლეუსები; 5-8. ანატკეცები რეტუშირებული სხვადასხვა.

ტაბ. II — **წონას მღვიმე**: 1. ხელცული; 2. წვეტანა; 3. ნისკარტისებური იარაღი; 4-5. სახოკები (II აშელური ფენა); 6. წონას ტიპის ხელცული ე.წ ნალდი (I აშელური ფენა); 7-10. წვეტანები (მუსტიური ფენა).

ტაბ. III — **მღვიმე კუდარო I**: 1. ხელცული; 2. ნალდი; 3, 5, 6, 7. ამოღარული იარაღები; 4, 8, 10. სახოკები სხვადასხვა; 9. ჩოპერი (აშელური ფენები); 11-14. წვეტანები (მუსტიური ფენა).

ტაბ. IV — **მორგო**: 1-3. ნუკლეუსები; 4-6, 10. ანატკეცები რეტუშით სხვადასხვა, 7-9 წვეტანები გატეხილი; 11. სახოკი.
ჯიჯოეთი: 12. სახოკი; 13. წვეტანა

ტაბ. V — **კარკუსტაკაუ**: 1. ნუკლეუსი; 2-3. წვეტანები ლევალუური; 4. ანატკეცი ლევალუური; 5, 8, 12. ამოღარულ-დაკბილული იარაღები; 6. ანატკეცი რეტუშირებული; 7. სახოკი; 9. ნისკარტისებური იარაღი; 10. საფხეკი; 11. დანა

თამარაშენი: 13. ნუკლეუსი; 14. სახოკი; 15, 16, 18. წვეტანები ლევალუური; 17. დაკბილულ-ამოღარული იარაღი (სახოკი?).

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – **Lashe Balta**: 1, 3. Bifaces; 2, 4. Nucleuses; 5-8. Retouched flakes.

Pl. II – **Tsona cave**: 1. Biface; 2. Point; 3. beak-shaped tool; 4-5. side-scrapers (2nd Acheulian layer); 6. Tsona type elongated handaxe, so-called “tsaldi” (1st Acheulian layer); 7-9. Brocken points (Mousterian layer).


Pl. III – **Kudaro cave I**: 1. Biface; 2. “Tsaldi”; 3, 5-7. Notched tools; 4, 8, 10. Divers side-scrapers; 9. Chopper (Acheulian layers); 11-14. Points (Mousterian layer).


Pl. IV – **Morgo**: 1-3. Nucleuses; 4-6, 10. Divers retouched flakes; 7-9. Brocken points; 11. Side-scraper.


Jijoeti: 12. Side-scraper; 13. Point.

Pl. V – **Karkustakau**: 1. Nucleus; 2-3. Levallois points; 4. Levallois flake; 5, 8, 12. denticulate-notched tools; 6. Retouched flake; Side-scraper; 9. beak-shaped tool; 10. Endscraper; 11. Knife.


Tamarasheni: 13. Nucleus; 14. Side-scraper; 15-16, 18. Levallois points; 17. denticulate-notched tool (endscraper?).








გამ. IV





ივრის ზეგნის ქვედა და შუა პალეოლითი

ძველი ქვის ხანის საზოგადოების მატერიალური კულტურის ნაშთებს, რომელიც ამ საზოგადოების წიაღში შეიქმნა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მისი განვითარების გზების, საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის და კულტურის თავისებურებების განსაზღვრისათვის.¹

როგორც კულტურული, ისე სოციალ-ეკონომიკური თავისებურებების ახსნა ძველის ხასიათით, მისი ფუნქციონალური დანიშნულებით შეიძლება (ხანგრძლივი თუ დროებითი სადგომი, სადგომ-სახელოსნო, მონადირეთა ბანაკი და ა.შ.), რაც განპირობებული იყო მეურნეობის თავისებურებებით. ეს უკანასკნელი ასახვას პოულობდა კულტურის სფეროში — ქვის იარაღების ტიპოლოგიაში, ტექნიკაში, საერთოდ ხასიათში, რაც, გარდა მთელი რიგი სხვა ფაქტორებისა, მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული პალეოგეოგრაფიულ და პალეობიოლოგიურ ფაქტორებზე, ე.ი. იმ ბუნებრივ გარემოზე, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროზე, რომლითაც გარემოცული იყო ძველი ადამიანი, ძველი საზოგადოება.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს განსხვავებული გეოლოგიური ისტორია აქვს. აქედან გამომდინარე, ისინი ხასიათდებოდნენ განსხვავებული და მრავალფეროვანი ლანდშაფტურ-კლიმატური პირობებით, მეტ-ნაკლებად განსხვავებული ცხოველთა სამყაროთი და საკვებად ვარგისი მცენარეულობით, ქვის იარაღების დასამზადებლად გამოყენებული ნედლეულის სიმრავლით, მრავალფეროვნებით და სხვ. ყოველივე ეს უდაოდ ხსნის პირველყოფილი ადამიანის ფართოდ განსახლებას მის ტერიტორიაზე.

დღეისდღეობით საქართველოს ტერიტორიაზე 300-ზე მეტი აშელისა და შუა პალეოლითის — მუსტიეს ეპოქის ძველია გამოვლენილი. ეს ძველები აქ არათანაბრადაა განაწილებული, რაც ნაწილობრივ ზოგიერთი რეგიონის სუსტი

შესწავლილობით აიხსნება.

ძველი ქვის ხანის ძველების სიმრავლით განსაკუთრებით საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონი გამოირჩევა. ძველთა რაოდენობით მას უმნიშვნელოდ ჩამორჩება რიონ-ყვირილის აუზი — იმერეთის ტერიტორია და შემდგომ შიდა ქართლი².

სუსტადაა წარმოდგენილი ძველი ქვის ხანის ძველები რაჭა-ლეჩხუმის, გურიის, სამეგრელოს, კახეთის და სხვა ტერიტორიებზე, თუმცა მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ საძიებო არქეოლოგიური სამუშაოები ამ რეგიონებში ბევრად გვიან განხორციელდა და არც ახლა აქვს სისტემური ხასიათი.

ჩვენი სტატიის მიზანია, გარე კახეთში, ივრის ზეგანზე მოპოვებული ძველების მიმოხილვა.

საერთოდ, კახეთის პალეოლითის შესწავლა გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო და დიდხანს არ გაგრძელებულა. მისი კვლევა თ. ბუგინიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. მის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად 33 ძველი იქნა გამოვლენილი და შესწავლილი. აქედან 13 ადგილსაპოვებელი გარე კახეთში, ივრის ზეგანზე აღმოჩნდა. მათგან 1 მეზოლითურ ეპოქას განეკუთვნება, 9 — შუა პალეოლითს და 3 — აშელურ ეპოქას.

ივრის ზეგანი გადაჭიმულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ 170 კმ-ის მანძილზე. ის მორფოლოგიურად გაფორმდა მეოთხეული პერიოდის ტექტონიკური მოძრაობის შედეგად, ძირითადად ქვედა და შუა პლეისტოცენის განმავლობაში [Церетели 1966: 481-520]. მისი აბსოლუტური სიმაღლეები მერყეობს 100 მ-დან 1200 მ-მდე. მდ. იორი ზეგანს ორ ნაწილად ყოფს: იორ-ალაზნისა და იორ-მტკვრის მხარეებად.

როგორც იორ-ალაზნის, ისე იორ-მტკვრის ნაწილში არაერთი ქედი და სერია, ქედებს შორის კი ვაკე-ტაფობები. იორ-ალაზნის ნაწილში

1 ნაშრომი ქვეყნდება შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (FR/467/2-105/12) პროექტის ფარგლებში

2 უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი რეგიონების არქეოლოგიური კვლევა გასული საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო

უდიდესი დიდი შირაქის ველია. მისი აბსოლუტური სიმაღლე 560-700 მ-ის ტოლია, ხოლო იორმტკერის ნაწილში თავისი სიდიდით უდაბნო გამოირჩევა — 10 კმ სიგრძის და 5-6 კმ სიგანის [ბუგაიანიშვილი 1979: 62].

გარე კახეთის ზეგანი ხასიათდება უწყლობით და მწირი მცენარეული საფარით. აქ ზაფხული ცხელი და მშრალია, ზამთარი — ზომიერად ცივი [ბუგაიანიშვილი 1979: 63].

პლესტოცენის ეპოქაში, მის დასაწყისში, აქ სავანების ტიპის მსგავსი ტყე-სტეპური ლანდშაფტი უნდა ყოფილიყო. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა ის ფაუნისტური კომპლექსი (კეთილშობილი ირემი, გიგანტური ირემი, სპილო), რომელიც თავის დროზე პალეონტოლოგმა ა. ვეკუამ ივრის ზეგანზე აღმოაჩინა და შეისწავლა [ბუგაიანიშვილი 1979]. დ. ნერთელი აღნიშნავს, რომ თითქმის ასეთივე კლიმატური და ლანდშაფტური პირობები უნდა ყოფილიყო შუა და ზედაპლესტოცენში [Церетели 1966: 282]. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ივრის ზეგანზე პლესტოცენის მანძილზე ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები იყო ძველი ადამიანის არსებობისათვის.

ლ. მარუაშვილისა [მარუაშვილი ლ. 1970: 239-244] და ბ. ჯაჯანიძის მიხედვით [Джаджанидзе Б. 1969: 149-152], ივრის ზეგანზე სამი ტერასული საფეხური გამოიყოფა: I — 5-10 მეტრის სიმაღლეზე, II — 60-70 მ, ხოლო III — 110-120 მ სიმაღლეზე. მდ. ივრის შენაკადების ხეობებში კი (ლეკისწყალი, პანტიშარა, მწარე წყალი და სხვ.), დაბალი ტერასებია განვითარებული: I — 2-3 მ სიმაღლის, II — 10-12 მ და III — 30-40 მ სიმაღლეზე.

ძველი ქვის ხანის ძეგლები მდ. ივრის ორივე მხარეს აღმოჩნდა. მარცხენა სანაპიროზე 12 ადგილსაპოვებელია, რომლებიც ერთმანეთისაგან 15-20 კმ-თაა დაშორებული, მარჯვენა სანაპიროზე კი — ერთი.

არქეოლოგიური მასალა გვხვდება როგორც ტერასებზე, ისე ტაფობში, ბორცვებზე, მთისწინა ფერდობებზე და დაბალმთიანეთში, ვაკე ადგილებში.

ივრის ზეგნის ძეგლებიდან ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულია 1976 წ. აღმოჩენილი ჭაჭუნა I. იგი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ჭაჭუნას ნაკრძალის ტერიტორიაზე, ნაგრძელებული ბორცვის მოსწორებულ თხემზე, მდინარის დონიდან 10-15 მ სიმაღლეზე მდებარეობს. აქ მინის ზედაპირზე 49 ნივთი შეგროვდა. მათ შორის ყველაზე მეტი ანატაკეცია, ნაკლებად ნუკლეუსები და 7 დასრულებული იარაღი.

ანატაკეცები შემთხვევითი მოყვანილობისაა. მათი დარტყმის მოედნები ზოგ შემთხვევაში გლუვია, ზოგ შემთხვევაში კი ბუნებრივი კაჭრის ქერქითაა დაფარული. ისინი შერბილებული კლექტონური ტექნიკის ნიშნებს ატარებს. ანატაკეცთა ზომები 2,6 x 2,8 სმ-დან 8 x 7,2 სმ შორის მერყეობს (ტაბ. I₆).

ნუკლეუსებიდან ერთ-ერთი (ტაბ. I₂) ქვარგვალზეა დამზადებული. ის თავისი დამუშავებით ჩოპერს წააგავს (8,5 x 9,2 სმ).

მეორე ნუკლეუსი შუაზე გაპობილ ქვარგვალზეა გაკეთებული. მას ზურგი და გვერდები ქერქით აქვს დაფარული, სამუშაო ზედაპირზე რამდენიმე სხვადასხვა მიმართულების, სხვადასხვა ზომის ფართო და ღრმა ნეგატივები დაუყვება. ნუკლეუსი შემდგომ სახოკად გადაუკეთებიათ (ტაბ. I₄).

არის ასევე კაჭარზე გაკეთებული ორი ერთფუძიანი განივი და გრძივი ნუკლეუსი, რომელთაც ქვედა სიბრტყისაკენ დაქანებული ფუძეები აქვს.

ერთი ნუკლეუსი ორფუძიანია. დამზადებულია ქვარგვალზე. ერთი დარტყმის ფუძე განივ გვერდზე აქვს, მეორე მოედნად გრძივი ატაკეცის ერთ-ერთი ნეგატივია გამოყენებული. მისი ზომებია 6,1 x 6,3 x 3,2 სმ (ტაბ. I₅).

ჭაჭუნა I-ში იარაღთაგან მოპოვებულია სხვადასხვა სახის — სწორპირა ამოხნეკილ-სამუშაოპირიანი, ჩაღარულ-ამოღარული სამუშაო პირით, ორპირა, სამპირა და კონვერგენტული სახოკები (ტაბ. I_{3,8,9}). ისინი ანატაკეცებზეა დამზადებული, აქვთ ქვედა სიბრტყისადმი ბლაგვი კუთხით დაქანებული დარტყმის მოედნები და რელიეფური ბურცობები. ზომები მერყეობს 4,1 x 3,6 სმ და 7,5 x 4,8 სმ შორის.

კოლექციაში ანატაკეცზე გაკეთებული ერთი ნისკარტისებური 8,7 x 7,2 სმ ზომის იარაღია აღმოჩენილი. ნისკარტისებური შვერილი გამოყვანილია ორივე გვერდიდან ფართოფაცეტოვანი ციცაბო რეტეშით, მუცლის მხრიდან ამოღარვის საშუალებით (ტაბ. I₇).

თ. ბუგაიანიშვილი ჭაჭუნა I-ს ხანგრძლივ სადგომ-სახელოსნოდ მიიჩნევს. ტექნიკურ-ტიპოლოგიური მონაცემებისა და პარალელების საფუძველზე მას აშელის ეპოქის მეორე ნახევრით ათარილებს [ბუგაიანიშვილი 1979: 67-71].

სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაღაროს სამხრეთით, მდ. ივრის მარცხენა ნაპირზე, ტერასისებურ საფეხურად განლაგებულ ზედაპირზე მდებარეობს ადგილი „კრანჩხები“, სადაც ისევე, როგორც დავით გარეჯის უდაბნოში ადგ-

ილ „ჩამძვრალიხევი“ აღმოჩენილია ერთეული მონაპოვრები, რომლებიც მიუხედავად თავისი ფრაგმენტულობისა, როგორც ჩანს, სუფთა კოლექციებს წარმოადგენს, ანუ აქ არაა ღია ძეგლებისათვის დამახასიათებელი ქვის ხანის სხვადასხვა ეპოქის შერეული მასალები. ამან თ. ბუგაიანიშვილს უფლება მისცა, ეს მცირერიცხვანი მონაპოვრები აშელის II ნახევარს მიაკუთვნოს (ტაბ. I_{1,2})

უნდა აღინიშნოს, ჩამძვრალიხევი ერთი ხელნაჯახის მოპოვების ფაქტი. ის მერგელის კაჭრისაგანაა დამზადებული, აქვს ნუშისებური მოყვანილობა, ზიგზაგისებური გვერდები რეტუშითაა შესწორებული, ქუსლი საგულდაგულოდაა გათლილ-მომრგვალებული, მისი ზომებია: 14,6 x 8,3 x 4,5 სმ (ტაბ. II)

ივრის ზეგნის აშელური ეპოქა, როგორც დავინახეთ, შედგება ერთი ხანგრძლივი სადგომ-სახელოსნოსაგან (ჭაჭუნა I) და ორი პუნქტისაგან ერთეული მონაპოვრებით (ადგილი „კრანჩხები“ და ადგილი ჩამძვრალიხევი)

მუსტიური ეპოქა გარე კახეთში შედარებით ფართოდაა წარმოდგენილი. ნაკრძალ ჭაჭუნაში მოპოვებულია კიდევ ორი ძეგლი. ერთია ჭაჭუნა II, რომელიც აშელის ხანის ნამოსახლარი ბორცვის ძირში, უშუალოდ მდ. ივრისპირა ვაკეზე მდებარეობს. აქ ანდეზიტ-ბაზალტის, კაჟის და სხვა ქანებისაგან დამზადებული 31 ნივთია მოპოვებული. კოლექცია შეიცავს ამოღულ ერთფუძიან გრძივ და განივ ნუკლეუსებს, რომელთა ზომები 1,7 x 5,6 სმ და 5,8 x 4,5 სმ შორის მერყეობს. ნუკლეუსები ცალმხრივია, მათგან აცლილია მოკლე და განიერი ღრმა ნეგატივები. ეს ნუკლეუსები ქვარგვალეებსა და ანამტვრეებზეა დამზადებული. დარტყმის ფუძემერჩენილ ნუკლეუსებს მოედნები დაქანებული აქვს ქვედა სიბრტყისაკენ 70°-იანი კუთხით. დამუშავებულია, მას მთელ პერიმეტრზე ღრმა და ფართო ნეგატივები დაუყვება (ტაბ. III₁).

ჭაჭუნა II-ის ანატკეციებიდან ერთ-ერთი მოგრძო მოყვანილობის, ქვედა სიბრტყიდან ციცაბო რეტუშით გვერდამოღარული ანატკეცია, 3,8 x 2,4 სმ ზომის. ანატკეცის მეორე, ამოზნექილი გვერდი ზურგის მხრიდანაა რეტუშირებული, ფუძე კაჭრის ქერქითაა დაფარული, ბურცობს მუცლის მხარის მცირე მონაკვეთი უჭირავს.

ერთი მოგრძო, განიერი, 5,5 x 4,4 სმ ზომის ანატკეცი ორგანაა თავამოღარული მუცლის მხრიდან განიერი ფაცეტებით. ამონალარები დამატებითაა შესწორებული სუსტი რეტუშით.

დარტყმის მოედანი ასიმეტრიულია და რეტუშით ნაწილობრივ შესწორებული. ბურცობს ქვედა სიბრტყის 2/3 უჭირავს (ტაბ. III_{2,3,7}).

კომპლექსში მოპოვებულია ანდეზიტ-ბაზალტის ანატკეცებზე დამზადებული საფხეკები და სახოკები. მხოლოდ ერთი სახოკია ანამტვრეებზე გაკეთებული.

სახოკებში 2 ც. გვერდისაა, რომელთაგან ერთი ჩაღარულ-ამოღარული სამუშაო პირითაა, გამოყვანილი თხელფაცეტოვანი ციცაბო რეტუშით. ერთი გრძივი და განივი გვერდები ბუნებრივი კაჭრის ქერქითაა დაფარული. მისი ზომებია 4,4 x 4 სმ.

ორი სახოკი მოგრძო და ფართო ანატკეცებზეა გაკეთებული. ერთ-ერთს შესწორებული დარტყმის მოედანი აქვს, მეორეს გლუვი. ორივე მოედანი მუცლის მხარისაკენ ბლაგვი კუთხითაა დახრილი, ბურცობები რელიეფურია. ერთი სახოკი თავსწორსამუშაოპირიანია, მეორე კი გვერდის, ამოზნექილი სამუშაო პირით. ორივე სახოკის სამუშაო პირი დამუშავებულია ზურგის მხრიდან ციცაბო რეტუშით. ერთ-ერთს გრძივი გვერდები ფართო ფირფიტების აცლით უხეშად აქვს შესწორებული (ტაბ. III₄).

ერთი სახოკი 4,3 x 4,9 სმ ზომის ანატკეცზეა გაფორმებული. მას სამი სამუშაო ელემენტი აქვს — ერთი სწორი და ორი ამოღარული. მისი დარტყმის მოედანი განიერი და გლუვია, დაქანებულია ბლაგვი კუთხით ქვედა სიბრტყისაკენ, ბურცობი მცირე ზომისაა. სამუშაო პირები გამოყვანილია ფართოფაცეტოვანი რეტუშით (ტაბ. III₅).

საფხეკებში გამოიყოფა ამოზნექილსამუშაოპირიანი, ჩაზნექილსამუშაოპირიანი და კონვერგენტული. მათი სამუშაო პირები თხელფაცეტოვანი რეტუშით ქვედა სიბრტყიდანაა დამუშავებული, ზომები 2,3 x 3,9 სმ და 3,9 x 2,8 სმ შორისაა.

ჭაჭუნა II-ის ამ მოკლე დახასიათებიდან ჩანს, რომ მისი ძირითადი ნიშნებია ქვის პირველად და მეორად დამუშავებაში არქა-ული ტექნიკის უპირატესობა: დაქანებული, ძირითადად ფართო, გლუვი დარტყმის მოედნები, რელიეფური ბურცობები, ანატკეცების შემთხვევითი მოყვანილობა, უხეში, ფართოფაცეტოვანი, ციცაბო რეტუშის გავრცელება და სხვ.

ყველა ეს ნიშანი და პარალელები მსგავსი ნიშნების არსებობისა ჭიათურის მუნიციპალიტეტის მუსტიურ ძეგლებთან, ასევე ქვემო ქართლში ნოფის მუსტიურ სადგომთან და კიდევ სხვ. თ. ბუგაიანიშვილს საფუძველს აძლევს ჭაჭუნა II მუსტიეს ადრეულ საფეხურს მიაკუთ-

ვნოს. ჭაჭუნა II დროებით, სეზონურ სადგომს თუ ბანაკს მიეკუთვნება [ბუგიანიშვილი 1979: 76].

1968 წ. კ. ფიცხელაურმა მდ. ივრის მარცხენა ნაპირის მიმდებარე ვაკეზე იპოვა რამდენიმე ნუკლეუსი, ანატკეცი, სახოკი. აღნიშნული პუნქტი ლიტერატურაში ჭაჭუნა III-ის სახელით შევიდა (ტაბ. III_{1,2,3}). მართალია ეს პუნქტიც ერთეულ მონაპოვრებს შეიცავს, მაგრამ თავისი მეტყველი ტექნიკური ნიშნებიდან გამომდინარე თ. ბუგიანიშვილი მას ჭაჭუნა II-ის თანადროულად მიიჩნევს [ბუგიანიშვილი 1979: 76].

ასეთივე ერთეული მონაპოვრებია ივრის ზეგნის აღმოსავლეთ ნაწილში ზილიჩას ქვაბულში და შირაქის ველზე, რომლებსაც მუსტიურის იერი აქვს.

მდ. ივრის მარცხენა ნაპირის მიმდებარე ბორცვიან ზოლში, სოფ. ჯიმითში ხელოვნურ ბორცვ „სადულა გორასთან“ მუსტიურის ნაშთების შემცველი კიდეც ერთი პუნქტია გამოვლენილი. აქაა მოპოვებული რამდენიმე ანატკეცი (ტაბ. III₁), სახოკი და წვეტანის ფრაგმენტი (ტაბ. III₂).

ასეთივე მცირერიცხოვანი ნაშთებისაგან (4 ერთეული) შედგება ადგილი მელი-ღელე სოფ. მელაანში. ის 15-20 მ სიმაღლის სერის დასავლეთ ფერდობზე მდებარეობს. აქაა ანდეზიტ-ბაზალტის კაჭრებზე დამზადებული ლევალუაური (ტაბ. II₁) და არალევალუაური ნუკლეუსები, ასევე, თითო ლევალუაური ლამელისებური (ტაბ. II₂) და ფოთლისებური ანატკეცი (ტაბ. II₃).

გარე კახეთის ზეგნის იორ-მტკვრის მხარეს, როგორც ზემოთ ითქვა, დავით გარეჯის უდაბნოს ტერიტორიაზე, გარეჯის სამონასტრო კომპლექსისაკენ მიმავალი გზის პირას, ჯანგირხევის მარჯვენა ნაპირზე, ხევის მიმდებარე სანაპირო დაბლობიდან 1-1,5 მ-ით აზიდული, თხემგადარეცხილი დაბალი ბორცვის მოსწორებულ ზედაპირზე და მის ძირში შეგროვდა ქვედაპალეოლითური 26 ნივთი (22 ანატკეცი და 4 ნუკლეუსი). ნუკლეუსებიდან 2 ცალი ორმხრივი დისკოსებურია (ტაბ. II₁) და ერთი — ცალმხრივი (ტაბ. II₂). პირველი მათგანი ანდეზიტ-ბაზალტის კაჭარზეა გაკეთებული, მცირე ზომისაა, დიამეტრი 4,9 სმ-ია. ნუკლეუსი ასიმეტრიულია, ორივე ზედაპირზე ემჩნევა რადიალური, ფართო და ღრმა ნეგატივები.

არის ასევე, ერთფუძიანი განივი ტიპის ნუკლეუსი, დამზადებული ანდეზიტ-ბაზალტის პირველად ანამტვრევზე. ზურგი მთლიანად კაჭრის ქერქითაა დაფარული, ფუძე სამუშაო ზედა-

პირთან 70°-იანი მახვილი კუთხითაა დაქანებული. ფრონტალურ მხარეზე აქვს ორი ფართო ფირფიტის ატკეცის კვალი.

ორფუძიანი ცალმხრივი ნუკლეუსი გრძივი და განივი ატკეცის კვალით, დამზადებული ანდეზიტ-ბაზალტის პირველად ანამტვრევზე. ამოზნექილი ზურგი მთლიანად კაჭრის ქერქითაა დაფარული. ორივე დარტყმის მოედანი შესწორებულია და დაქანებული ზურგისაკენ, სამუშაო ზედაპირზე აქვს ურთიერთგადამკვეთი რამდენიმე მოკლე, ფართო და ღრმა ნეგატივი.

ჯანგირხევაში გავრცელებულია არალევალუაური ანატკეცები, რომელთა სიგრძე სიგანეზე მეტია და ანატკეცები, რომელთა სიგანე სიგრძეზე მეტია. ისინი ანდეზიტ-ბაზალტის, კაჟისა და მერგელისაგანაა ნაკეთები. დარტყმის მოედნები ძირითადად გლუვია, მხოლოდ ერთია ფაცეტირებული. ერთის გარდა, ამ ჯგუფის ყველა მოედანი დაქანებულია ქვედა სიბრტყისაკენ ბლაგვი, ძირითადად 110°-იანი კუთხით.

ერთ-ერთი, კაჟისაგან გაკეთებული ანატკეცის დარტყმის მოედანი გულდასმითაა ფაცეტირებული, აქვს მცირე ზომის რელიეფური ბურცობი. ზურგზე ემჩნევა წინამორბედი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულების ატკეცის არალრმა ნეგატივები (ტაბ. II₄).

მეორე ჯგუფის ანატკეცები ხასიათდება მეტ-ნაკლები მასიურობით. მათ აქვთ დაბალი, ფართო, შემთხვევითი მოყვანილობა, გლუვი დარტყმის მოედნები ქვედა სიბრტყისაკენ 100-110°-იანი ბლაგვი კუთხითაა დაქანებული. ბურცობი რელიეფურია და ხშირად ქვედა სიბრტყის ნახევარი უჭირავს. ზურგზე წინამორბედი ატკეცის თითო ფართო და ღრმა ნეგატივი დაუყვება. კოლექციაში ასევე მოიპოვება ერთი ლამელისებური ანატკეცი (ტაბ. II₅) და ერთი სახვრეტი (ტაბ. II₆).

დავით გარეჯის უდაბნოს აღნიშნული მასალა მუსტიეს ეპოქისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისებით ხასიათდება. თ. ბუგიანიშვილმა ჯანგირხის ხევის ადგილსაპოვებელი არალევალუაური ფაციესის განვითარებული მუსტიეს ხანას მიაკუთვნა [ბუგიანიშვილი 1979: 83-85].

როგორც მიმოხილული მასალიდან ჩანს, ივრის ზეგნის სამხრეთ ნაწილში, ჭაჭუნას ნაკრძალის ტერიტორიაზე მდებარეობს აშელური ხანის სადგომ-სახელოსნო ჭაჭუნა I, მუსტიურის სეზონური სადგომი ჭაჭუნა II და 3-4 ქვის ნაწარმით წარმოდგენილი ჭაჭუნა III. ზეგნის აღმოსავლეთით, შირაქის ველზე სამი ადგილსაპოვებელია — ნაგომრებისთავი, ქვემო

ქედი და ზილიჩა, რომლებიც ასევე ერთეულ მონაპოვრებს შეიცავს. ცენტრალურ ნაწილში, ვაკის ტაფობზე ადგილ „კრანჩხებში“ ერთი აშელური პუნქტია, ხოლო უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სამი ადგილსაპოვებელია: მელილელე კაჭრეთის დაბლობზე; სადულა გორა მდ. ივრის სანაპირო ბორცვოვან ნაწილში, ივრის მარჯვენა სანაპიროზე გარდაბნის მუნიციპალიტეტში, უდაბნო-გარეჯის ველზე — ჯანგირი [ბუგიანიშვილი 1979: 83-85].

ჭაჭუნა I, II და ჯანგირი შედარებით მრავალრიცხოვან მასალას შეიცავს, დანარჩენი ადგილსაპოვებლები ერთეული მონაპოვრებისაგან შედგება. ეს უკანასკნელნი თავისი ტექნიკურ-ტიპოლოგიური ნიშნებით, გარკვეულად ერთი ეპოქის მასალას შეიცავს, აქ არ ჩანს შერეული ინდუსტრიები, რაც, როგორც წესი, დამახასიათებელია ზედაპირულად აკრეფილი მასალებისათვის. ეს უფლებას აძლევს თ. ბუგიანიშვილს, ისინი ზოგადად მუსტიეს ეპოქას მიაკუთვნოს, გარდა ადგილ „კრანჩხებისა“ და „ჩამძვრალიხებისა“ რომლებიც აშელის მეორე ნახევარს უნდა შეესაბამებოდეს.

ივრის ზეგნის არც ერთი მონაპოვარი არაა აღმოჩენილი თავისი პირვანდელი განამარხების ადგილას, ისინი მეორად განლაგებაშია, მათ არ ახლავს სტრატиграფიულ-ლითოლოგიური და პალეობიოლოგიური მონაცემები.

ჩამოთვლილ ძეგლთა ინდუსტრიებში ძირითადად ანდეზიტ-ბაზალტის ჯიშის ქანია გამოყენებული, გვხვდება კაჟის, მერგელის, კირქვის და ქვის სხვა ჯიშებიც.

მართალია, მასალა მეტად მცირერიცხოვანია და არ იძლევა ზუსტი დასკვნების გაკეთების საშუალებას, მაგრამ ზოგადად მაინც შეიძლება ითქვას, რომ გარე კახეთის ძველიქვის ხანისათვის დამახასიათებელია აშელ-კლექტონური ტექნიკა, შერბილებული კლექტონური, როგორც მას თ. ბუგიანიშვილი უწოდებს, ეპიზოდურია ხელცულის არსებობა, ლევალუას ტექნიკა ჩანასახის სახით ჩანს და აქ მოპოვებული მუსტიური ძეგლები ტექნიკის არალევალუაურ ფაცციეს განეკუთვნება [ბუგიანიშვილი 1979: 84-85].

მიუხედავად სიმცირისა, ხსენებულ მონაპოვრებს მაინც დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს, რადგან ისინი კახეთის ქვის ხანის სხვა აღმოჩენებთან ერთად, უკვე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მის ტერიტორიაზე ძველი ადამიანის განსახლების შესახებ. უკვე გარკვეულად ჩანს, რომ ძველი ადამიანი აქ შუა პლეისტოცენიდან მოკიდებული, ზოგიერთი

ქრონოლოგიური წყვეტილებით, ადრე ჰოლოცენის ჩათვლით ბინადრობდა. ამ უკანასკნელზე მეტყველებს კ. ფიცხელაურის მიერ ნაკრძალ ჭაჭუნას ტერიტორიაზე მიკვლეული ჯერ-ჯერობით ერთადერთი მეზოლითური ადგილსაპოვებელი [ფიცხელაური 1965].

შეიძლება ითქვას, დარწმუნებულები ვართ, რომ კახეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიების გაგრძელების შემთხვევაში, აქ ქვის ხანის კიდევ ბევრი ძეგლი აღმოჩნდება და შესაძლოა, უძრავი კულტურული ფენითაც. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს თ. ბუგიანიშვილის მიერ კაჭრეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ზიარში მოპოვებული შესანიშნავი ძეგლი ზიარი, რომელიც კარგი სტრატиграფიით, მდიდარი არქეოლოგიური მასალითა და განამარხებულ ცხოველთა ნაშთებით ხასიათდება.

მომავალში ასეთი აღმოჩენები შესაძლებელს გახდის დამაჯერებელი დასკვნების გამოტანას კახეთის ძველი ქვის ხანის ხასიათისა და თავისებურებების, იმ დროის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის, ეკონომიკისა და კულტურის შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მისი ადგილი საქართველოს თანადროულ ძეგლებს შორის.

LOWER AND MIDDLE PALAEOLITHIC OF THE IORI PLATEAU

Summary

12 Ashelian and Middle Palaeolithic sites are found on the Iori plateau. Archaeological materials are available on the terraces and potholes, as well as on the hills, foothill slopes, lower highlands and lowland areas.

The Acheulean epoch is presented by one permanent stand-workshop Tchatchuna I and a few isolated findings, the site Kranchkhebi nearby the village of Magharo and a site of Chamdzvralikhevi on the David Gareja desert.

The Mousterian epoch is relatively widely presented in Gare Kakheti. These are a temporary stand-workshop or camp, Chachuna II, and a few isolated findings: Chachuna II, Zilicha on the Shiraki Valley, Sadugha Gora in the village of Jimiti, Meli-Ghele in the v. of Mellaani; Jangirkhevi on the territory of the desert of David Gareja and others.

None of the Kakheti surface sites are found on the spot of their fossilization; they are in a secondary distribution and they do not possess any stratigraphic-lithological and palaeobiological data.

In the industries of the listed sites mainly andesitic-basalt rock is used; flint, marl, limestone and other sorts of stone are also found here.

In general, it can be stated that the Acheulean-clactonic technique is characteristic for the Old Stone Age of Gare Kakheti and hand axe is found episodically (David Gareja desert site "Chamdzvralikhevi"), first signs of the Levallois technique and the Mousterian sites belong to non-Levallois facies.

ლიტერატურა

ბუგიანიშვილი თ. 1979: გარე კახეთის ზეგნის ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლები. – მსკა, VIII, 60-86.

მარუაშვილი ლ. 1970: საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწილი II. თბილისი.

ფიცხელაური კ. 1965: იორ-ალანის აუზის ტერიტორიზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა. თბილისი.

Джаджанидзе Б. 1969: Террасовые ступени реки Иори и история их развития. Очерки по физической географии Грузии. Тбилиси.

Церетели Д.В. 1966: Плейстоценовые отложения Грузии. Тбилиси, 481-520.

ტაბულების აღწერილობა³

ტაბ. I — ჭაჭუნა I: 1, 5. ნუკლეუსები; 2. ჩოპერისებური ნუკლეუსი; 4. ნუკლეუსი სახოკად გადაკეთებული; 3, 8, 9. სახოკები; 6. ანატკეცი; 7. ნისკარტისებური იარაღი.

— კრანჩხები: 1. ნუკლეუსი; 2. სახოკი

ტაბ. II — მელიღელე: 1. ნუკლეუსი; 2. ლევალუური ანატკეცი; 3. ფოთლისებური ანატკეცი.

— უდაბნო-ჯანგირი: 1, 2. ნუკლეუსები; 3. ლამელისებური ანატკეცი; 4. ანატკეცი; 5. სახვრეტი.

— ჩამძვრალიხევი: 1. ხელცული.

ტაბ. III — ჭაჭუნა II: 1. ნუკლეუსი; 2, 3, 7. ანატკეცი; 4. სახოკი; 5. სამპირა სახოკი; 6. ჩოპერი

— ჭაჭუნა III: 1. ნუკლეუსი; 2. სახოკი; 3. ანატკეცი.

— სადულა გორა: 1. ანატკეცი; 2. ლევალუური წვეტანის ფრაგმენტი.

³ ტაბულები შედგენილია თ. ბუგიანიშვილის მიხედვით

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – Tchatchuna I: 1,5. Nucleuses; 2. Chopper like core; 4. scraper on the core; 3, 8, 9. side-scrapers; 6. flake; 7. beak-shaped tool.

– Kranchkhebi: 1. Nucleus; 2. Side-scraper.

Pl. II – Melighele: 1. nucleus; 2. levallois flake; 3. Leaf shape flake.

– Udabno-Jangiri: 1, 2. 1, 2. Nucleuses; 3. Bladclest shape flake; 4. Flake; 5. Perforator.


– Chamdzvralikhevi: 1. 1. Biface.

Pl. III – Tchatchuna II: 1. Nucleus; 2, 3, 7. Flakes; 4. Side-scraper; 5. Triple side-scraper; 6. Chopper.


– Tchatchuna III: 1. Nucleus; 2. Side-scraper; 3. Flake.

– Sadugha Gora: 1. 1. Chopper; 2. Fragment of levallois point.

ჭ ა ქ უ ნ ა I



კ რ ა ნ ჩ ხ ე ბ ი




მელიღელე



1



2



3


უღაბნო-ჯანგირი




1




2



3





4




5


ჩამძვრალიხევი




ჭაჭუ 6 ა II



ჭაჭუ 6 ა III



სადუღაგორა



**ადრესამინათმომქმედო კულტურის ერთი პლასტის (სიონი-ნოფის ჯგუფი)
წარმომავლობისა და დათარიღების საკითხისათვის**

1951 წელს ნახიჭევანში, ხელოვნური გორა-ნამოსახლარის ქიულ-თეფეს გათხრებით საფუძველი დაედო ადრესამინათმომქმედო კულტურის ძეგლების შესწავლის პირველ ეტაპს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. სადღესოდ შესწავლილია სხვადასხვა არქეოლოგიური კულტურის ნამოსახლარები, რომლებშიც კარგად ჩანს განვითარების ეტაპები, კულტურული მიღწევები და მონინავე კულტურებთან კავშირები.

აღმოსავლეთ საქართველოში XX ს-ის 60-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა დასაბუთებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადრესამინათმომქმედო კულტურის მიწურულით დათარიღებული ძეგლების ერთი ჯგუფი გარკვეულწილად განსხვავდება „შულავერ-შომუთეფეს“ კულტურის ძეგლებისაგან. ე.წ. „სიონის“ ან იგივე ნოფის ჯგუფში თავმოყრილი ძეგლები ერთმანეთთან არსებით მსგავსებას ამჟღავნებენ [კილურაძე 1976: 3-57; ნებიერიძე 1978: 38; Варაშავილი 1992: 82-83; ჩიქოვანი 1999: 50-51; სადრაძე და სხვ. 2007: 63-67]. როგორც ჩანს ამ ერთფენიანი ძეგლების მსგავსება და საერთო დამახასიათებელი ნიშნები უნდა განსაზღვრულიყო გარემო პირობებითა და კულტურულ-სამეურნეო განვითარების საერთო დონით.

როგორც ცნობილია კვლევის ადრეულ საფეხურზე ამ ჯგუფის მაშინ ცნობილ ძეგლებს შულავერი-შომუთეფეს კულტურის მეხუთე საფეხურზე გვიანდელად მიიჩნევდნენ [კილურაძე 1976: 132].

ამ ქრონოლოგიურ ჯგუფში ნოფთან ერთად ალიკემეკ-თეფეს [Ахундов 2001: 15-22], ტელუთას და სხვა ძეგლებს მოიაზრებენ [კილურაძე 1976: 132].

ახალი გათხრების შედეგად ამ ძეგლებს ემატება არუხლო VI, წითელი სოფელი, ჯავახი, ნიჩბისი, თანდინყარო I, ბოდორნა, ახალი ჟინვალი, ხიმშიაანთ მინები, ნაქალაქარი, ხიდარი, მწითურების მამული, ჩინთი, ჟინვალის ნაქალაქარი, ხერთვისი, ნადიკვარი, დამწვარი გორა, მწერლების მინა, კვირიასწყალი, შავწყალა, ვაზიანი I, ნაჭივჭავები, სამშვილდის ორი ახალი პუნქტი, გინჩი, რუგუჯას ჯგუფის ძეგლები, ჩინა, ტიალ-

ინგი, შაუ ლაგათი, მიშტუ ლაგათი, ლაგათი, პადარი და მურადაი მდ.ალაზნის მარცხენა ნაპირზე აზერბაიჯანში და სხვ. [Вараშавილი 1992: 25-41; ჩიქოვანი 1999: 68-85; 2010: 83-91; Ахундов 2001: 15-22; Гаджиев 1991:18].

შულავერ-შომუთეფეს კულტურის მეხუთე საფეხურის ძეგლებს შორის შესაძლოა ქიულთეფე I ქვედა ფენა რამდენადმე მოგვიანოც კი იყოს. ზემოაღნიშნულზე უნდა მეტყველებდეს ფენაში დადასტურებული კერამიკის მოგვიანო ფორმები [კილურაძე 1976:128]. ეს ფაქტი მეტ-ნაკლები საფუძვლიანობით ამაგრებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ერთი მხრივ ეს ჯგუფი შულავერ-შომუთეფეს არქეოლოგიური კულტურის მეხუთე საფეხურზე უფრო გვიანდელია, ხოლო მეორე მხრივ მტკვარ-არაქსის კულტურის უადრეს ძეგლებზე უფრო ადრეული [კილურაძე 1976: 132]. მკვლევარი შულავერ-შომუთეფესა და მტკვარ-არაქსის კულტურებს შორის გენეტიკურ კავშირს გამორიცხავს, მეტიც მათ შორის ქრონოლოგიურად და კულტურულადაც განსხვავებულ ე.წ. შუალედური ეტაპის არსებობას ვარაუდობს [კილურაძე 1976: 147].

რა თქმა უნდა, ჩვენს ძალებს აღემატება ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრა, მაგრამ საკითხის დასმის წესით შევეცდებით გავიზაროთ ხელთ არსებული მასალები.

სიონის (ნოფის) ჯგუფში შემავალი დასახლებები შედარებით თხელი კულტურული ფენებითაა წარმოდგენილი. ნამოსახლარებზე გამოკვეთილი ხუროთმოძღვრული გეგმარების, საცხოვრებელი ან სამეურნეო სათავსები არ ჩანს. არის მოსაზრება, რომ ძეგლებზე გამართული იყო ნახევრად მიწურები ან მიწისზედა ე.წ.„ფაცხისებრი“ ნაგებობები ისეთივე როგორც ნავარაუდევია დასავლეთ საქართველოს თანადროულ ნამოსახლარებზე [ნებიერიძე 1972: 82-84; კიკვიძე 1976: 23; ჩიქოვანი 1999: 51]. მეტიც, სამელე კლდის მაგალითზე ჩანს, რომ ამ ჯგუფის ძეგლების შემქმნელ საზოგადოებას ტრადიციული საცხოვრებელი გამოქვაბული ჯერ კიდევ საბოლოოდ არ აქვს მიტოვებული. ზემოაღნიშნულზე მიგვანიშნებს, ერთი მხრივ,

სამერცხლე კლდე, ძუძუანა, მეორე მხრივ – შაუ ლაგათი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი მკვლევარები კახეთში შესწავლილ თანადროულ ნა-მოსახლარებზე გამოვლენილ მასალებს დასავ-ლეთ ამიერკავკასიის ძეგლებს უკავშირებენ. ლ. ნებიერიძემ ამ მსგავსება-სიახლოვის გამო გამოთქვა მოსაზრება კავკასიის ამ ნაწილში ერ-თიანი გვიანენეოლითური კულტურის არსებო-ბის შესახებ [ნებიერიძე 1978: 38].

ოთ. ჯაფარიძის კონცეფციის საფუძველზე ყვირილის აუზში მოსახლე ტომები ამ პერიოდში გარკვეულ ურთიერთობას ამყარებენ შიდა და ქვემო ქართლთან [ჯაფარიძე 1976: 58].

სრულიად დასაშვებია, რომ ეს მიგრაციული პროცესები მატერიალურად აზერბაიჯანის (ალიკემეკ-თეფე, ლეილა-თეფეს წრის), სომხ-ეთის (ტეხუტი, ტერტერძორი, მაშტოც-ბლური), ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის (გინჩი, ჩინა, ნალჩიკი და სხვ.) ტერიტორიებზეც აისახა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მკვლევართა ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი არსებული მასალების (არტეფაქტების) საფუძველზე საკვლევ რე-გიონში ჩრდილო მესოპოტამიურ ელემენტებ-საც არ გამოორიცხავს [ნებიერიძე 2010: 122-138]. დღევანდელი მონაცემების საფუძველზე ძნე-ლი ასახსნელია თუ რა პროცესებთან გვეკონდა საქმე, თუმცა არაა გამოსარიცხი, რომ „ადრეს-ამინათმოქმედ საზოგადოების განვითარე-ბის გარკვეულ საფეხურზე მოსახლეობის მატე-ბასთან ერთად... მოსახლე ტომების ერთი ნაწი-ლის აღმოსავლეთ საქართველოს მომიჯნავე ტერიტორიაზე გადასვლა ხდებოდა [ჯაფარიძე 1976: 58]. ძეგლების და იქ მოძიებული არტე-ფაქტების საფუძველზე სავარაუდოდ უფრო შორსაც. ერთი ამკარაა, სამეღე კლდის „გვიანე-ნეოლითური ხანის ნამოსახლარის ფუნქციო-ნერების დროიდანაა სავარაუდებელი მიგრაცი-ული პროცესების დაწყება, რომელიც უნდა გა-გრძელებულიყო სამერცხლე კლდის, ძუძუანასა და თეთრი მღვიმის (დასავლეთ საქართველო) ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ფენების ფუნ-ქციონირების დასასრულამდე [სადრაძე და სხვ. 2007: 66]. არაა გამოსარიცხი, რომ ამ პროცესებს თან ახლდა უკუპროცესებიც, რომლებიც რამ-დენიმე საუკუნის განმავლობაში გრძელდებო-და და მოიცავდა იმავე პერიოდს (ენეოლითის დასასრულიდან მოყოლებული ადრებრინჯაოს ხანის საკმაოდ მნიშვნელოვანი დროის მო-ნაკვეთი). ერთი მხრივ ზემოაღნიშნულის მატე-

რიალურ ასახვას უნდა წარმოადგენდეს სამერ-ცხლე კლდის, ძუძუანასა და თეთრი მღვიმის მასალებში მტკვარ-არაქსული ადრებრინჯაოს ხანის უამრავი თიხის ჭურჭლის აღმოჩენა და, მეორე მხრივ, ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავ-ლეთ კავკასიის ძეგლებზე სამეღე კლდის ანალოგიური მასალების არსებობა [Варазашвили 1992:78,79].

ამრიგად შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ზე-მოაღნიშნული მიგრაცია მოიცავდა დროს სამეღე კლდის ენეოლითური ფენიდან მოყოლე-ბული სამერცხლე კლდის, ძუძუანასა და თეთრი მღვიმის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების ფუნ-ქციონირების დასასრულამდე. ამ კულტურის შესწავლით დაკავებული მკვლევარების მოსაზ-რებით, სიონი-ნოფის ჯგუფის ძეგლებს შორის გარკვეული ქრონოლოგიური სხვაობაც შეინიშ-ნება [Варазашвили 1992: 82-84; ჩიქოვანი 1999: 128]. როგორც ზემოთ აღინიშნა, მთლიანობა-ში ეს ჯამური სხვაობა მოიცავს ქიულთეფე I, სამეღე კლდის, არუხლო VI, წითელი სოფლის, ჯავახის, ახალი ჟინვალის, ხიმშიაანთ მიწებისა და სხვა სიონი-ნოფის ჯგუფის ძეგლების ფუნ-ქციონირების დროს.

არქეოლოგიური კულტურების სტადიალური განვითარების თვალსაზრისით სიონი-ნოფის ჯგუფის ძეგლების ძირითადი (ადრეული?) ნაწი-ლი ზოგადად ძვ. წ. V-IV ათასწ. პირველი ნახ-ევრით უნდა დათარიღდეს [ჩიქოვანი 1999:153], თუმცა სხვადასხვა რეგიონში ჯგუფის გვიან-დელი მეორე ნაწილის თანაარსებობა მტკვარ-არაქსული კულტურის ადრეულ და განვითარე-ბულ საფეხურისთვის დამახასიათებელ არტე-ფაქტებთან (ქვის ინდუსტრია, თიხის ნაწარმი, ფორმები, დეკორი) ნოფი-სიონის ჯგუფის ძე-გლების ხანგრძლივ, რამდენიმე საუკუნოვან ფუნქციონირებაზეც უნდა მიგვანიშნებდეს.

ON THE PROBLEMS OF ORIGIN AND DATE OF THE EARLY FARMING STRATUM
(SIONI-TSOPI GROUP)

Summary

Nakhichevani (Azerbaijan) Kül-Tepe excavations (excavator O. Abibulaev) gave rise to the study of Early Farming period sites in the Ciscaucasia in 1951.

In the result of excavations carried out in the 1960s it has appeared that one group of sites dating from before the close of the Early Farming period in some ways differs from that of "Shulaveri-Shomutepe" culture ones (T. Kighuradze). On one hand this group of sites (Sioni-Tsopi) is later in date than the fifth stage Shulaveri-Shomutepe culture ones but on the other it is older than the earliest sites of the Kura-Arax culture (T. Kighuradze). At the same time there are not seen any genetic links between the sites of the earlier and later period group sites. Emerging from the notion just mentioned it is even supposed that there had existed some kind of intermediary stage sites between Shulaveri-Shomutepe and the Kura-Arax cultures. There should not also be excluded some kind of existence of the north Mesopotamian impulses in the region (L. Nebieridze).

Sioni-Tsopi group settlements are represented with considerably thinner layers without clearly shaped architectural structures within them. Supposedly they contained rather light timber buildings while cave dwellings of Samele Klde, Samertskhle Klde, Dzudzuana (West Georgia), Shau Lagath (north Caucasus) continued to be still inhabited (V. Sadradze et al).

There is a close similarity among the artifacts coming from the sites (stone tools and weapons, bone pieces, pottery, casting moulds, ornamentation) that has made it possible to put forward a quite well founded supposition about a probable existence of the unified Late Eneolithic culture in this part of the Caucasus (L. Nebieridze).

Azerbaijani (Alikemek-Tepe, Leila-Tepe group), Georgian, north and north-east Caucasian (Ginchi, China, Nalchik etc), Armenian (Tekhuti, Terterigori etc) sites including the layers that have yielded the artifacts of this group make us to suppose that there might have been some kinds of inner migrations.

There can easily be traced a certain chronological difference among the sites of this very stratum or of an "intermediary stage" (Kül-Tepe 1 and Samele Klde lower layers, Arukhlo, Tsiteli Sopeli, Sioni, Zhinvali, Tsopi, Dzudzuana and Samertskhle Klde) pointing to the fact that the occupations had been functioning for several centuries.

These sites should be dated to the 5th and the beginning of the 3rd millennia BC.

ლიტერატურა

- კიკვიძე ი. 1976: მინათმოქმედება და სამინათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბილისი.
- კილურაძე თ. 1976: აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამინათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია. თბილისი.
- ნებიერიძე ლ. 1972: დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბილისი.
- ნებიერიძე ლ. 1978: დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბილისი.
- ნებიერიძე ლ. 2010: ნოფის ენეოლითური კულტურა. თბილისი.
- სადრაძე ვ., კახიანი კ., ლლიღვაშვილი ე., სადრაძე თ. 2007: მტკვრისა და არაგვის ხერთვისის ენეოლით-ბრინჯაოს ხანის ძეგლები. თბილისი.
- ჩიქოვანი გ. 1999: შიდა ქართლი ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). თბილისი.
- ჩიქოვანი გ. 2010: აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამინათმოქმედო კულტურათა შესწავლის საკითხები. – ძიებანი, № 19, 83-94.
- ჯაფარიძე ო. 1976: ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. თბილისი.
- Ахундов Т. И. 2001: Северо-Западный Азербайджан в эпоху энеолита и бронзы. Баку.
- Гаджиев М. Г. 1991: Раннеземледельческая культура Северо-Восточного Кавказа. Эпоха Энеолита и ранней бронзы. Москва.
- Варазашвили В. В. 1992: Раннеземледельческая культура Иоро-Алазанского бассейна. Тбилиси.

**ტარშეურჩენელი სატევარი სამთავროს
ველის „ნაშალი“ ფენიდან**

სამთავროს ველი, რომელზედაც გამართულია სამაროვანი მდებარეობს შიდა ქართლში, ქ. მცხეთის ჩრდილოეთით; აღმოსავლეთით 0.35-0.4 კმ-ში ესაზღვრება მდ. არაგვი, დასავლეთით – კოდმანის მალლობი, სამხრეთით – მონასტრის ხევი, ხოლო ჩრდილოეთით – ბაიათხევი. ზოგადად ფართობი შეადგენს 18 ჰექტარს.

სამთავროს სამაროვანი XIX ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში გახდა ცნობილი. ძველი საქართველოს სამხედრო გზის გაფართოების პროცესში დაზიანდა.

1871-77 წლებში „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ დავალებით ფ. ბაიერნმა, იქ 600-მდე სამარხი გათხარა [ლომთათიძე 1945: 7]. მანვე მოგვცა სამთავროს ე.წ. „ქვედა სართულის“ კომპლექსების დათარიღების ცდა [Bauern 1882: 30-31; Bauern 1885: 327-354].

1938 წელს შეიქმნა „მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიცია“ და დაიწყო ფართო მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები. 1939 წელს ექსპედიცია ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დაქვემდებარებაში გადავიდა. საერთო ხელმძღვანელობა აკად. ივ.ჯავახიშვილს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ აკად. ს.ჯანაშიას დაევალა.

სამაროვნის „ჩრდილოეთ“ უბანზე გათხრებს აწარმოებდა ალ. კალანდაძე, „სამხრეთზე“ – მ. ივაშჩენკო [ჯავახიშვილი 1960: 461-466].


1938-1962 წწ. იქ ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაითხარა 3000-ზე მეტი სხვადასხვა ეპოქისა და კონსტრუქციის დასაკრძალავი ნაგებობა, რომელთაგან 550-ზე მეტი ბრინჯაო-რკინის ხანას მიეკუთვნება [კალანდაძე 1980: 33-173; კალანდაძე 1981: 7-103; კალანდაძე 1982: 7-138].

1975 წელს აკად. ა. აფაქიძისა და პროფ. ა.კალანდაძის საერთო ხელმძღვანელობით ძველზე კვლავ განახლდა არქეოლოგიური სამუშაოები. 1980 წლის ჩათვლით (სამთავროს უბნის უფროსები – გ. მანჯგალაძე, გ. გიუნაშვილი) სამაროვანზე გაითხარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ელინისტური, გვიანანტიკური და

შუასაუკუნეების ხანის ნამოსახლარები და ახ. წ. II-VIII სს. 800-მდე სამარხი [აფაქიძე და სხვ. 1978; აფაქიძე და სხვ. 1982].

სამაროვანზე 1871 წლიდან დღემდე გათხრილია 4400 სამარხი, რომელთაგან ბრინჯაო-ადრერკინის ხანისაა 560 [აბრამიშვილი 1957; სადრაძე 1997: 3].

სხვადასხვა დროს ველზე მიმდინარეობდა დაზვერვითი სამუშაოები, მათ შორის 1947 წელსაც, რომლის შესახებ ინფორმაცია ზემოაღნიშნული მასალების დამუშავების პროცესში გამოვლინდა. ნაშალ ფენაში არსებულ სხვა არტეფაქტებთან ერთად ჩვენი ყურადღება სამმა ტარშეურჩენელმა სატევარმა მიიქცია. მათგან ორი (ინვ. № 8042, სურ. 2; ინვ. № 8044, სურ.1) სამაროვანზე გაჭრილ პირველ თხრილში გამოვლინდა, ხოლო მესამის (ინვ. № 12550, სურ. 3) აღმოჩენის ადგილი უცნობია.



სურ. 1

პირველი სატევარი ბრინჯაოსია (ინვ. № 8044,

სურ.1), ტარი არ გააჩნია, პირი სამკუთხედის ფორმისაა, სატარე ყუნწზე ერთი სამანჭვლე ნახვრეტი აქვს დატანილი. სიგრძე – 11,5 სმ.

ზემოაღწერილი ტარშეურჩენელი სატევარი ზომისა და ფორმის მიხედვით შუბისპირსაც ნააგავს, თუმცა საქართველოს და სომხეთის ტერიტორიებზე აღმოჩენილ სატევრებთან მეტ სიახლოვეს ავლენს. ამ ტიპის იარაღი ცნობილია ადრე და შუაბრინჯაოს ხანის სამარხეული კომპლექსებიდან: სამთავრო (სამარხი 331, ინვ. № 2764; სამარხი 243 [ჩუბინიშვილი 1957: ტაბ. XVI]; ყორღანი XVI), თრიალეთი (ყორღანი № 15, ინვ. 4462; ბეშთაშენის № 21 სამარხი [Куртин 1941: 72, სურ. 77], დიდი ახალსოფელი(ინვ. № 1.47/2); აბანოსხევი [Рамишвили 1984-1985: ტაბ. CXXXIX], ტყვიავი [ორჯონიკიძე 2004: 29], ირგანჩაის № 48 ყორღანი [ლლიღვაშვილი 2001: 129-140], სევანის ტბა (შემთხვევითი მონაპოვარი, დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდში – ინვ. № 20.05/4), ნატახტარი [Садрაძე 1993: ტაბ. XVIII, სურ. 15; ტაბ. XXII, სურ. 12]. მსგავსი ფორმის ტარშეურჩენელი სატევრები, რომლებსაც ტარზე სამაგრი სამანჭვლე ნახვრეტი არ გააჩნია გვხვდება ადრე და შუაბრინჯაოს ხანის მთელ რიგ კომპლექსებში. ესენია: ამირანის გორა, ლიკანი, ხიზანანთ გორა, ქვაცხელა, ოზნი, სამთავრო [Садрაძე 1993: ტაბ. IV, სურ. 7], ბოლნისი [ღირსიაშვილი და სხვ. 2008: 31, 34] და სხვ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებისათვის ამ ტიპის სატევრები უცნობია.

სამთავროს ველზე „ნაშალ“ ფენაში შემთხვევით აღმოჩენილი ამ სატევარის დათარიღების საკითხი ღიად რჩება, თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი ანალოგიების საფუძველზე ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში უნდა მოექცეს.


ზემოაღწერილი მოსაზრების გასამყარებლად განვიხილოთ სამთავროს სამაროვნის XVI და 243-ე სამარხისეული ინვენტარი [სადრაძე 1997: ტაბ. VIII, სურ.1-14; ტაბ. XVI, სურ.1-13; Садрაძე 1993: ტაბ. IV, XII]. XVI სამარხიდან მომდინარე თიხის ჭურჭელი უმორგვოდ ხელითაა დამზადებული, უმეტესწილად შავად ან ღია ყავისფრადაა გამომწვარი [სადრაძე 1997: 16] დერგებსა და ქილისებრი ტიპის ჭურჭელს ახასიათებს შედარებით ფართო პირი, ბირთვისებრი ან მკვეთრწიბოიანი მუცელი, ფართო და ბრტყელი ძირი; საშუალო და მცირე ზომის ნაწარმში გვხვდება არქაული ფორმის (მტკვარარაქსული?) ყურიანი კათხა და ფრინველის მკერდისებრმებურცულყურიანი ქილა, რაც ამ

კომპლექსში შედარებით ადრეული(ბედენური?) ნიშნების არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს [სადრაძე 1990: 659]. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დერგი [სადრაძე 1997: ტაბ. VIII, სურ. 12] რომლის ანალოგიები ბერიკლდეების № 3; ცხინვალის სატყეო კომბინატის № 1 და № 2 სამარხებში, აგრეთვე უზერლიკთეფეს ნამოსახლარის პირველ ჯგუფში დასტურდება [Кышнарєва 1959: 394, სურ. 6, 101]. ზემოაღწერილ მოსაზრებას მხარს უჭერს არქაული ფორმის ტარშეურჩენელი სატევარი და ოქროს ხვია.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზემოაღწერილი ტიპოლოგიურად შედარებით განვითარებული სატევარი მეთექვსმეტე სამარხისეულ იარაღზე გვიანდელია და შუაბრინჯაოს ხანის ბედენური კულტურის შემდეგდროინდელ ეპოქას უნდა ასახავდეს. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო აზუსტებს სამთავროს 243-ე სამარხისეული კომპლექსი.

განსხვავებით XVI გორასამარხისეული არქაული ტარშეურჩენელი სატევრისგან, № 243 სატევარი შემთხვევით მონაპოვრის ზუსტ ანალოგს წარმოადგენს [ჩუბინიშვილი 1957: ტაბ. VIII, ინვ. № 2280; ტაბ. XVI]. ამიტომაცაა, რომ არ გამოვრიცხავთ მათ თანადროულობას. ზემოაღწერილი კომპლექსი მცხეთის შუაბრინჯაოს ხანის შუა ქრონოლოგიურ ჯგუფში ექცევა [Садрაძე 1993: ტაბ. XLIV]. ე. გოგაძის აზრით, თრიალეთის XVIII ყორღანისეული სატევარი სამთავროს ანალოგიურია და კომპლექსის საფუძველზე ძვ.წ 2000-1800 წწ. უნდა დათარიღდეს [გოგაძე 1970: 95]. ამავე სამარხში მიკვლეული რაპირისებრი მახვილიც ზოგადად ამ თარიღს უჭერს მხარს [ლომთათიძე 1974: 29, 102, 103; ჩუბინიშვილი 1957: 97, 98]. ზემოაღწერილი სამარხის თანმხლებ ინვენტარში რაპირისებრი მახვილის, ტარშეურჩენელი სატევრის, სარდიონის, აქატის, მთის ბროლისა და ოქროს ფუყე მძივებთან ერთად, ღია-ყავისფრად და შავად გამომწვარი ხუთი ჭურჭელი აღმოჩნდა [ლომთათიძე 1974: 35]. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თიხის ქილა [ჩუბინიშვილი 1957: 20, ტაბ. VIII, ინვ. № 2285], რომელიც გარკვეულწილად მსგავსებას პოულობს სამთავროს ადრე განხილულ XVI გორასამარხეულ ქილასთან [Садрაძე 1993: ტაბ. XLV]. თუმცა დანარჩენი თიხის ჭურჭელი რაიმე კონკრეტული თარიღის დადგენის საშუალებას არ იძლევა [Садрაძე 1993: ტაბ. XII]. ერთი ამკარაა საკვლევი ტარშეურჩენელი სატევარი ზილიჩის, დალის მთის, მარნეულის, აგრეთვე


ზოგადად თრიალეთისა და მესხეთ-ჯავახეთის ყორღანებში დადასტურებული იარაღის ანალოგიურია და მათი ფუნქციონირების ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა [ჯაფარიძე და სხვ. 1981: სურ. 3_ჟ; 1998: 55-84]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის, მაგრამ უმანჭვლო სატევრები საქართველოს ტერიტორიაზე ფართოდაა გავრცელებული: ამირანის გორა, ლიკანი, ხიზანაანთ გორა, ქვაცხელა, ტყვიავი, ოზნი და სხვ. [ორჯონიკიძე 2004: 60]. ამრიგად, შესაძლოა სამთავროს ველზე ადრე ჩატარებული „სამშენებლო“ სამუშაოების შედეგად დაზიანდა შუაბრინჯაოს ხანის სამარხი, რომლის კუთვნილებას ზემოაღნიშნული სატევარი წარმოადგენდა.



სურ. 2

დანარჩენი ტარშეურჩენელი ორი სატევარი ერთმანეთის იდენტურია. პირველს (ინვ. № 8042, სურ. 2) ახასიათებს მოკლე, რუდიმენტირებული სატარე ყუნწი, მხარზე დამატებითი თითო სამანჭვლე ნახვრეტი აქვს დატანილი; პირი ფოთლისებრი აქვს, გააჩნია დაბალი, ვიწრო ქედი. სიგრძე - 11,5სმ. მეორე სატევარი (ინვ. № 12550, სურ. 3) არ განსხვავდება ზემოაღნიშნულისგან, თუმცა ზომით შედარებით დიდია. სიგრძე - 17,5 სმ და ფართო მხრებთან თითო სამანჭვლე ნახვრეტი აქვს დატანილი. (აღმოჩნდა სამთავროს სამხრეთ უბანზე, ნაშალ ფენებში; ზუსტი ადგი-

ლი უცნობია).



სურ. 3

მნიშვნელოვანია ის, რომ ზემოაღნიშნული სატევრების ანალოგიები სამთავროს სამაროვანზე გათხრილ სხვა სამარხებში არ დასტურდება [ჩუბინაშვილი 1957, ტაბ. XVI]. შიდა ქართლის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კომპლექსებში გვხვდება მსგავსი ტიპის ტარშეურჩენელი სატევრები [Рамишвили 1995: 113]. თლიას სამაროვანზე ანალოგიური იარაღი შედარებით ფართოდაა წარმოდგენილი [Техов 1977: ნახ. 85-86]. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტიპი შიდა ქართლის მომიჯნავე რეგიონებიდან, ნაკლებადაა ცნობილი [Техов 1977: 94,95; ჯიბლაძე 2007: ტაბ. LXXIII].

ამრიგად, განხილული ტარშეურჩენელი სატევრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამთავროს სამაროვნის გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამარხეული კომპლექსებისთვის უცხო არაა ამ ტიპის იარაღი. მეტიც, სამთავროს სამაროვნის ტერიტორიაზე „ნაშალ ფენაში“ გამოვლენილი და ჩვენს მიერ განხილული ტარშეურჩენელი სატევრები გარკვეულწილად ავსებენ ამ მართლაცდა უნიკალური სამაროვნის შესახებ ჩვენს წარმოდგენებს.

DAGGERS WITH MISSING GRIP FROM THE DESTROYED LAYER OF SAMTAVRO

Summary

Based on consideration of daggers with missing grip we can conclude that for damaged burial complexes of Samtavo cemetery is alien weapon of this type. Moreover, considered daggers of destroyed layers allowed us replenish our understanding of this unique cemetery.

ლიტერატურა

- აბრამიშვილი რ. 1957:** სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო ათვისების ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, XIX-XXI, გვ. 115-138.
- აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მანჯგალაძე გ., სიხარულიძე ა., სადრაძე ვ., ჯღარკავა თ., ძნელაძე მ., დავლიანიძე რ., გიუნაშვილი გ. 1978:** მცხეთა 1976. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში – მცხეთა, II. თბილისი, 81-156.
- აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მელითაური კ., სიხარულიძე ა., სადრაძე ვ., ძნელაძე მ., მანჯგალაძე გ., ხეცურიანი ლ., ჭანიშვილი თ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., გავაშელი ე., ირემაშვილი შ., ბიბილური თ., ლლონტი ნ. 1982:** დიდი მცხეთა, 1979. დიდი მცხეთის ტერიტორიაზე 1979 წელს ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები. – მცხეთა, VI. თბილისი, 191-218.
- გოგაძე ე. 1970:** თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია. თბილისი.
- კალანდაძე ა. 1980:** სამთავრო, წინანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. – მცხეთა IV, თბილისი.
- კალანდაძე ა. 1981:** სამთავროს სამაროვნის წინანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. – მცხეთა, V. თბილისი, 7-118.
- კალანდაძე ა. 1982:** სამთავროს წინანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. – მცხეთა, VI. თბილისი, 7-138.
- ლომთათიძე გ. 1945:** არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში. თბილისი.
- ლომთათიძე გ. 1974:** ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში. თბილისი.
- ორჯონიკიძე ა. 2004:** მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში. თბილისი.
- სადრაძე ვ. 1990:** სამთავროს სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის ძეგლების ქრონოლოგია-პერიოდიზაცია. – სმამ, 138, № 3, გვ. 657-660.
- სადრაძე ვ. 1997:** სამთავროს სამაროვნის ბრინჯაოს ხანის ძეგლები. თბილისი.
- ღირსიაშვილი ქ., მეტრეველი ი. 2008:** გაეცანი წარსულს, ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კატალოგი. თბილისი.
- ღლიღვაშვილი ე. 2001:** ტაშირის № 48 და № 51 ყორღანული სამარხები. – დმანისი, III, თბილისი, 129-140.
- ჩუბინიშვილი ტ. 1957:** მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- ჯავახიშვილი ივ. 1960:** ქართველი ერის ისტორია, დამატება: „გათხრები მცხეთა-სამთავროში“. თბილისი.
- ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი., ავალიშვილი გ., წერეთელი ა., 1981:** მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 1998:** ქართული ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის ძველი ნელთაღრიცხვით მესამე ათასწლეულში. თბილისი.
- ჯიბლაძე ლ. 2007:** კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. თბილისი.

Куфтин Б. 1941: Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.

Кушнарера К. Х. 1959: Поселение эпохи бронзы на холме Узерлик-тепе около Агдама. – МИА, № 67, 388 - 430.

Рамишвили А. 1995: Археологические раскопки в Хашурском районе. – ПАИ, 1978, 69-74. Тбилиси.

Садрадзе В. 1993: Археологические памятники Мцхета Великой эпохи средней бронзы. Тбилиси.

Техов Б. 1977: Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э. Москва.

Bayern F. 1883: Bemerkungen und Ansichten über den Kaukasus, und seine vorhistorische Verhältnisse, sein Völker und deren Industrie. – Verhandlungen der Berliner Gesellschaft für Anthropologie, Ethnologie, und Urgeschichte, 326-355.

Bayern F. 1885: Untersuchungen über die ältesten Gräber und Schatzfunde in Kaukasien, Herausgegeben und mit einem Vorwort versehen von R. Virchow. Berlin.

სამარხეული ბრინჯაოს ინვენტარი ქვემო სვანეთიდან

2001 წელს ლენტეხის რაიონის სოფ. ბაბილში, ადგილ „მაცხვარ ლამზირზე“ (მაცხოვრის სალოცავი) ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ყ. ქურასბედიანმა მიწის სამუშაოების დროს (ორმოს გაჭრისას) შემთხვევით აღმოაჩინა მრავალრიცხოვანი ბრინჯაოს ინვენტარი. ამ ინფორმაციის მიღებისთანავე სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა მოინახულეს აღმოჩენის ადგილი, განმინდეს გათხრილი ორმო, რომლის ფსკერზე დაფიქსირდა ერთმანეთში არეული ადამიანების ძვლები. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ვერ მოხერხდებოდა მიცვალებულთა დაკრძალვის პოზისა და სამარხის ტიპის დადგენა. თუმცა ეს აღმოჩენაც გვაფიქრებინებს, რომ საქმე უნდა გვექონდეს ადრე რკინის ხანაში გავრცელებულ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ მიცვალებულთა მეორადი დაკრძალვის სამარხ ორმოსთან (ერგეტის სამაროვნები, ცაიში, მუხურჩა, პალურის „საძვლე“, ურეკი, ნიგვზიანი და ა.შ.). სამწუხაროდ, სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ფინანსების უკმარისობის გამო იმჟამად და მომდევნო პერიოდებში ამ საინტერესო აღმოჩენის ადგილზე სტაციონალური გათხრითი სამუშაოები ვერ განახორციელა.

სოფელ ბაბილის საინტერესო არქეოლოგიური მონაპოვარი შედგებოდა სხვადასხვა სახის 49 ნივთისაგან, რომელიც აღმომჩენის ინფორმაციით, მოთავსებული იყო ბრინჯაოს ჯამში.¹ გარკვეული ძალისხმევით შედეგად ექსპედიციამ შეძლო ბრინჯაოს არტეფაქტების ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია, სადაც ძირითადად წარმოდგენილი იყო ტანსაცმელთან და სამკაულთან დაკავშირებული ნივთები: ფიბულები (მშვილდსაკინძები), სამაჯურები, რგოლები,

ბიკონუსური ფორმის ხვიები და დუგმა. ბრინჯაოს ჯამს გააჩნია მსუბუქად გადაშლილი, ფართოყელიანი პირი. მუცლიანი კორპუსი, მსუბუქად გამოყვანილ ქუსლიან ბრტყელ და ვიწრო ძირისკენ სწრაფად ვიწროვდება. ლითონის ნივთი ცალ მხარეს დაზიანებული აღმოჩნდა, რომელიც თავიდანვე შეუკეთებიათ მოქლონვის წესით. როგორც ჩანს, ბრინჯაოს ჯამი შეკრული უნდა იყოს ერთი თხელი ფირფიტისაგან. მის დამზადებაში არ ჩანს მანჭვლების გამოყენების კვალი. ფიქრობენ, რომ ასეთი სახის ჭურჭლის დამზადება მეტად რთულ და მაღალ განვითარებულ პროცესს გულისხმობდა. ჯერ გამოკვერავდნენ ბრინჯაოს თხელ ფირფიტებს, შემდეგ კი დახვრეტდნენ და მანჭვლებით ამაგრებდნენ [სახაროვა 1976: 33]. მიაჩნიათ, რომ ჯამები და თასები იკვრებოდა ბრინჯაოს ერთი ფურცლისაგან, ხოლო ქვაბ-ქოთნები და ტოლჩები კი იქმნებოდა მანჭვლების საშუალებით [სახაროვა 2002: 43]. კოლხურ-ყობანურ კულტურაში მოქლონვის წესით დამზადებული უნდა იყოს ჯამების ძალზე მცირე ნაწილი, ხოლო ამ სახეობის ლითონის ჭურჭლის უმრავლესობა (თლიას სამაროვანი) ცვლის მოდელითაა ჩამოსხმული [აფაქიძე 2002: 201].

კოლხეთში ადრერკინის ხანაში (ძვ.წ VIII-VII სს.) ბრინჯაოს სხვადასხვა სახის ჭურჭელი (ქვაბ-ქოთნები, თასები, ვაზები, ზოომორფულყურიათი ტოლჩები-სიტულები და სხვ.) როგორც სრულად, ასევე ფრაგმენტების სახით ცნობილია განძების, სამაროვნებისა და სხვა შემთხვევითი აღმოჩენების მიხედვით: ბრილი, ქვიშარი, მახარია (სამი ერთეული), თავილონი, კურზუ, ოჯალე, ლეჩხუმი (ლაჯობის ძირის, ლუხვანოს, ოყურემის განძები – 7 ჭურჭელი, მათ შორის სიტულები), ზეკარი, ორული, ქუთაისი (მუზეუმში დაცული ერთი ჭურჭლის ძირის მიხედვით) და სხვ. [ნიორაძე 1948: 17; სახაროვა 1965: 46-48, სახაროვა 1976: 32-34, ტაბ. IX-XII; ქორიძე 1965: 28, 32, 34, 44, 48; Куфтин 1944: 25-33, ტაბ. XII; Иессен 1935: 124-125, სურ. 15]. ზოომორფულყურიათი ლითონის ჭურჭელი (სავარაუდოდ ტოლჩები-სიტულები ამ ტიპის ყურების მიხედ-

¹ ბრინჯაოს ნივთები აღმომჩენლის მიერ ერთი დღით მოტანილ იქნა არქეოლოგიის კვლევის ცენტრში. ჩვენმა დაწესებულებამ თხოვნით მიმართა საქართველოს კულტურის სამინისტროს ბაბილის არქეოლოგიური მასალების ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის შექმნის თაობაზე, რაც ვერ მოხერხდა. ამჟამად, ამ ბრინჯაოს კოლექციის ადგილსამყოფელი ჩვენთვის უცნობია.

ვით) გამოვლენილია ერგეტისა (№ 1 სამაროვნის მე-6 სამარხი და № 2 სამაროვანი) და ცაიშის (№ 1 სამარხი) სამაროვნებზე.

კოლხეთში უფრო მოგვიანო პერიოდშიც (ძვ.წ V-III სს.) ცნობილია ორმხრივი, გრძელი, ზოომორფულყურიანი ბრინჯაოს სიტულები და ამ მეტალისგან დამზადებული სხვა სახის ჭურჭელი: ქობულეთ-ფიჭვნარის, ითხვისის, ვანის (ძვ.წ. V ს. – 3 ერთეული, ელინისტური ხანის 3 სიტულა № 2 და № 13 სამარხები, საირხის № 11 სამარხი [ლორთქიფანიძე 1972: 21, 22, სურ. 224-225; მათიაშვილი 1974: 101-103, სურ. 91-93; მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007; Эрлих 2013: 152-153, სურ. 2₁₋₁₉]. ფიქრობენ, რომ ეს სიტულები ტიპოლოგიურად იმეორებენ ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში საქართველოსა და კავკასიაში გავრცელებულ ბრინჯაოს ჭურჭლებს, რომლის ცენტრად მიჩნეულია კოლხეთი [ლორთქიფანიძე 1972: 21; სახაროვა 1965: 46-48]. უკანასკნელ პერიოდამდე ბაბილის მსგავსი ლითონის ჯამები არ იყო ცნობილი, მაგრამ ბოლო აღმოჩენების მიხედვით ირკვევა, რომ ბრინჯაოს ჯამები ერთ-ერთი თანმხლები ინვენტარი ყოფილა კოლხეთის მეორადი დაკრძალვის სამაროვნებისთვის (მხედველობაში გვაქვს ცაიშის სამაროვნის № 1 სამარხში გამოვლენილი ბრინჯაოს ჯამი).²

ბაბილის ჯამს ტიპოლოგიურად გარკვეული პარალელები ეძებნება ჩაბარუხის განძის შემადგენლობაში შემავალ ამ სახის ლითონის ჭურჭელთან (3 ერთეული) [ქორიძე 1965: 42].³ განსაკუთრებით მრავლად არის წარმოდგენილი სხვადასხვა სახის ბრინჯაოს ჭურჭელი (ტოლჩები, ვედროები, ჯამები, ამფორისებური ლითონის ჭურჭელი) კოლხური კულტურის ძეგლზე – თლიას სამაროვანზე. შეიძლება ითქვას, რომ ბაბილის ბრინჯაოს ჯამი ტიპოლოგიური მონაცემებით თითქმის არ განირჩევა თლიას სამაროვნის № 41, 54, 87, 92, 106, 129, 171, 173,

181, 216, 242, 253, 255, 269, 290, 298 სამარხებში გამოვლენილ ამ რიგის ბრინჯაოს ჭურჭლისაგან [Техов 1981: ტაბ. 52₇, 54₉, 56₄, 57₆, 66₄, 67_{4,5,12}, 85₇, 121₃; Техов 1985: 67-69, ტაბ. 113₄, 123₉, 127₉, 131_{2,3}, 145₇, 150₂, 165₄, 173₃, 175₃, 183₁]. ფიქრობენ, რომ თლიას სამაროვანი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში წარმოადგენდა კოლხური ბრინჯაოს ჭურჭლის გავრცელების უმთავრეს ზონას, მისი წარმოების შესაძლო ცენტრს [აფაქიძე 2002: 205]. ამ ძეგლზე გვხვდება ლითონის ჭურჭლის ისეთი სახეობაც, რომელიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიისათვის არ არის დამახასიათებელი (ამფორისმაგვარი და ვედროსებური ბრინჯაოს ჭურჭელი). შესაძლოა, ეს აიხსნას კოლხური კულტურის ლოკალური თავისებურებებით შიდა ქართლის ტერიტორიაზე. კერძოდ, თლიას სამაროვნის გავრცელების ზონაში. ფიქრობენ, რომ თლიას სამაროვანზე არსებული ვედროსებური ფორმის ბრინჯაოს ჭურჭელი ტიპოლოგიურად რამდენადმე განსხვავდება ყობანური კულტურის აღმოსავლეთ და დასავლეთ ვარიანტებში ცნობილ ამ რიგის არტიფაქტებისაგან [Козенкова 1996: სურ.196₄; Козенкова 1998: 108-109, ტაბ. XLII₅₋₆; აფაქიძე 2002].

ბრინჯაოს ჭურჭელი, მათ შორის ჯამები, უხვად გვხვდება ყობანურ კულტურაში, მის ლოკალურ ვარიანტებში (დასავლეთი, ცენტრალური და აღმოსავლეთი) [Козенкова 1996: 50]. განსაკუთრებით კი ყაბარდოსა და ჩრდილოეთ ოსეთში [Иессен 1935: 43; Пиотровский 1940: 55; Крупнов 1957: 110-112; Крупнов 1959: 29-30; Крупнов 1960: 354; Куфтин 1944: 68-69; სახაროვა 2002: 43].

ყობანური კულტურის ცენტრალური ვარიანტიდან ლითონის ჭურჭელი დასტურდება ფასკაუს, ზემო რუხთას, კაშკატაუს სამაროვნებზე, ყუმტალინის განძის შემადგენლობაში და სხვ. [აფაქიძე 2002: 203]. აღსანიშნავია, რომ თლიას სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ჯამები ბევრ საერთოს პოულობენ ყობანური კულტურის ცენტრალურ და დასავლურ ვარიანტებში არსებულ ამ სახის ჭურჭელთან [აფაქიძე 2002: 204, ტაბ. 67₄₋₆, 73₄₋₇, 86₃].

როგორც ვხედავთ, ბრინჯაოს სხვადასხვა სახეობის ჭურჭელი, მათ შორის ჯამები (თლიას სამაროვანი) მრავლად არის წარმოდგენილი კოლხურ-ყობანურ კულტურაში, რამაც მკვლევარებს ზოგადად ავარაუდებინა მათი საერთო კავკასიური წარმომავლობა (მხედველობაში ჰქონდათ ზოომორფულყურიანი ლითონის ჭურჭელი) [სახაროვა 2002: 43]. ა.იესენმა ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ზოომორ-

2 ცაიშის სამაროვანზე გამოვლენილი ზოომორფულყურიანი ჭურჭლისა და ჯამების შესახებ ცნობა მოგვანოდა და ფოტო მასალა გავაცნო ძეგლის გამთხრელმა რევაზ პაპუაშვილმა, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

3 აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ჭურჭელი აღმოჩენილია სასირეთის (სიტულა), ჩაბარუხისა (4 ერთეული – 3 ჯამი, 1 – სიტულა) და შედარებით მოგვიანო პერიოდის, დაახლ. ძვ.წ VI-IV სს. ყაზბეგის განძის (ბრინჯაოს ოთხი ჭურჭელი, სიტულა, მათარები) შემადგენლობაში [სულაია 2011: 59-60; Панцхава 1986: 28-31]. ასევე გვინდა შევნიშნოთ, რომ ბრინჯაოს ჭურჭლის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია მოცემული აქვს ა. პრუსს, ბ. ტეხოვს, ვ. კოზენკოვას, ლ. სახაროვას, ჯ. აფაქიძეს და სხვა მკვლევარებს [აფაქიძე 2002: 2, 201-203; სახაროვა 2002ა: 30; Техов 1977: 76; Козенкова 1996: 47].

ფულყურიანი ბრინჯაოს სიტულები დასავლეთ ამიერკავკასიური წარმომავლობისა იყო, რომლის წარმოება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ლეჩხუმისა და რაჭის საბადოებთან [Иессен 1935]. ქართულ არქეოლოგიურ მეცნიერებაში (ბ. კუფტინი, ო. ჯაფარიძე, გ. გობეჯიშვილი, ლ. სახაროვა, ე. გოგაძე, ო. ლამბაშიძე, ჯ. აფაქიძე) დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ კოლხური ბრინჯაოს ჭურჭლის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ადგილობრივმა კერამიკულმა ფორმებმა და დეკორატიულმა მოტივებმა [საქართველოს არქეოლოგია 1959: 220; Куфтин 1949: 217; ლამბაშიძე 1963: 62-63; სახაროვა 2002: 43; აფაქიძე 2002: 203-205]. ზოგიერთი მკვლევარი (რ. აბრამიშვილი) უფრო შორს მიდის და ზოომორფულყურიან (დაცეკვეტილყურიან) ჭურჭელს ეთნიკურ ატრიბუციასაც ანიჭებს [სახაროვა 2002: 43]. ამდენად, საბოლოოდ მიდინან იმ დასკვნამდე, რომ ლითონის ზოომორფულყურიანი ჭურჭელი ადგილობრივი წარმომავლობისა უნდა იყოს და მისი ფესვები სწორედ აქ საქართველოშია საძიებელი. იმასაც აღნიშნავენ, რომ ზოომორფულყურიანი ტოლჩების მიხედვით დასავლეთ საქართველო, თლია და ყობანური კულტურის ლოკალური ვარიანტები ერთ კულტურას წარმოადგენდა [აფაქიძე 2002: 205]. დამაჯერებლად უნდა გამოიყურებოდეს ის მოსაზრება, რომ ზოომორფულყურიანი ჭურჭელი ყობანში ვერ შეიქმნებოდა, რადგან აქ მისი საფუძველი არ არსებობდა. თლიას სამაროვანზე აღმოჩენილ ბრინჯაოს დიდი რაოდენობით ჭურჭელზე დაყრდნობით (პირველ რიგში ზოომორფულყურიანი ტოლჩები, ჯამები, სიტულა-ვედროები) ფიქრობენ (ლ. გალინინი, ბ. ტეხოვი, ვ. პეტრენკო, ე. ერლიხი და სხვ.), რომ ძვ.წ. VIII-VI სს-ში მათი წარმოშობის შესაძლო ცენტრი უნდა ყოფილიყო ცენტრალური კავკასიის სამხრეთ ფერდობზე განლაგებული ძეგლები [Техов 2002: 182-183; Эрлих 2007: 84; Эрлих 2013: 153]. ასევე დასაშვებად მიაჩნიათ, რომ ზოომორფულყურიანი სიტულების (ვ. კოზენკოვას აზრით, პირველი ტიპის სიტულები) დამზადების ცენტრი უნდა ვეძიოთ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, კერძოდ დიდი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე არსებულ ძეგლებზე [Эрлих 2013: 152; Козенкова 1998: 110]. ორმხრივი გრძელყურა ზოომორფულყურიანი ბრინჯაოს ჭურჭელი (I ტიპი) საკმაო რაოდენობით გვხვდება კავკასიასა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ტყისპირა ზო-

ნაში [Эрлих 2013: 153, სურ.2₁₋₁₉].⁴ ფიქრობენ, რომ ამ ტიპის ბრინჯაოს ჭურჭლის ყველაზე მოგვიანო ვარიანტები (ელინისტური ხანა) წარმოდგენილია კოლხეთში ვანის, საირხისა და ანუხვას ამ სახის არტეფაქტების სახით.

როგორც ვხედავთ, არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული ბრინჯაოს სხვადასხვა ტიპის ჭურჭლის, მათ შორის, ბაბილის მსგავსი ჯამების წარმომავლობის საკითხებზე. ჩვენ უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება ძვ.წ VIII-VII სს-ის ზოომორფულყურიანი ტოლჩების, ჯამების, ქვაბ-ქოთნებისა და სხვა ამგვარი ლითონის ჭურჭლის უძველესი წარმომავლობა ვეძიოთ პროტო- და ძველკოლხური კულტურების თიხის ნაწარმში [Куфтин 1950: ტაბ. 55_{1, 2, 4}; გოგაძე 1982: ტაბ.39_{10, 30, 1090, 41, 506}; ჯიბლაძე 2007: ტაბ. XXI_{59, 55}]. აღნიშნული ბრინჯაოს ჭურჭლის უძველესი ფესვების მოძიებისას ასევე გასათვალისწინებელია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურებში არსებული თიხის ჭურჭლის ფორმებიც. ალბათ, წინაანტიკური ხანის ბრინჯაოს ზოგიერთი სახეობის ჭურჭლის (ვედროსებური, ამფორისებური ფორმის ლითონის ჭურჭელი, ჯამები და ა.შ.) წარმოების ძირითად ცენტრად უნდა მივიჩნიოთ არა დასავლეთ საქართველოს ტერიტორია, არამედ შიდა ქართლის რეგიონში მდებარე კოლხური კულტურის ძეგლი – თლიას სამაროვანი [აფაქიძე 2002: 203-205]. ასევე ყობანური (თუ კოლხურ-ყობანური) კულტურა. კერძოდ, დიდი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდზე არსებული ძეგლები. იქნებ ამ დასკვნამდე მისვლის ერთგვარ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს თლიას სამაროვანსა და ყობანური კულტურის ძეგლებზე ბრინჯაოს სხვადასხვა სახეობის ჭურჭლის სიჭარბეც (დაახლოებით 400 ერთეულამდე). თუმცა, უფრო მისაღებად მიაჩნიათ ყობანში ზოომორფულყურიანი ქვაბ-ქოთნების, ტოლჩებისა და სხვა ჭურჭლის გაჩენა ახსნან კოლხურ კულტურასთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად [სახაროვა 1976: 34; სახაროვა 2002: 43; სახაროვა 2002ა: 25].

ბაბილის მონაპოვარში ტანსაცმელთან დაკავშირებული არტეფაქტები, ფიბულები,

4 კავკასიური წარმომავლობის მოქლონვის წესით ბრინჯაოს ფურცლისაგან დამზადებულ ჭურჭელში ორ ძირითად ტიპს გამოყოფენ: 1. ორმხრივი გვერდიანი, წაგრძელებული მოყვანილობის ზოომორფულყურიანი სიტულები (ქვაბის ფორმის ჭურჭელი). 2. სიტულა-ვედროები [Эрлих 2013: 150]. წინა და ადრესკვიტურ ხანაში (ძვ.წ VIII-VII სს.) ზოომორფულყურიანი სიტულების განვითარებაში 3 ტიპს გამოყოფენ [Эрлих 2007: 82-84].

ხუთი ერთეულითაა წარმოდგენილი. ამ ნივთების, რომლებიც კოლხურ-ყობანურ კულტურებში არსებული ბრინჯაოს ნაწარმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, არაერთი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია არსებობს [დანვრილებით იხილეთ სულავა 2011: 1-17]. კავკასიის ფიბულების ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაზე, ქრონოლოგიაზე, მათი ლოკალური ვარიანტების გამოყოფაზე, გენეზისსა და გავრცელების გზებზე უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით დიდი სამუშაოები იქნა ჩატარებული [სულავა 2000: 38-45; სულავა 2006: 92-106; სულავა 2011]. ერთნაირად რკალისებური ფიბულების ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში გამოიყო ხუთი ტიპი თავის ქვეტიპებით [სულავა 2011: 80-169, ტაბ. 61/a, 6/b]. ბაბილის ნივთები განეკუთვნება ბრინჯაოს ერთნაირად ფიბულებს, რომელთაც აქვთ ნახევარრკალისებური (ნალისებრი) ფორმა და მაღალი თალი. ისინი ზოგიერთი კლასიფიკაციის გათვალისწინებით ზოგადად განეკუთვნებიან III ტიპს, რომელიც რკალის განიკვეთის, ბუდის (მიმღების) ფორმით, მათი შემკულობითა და სხვა დეტალებით უფრო დანაწევრებულ იქნა სხვადასხვა ვარიანტებად [სულავა 2011: 92-154]. ყველა ამ მონაცემების გათვალისწინებით, ბაბილის ფიბულებში უნდა გამოიყოს სამი ქვეტიპი. I ქვეტიპის ფიბულას აქვს მრგვალგანიკვეთიანი რკალის ღერო, რომლის შუა ნაწილი ძლიერ შესქელებული და დაბრტყელებულია. რკალის ღეროს თავსა და ბოლოში გააჩნია დისკოსებური (ლილისებური) შემსხვილებები. მისი ზედაპირი (ზურგი) ირგვლივ შემკულია ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით დასმული გრავირებული თევზიფხური ორნამენტით. აქვს მსხვილი ზამბარა, ფართო და გვერდებმომრგვალებული ნიჩბისებური ფორმის ბუდე (მიმღები) (ტაბ. II₈₉).

II ქვეტიპის ფიბულები სამი ერთეულითაა წარმოდგენილი. აქვთ ყვავილისებური (ვარსკვლავისებური) განიკვეთი, თანაბრად შემსხვილებული, თავსა და ბოლოში დანვრილებული რკალის ღერო. არტეფაქტებს ზედაპირზე (ზურგზე) სიგრძეზე გასდევს ერთმანეთისგან დაშორებული ზოლები, რომელთა შორის სივრცე დაშტრიხულია თევზიფხური ორნამენტით. ფიბულებს ზამბარასთან და ბუდესთან წყვილად შემოსდევს ერთმანეთისგან დაშორებული ზოლები. მათ შორის არსებული სივრცე შეესაბამება რომბული, პარკეტული, სამკუთხა წყობის შტრიხებითა და ირიბად დასმული გრავირებით. სამივე ფაბულას აქვს მსხვილი ზამბარა, ნაგრძელებული და

ოდნავ გვერდებმომრგვალებული ნიჩბისებური ფორმის ბუდე, სადაც გამოსახულია ფანტასტიკური ცხოველი (ტაბ. II_{1,7,10}). თვლიან, რომ კოლხური კულტურის ბრინჯაოს ინვენტარებზე (ცულები, ფიბულები და სხვ.) გადმოცემული ასეთი სახის დეკორი ძალს უნდა გამოსახავდეს [ფანცხავა 1988: 35]. როგორც ბაბილის ფიბულებზე, ასევე სხვა შემთხვევაშიც ეს გამოსახულებები ერთი სტილითაა შესრულებული. ცხოველს ყოველთვის თავი უკან აქვს შემობრუნებული, სხეულის პროპორციები დარღვეულია, გამოსახულება ყოველთვის დაფარულია წერტილოვანი სახით და მთელ ნაკვეთს აქვს S-ბური ფორმა [ფანცხავა 1988: 35]. ბაბილის ფიბულებზე ძალის გამოსახულება შესრულებულია კოლხური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი მანერით, რომელიც ძვ.წ VIII-VI სს-ით თარიღდება [ფანცხავა 1988: 35]. ამ რიგის ნივთების ბუდეზე ძალის გამოსახულებასთან ერთად გვხვდება გველი, მალტური ჯვარი და სხვა გეომეტრიული ნაკვეთები.

ბაბილის III ქვეტიპის ფიბულას აქვს თანაბარი ზომის, რკალის ღერო, ძლიერ შემსხვილებული გრეხილით, პატარა ზომის ბუდე (ტაბ. II₁₁).

ტანსაცმელთან დაკავშირებული ბაბილის ეს არტეფაქტები ტიპოლოგიური მონაცემებით ახლოს დგას III₃ a-c, III₄, III₈ a, III₁₂ ტიპის ფიბულებთან [სულავა 2011: ტაბ. 61/a, 61/b]. მათი ახლო პარალელები უხვად მოიპოვება კოლხურ-ყობანურ კულტურებში, განსაკუთრებით თლიას სამაროვნის სამარხულ კომპლექსებში და სხვა რეგიონებში [სულავა 2000: 38-45; სულავა 2006: 92-106, ტაბ. I-VIII; სულავა 2011: 103-113, 123-133, 142-146; Уварова 1900: ტაბ. XXXI₆, XXXII₇, LXVIII₂; აფაქიძე 2002: 163-165, ტაბ. 59-60; Тетов 1985: 139].⁵ კავკასიური ფიბულების უძველეს პროტოტიპად მიიჩნევენ ბერძნულ სუბმიკენურ ფიბულებს [Куфтин 1944: 310-317].

ბაბილის მონაპოვარში შემდეგი ჯგუფი ბრინჯაოს არტეფაქტებისა წარმოდგენილია სამაჯურების სახით, რომელთაც ორივე მხარეს ბოლოები (თავები) სპირალურად აქვთ დახვეული. ყველა მათგანი დამზადებულია (ჩამოსხმულია) ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან. ოთხი ცალი ერთი ტიპისაა, რომელთაგან ზოგიერთს ზედაპირზე გააჩნია სიგრძეზე დასმული, ერთმანეთის პარალელური სამი ირიბნაჭდევით

⁵ თლიას სამაროვანზე გამოვლენილ ბრინჯაოს ფიბულებში (მათ შორის ბაბილის ფიბულების ანალოგიურის) გამოყოფენ 3, 4, 5 და 7 ტიპს [სულავა 2006: 93; აფაქიძე 2002: 162-163; Тетов 1977: 142-147; Тетов 2002: 228-230].

ანი, მკვეთრად გამოკვეთილი ნიბო (ტაბ. II₁₃₋₁₆). ასეთი ტიპის სამაჯურები ფართოდ ყოფილა გავრცელებული ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის სამაროვნებზე (ყულანურხვა, ბომბორას ველი, ტყვარჩელი, ცაიში № 1 სამარხი, ბრილი და სხვ.) [დოლიძე 1999: 32, პაპუაშვილი 2010: 37-38, ტაბ. XII₅₆, III₇₆; Papuashvili R. 2012: 65-79, ტაბ. 72; Лукин 1941: ტაბ. XIV₁; Трапш 1970: ტაბ. III₁]. გვხვდება იგი შიდა ქართლის ტერიტორიაზე კოლხური კულტურის ძეგლებზე – თლიას სამაროვანზე [Техов 1981: 56, ტაბ. 41_{3,5}, 62_{3,5}]. სპირალურთავიანი სამაჯურების ყველაზე მრავალრიცხოვანი ვარიანტები უხვად დასტურდება ყობანური კულტურის სხვადასხვა ლოკალურ წრეში [აფაქიძე 2002: 179; Уварова 1990: ტაბ. XXX_{4,5}; Козенкова 1982: ტაბ. XXVII₁₀₋₁₁; Козенкова 1998: XVI_{7,9}].

კოლხეთში ამ ტიპის სამაჯურების შემცველ კომპლექსებს საზღვრავენ ძვ.წ VIII-VII, ან ძვ.წ VIII-VI სს-ით [Микеладзе 1990: ტაბ. XXIX_{1,4}; დოლიძე 1999: 32]. თლიას სამაროვანზე სპირალურთავიანი სამაჯურების გამოჩენას ათარიღებენ ძვ.წ XII-X სს-ით.

ზოგიერთმა მკვლევარმა თლიას სამაროვნიდან მომდინარე ამ ტიპის სამაჯურები ფიზიკურად ერთად გააერთიანა III-IV ჯგუფში და განსაზღვრა ძვ.წ VIII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ VI ს-ის პირველი ნახევრით [სულავა 2000: 38-42, ტაბ. I]. სპირალურთავიანი სამაჯურების გამოჩენას აკუთვნებენ ყობანური კულტურის პირველ ეტაპს – ძვ.წ IX-VIII სს. [Крупнов 1960: 460, ტაბ. XXXVIII₁₆]. გამოითქვა მოსაზრება სპირალურთავიანი სამაჯურების ცენტრალურ ევროპაში წარმოშობის შესახებ, რომელიც შემდეგში უარყოფილ იქნა. ამ ტიპის სამკაულის პროტოტიპად ჩათვალიეს შედარებით ვიწრო ფირფიტისგან დამზადებული სპირალურ ბოლოებიანი სამაჯურები [Техов 1974: 32, სურ. 29_{6,7}; Техов 1977: 160].

ბაბილის მასალებში ასევე გვხვდება ბრინჯაოს თხელი ფირფიტისგან დამზადებული სამაჯური, რომლის ზედაპირზე სიგრძეზე გამოკვეთილია ერთმანეთის პარალელური ექვსი ნიბო (ტაბ. II₁₂). სამაჯურს აქვს გლუვი შიდაპირი და ერთმანეთისგან დამორებული თავები (ბოლოები). ბაბილის ეს არტეფაქტი ტიპოლოგიურად უახლოვდება ცილინდრული ფორმის სამაჯურებს, რომელიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილია მხოლოდ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ძვ.წ VIII-VII სს-ის სამარხეულ კომპლექსებში (ყულანურხვა

№№ 1, 2, 6, 7, 11 სამარხები, ქვემო ეშერა, ზვანდრიფში, გაგრა, მუგუძირხვა და სხვ.) [დოლიძე 1999: 30; ბარამიძე და სხვ. 2013: ტაბ. I, II_{8,9}]. ამ ტიპის სამკაულს თვლიან ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ძეგლების ლოკალურ თავისებურებად [დოლიძე 1999: 32]. ბაბილის სამაჯურთან ტიპოლოგიურად ახლოს დგას ყობანურ კულტურაში გამოვლენილი ამ სახის სამაჯურები [Козенкова 1982: ტაბ. XXVII_{1,3}], რომელსაც აკუთვნებენ ყობანური კულტურის განვითარების პირველ ეტაპს (ძვ.წ IX-VIII სს.) [Крупнов 1960: 460, ტაბ. XXXVIII₁₆].

ბაბილის მონაპოვარში ბრინჯაოს რგოლები 14 ცალია (ტაბ. II_{4,6}). ყველა ერთი ტიპისაა – ბოლოებშიერთებული. დამზადებულია სამკუთხა და ბრტყელგანიკვეთიანი ორლარიანი ბრინჯაოს ფირფიტისაგან (მავთულისაგან), რომელთაც შუაში ირგვლივ შემოსდევს ქედი. ზოგიერთ ნიმუშს შუა ნაწილში ქედი უფრო მაღლა აქვს ამონეული, ზოგს კი ნაკლებად. ბრინჯაოს რგოლები თითქმის ყველა ერთი ზომისაა და ოვალურხვრელიანია. კოლხურ, მეორადი დაკრძალვის სამაროვნებზე ბრინჯაოსთან ერთად გვხვდება სხვადასხვა ლითონისგან (ოქრო, ვერცხლი, რკინა) დამზადებული ძირითადად მრგვალგანიკვეთიანი ბოლოებგახსნილი რგოლები (სალტეები) [მიქელაძე 1985: 55-56, 84]. ბრინჯაოს რგოლები ასევე დასტურდება კოლხური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძების შემადგენლობაში. ფართოდაა ეს ნივთები წარმოდგენილი ყობანურ კულტურაში. ფიქრობენ, რომ ეს არტეფაქტები სამკაულს წარმოადგენდა [მიქელაძე 1985: 55; Микеладзе 1990: ტაბ. XXXIII; Техов 1977: 164]. თლიას სამაროვნიდან მომდინარე რამდენიმე განსხვავებული ფორმის ბრინჯაოს რგოლებს 7 ტიპად ყოფენ [აფაქიძე 2002: 179-180]. მათი ნაწილი სანვივე რგოლებს დაუკავშირეს, რომლებიც მიცვალებულს ფეხებზე ჰქონიათ წამოცმული. ფიქრობენ, რომ ზოგიერთი ტიპი გვიანბრინჯაოს ხანაში გაცვლა-გამოცვლის საგანს წარმოადგენდა და იგი ფულის ფუნქციასაც ასრულებდა [აფაქიძე 2002: 183]. ბაბილის რგოლების გათვალისწინებით უფრო მისაღებად გვეჩვენება მათი დაკავშირება ქალის სამკაულთან.

ბაბილის კოლექცია ბიკონუსური ფორმის 10 ცალ ბრინჯაოს სპირალურ ხვიას (მძივ-საკიდს) შეიცავდა, რომელთა სიგრძე 3-6 სმ-ს შორის მერყეობდა (ტაბ. I₂, II₃). ისინი დამზადებულია სამკუთხა განივი ღეროსაგან. ეს ნივთები ძვ.წ VIII-VII სს-ში გვხვდება ადრერკინის ხანის

კოლხურ სამაროვნებზე (წითელი შუქურა, პრი-
 მორსკოე, ბომბორის ველი, ცაიში, ერგეტა და
 სხვა.) [პაპუაშვილი 2010: 38, ტაბ. IV; დოლიძე
 1999: ტაბ. III, IX, X₁₃₋₈; Микеладзе 1990: ტაბ. XX].
 კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის
 ნამოსახლარებისა და განძების შემადგენლობა-
 ში დასტურდება განსხვავებული ფორმისა და
 უფრო დიდი ზომის ბრინჯაოს სპირალური
 ხვები [Иессен 1935: 125, სურ. 17; ქორიძე 1965:
 40, სურ. 33; ჯიბლაძე 2007: ტაბ. CIV₁₅]. ბაბილის
 ბიკონუსური ფორმის მსგავსი ხვები გვხვდე-
 ბა თლიას სამაროვანზე [აფაქიძე 2002: ტაბ.
 70₁₈]. ძვ.წ VIII-VII სს-ში ეს არტეფაქტები განსა-
 კუთრებით მრავლადაა წარმოდგენილი ყობა-
 ნურ კულტურაში, მისი სხვადასხვა ლოკალური
 ვარიანტის ძეგლებზე [Уварова 1900: ტაბ. XXVIII₆;
 Крупнов 1960: ტაბ. XXXIV₅₋₆; Козенкова 1982: ტაბ.
 XXXVIII₄₈]. ბაბილის მონაპოვარში მრგვალდეროი-
 ანი სპირალურბოლოებიანი (სათვალისებური
 ფორმის) დუგმა ერთი ცალია, ისიც ფრაგმენ-
 ტულადაა წარმოდგენილი (ტაბ. I₁). ეს ნივთები
 წარმოდგენილია კოლხეთის შუაბრინჯაოსა და
 გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხეულ
 კომპლექსებში (მოდინახე, გაგიდა, ბრილი და
 ა.შ.) [პაპუაშვილი 2010: 38, ტაბ. III₆₅₋₆₆; ჯიბლაძე და
 სხვ. 2004: 76, ტაბ. IV₁₅₋₁₉; Микеладзе 1990: ტაბ. XX].
 გვხვდება ისინი ნალვლის, თლიას სამაროვნე-
 ბზე, მესხეთ-ჯავახეთში და სხვაგან [აფაქიძე
 2002: 172-173; ჯიბლაძე და სხვ. 2004: 76; Техов
 1981: 55, ტაბ. 20₁₋₅, 25₁₀, 26₁₀], ასევე ყობანურ
 კულტურაშიც [Уварова 1900: XXII₂].

ამრიგად, ბაბილში უაღრესად საყურადღებო
 არქეოლოგიურ აღმოჩენასთან გვაქვს საქმე,
 სადაც გამოვლენილი არტეფაქტები ტიპურია
 ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის სა-
 მაროვნებისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს
 ინვენტარისა. მისი ასაკი შესაძლოა განისაზღვ-
 როს ძვ.წ VIII-VII სს-ით. ამ რეგიონიდან მომდინ-
 არე სხვა მრავალრიცხოვან მონაპოვართან ერ-
 თად ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს,
 რომ როგორც წინა პერიოდებში (ადრე, შუა და
 გვიანბრინჯაოს ხანა) ასევე ადრერკინის ხანა-
 ში სვანეთის მხარე აქტიურად ყოფილა ჩართუ-
 ლი ძველი კოლხური კულტურის გავრცელების
 არეალში.

BRONZE BURIAL GOODS FROM LOWER SVANETI

Summary

In 2001, in village Babili, Lentekhi district, during earthworks were accidentally found together with human bones bronze artifacts mostly related to clothing and jewelry. According to the finder of these items, they were inside of a bronze bowl. Collection consists of the following items: fibulae, bracelets, rings, curls of biconical form and fastener (Pl. I-II). Circumstances of the find suggests that we are dealing with a collective secondary burial in a pit, typical of Colchis 8th-6th centuries BC.

ლიტერატურა

- აფაქიძე ჯ. 2002: გვიან ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
- ბარამიძე მ., ნითლანაძე ლ., დოლიძე ნ. 2013: აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა, ტ. II. თბილისი.
- გოგაძე ელ. 1982: კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბილისი.
- დოლიძე ნ. 1999: ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მხატვრული ნაწარმი (ლითონის სამკაული). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
- ლორთქიფანიძე ოთ. 1972: ვანის ნაქალაქარი. – ვანი, I. თბილისი, 7-41.
- მათიაშვილი ნ. 1974: ლითონის ჭურჭელი. – ვანი, III. თბილისი, 101-114.
- მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: საირხე. თბილისი.
- ნიორაძე გ. 1948: ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები. – სსმ XV-B, 1-22.
- მიქელაძე თ. 1985: კოლხეთის ადრე რკინის ხანის სამაროვნები. თბილისი.
- პაპუაშვილი რ. 2010: კოლხურ სამაროვნთა აბსოლუტური ქრონოლოგიისათვის. – არქეოლოგიური ჟურნალი, V, 32-43.
- სახაროვა ლ. 1965: უძველესი ბრინჯაოს ჭურჭელი. – სხ, 12, 46-48.
- სახაროვა ლ. 1976: ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბილისი.
- სახაროვა ლ. 2002: შრომის იარაღი კოლხურ და ყოზანურ კულტურაში. – ძიებანი, № 9, 41-47.
- სახაროვა ლ. 2002 ა: კიდევ ერთხელ კოლხურ-ყოზანური კულტურების ურთიერთობის საკითხისათვის – ძიებანი, № 10, 25-30.
- საქართველოს არქეოლოგია 1959: თბილისი
- სულავა ნ. 2000: თლიას სამაროვნის ფიბულებიანი კომპლექსების დათარიღებისათვის. – ძიებანი, № 6, 38-45.
- სულავა ნ. 2006: თლიას სამაროვნის ფიბულების ტიპოლოგიისათვის. – აფხაზეთი, I. თბილისი, 92-106.
- სულავა ნ. 2011: კავკასიის ფიბულები. თბილისი.
- ფანცხავა ლ. 1988: კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბილისი.
- ქორიძე დ. 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.
- ღამბაშიძე ო. 1963: თხმორის განძი. თბილისი.
- ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ., ხვისტანი რ. 2004: შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სანყისი პერიოდის უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენა გალის რ-ნის სოფ. გაგიდაში. – ძიებანი, № 13-14, 74-82.
- ჯიბლაძე ლ. 2007: კოლხეთის დაბლობის ძვ.წ III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. თბილისი.
- Иессен А. 1935: К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. – Известия ГАИМК, 120. Москва-Ленинград, 7-237

- Козенкова В. 1982:** Типология и хронологическая классификация предметов Кобанской культуры (Восточный вариант). САИ, вып. В 2-5, Москва.
- Козенкова В. 1996:** культурно-исторические процессы на северном Кавказе в эпоху поздней Бронзы и раннем железном веке. Москва.
- Козенкова В. 1998:** Материальная основа быта Кобанских племен (Западный вариант). САИ, вып. В 2-5, Москва.
- Крупнов Е. 1957:** История и культуры Кабарды. Москва.
- Крупнов Е. 1959:** Жемталинский клад. Москва.
- Крупнов Е. 1960:** Древняя история северного Кавказа. Москва.
- Куфтин Б. 1944:** К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе по данным археологии. – სსმმ-XII-B, 291-436.
- Куфтин Б. 1949:** Материалы к археологии колхиды, том I. Тбилиси.
- Куфтин Б. 1950:** Материалы к археологии колхиды, том II. Тбилиси
- Лукин А. 1941:** Материалы по археологии Бзифской Абхазии. – ТОИПКГЭ, I, Ленинград, 17-97.
- Микеладзе Т. 1990:** К археологии Колхиды (эпоха средней и поздней бронзы-раннего железа), Тбилиси.
- Панцхава А. 1986:** Некоторые вопросы Колхидской и Кобанской культур. – სსმმ, XXXVIII-B, 23-34.
- Пиотровский Б. 1940:** Урарту древнейшее государство Закавказья. Ленинград.
- Техов Б. 1974:** Стырифазские кромлехи. Цхинвали.
- Техов Б. 1977:** Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э. Москва.
- Техов Б. 1981:** Тлийский могильник, II. Тбилиси.
- Техов Б. 1985:** Тлийский могильник. Тбилиси.
- Техов Б. 2002:** Тайны древних погребений. Владикавказ.
- Трапш М. 1970:** Труды, т. II. Сухуми .
- Уварова П. 1900:** Могильники Северного Кавказа. МАК, VIII. Москва.
- Эрлих В. 2007:** Северо-Западный Кавказ в начале железного века. Москва.
- Эрлих В. 2013:** К уточнению атрибуции бронзовой ситуты из Анухвы. – Проблемы древней и средневековой археологии Кавказа. Материалы третьей Абхазской международной археологической конференции посвященной памяти Г. К Шамба. Сухуми, 150-154.
- Papuaşvili R. 2012:** The late Bronze-Early Iron Age burial ground from Tsaishi. – Austausch und Kulturkontakt im Südkaukasus und seinen angrenzenden Regionen in der Spätbronze-/Frühisenzeit. Schriften des Zentrums für Archäologie und Kulturgeschichte des Schwarzmeerraumes 22. Langenweißbach, 65-78.

ტაბულაჰის აღწერილობა

ტაბ. I – 1. დუგმის ფრაგმენტი; 2. ბიკონუსური ფორმის მძივ-საკიდი (ხვიები).


ტაბ. II – 1, 7-11. ფიბულები; 2, 12-16. სამაჯურები; 3. ბიკონუსური ფორმის ხვია; 4-6. რგოლები.





DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – 1. Fragment of the fastener; 2. Beads of biconical form (curls).

Pl. II – 1, 7-11. Fibulae; 2, 12-16. Bracelets; 3. Curl of biconical form; 4-6. Rings.

குட. 1





ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული ნარმოების ცენტრი ყულევის ნამოსახლარიდან

კოლხეთში ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოსნობთან დაკავშირებული არქეოლოგიური არტეფაქტები, რომლებიც უკავშირდება ამ ლითონის მეორად მეტალურგიულ ნარმოებას, გამოვლენილია ძვ.წ. III-II ათასწლეულებისა და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედის (ძვ.წ. X-VII სს-ები) არაერთი ნამოსახლარის კულტურულ ფენაში (ისპანი, ნამჭედური, ჩოლოქი, დაბლაგომი, ცივი, ანაკლია I, ანაკლია II, ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, ტამიში, სოხუმის მთა, ბაქსანია, ცხეთა, ითხვისი (ადგილი სახოველა და კარახტინი), მოდინახე, ნაოხვამუ, ნოსირი III, ნოქალაქევი და სხვ.) [კალანდაძე 1953: 12-36, 59; ნადირაძე 1975: 117, 122, ტაბ. XXXVII; ხომტარია 1946: 78-82; თოლორდავა 1977: 71-80; მახარაძე, ბრაგვაძე 1991: 32; ჩართოლანი 1971: 55-56; გაგომიძე და სხვ. 2004: 78, სურ. 44-48; სულავა 2002: 31; გოგაძე 1982: 57; ლომიტაშვილი 2003: 56-57; ბერიკაშვილი 2003: 17, სურ. IV; ჩავლეიშვილი 1991: 3-25; მუსხელიშვილი და სხვ. 2010: 45-46; ჯიბლაძე 2006: 9-15; Күфтин 1950: ტაბ. 64_{16,17}; Микеладзе; Хахутаიшвили 1985: 14, სურ. 36; Микеладзе 1990: 30, ტაბ. VII₁₂₋₁₃]. სადღეისო მონაცემების მიხედვით, ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული ნარმოების უფრო მძლავრი კერები აღმოჩენილია ზღვისპირა ზოლში არსებულ ხელოვნურად გამართულ ბორცვ-ნამოსახლართა კულტურულ ფენებში. ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულს ერთ-ერთი ასეთი მძლავრი კერა გამოიყოფა ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში, გალის რ-ნის სოფ. ფიჩორის ცენტრალურ ბორცვზე, სადაც VIII-VII კულტურულ ფენებში გამოვლინდა 70 ერთეულამდე სხვადასხვა ნივთის ჩამოსახსმელი ორსაგდულიანი ყალიბები (მათ შორის ოთხგანყოფილებიანი ყალიბები), მრავალრიცხოვან ბრინჯაოს ინვენტართან ერთად [ჯიბლაძე 2007: 17, ტაბ. CI-CIII].

გვიანბრინჯაოს ხანის მეორე ასეთივე მძლავრი ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული ნარმოების კერა შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში, მდინარეების ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისში, ზღვისპირა ზოლში, ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე. ამ ძეგლის IV-V

კულტურულ ფენებში (ძვ.წ. XIII-XII, XII-X სს-ები) ხით ნაგებ ჯარგვალური წყობის, წრიული ფორმის, ლითონჩამოსხმელი სახელოსნოს ნაშთებთან ერთად გამოვლინდა სხვადასხვა ნივთის ჩამოსახსმელი ყალიბები, მეტალურგიული ნარმოების ნარჩენები და ამ სახელოსნობში დამზადებული მრავალრიცხოვანი ბრინჯაოს ინვენტარი. მათ შორის ვერცხლის ნივთებიცაა აღმოჩენილი [ჩავლეიშვილი 1991: 13-25, ტაბ. V-XII].

უკანასკნელ წლებში ნარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული ნარმოების მძლავრი კერა გამოვლინდა ცენტრალურ კოლხეთში, ხობის რ-ში ყულევის ნამოსახლარზე.¹ ეს ძეგლი მდებარეობს მდ. ხობისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვიდან აღმოსავლეთით 200-300 მ მანძილზე. ხელოვნურად გამართული ბორცვ-ნამოსახლარი (ფართობი 3 ჰა, სიმაღლე ზღვის დონიდან 1,5 მ) მოქცეულია მდინარეების ხობისწყლისა და ჭურიის ქაობიან მასივებს შორის და განფენილია მდინარის დინების პარალელურად ზღვის მიმართულებით (სურ. 1).

ყულევის ნამოსახლარზე გამოიყო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამი კულტურული ფენა.² ქვედა I ფენა განისაზღვრა ძველი კოლხური I ეტაპის დასაწყისით (დაახლოებით ძვ.წ. XV-XIV სს.), ხოლო მომდევნო, II-III კულტურული ფენები თანმხლები მასალებით დათარიღდა ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულითა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით (სავარაუდოდ, ძვ.წ. XII-X, X-VII სს-ები) [პაპუაშვილი 2002: 31-32; Личели

1 1973-1974 წწ. ყულევის ნამოსახლარზე (ყოფილი II უბანი) სამუშაოები აწარმოა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი თ. მიქელაძე) [მიქელაძე და სხვ. 1974: 32-38]. 1999-2006 წლებში კი ეს ძეგლი ფართომასშტაბიანი სამუშაოების შედეგად შეისწავლა ამავე დაწესებულების ყულევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი რ. პაპუაშვილი).

2 ნამოსახლარზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ფენების გარდა, დაფიქსირებულია XIX საუკუნის ნარჩენებიც, წარმოდგენილი კირხსნარით ნაგები ქვის შენობათა ფუნდამენტებისა და კედლების ნაშთებით, თურქული პერიოდის ჩიბუხებითა და სხვ.

და სხვ. 2000: 88]. აღნიშნულ ფენებში აღმოჩნდა უაღრესად საყურადღებო, რიგ შემთხვევაში კოლხური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურისათვის დღემდე უცნობი უნიკალური არქეოლოგიური მასალა. თითოეული მათგანის განხილვა წინამდებარე სტატიის მიზანს არ წარ-

მოადგენს. შევეხებით მხოლოდ წინაანტიკური ხანის II-III კულტურულ ფენებში მიკვლეულ ლითონჩამოსხმელ საქმიანობასთან დაკავშირებულ არქეოლოგიურ არტეფაქტებსა და ამ ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოებში დამზადებულ სხვადასხვა დანიშნულების ლითონის ინ-

ვენტარს.



სურ. 1

II ფენაში დაფიქსირდა 20-მდე თიხის ყალიბი, მათ შორის 15 ცალი განეკუთვნება სხვადასხვა ზომის I ტიპის კოლხური ცულის ჩამოსასხმელ ორსაგდულიან ყალიბებს, რომელთაგან უმთავრესად, გარდა ერთი შემთხვევისა, ცალფა ნიმუშებია შემორჩენილი, ისიც რიგ შემთხვევაში ფრაგმენტული სახით (ტაბ. I₃₂₋₃₈). ამ ყალიბებში ჩამოსხმული ბრინჯაოს ცულების სიგრძე მერყეობს 5-20 სმ შორის. გვხვდება მინიატურული ზომის ცულების ჩამოსასხმელი ყალიბებიც. საინტერესოა, რომ თითქმის სინქრონული პერიოდის ჩოლოქისპირა ნამოსახლარის IV-V კულტურულ ფენებში გამართულ ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოშიც ჭარბობს ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის მიხედვით I ტიპის კოლხური ცულების ჩამოსასხმელი ყალიბები [ჩავლეიშვილი 1991: 17, ტაბ. VIII]. ამავე ფენაში ასევე წარმოდგენილია რამდენაღმე გაურკვეველი ნივთის

(სატეხების ?) ჩამოსასხმელი ყალიბები (3 ც.) (ტაბ. I₃₉₋₄₁).

ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოში აღმოჩნდა თიხის, აგურისფრად გამომწვარი, ლითონის მძივების ჩამოსასხმელი ცალფა ყალიბიც (სიგრძე – 8 სმ, სიგანე – 6 სმ, სისქე – 2 სმ) (ტაბ. I₃₁).

მის ზედაპირზე გვერდი-გვერდ სამ რიგად დატანილია ნახევარსფერული ფორმის ბრინჯაოს მძივების ჩამოსასხმელი ფოსოები (18 ც.), რომლებიც ერთმანეთში გამავალი წვრილი ღარებითაა დაკავშირებული. როგორც ჩანს, გაღობილი ლითონი ამ წვრილი ღარებით ნაწილდებოდა ფოსოებში. სავარაუდოდ, მისი ჩასხმის წინ ღარებში ატანდნენ მაღალი ტემპერატურის გამძლე წვრილ ღეროებს, რათა მძივებში ჩამოსხმის შემდეგ გამჭოლი ნახვრეტები დარჩენილიყო. ჩამოსასხმელი ფოსოების სიღრმეა 0,50 მ, დმ. – 0,60 მ. საყურადღებოა, რომ ყალიბის აღმოჩენი-

სას ფოსოებში შემორჩენილი იყო ბრინჯაოს მძივები. ანალოგიური ბრინჯაოს მძივების ჩამოსასხმელი ყალიბები გამოვლენილია სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში ჩოლოქისპირა და ნამჭედურის ნამოსახლარების ლითონჩამომსხმელ სახელოსნოებში. აქაც მძივებს ამზადებდნენ ორ და სამ რიგად დატანილ ფოსოებში [ჩავლეიშვილი 1991: 21, ტაბ. XII₆₋₉; Микеладзе, Хахუთაიშვილი 1985: 14, ტაბ. 36₂].

III ფენაში განიკვეთილი მრგვალი და იშვიათად ექვსნახნაგა საქმენი მილები 15 ერთეულამდეა წარმოდგენილი (ტაბ. I₄₂₋₄₉). მათი ნაწილი გადაბმის ადგილზე ოდნავ გაფართოებულია. იდენტური საქმენი მილები დამახასიათებელია კოლხეთის წინაანტიკური ხანის როგორც ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოებისათვის, ასევე ამავე პერიოდის რკინის სადნობი ქურებისათვის [ჩავლეიშვილი 1991: 121, ტაბ. VII₁₋₇; ჯიბლაძე 2007: ტაბ. CVI₁₋₅; Хахუთაიშვილი 1987: 81-207, სურ. 22, 25, 26₃₋₅]. ამ არტეფაქტებთან ერთად გვხვდება სხვადასხვა ზომის გაღობილი ლითონის ჩამოსასხმელი თიხის ციცხვები. მათი ნაწილი ჭიქისებური ფორმისაა და ბრტყელძირიანია. ზოგიერთს გააჩნია მაღალი ტანი (ტაბ. I₆₋₇). ასევე წარმოდგენილია კოვზისებური მოყვანილობის ციცხვები. ერთ-ერთ მათგანს ემჩნევა გვერდიდან მიძერნილი სახელური. მეტალურგიულ საქმიანობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული სამფეხა და ჯამისებური ფორმის თიხის ჭურჭელი. ასევე ორივე მოპირდაპირე მხარეს მიძერნილი მორჩისებურშვერილიანი და ცრუყურიანი, სქელკედლიანი თიხის ჭურჭელი (ტაბ. I_{1-5, 12-30}). საყურადღებოა, რომ აღნიშნული ჭურჭელი დაფიქსირდა თიხის ყალიბებთან, საქმენ მილებთან და ორპროტომიან ვერძისთავიან სადგრებთან ერთად. ყულევის ნამოსახლარის მთელ ტერიტორიაზე გამოვლინდა ბრინჯაოს ნედლეული მასალა ზოდების სახით.

ყულევის II კულტურულ ფენაში ასევე აღმოჩნდა რკინის მეორადი მეტალურგიული წარმოების ნაშთები, მათ შორის გუნდები, ნაღვენთები, ნიდები და ა.შ., თუმცა ბრინჯაოსთან შედარებით ისინი უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ძეგლზე სწორედ ის პერიოდი წარმოდგენილი, როდესაც ბრინჯაოდან გადადიან რკინის მეორად მეტალურგიულ წარმოებაზე. თუმცა ჯერ კიდევ დომინირებს ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოება. ამდენად, ამ მონაცემების მიხედვით ყულევის ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოს თარიღი შესაძლოა უფრო ადრეული პერიოდიტაც – ძვ.წ. X-IX სს-ებით გან-

ისაზღვროს.

II კულტურულ ფენაში მრავლადაა წარმოდგენილი საბრძოლო-სამეურნეო, ტანსაცმელთან და ტუალეტთან დაკავშირებული ბრინჯაოს ნივთები. ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენს სხვადასხვა ზომის, დ. ქორიდის კლასიფიკაციით III სახეობის ბრინჯაოს ცულები (ო. ჯაფარიძის მიხედვით I ტიპი), რომელთაგან ზოგიერთი ყუასთან, ფხასთან და გვერდებზე ნაკლულია [ქორიძე 1965: 61; ჯაფარიძე 1950: 43-44, სურ. 3]. დიდი ზომის ბრინჯაოს ცულებს აქვთ გორდა, მაღალი, ასიმეტრიული მოყვანილობის პირი, ექვსად დანახნაგებული სწორი ტანი, წვეტიან-ოვალური სატარე ხვრელი, წინა ნიღრთან შედარებით მაღლა აწეული უკანა ნიღრი (ტაბ. II_{1-4, 5-8}). მათი სიგრძეა 16-18 სმ, ხვრელის დმ 3-4 სმ. ამავე სახეობის პატარა ზომის სხვა ცულებსაც (სიგრძე 4 სმ) იგივე დეტალები აქვთ, ამიტომ მათ დახასიათებას არ შეეუდგებით. დ. ქორიდის კლასიფიკაციით IV სახეობის ბრინჯაოს ცული ერთი ეგზემპლართაა წარმოდგენილი (ტაბ. II₂). აქვს გორდა ასიმეტრიული მოყვანილობის პირი, ექვსად დანახნაგებული ტანი და ყუა, წვეტიან-ოვალური სატარე ხვრელი, რომელსაც გარედან დაუყვება ნიბურები (სიგრძე 18,5 სმ). წინა ნიღრი უკანაზე უფრო დაბალია.

II ფენაში აღმოჩნდა სხვადასხვა ზომის ორი მხრებიანი ბრტყელი ცული (სიგრძე 12,5-18 სმ. ტაბ. II_{9, 10}). ერთი მათგანი ფხასთან ოდნავ ნაკლულია. არტეფაქტებს ახასიათებთ წელში გამოყვანილი ტანი, ოთხკუთხა ფორმის, ბოლოში ოდნავ გაფართოებული ტარდასაგები, მხრებისმაგვარი შვერილები და ასიმეტრიული პირი. ყულევის ეს იარაღები ტიპოლოგიურად ახლოს დგას ანაკლია II-ის, ბობოყვათის და ციხისძირი-სამების განძებიდან მომდინარე ამ რიგის ნიმუშებთან. საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანაში აღმოჩენილი ბრტყელი ცულების რამდენიმე კლასიფიკაცია არსებობს [Курфин 1944: 30, სურ. 23; ქორიძე 1969: 6-10]. ჩვენი კვლევის სფეროში შემავალი ბრტყელი ცულები განეკუთვნება I ტიპს [ქორიძე 1969: 6-10]. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბრტყელი ცულები ძირითადად გვხვდება განძების შემადგენლობაში. იშვიათადაა ისინი წარმოდგენილი ძვ.წ. VIII-VII სს-ის ნამოსახლარების კულტურულ ფენებში. ფიქრობენ, რომ ბრტყელი ცულები სახელოსნოსადურგლო, ხის ხურობასთან დაკავშირებული იარაღები იყო. ზოგჯერ კი, მას ერთდროულად მიწის, ტყავის დამუშავების და საბრძოლო ფუნ-

ქციის მატარებლად თვლიან [ქორიძე 1969: 27].

გამოვლინდა ბრინჯაოს ორი ნივთი (ერთ-ერთი ნაკლულია), რომელიც სპეციალისტებს თოხისმაგვარი იარაღების ტიპოლოგიური განვითარების სქემაში არ აქვთ შეტანილი და მათ ხელეწიერებს უწოდებენ (ტაბ. II₃₃₋₃₄) [ნიორაძე 1948: 13, სურ. 10; ქორიძე 1965: 87-88, სურ. 79; Хоштария 1951: 177], აქვთ პირისკენ თანდათანობით გაფართოებული მაღალი ტანი და მილიდან მომდინარე რელიეფური ნიბურები. თოხთან შედარებით არსებული პატარა ზომის სატარე ხვრელი ტანის მთლიან მოხაზულობაშია ჩართული. საქართველოს ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინებით, ხელეწიერებს თვლიან ხის ხურობასთან და სადურგლო სამუშაოებთან დაკავშირებულ იარაღებად. ეროსმაგვარი არტეფაქტები, ძირითადად დამახასიათებელია კოლხური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურის არეალში შემავალი განძებისათვის [ქორიძე 1965: ტაბ. IV₅₋₈, XVII_{4,5}; რამიშვილი 1974: ტაბ. V₅₋₁₀, VI_{5,6}, VII₄, VIII₃].

ყულევის ნამოსახლარზე საბრძოლო დანიშნულების იარაღები – შუბისპირები ხუთი ცალია შემორჩენილი (ტაბ. II₁₅₋₁₉). ერთი მათგანი უფრო ხიშტიმაგვარ იარაღს მოგვაგონებს (ტაბ. II₁₆). ყველა მათგანი არასრულადაა შემონახული, თუმცა ვიზუალურად მათი ფორმების აღდგენა ხერხდება. ისინი მკვეთრქედიანი, მასრაგახსნილი, მხრებდაქანებული და რომბულგანივკვეთიანებია. ტიპოლოგიურად უახლოვდებიან III ტიპს – ალისებურპირიან შუბისპირებს, რომლის ძირითადი გავრცელების კერა კოლხური კულტურის არეალშია წარმოდგენილი [სახაროვა 1973: 88-89].

აღმოჩნდა ოთხი ცალი სატევარი (ტაბ. II₁₁₋₁₄). ორ მათგანს გააჩნია ტარის დასაგებად განკუთვნილი სამკუთხედის ფორმის სატარე ენა. ფხები მხრებიდან წვეროსკენ თანდათანობით ვიწროვდება. ისინი ტიპოლოგიური მონაცემების მიხედვით მოგვაგონებს I ტიპის ალისებურპირიან სატევრისპირებს [პაპუაშვილი 1997: 61, ტაბ. XVIII₁]. გვხვდება ყუნწიანი სატევრებიც (ერთის ყუნწი არაა შემორჩენილი). აქვთ ლინზური განიკვეთი, მხრებიდან წვეროსკენ თანდათანობით შევიწროებული ურთიერთპარალელურად მიმართული ფხა, სატარის დასაგებად განკუთვნილი სამანჭვლე ნახვრეტებით. ყულევის სატევრები ტანის დამუშავების სიმარტივით გამოირჩევიან. ყუნწიანი და უყუნწო სატევრები, ძირითადად დამახასიათებელია კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნებისათვის, თუმცა

იშვიათად გვხვდებიან სხვა კატეგორიის ძეგლებზეც. ისინი ტიპოლოგიურად უახლოვდებიან პირველი ვარიანტის და პირველი ქვეტიპის სატევრებს [Микеладзе 1990: 55, ტაბ. XXIV; პაპუაშვილი 1997: 61-62, ტაბ. XVIII₂; მიქელაძე 1985: 35, ტაბ. XX₇₅₁].

ბრინჯაოს სეგმენტი არასრულადაა შემორჩენილი. ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით განეკუთვნება სეგმენტური იარაღების II სახეობას (ტაბ. II₃₂) [ქორიძე დ. 1965: 92-94, ტაბ. XXX_{5,9}].

II კულტურულ ფენაში გამოვლინდა ოთხნახნაგა, მილიანი სატეხ-საჩეხი ორი იარაღი (ღორეჩო), რომელთაც აქვთ ტანიდან პირისაკენ შევიწროვებული, გაფართოვებული, ნიღრიანი და წამახვილებული სამუშაო პირი (ტაბ. II_{30,31}). ერთი მათგანი თავთან ნაკლულია და ცალმხარეს მცირედ გახსნილია, მეორე სატეხს სამუშაო პირი ოდნავ მოტეხილი აქვს. ორივე სატეხი ყელზე დახრახნულია.

საბრძოლო იარაღების სახეობიდან წარმოდგენილია ოთხი ისრისპირი, რომლებიც რიგ შემთხვევაში სრულად არაა შემორჩენილი (ტაბ. II₂₃₋₂₆). ისინი მასრიანი, რომბულგანივკვეთიანი და სამკუთხედისებურპირიანია. ზოგჯერ აქვთ ნაკლებად გამოკვეთილი ფრთები. კოლხეთში მასრიანი ისრისპირები იშვიათობას წარმოადგენენ. ამდენად, ისინი აქ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ტიპურ საბრძოლო იარაღად არ უნდა ჩაითვალოს [ჯიბლაძე 2007: 71]. რამდენადმე განსხვავებული ფორმის ბრინჯაოს მასრიანი ისრისპირი და ამ რიგის იარაღების ჩამოსახსმელი ყალიბები გამოვლენილია ნაოხვამუსა და ჩოლოქისპირა ნამოსახლარებზე [Курфтин 1950: 175, 178, სურ. 1; ჩავლეიშვილი 1991: 18, ტაბ. IX_{7,8,10}].

II კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ბრინჯაოს ანკესი, ორი გაურკვეველი ბრინჯაოს ნივთის წვერის ფრაგენტი და 3 ც. დანა (ტაბ. II_{20-22,27-29}). ბრინჯაოს ორი დანა წვერში და სატარე ნაწილში ნაკლულია. აქვთ ბრტყელი განიკვეთი. მსუბუქად ზურგჩაზნეილებია და ახასიათებთ მეტნაკლებად მოხრილი წვერი (განსაკუთრებით ერთ მათგანს). რკინის დანა ფართო და სწორტანიანია. ამ ნიმუშსაც აკლია სატარე ნაწილი. ბრინჯაოსა და რკინის დანებს ტიპოლოგიური მონაცემების მიხედვით ყოფენ მკვეთრად მოხრილ, ზურგამოზნეილებად და სწორ დანებად [მიქელაძე თ. 1985: 29-30]. ვფიქრობთ, ყულევის ამ ნიმუშებს ორივე ჯგუფისათვის დამახასიათებელი დეტალები გააჩნია.

ყულევის ნამოსახლარის ძირითადად II კულ-

ტურულ ფენაში მრავლად გამოვლინდა ტანსაცმელთან და ტუალეტთან დაკავშირებული ნივთები. წარმოდგენილია კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნებისათვის დამახასიათებელი მასალა, როგორცაა: პინცეტები (ჩქიფები) და აბზინდები (ტაბ. III_{1-2,5,6,8}). პინცეტები დამზადებულია ბრტყელი ბრინჯაოს ფირფიტისაგან. ერთ-ერთი არის მცირე ზომის, სადა, გრავირებული ორნამენტის გარეშე. მორკალური თავიდან ოდნავ დაცილებულ, ბოლოებმოხრილი წაკვეთილი ნაწილისკენ თანდათანობით ფართოვდება. შემორჩენილია მეორე პინცეტის ერთი მხარე, რომლის ვიზუალური ფორმის აღდგენა ფრაგმენტულობის გამო შეუძლებელია. ბრინჯაოს პინცეტები ერთ-ერთი გავრცელებული ელემენტია კოლხურ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურაში. როგორც აღინიშნა, ძირითადად, ისინი წარმოდგენილია ადრერკინის ხანის სამარხულ კომპლექსებში.³ იშვიათად გვხვდებიან ნამოსახლარებზე და განძების შემადგენლობაში. კოლხეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, დაახლოებით სინქრონულ და მოგვიანო პერიოდებში ბრინჯაოს პინცეტების გავრცელების არეალი საკმაოდ დიდია (აღმოსავლეთ საქართველო, კავკასიის სხვა რეგიონები, ევროპა, წინა აზია და ა.შ.).

ცალკე ჯგუფს ქმნის სამი აბზინდა, რომლებიც სარტყლის შემადგენელ დეტალს წარმოადგენს. ერთი აბზინდა არის სწორკუთხა. აქვს წინ წამოწეული კავის ენა. ბრინჯაოს შესქელებულ ფირფიტაზე გადმოცემულია გეომეტრიული დეკორი. სარტყელზე ნახვრეტების ადგილზე აბზინდა ნაკლულია. იგი განეკუთვნება თ. მიქელაძის კლასიფიკაციით I ტიპს. მეორე ბრინჯაოს აბზინდა წელშეზნეკილია და წინა მხრიდან ოდნავ ჩაღრმავებულია. ერთ მხარეს ნაკლულია, ეტყობა სამკუთხა კავი და ოთხი სასარტყლე ნახვრეტი. ამ მონაცემების მიხედვით იგი განეკუთვნება II ტიპის აბზინდათა ჯგუფს [მიქელაძე 1985: 50]. მესამე ტიპის აბზინდა საერთოდ დღემდე უცნობი იყო სხვადასხვა რეგიონში გავრცელებული არქეოლოგიური კულტურებისათვის. ამდენად, იგი ამ რიგის ნივთების ტიპოლოგიურ

3 კოლხურ კულტურაში გავრცელებული ბრინჯაოს პინცეტების რამდენიმე კლასიფიკაცია არსებობს [Трапш 1970: 16; აფაქიძე 2002: 18]. ამ ნივთებზე არსებული ლიტერატურა იხილეთ [ჯიბლაძე 2011: 251-254].

3. ბრინჯაოს აბზინდების არაერთი კლასიფიკაცია არსებობს [მიქელაძე 1985: 50; ფანცხავა 1988: 32-34; კალანდაძე 2004: 111-117; Уварова 1900: ტაბ. X-XXI; Тетов 1977: 138-142]. ამ ნივთების ტიპოლოგია ასევე მოცემული აქვთ ი. დომანსკის, ზ. ტუაიევას, ი. მოცემბეკერს და ა. შ.

კლასიფიკაციაში არ იყო შეტანილი (ტაბ. III₉). ეს ნივთი დაფიქსირდა უფრო ადრეულ III კულტურულ ფენაში.

ბრინჯაოს რამდენიმე საკიდი გამოვლინდა. ორი საკიდი (ერთ-ერთი ნაკლულია) მინიატური სატევრის ფორმისაა. მათი თავი მოგვგონებს ხახადაღებულ ცხოველს, რომელთაც სამკუთხა ფორმის ყურები აქვთ (ტაბ. III_{3,4}) [Kobalia 2012: სურ. 2₂₁₋₂₂]. აქცენტირებული ყურები გადმოცემულია მოკლე და სწორი ვერტიკალური ხაზებით. თვალი კი – წრით.

სრულად შემორჩენილი საკიდის ბრტყელი ნაწილი ცალ მხარეს შემკულია ზემოთ მიმართული გველის გამოსახულებით, რომლის ტანი შევსებულია წერტილებით. მეორე მხარეს კი მოთავსებულია წვერით ზემოთ მიმართული სამი სამკუთხედი. მის შიდა არეში დატანილია ზემოთ მოქცეული თითო-თითო სამკუთხედი, რითაც შექმნილია დამატებით კიდევ წერტილებით შევსებული სამი სამკუთხედი. ანალოგიური საკიდები, 15 ცალამდე, ცნობილია კოლხეთის დაბლობის ადრერკინის ხანის სამაროვნებზე (დღვაბა, წითელი შუქურა, ერგეტა №№ 1, 2, 3, 4 და ა. შ.) [Kobalia 2012: სურ. 2-3].

შემორჩენილია ბრინჯაოს ერთი ნივთი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში, ცნობილია ჯვრისებური ფორმის საკიდის სახელით (ტაბ. III₁₅). იგი დამზადებულია ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტისაგან. არის მინიატური ზომის. აქვს ოთხი მკლავი, რომელთაგან სამი ნაკლულია. ზედა მკლავი ოდნავ გადმოკეცილია. ზედაპირზე დატანილია ორი ნახვრეტი. ანალოგიური ფორმის ჯვრისებური ფორმის საკიდები კოლხეთში იშვიათობას წარმოადგენს. მიახლოებითი პარალელები დადასტურდა უფრო ადრეულ ანაკლია II-ის შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე და ძვ.წ. XII-X სს. თლიას სამაროვნის სამარხულ კომპლექსებში [მუსხელიშვილი და სხვ. 2010: 46, ტაბ. 28₁₃; Тетов 1977: 167, სურ. 112₁₃₋₂₈].

II ფენაში ასევე დაფიქსირდა სფერული ფორმის ბრინჯაოს ოთხკუბიანი ორი მძივ-საკიდები (ტაბ. III_{9,10}). ანალოგიური ფორმის კოპებით შემკული ბრინჯაოს მძივ-საკიდები ცნობილია ერგეტის (№ 3 სამაროვანი, მეორე სამარხი) და ცაიშის (№ 1 სამარხი) სამაროვნებიდან. ეს ნივთი გვხვდება ერგეტის „მამულიების ბორცვის“ ადრეანტიკური ხანის ფენაშიც.

აღმოჩნდა ბრინჯაოს ღეროსაგან (მავთულისაგან) დამზადებული სამაჯური (ტაბ. III₁₄), ოვალურგანივკვეთიანი, მრგვალხვრელიანი და

ბოლოებგახსნილი. ანალოგიური ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, ძირითადად გავრცელებულია კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნებზე, სადაც წარმოდგენილ მასალებში მორფოლოგიურად ორ ჯგუფს გამოყოფენ: ბოლოებგახსნილსა და ბოლოებგადასულებს ორი ქვეტიპით. ყულევის ეს ნივთი განეკუთვნება ბოლოებგახსნილი სამაჯურების I ქვეტიპს [მიქელაძე 1985: 55]. უახლესი პარალელები ცნობილია ჩოლოქისპირა ნამოსახლარის ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოდან [ჩავლეიშვილი 1991: 24, ტაბ. XII_{12,13}].

ყურადღებას იპყრობს სამკაულთან დაკავშირებული სხვა ნივთებიც როგორცაა ბრინჯაოს რგოლები (4 ცალი, ტაბ. III_{11-13,16}). ერთი მათგანი ნაკლულია. უფრო მსხვილი, მრგვალგანიკვეთიანი ბრინჯაოს ღეროსაგანაა დამზადებული. დანარჩენი ორი კი შედარებით წვრილი ღეროსგან. სამივე ეგზემპლარი მრგვალხვრელიანია. ბრინჯაოს ორი რგოლი ბოლოებგახსნილია, ხოლო ერთი ნიმუში კი ბოლოებგადასული. წარმოდგენილია მეოთხე ბრინჯაოს რგოლი, რომელიც საკმაოდ არის დეფორმირებული. ანალოგიური ბრინჯაოს და რკინის რგოლები კოლხეთში, უმთავრესად ფიქსირდება სამარხეულ კომპლექსებში [მიქელაძე 1985: 56]. ამგვარად, სასაფეთქლე რგოლებს (1,5 აგრადის ხვიებს) მოქმედების საკმაოდ დიდი სივრცე და ქრონოლოგიური დიაპაზონი გააჩნია. კოლხეთში იგი ჩნდება ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულს და ადრერკინის ხანის ჩათვლით განაგრძობს არსებობას. II ფენაში ბრინჯაოს საკინძების სხვადასხვა ტიპი აღმოჩნდა. ერთი მათგანი სოკოსებურთავიანია, აკლია ქვედა მხარე და თავთან დეფორმირებულია (ტაბ. III₂₀).

მომდევნო არტეფაქტი განეკუთვნება თავხვია საკინძის ტიპს, რომელსაც თავი დახვეული აქვს ერთჯერ. ტანის ზედა ნაწილიდან წამახვილებულ წვეროსკენ შესამჩნევლად დავინროვებულია. არის მრგვალგანიკვეთიანი. ზედა მხარე გრავირებულია ირიბად დასმული ნაძვისებური შტრიხებით (ტაბ. III₁₇). ეს ნივთი დაფიქსირდა უფრო ადრეულ III ფენაში. ორი საკინძი ერთი ტიპისაა (ტაბ. III₁₈₋₁₉), რომელთაგან ერთ-ერთი ნაკლულია. აქვთ თანაბარი სიფართის ტანი, წამახვილებული დაბოლოება, ოვალური და მრგვალი განიკვეთი. ⁴

4 გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ კულტურაში საკინძის მრავალსახეობით გამოირჩევა თლიას სამაროვნის მასალები, სადაც ტიპოლოგიურად 17 ტიპს გამოყოფენ [აფაქიძე 2002: 156-158].

სფერული და ნახევარსფერული ფორმის რამდენიმე ცალი ბრინჯაოს მძივი აღმოჩნდა (ტაბ. III₂₁). ამ ნივთებს შუა ადგილზე ბოლომდე გასდევს გამჭოლი ნახვრეტი.

II ფენაში დაფიქსირდა ბრინჯაოს მშვილდ-საკინძი ნაკლული სახით (ტაბ. III₇). შემორჩენილია ამ ნივთის მრგვალღეროიანი ერთწილადი ზამბარა და ენა. ყულევის მშვილდსაკინძის ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაზე საუბარი რკალის არქონის გამო შეუძლებელია. როგორც ჩანს, ამ ტიპის რკინისა და ბრინჯაოს მშვილდ-საკინძები ძირითადად დამახასიათებელი უნდა იყოს ადრერკინის ხანის კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნებისათვის. ⁵

როგორც ვხედავთ, ყულევის ნამოსახლარის II კულტურულ ფენაში უხვადაა წარმოდგენილი ბრინჯაოს მეორად მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული არქეოლოგიური არტეფაქტები, მრავალრიცხოვან ლითონის ინვენტართან ერთად. ეს ფენა იმითაც იპყრობს ყურადღებას, რომ ამ ძეგლზე სხვა ნამოსახლარებისაგან განსხვავებით, ჭარბად დასტურდება ადრერკინის ხანის კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნებისათვის დამახასიათებელი ნივთიერი მასალა, როგორცაა: ბრინჯაოს აბზინდები, პინცეტები, ბრინჯაოსა და რკინის დანები, სხვადასხვა ტიპის ცულები, ისრისპირები, სამაჯური, რგოლები, საკინძები, საკიდები, სატევრები და ა.შ. ამავე ფენაში ასევე გვხვდება კოლხეთის დაბლობის შავიზღვისპირა ზოლში არსებული დიუნური სადგომებისათვის დამახასიათებელი არტეფაქტები (ორკაპა და სამკაპა თიხის სადგრები, ქსოვილის ანაბეჭდიანი კერამიკა და ა. შ.).

II კულტურული ფენის ეს მონაცემები, კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურის კვლევისას, პირველად იძლევა კარგ შესაძლებლობას ამ სამი კატეგორიის ძეგლის ურთიერთმიმართებისა და სინქრონიზაციის გარკვევისათვის. ცხადია, ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით კოლხეთის მთიანეთში არსებული სამთამადნო წარმოების რაიონებიდან ბარის სპილენძის ნედლეულით მომარაგების საკითხებს. პირველადი და მეორადი ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების კერების ერთ მთლიან კონტექსტში განხილვა, მათ ურთიერთმიმართებისა და სინ-

5 უკანასკნელ პერიოდში გამოიცა ძალზე საყურადღებო მონოგრაფიული გამოკვლევა კავკასიის ფიზიკურ ტიპოლოგიაზე, ქრონოლოგიაზე და გენეზისის საკითხებზე [სულავა 2011].

ქრონიზაციის საკითხები, კოლხეთის მთიანეთიდან ბარში მიწოდებული სპილენძის ნედლეული მასალების სატრანსპორტო საშუალებების სავარაუდოდ დადგენა, პირველადი და მეორადი ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების კერების შორის დამაკავშირებელი გზების მეტ-ნაკლები გარკვევა და სხვა საკითხების კვლევა-ძიება, კოლხეთის არქეოლოგიურ მეცნიერებაში დღემდე არ დამდგარა დღის წესრიგში და კვლავაც რჩება შეუსწავლელ პრობლემად.

როგორც ცნობილია, კოლხეთის ტერიტორიაზე სპილენძის ნედლეულის საბადოები არ მოიპოვება. უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლები კონცენტრირებულია ცენტრალური კავკასიონის ქედის სამხრეთ ნაწილში, სადაც მათი ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია სულფიდური მადნის სახით. ამ ზონაში ექცევა აფხაზეთის, სვანეთის, რაჭის სპილენძის გამადნებათა სისტემა [ინანიშვილი და სხვ. 1998: 52-61; ინანიშვილი და სხვ. 2010: 26-39, 54-89; ბარამიძე და სხვ. 2013: 43-49; ლამბაშიძე და სხვ. 2010: 49-90]. სამთამადნო წარმოების მეორე ზონა – მცირე კავკასიონის მთიანეთია, სადაც განლაგებულია სპილენძის საბადოები და პოლიმეტალური მასალები. ამ რეგიონის გამადნების სისტემაში ექცევა რამდენიმე მადნის ზონა, რომელიც იყოფა ცალკეულ მადანგამოსავლებად 1. აჭარის მადანგამოსავლების ჯგუფი – მდ. მერისისა და მდ. აჭარისწყლის ხეობათა ზემო წელი;⁶ 2. გურიის მადნეულის ზონა, რომელიც განლაგებულია მდ. ნატანებისა და მდ. ბახვისწყლის სათავეების ზონაში [ინანიშვილი და სხვ. 1998: 55]. გარდა ამისა აჭარისა და გურიის ტერიტორიაზე არის წვრილ-წვრილი საბადოები, როგორცაა ბობოყვათი, ზემო ხინო, ბზონის წყალი, ვაკიჯვარი – ადგილი ქორბუდა და ა. შ. [ქორიძე 1965: 102, 122; ჩავლეიშვილი 1941: 14]. გამოვლენილი მასალების მიხედვით დასტურდება, რომ სპილენძის საბა-

6 ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მდ. ჭოროხის აუზში 11-12 ადგილზე გამოვლენილია სპილენძის მძლავრი საბადოები მიწისქვეშა გამოწვევებით. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ჯანსულის საბადო [Иессен 1935: 44-47]. აჭარა-ჭოროხის ჯგუფში სპილენძის საბადოები აღნიშნული აქვთ 110 პუნქტში [Иессен 1935: 32]. ფიქრობენ, რომ ამიერკავკასიაში ერთერთი უძველესი სამთო მეტალურგიული წარმოება მიმდინარეობდა მდ. ჭოროხის აუზში, საიდანაც შესაძლოა სხვადასხვა რეგიონში გავრცელებულ სხვა ადრეულ კულტურებთან ერთად (მაგალითად, მტკვარ-არაქსის კულტურა) სპილენძის ნედლეულით მარაგდებოდა კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოებიც (ისპანი, ფიჩორი I და ა. შ.).

დოებიდან რამდენადმე მოშორებით, როგორც წესი, წყალთან და ტყის ზონასთან ახლოს მიმდინარეობდა სამთამადნო წარმოების ძეგლებიდან მოპოვებული მადნის დაფშვნა-გასუფთავება, ხდებოდა მათი გამოწვა დნობის შემაფერხებელი გოგირდოვანი მინარევებისაგან განთავისუფლების მიზნით. შემდეგ კი ხორციელდებოდა მადნის დანურვა [გობეჯიშვილი 1952: 110]. ეს პროცესი წარმოადგენდა სპილენძის ნედლეულის პირველად დამუშავებას. გვიანბრინჯაოს ხანაში ზღვისპირა ზოლში არსებული ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოების (მათ შორის ყულევის) სპილენძის ნედლეულით მომარაგებისას უფრო ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო მდინარეთა ხეობებით შედარებით ადვილად მისადგომი სამთამადნო წარმოების ძეგლები. აქედან გამომდინარე, ერთგვარი ჰიპოტეზის სახით, დასაშვებად გვეჩვენება მდინარეების ენგურისა და ხობისწყლის (ასევე მხედველობაში გვაქვს მდ. ცივი) ქვემო წელში არსებული და სავარაუდო ბრინჯაოს საწარმოო კერებთან ერთად, ყულევის ლითონჩამომსხმელი სახელოსნო სპილენძის ნედლეულით მარაგდებოდა ზემო სვანეთის სამთამადნო წარმოების ძეგლებიდან. პირველად და მეორად ბრინჯაოს მეტალურგიულ კერების შორის დამაკავშირებელი გზები ალბათ გადიოდა მდ. ენგურის აყობებით ხევისპირა ან ხეობის ფსკერზე [ჩართოლანი 1996: 17; ჯიბლაძე 2006: 10]. სავარაუდოა, რომ ყულევის ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოში, სხვა მეორადი მეტალურგიული წარმოების კერების მსგავსად, სპილენძის ნედლეული შემოდინდა ნახევარფაბრიკატების სახით. შემდეგ კი აქ ხდებოდა მათი მეორადი გადამუშავება, სიმყარისათვის საჭირო ნივთიერებების (დარიშხანი, კალა და ა. შ.) დამატება და სხვადასხვა დანიშნულების ბრინჯაოს ნივთების დამზადება [ჯიბლაძე 2006: 10]. როგორც ზემოთ აღინიშნა, ყულევის ნამოსახლარის II კულტურულ ფენაში ბრინჯაოსთან შედარებით, უმნიშვნელო რაოდენობით აღმოჩნდა რკინის მეორადი მეტალურგიული წარმოების ნაშთები. ცხადია, ეს ფაქტი უნდა მიგვითითებდეს ამავე ფენაში რკინის საწარმოო სახელოსნოს არსებობასაც. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყულევის რკინის მეორადი მეტალურგიული წარმოების კერა, ნედლეული მასალით მარაგდებოდა მდ. ხობისწყლისა და მისი შენაკადის ოჩხომურის ორმდინარეთში არსებული უახლესი რკინის წარმოების საბადოებიდან. ამ რეგიონში უძველესი რკინის წარმოების დაახლოებით 50 ობიექტია გამოვლენილი. მათ შორის ჭოლა I, II,

III [Микеладзе, Хахუთაიშვილი 1987: 164-178]. ასევე არ უნდა გამოვრიცხოთ ზღვისპირა ზოლში არსებული სხვა რკინის საწარმოო სახელოსნოების მსგავსად, ნედლეული მასალით მომარაგება რკინის შემცველი მაგნიტური ქვიშებიდან, რომლებიც განლაგებულია აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ზოლის გასწვრივ გონიოდან გაგრამდე. ასევე მისაღებია მდ. ენგურის, ხობისწყლისა და სხვა ახლომდებარე ადგილების რკინის საწარმოო სახელოსნოების (მათ შორის ყულევის) რკინის ნედლეული მასალით მომარაგება კოლხეთის სხვა რეგიონებიდანაც (ჭოროხის აუზი, ჩოლოქ-ოჩხომურის, სუფსა-გუბაზეულის ორმდინარეთი და ა.შ.) [Микеладзе, Хахუთაიშვილი 1987: 18-189].

კოლხეთის მთიანეთში არსებული სამთამადნო წარმოების ძეგლები და ზღვისპირა ზოლში განლაგებული ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოები ერთმანეთისაგან დაშორებულია საკმაოდ დიდ მანძილზე. მაგალითად ყულევის ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული წარმოების კერა და აფხაზეთის, სვანეთის, რაჭის სამთამადნო წარმოების ძეგლები. ასეთ შემთხვევაში მათ შორის კავშირები ძალზე გაძნელებოდა თუ არ იქნებოდა კარგად მოგვარებული სატრანსპორტო საშუალებებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხები.

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების მაგალითზე, ეს პრობლემა შესაძლოა უფრო ადვილი გადასაწყვეტი ყოფილიყო, რადგან ლითონჩამომსხმელი სახელოსნოები აქ გვერდით გულისხმობს მადნის გადამამუშავებელ წარმოებასაც. ამ რეგიონში ძველი სამთამადნო წარმოების ძეგლებიდან, ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოებში სპილენძის ნედლეულის ტრანსპორტირებისას დასაშვებად მიაჩნიათ ცხენის გამოყენება, რომელიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულიდან ფართოდ ჩანს გავრცელებული [ფიცხელაური 1973: 92]. ამ მხრივ კოლხეთის დაბლობის გვიანბრინჯაოს ხანის სხვადასხვა კატეგორიის ძეგლი (სამარხეული კომპლექსები,⁷ განძები, ნამოსახლარები) თითქმის არ იძლევა ხელისშესახებ მასალებს.

7 კოლხეთის დაბლობზე გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნები (ძვ.წ. XV-X სს-ები) ცნობილი არ არის. საერთოდ, ბრინჯაოს ცხენზე ამხედრებული ქალისა და მხედრის ქანდაკებები ცნობილია ძვ.წ. X-VII სს-ებიდან (ერგეტის №1 სამაროვნის №5 სამარხი, მუხურჩის სამაროვანი, სოფ. ცაგერას განძი). ეს ფაქტი კი გარკვეულად უნდა მიუთითებდეს კოლხეთში ცხენოსნობის არსებობაზე ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან.

კერძოდ, აქ ერთი ფაქტიც არ დასტურდება ცხენთან ან ცხენოსნობასთან დაკავშირებული ინვენტარის აღმოჩენისა [ჯიბლაძე 2007: 92]. შესაძლოა მართებული იყო მოსაზრება, რომლის თანახმადაც კოლხეთი დაბლობზე ცხენოსნობის განუვითარებლობას უკავშირებენ დაჭაობებულ ბუნებრივ გარემოს [პაპუაშვილი 1990: 77-78]. ამდენად, კოლხეთში შუა და გვიანბრინჯაოს ხანაში სპილენძის მადნის ტრანსპორტირებისას ცხენის გამოყენების ფაქტორი უნდა გამოირიცხოს. აღნიშნულ პერიოდებში დასაშვებია ამ საქმეში ხარის გამოყენება. სხვა საკითხია, რამდენად მისაწვდომი უნდა ყოფილიყო კოლხეთის მთიანეთიდან ბარში სპილენძის ტრანსპორტირებისას ამ ცხოველის გამოყენება მდინარეთა ხევისპირა ან ხეობათა ფსკერზე გამავალი მოუხერხებელი საცალფეხო ბილიკებით. კოლხეთში ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ხარი წმინდა ცხოველად-ტოტემად ითვლებოდა, რომლის კულტზე და გამწევი ძალის გამოყენებაზე⁸ უნდა მიუთითებდეს არაერთ ძეგლზე (ფიჩორი, ოჩამჩირე, ჩოლოქი, ნოქალაქევი, ვანის საკულტო კომპლექსი, ერგეტის, ცაიშის სამაროვნები და ა.შ.) აღმოჩენილი თიხის, ბრინჯაოს ქანდაკებები, ხის სახენელები და ა.შ. [ჩართოლანი 1996: 205-206; ჯიბლაძე 2007: 90; Papuashvili 2012: გვ. 72, სურ. 3]. ალბათ ამ მიმე და შრომატევად სამუშაოებში ჩაბმული იყო სპეციალურად გამოყოფილი და დასაქმებული ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც გაერთიანებული უნდა ყოფილიყვნენ მკაცრ შრომით ორგანიზაციაზე დაფუძნებულ სასოფლო თემურ დასახლებებში. ისინი მდინარეთა ხეობებში გამავალ გზებზე, სავარაუდოდ, არსებულ საშუამავლო პუნქტებით ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. ადამიანთა ერთი ჯგუფი მიიტანდა სპილენძის ნედლეულს გარკვეულ ადგილზე, რომელსაც შეენაცვლებოდა მეორე ჯგუფი და ასე სავარაუდოდ, მიმდინარეობდა ეს შრომატევადი სამუშაოები.

8 ცაიშის სამაროვნის №1 სამარხში ბრინჯაოს ხანის ქანდაკებას კისერზე შემოსდევს საყელური (საბელი), რომელიც ალბათ ჩასაბმელი იყო და უნდა მიუთითებდეს ამ ცხოველის გამწევი ძალის გამოყენებაზე [Papuashvili 2012: სურ. 4].

CENTER OF THE SECONDARY METALLURGICAL PRODUCTION AT THE QULEVI SETTLEMENT

Summary

Forceful center of the secondary metallurgical production was discovered during the archaeological excavations in 1999-2006 at the Qulevi settlement located in Khobi district on the banks the eponymous river (fig. 1). In the settlement is allocated three layers of Late Bronze – Early Iron Age epochs. In the second, preclassical period layer were found artifacts relating to the bronze casting workshop and numerous bronze implements (pls. I-III).

The second layer of Qulevi settlement is also interesting that there is, in contrast to other settlements of Colchis, abundantly represented artifacts found mainly in the cemeteries of Colchis with a secondary burial rite. In the same layer are presented objects specific to dune sites. The presence in the second layer of these materials provides an excellent opportunity for the synchronization of three different categories of sites and for studying their relationships.

Qulevi bronze casting workshop together with other similar centers of the secondary metallurgical production were supplied by copper from metallurgical centers of Colchis highlands. The most probable is supply by copper raw materials along the Enguri river gorge from the centers of primary metallurgical production of Upper Svaneti.

ლიტერატურა

- აფაქიძე ჯ. 2002: გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით).
- ბარამიძე მ., წითლანაძე ლ., დოლიძე ნ. 2013: აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა, ტ. II. თბილისი.
- ბერიკაშვილი დ. 2003: ზემო იმერეთის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები. – ხსმ ნარკვევები, VIII, 16-23.
- გაგოშიძე ი., მახარაძე გ., ქორიძე ე., გოგიბერიძე ნ. 2004: ითხვისის ნამოსახლარი. – არქეოლოგიური ჟურნალი, III, 75-83.
- გობეჯიშვილი გ. 1952: არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბილისი.
- გოგაძე ელ. 1982: კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბილისი.
- თოლორდავა ვ. 1977: არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1973-1974 წწ. – ვანი, III, 71-80.
- ინანიშვილი გ., ჩართოლანი შ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ., მუჯირი თ. 1998: საქართველოს უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლები. – ძიებანი, № 2, 52-59.
- ინანიშვილი გ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ. 2010: საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ.წ. III-I ათასწლეულები). თბილისი.
- კალანდაძე ალ. 1953: სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- კალანდაძე ნ. 2004: ადრერკინის ხანის კოლხური გრავირებული აბზინდების შესწავლისათვის. – ძიებანი, № 13-14, 111-117.
- ლომიტაშვილი დ. 2003: ცენტრალური კოლხეთი ძვ.წ. VIII - ახ.წ. VI სს. (ციხე-გოჯი, არქეოპოლისი, ნოქალაქევი). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.
- მახარაძე გ., ბრავაძე ზ. 1990: არქეოლოგიური გათხრები კარახტინში. – ძმ, 1, 32-39.
- მიქელაძე თ., ფხაკაძე გ., ბარამიძე მ., ლორთქიფანიძე გ., მუსხელიშვილი დ., ხახუტაიშვილი დ. 1974: კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიების შედეგები. – სავლეთ არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს. თბილისი, 32-38.
- მიქელაძე თ. 1985: კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბილისი.

- მუსხელიშვილი დ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ.** ანაკლია, II. თბილისი.
- ნადირაძე ჯ. 1975:** ყვირილას ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- ნიორაძე გ. 1948:** ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები. – სსმმ, XV-B, 1-22.
- პაპუაშვილი რ. 1990:** სკვითური ელემენტები კოლხეთის დაბლობზე. – არქეოლოგიური ძიებანი, VII-VIII. სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი, 77-78.
- პაპუაშვილი რ. 1997:** გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური სატევრების კლასიფიკაციისათვის. – გურია, II. თბილისი, 59-79.
- პაპუაშვილი რ. 2002:** არქეოლოგიური გათხრები ყულევში 1999-2001 წწ. – ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულ და კლასიკურ ხანაში. თბილისი, 31-32.
- რამიშვილი ალ. 1974:** კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი.
- სახაროვა ლ. 1973:** უძველესი საბრძოლო იარაღების ისტორიისათვის. – მაცნე, 3, 82-94.
- სულავა ნ. 2002:** ლეჩხუმში აღმოჩენილი მცირე ზომის ყალიბის შესახებ. – ძიებანი, 10, 31-34.
- სულავა ნ. 2011:** კავკასიის ფიბულები. თბილისი.
- ფანცხავა ლ. 1988:** კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბილისი.
- ფიცხელაური კ. 1973:** აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს.). თბილისი.
- ქორიძე დ. 1965:** კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.
- ქორიძე დ. 1969:** საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრტყელი ცულების კლასიფიკაციისა და გენეზისის საკითხისათვის. – სსმმ, XXVIII-B, 5-28.
- ღამბაშიძე ი., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი., 2010:** უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში. თბილისი.
- ჩავლეიშვილი ი. 1991:** კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისში. – სდსძ, XIX, გვ. 3-25.
- ჩართოლანი შ. 1971:** სპილენძის ძველი გამონამუშევრები მდ. ბზიფისა და კოდორის ხეობაში. – არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს. თბილისი, 49-60.
- ჩართოლანი შ. 1996:** ძველი სვანეთი თბილისი.
- ხოშტარია ნ. 1946:** სოფ. ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა. – სმამ, VII, 1-2, 78-82.
- ჯაფარიძე ო. 1950:** კოლხური ცული. – სსმმ, XV-B, 35-89.
- ჯიბლაძე ლ. 2006:** ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების ცენტრები კოლხეთის დაბლობზე (ზოგადი მიმოხილვა ნამოსახლარების მასალების მიხედვით). – კრ. „ამირანი“. კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, XIV-XV, მონრეალი – თბილისი, გვ. 9-15.
- ჯიბლაძე ლ. 2007:** კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულის ნამოსახლარები. თბილისი.
- ჯიბლაძე ლ. 2011:** ახალი ინფორმაცია ნაოხვამუს ნამოსახლარზე. – ძიებანი, 20, 251-254.
- Иессен А. 1935:** К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. – ИГАИМК, 120, Москва-Ленинград, 7-216.
- Куфтин Б. 1944:** Урартский колумбарии у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит. სსმმ, XIII-B, 1-171
- Куфтин Б. 1950:** Материалы к археологии Колхиды. Тбилиси
- Личели В., Папуашвили Р., Папуашвили Н. 2000:** Предварительные результаты раскопок на Кулевском поселении. – Международная научная конференция «Археология и Этнография Кавказа». Баку, 88.
- Микеладзе Т. 1990:** К археологии Колхиды (Эпоха средней и поздней бронзы-раннего железа) . Тбилиси.
- Микеладзе Т., Хахутаишвили Д. 1985:** Древне Колхидское поселение Намчедури . Тбилиси.

Техов Б. 1977: Центральный Кавказ XVI-X вв. до н.э. Москва

Трапш М. 1970: Труды, I Тбилиси

Уварова П. 1900: Могильники Северного Кавказа .МАК ,VIII. Москва

Хоштария Н. 1951: Об одном бронзовом орудии из Колхиды. – КСИИМК, 36,177-180.

Хахутаишвили Д. 1987: Производство железа в древней Колхиде. Тбилиси.

Papuaashvili R. 2012: The Late Bronze/ Early Iron Age burial grounds from Tsaisi. – Austausch und Kulturkontakt im Südkaukasus und seinen Angrenzenden Regionen in der Spätbronze/Früheisenzeit. Schriften des Zentrums für Archäologie und Kulturgeschichte des Schwarzmeerraumes, 22, 65-78.

Kobalia N. 2012: Dagger-shaped pendants with dog-like heads – a defining element of Colchian bronze objects. – Austausch und Kulturkontakt im Südkaukasus und seinen Angrenzenden Regionen in der Spätbronze/Früheisenzeit. Schriften des Zentrums für Archäologie und Kulturgeschichte des Schwarzmeerraumes, 22, 79-85.

სურათისა და ტაბულების აღწერილობა

სურ. 1 – ყულევის ნამოსახლარის საერთო ხედი.

ტაბ. I – 1-16. ბრინჯაოს მეორად მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული თიხის ჭურჭელი და ციცხეები; 14-30. მორჩისებური შევრილიანი ყურები; 31. მძივების ჩამოსასხმელი ყალიბის ფორმა; 32-38. კოლხური ცულების ჩამოსასხმელი ყალიბები; 39-41. გაურკვეველი ნივთების დამამზადებელი ყალიბები; 42-49. საქშენი მილები.

ტაბ. II – 1-4, 5-8. ბრინჯაოს ცულები; 9-10. ბრტყელი ცულები; 11-14. სატევრისპირები; 15-19. შუბისპირები; 20-22. დანები; 23-26. ისრისპირები; 27. ბრინჯაოს ანკესი; 28-29. გაურკვეველი ნივთების ფრაგმენტები; 30-31. ბრინჯაოს სატეხ-საჩეხი; 32. სეგმენტი; 33-34. ბრინჯაოს ხელეჩო.

ტაბ. III – 1-2. პინცეტები; 3-4. სატევრისებური ფორმის საკიდები; 5, 6, 8. ბრინჯაოს აბზინდები; 7. ფიბულის ფრაგმენტი; 9-10. მძივსაკიდები; 11-13, 16. ბრინჯაოს რგოლები; 14. სამაჯური; 15. ჯვრისებური ფორმის საკიდი; 17-20. საკინძები; 21. ბრინჯაოს მძივები.

DESCRIPTION OF THE FIGURE AND THE PLATES


Fig. 1 – General view of the Qulevi settlement.


Pl. I – 1-16. Clay vessels and shovels related to the secondary metallurgical production; 14-30. Handles with projections; 31. Casting mold for manufacturing of beads; 32-38. Casting molds for manufacturing of Colchian axes; 39-41. Casting molds for manufacturing of undefined items; 42-49. Blowing nozzles.

Pl. II – 1-4, 5-8. Bronze axes; 9-10. Flat axes; 11-14. Daggers; 15-19. Spearheads; 20-22. Knives; 23-26. Arrowheads; 27. Bronze hook; 28-29. Fragments of undefined items; 30-34. Other tools.








Pl. III – 1-2. Tweezers; 3-4. Dagger shape pendants; 5-6, 8. Bronze buckles; 7. Fragment of fibula; 9-10. Beads-pendants; 11-13, 16. Bronze rings; 14. Bracelet; 15. Cross-shaped pendant ; 17-20. Pins; 21. Bronze beads.

გამ. 1





ക്ര. III



0 2

რევაზ პაპუაშვილი

სოფ. ყულევი

(გეოგრაფია, წერილობითი წყაროები, არქეოლოგიური კვლევის ისტორია)

სოფელი ყულევი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მდ. ხობის შესართავთან მდებარეობს. მისი გეოდეზიური კოორდინატებია: ჩრდილოეთ გრძედის (N) 42° 16' 26" და აღმოსავლეთ განედის (E) 41° 38' 18" (ტაბ. I).

ინფორმაცია ყულევის შესახებ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მოკლეა და რამდენიმე წინადადებით შემოიფარგლება: „ყულევი, სოფელი ხობის რაიონში, ოდიშის დაბლობზე, შავი ზღვის ნაპირას, მდ. ხობის შესართავთან, სოფსაბჭო, ზ.დ. 2 მ., ხობიდან 18 კმ., ქალადიდის საკვებმოპოვების საბჭ. მეურნ., თევზჭერის საამქრო, კავშირგაბმ. განყ-ბა, პიონერთა ბანაკი კოლხეთი, შემორჩენილია შუა საუკ. ციხის ნანგრევები.“

ენციკლოპედიის ამავე გვერდზეა მოთავსებული ცნობილი ქართველი არქეოლოგის ელგუჯა გოგაძის სტატია „ყულევის ნამოსახლარი.“ ავტორი ყულევის ნამოსახლარების შესახებ ინფორმაციას ქ-ნ ნინო ხოშტარიას პუბლიკაციაზე დაყრდნობით გვანდის [გოგაძე 1986: 662].

სოფ. ყულევის არსებობა დღეს, და როგორც ჩანს ძველადაც, დაკავშირებულია ორ სანაოსნო მდინარესთან, ესენია: ხობი (ხობისწყალი) და ცივი (ცივა). ცივი ხობს შესართავიდან 600 მ. დაშორებით სამხრეთიდან უერთდება. მისი ქვემო დინება თითქმის ზღვის ნაპირის პარალელურადაა მიმართული. მათ შორის, 600 მ. მანძილზე, მოქცეულია დაჭაობებული ტყე, ქვიშიანი დიუნა და სანაპირო პლაჟი. ამავე დროს, ის კოლხეთის ორ დიდ დაჭაობებულ მასივს შორისაცაა: ჩრდილოეთიდან ჭურიის, სამხრეთიდან კი ნაბადას ჭაობი ესაზღვრება.

ყულევთან დამაკავშირებელი ძირითადი სახმელეთო გზა მდ. ხობის მარცხენა სანაპიროს გასწვრივაა და ის სოფლების ქარიეტასა და შუა ხორგის გავლით, ქალადიდი-ხობის საავტომობილო მაგისტრალს უერთდება. არის მეორე სახმელეთო გზაც, ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ფოთის მიმართულებით. ჩრდილოეთით, ანაკლიისაკენ, ზღვის გასწვრივ მოძრაობა მხოლოდ ფეხით ან ცხენითაა შესაძლებელი, რადგან მდ. ხობზე და მდ. ჭურიაზე ხიდები არაა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამდინარო არტერიას; ხობი-ცივი-ყორათი-რიონი. დღეს ამ არტერიის ძირითადი ფუნქცია დაკარგულია.

მდინარეების: ენგურისა და რიონის შესართავებს შორის მდებარე სანაპირო და ზღვისპირა ვაკე კოლხეთის დაბლობის ეკოსისტემის ნაწილია, ყულევს კი მისი ცენტრალური ნაწილი უჭირავს. მიჩნეულია, რომ თანამედროვე ლანდშაფტის სახეების (ნაპირგასწვრივი ქვიშიანი ზვინულები, ტორფიანი ჭაობები და მათთან მიმდებარე დაჭაობებული ტყეები, ჭაობის მდინარეები და ტბები) ჩამოყალიბების პროცესი შუა პოლოცენში დაიწყო.

დაახლოებით 6000 წლის წინ შავი ზღვის საშუალო მრავალწლიურმა დონემ თანამედროვე ნიშნულს მიაღწია და მას შემდეგ მხოლოდ მცირე ამპლიტუდის ოსცილიციურ რყევას განიცდის [Джанелидзе 1980: 21-64].

ცნობილია, რომ ბიოგეოგარემო უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სოციოგარემოს ჩამოყალიბებაზე [გამყრელიძე გ. 1993: 5-41], აქაც, ისევე როგორც კოლხეთის დაბლობის სხვა მონაკვეთებში, არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ აჩვენა, რომ მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა, დემოგრაფიული ვითარება და ყოფითი თავისებურებები უმეტესწილად ბიოგეოგარემოზე იყო დამოკიდებული. ინტენსიური ცხოვრების კვალი ფანაგორიული რეგრესიის (ზღვის დონის უკანასკნელი დაცემა ძვ.წ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარი-ძვ.წ. პირველი ათასწლეული) პერიოდს შეესაბამება. ცხოვრება არ წყდება, მაგრამ მნიშვნელოვნად ეფემერული ხდება ლაზური ტრანსგრესიის ეპოქაში (ზღვის დონის უკანასკნელი ამღობება ძვ.წ. და ახ.წ. მიჯნიდან) მანამ, სანამ მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ანთროპოგენული გავლენა ლანდშაფტზე. XIX საუკუნეში აშენდა რედუტ-კალესა და ფოთის ნავსადგურები, მდ. რიონი ხელოვნურად დაუკავშირეს მდ. ხობს, გაიჭრა სადრენაჟო არხები და სხვ.

დღეისათვის ყულევის, როგორც ტერიტორიული ერთეულის გეოგრაფიული გარემო შეე-

საბამება და ნაწილია დასავლეთ კოლხეთის ჭარბტენიანი ეკოსისტემისა. ყულევის, როგორც სოციალური ერთეულის (სოფლის), ეკონომიური ბაზისი და ცხოვრების ნირი, ისევე როგორც ძველად განპირობებულია: ზღვით, სანაოსნო მდინარეებით, ნაპირგასწვრივი ქვიშიანი ბორცვების ზოლით, ჭაობით, ტყის მასივებით და ამ გარემოსთან შეგუებული ფლორა-ფაუნით. აღნიშნული კომპონენტები, კომპლექსურად თუ ცალცალკე, სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვაგვარად განსაზღვრავდა ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალურ და სულიერ კეთილდღეობას.

საისტორიო წყაროები. მდინარე ხობი და ხობის შესართავი განსხვავებული მიზნით, დოზითა და რაკურსით არაერთხელაა ასახული სხვადასხვა დროის საისტორიო წყაროებში. ამ მდინარის იდენტიფიკაციის საკითხი ბერძენ და რომაელ ავტორებთან მოხსენიებული მსგავსი ჟღერადობის ჰიდრონიმთან, ხობოსთან თუ ქობოსთან, ერთმნიშვნელოვნად არ განიხილებოდა და ზოგჯერ დისკუსიის საგანი გამხდარა [Ломоури 1957: 101; ყაუხჩიშვილი თ. 1976: 98; პაჭკორია 1974: 22-26; მიქელაძე 1978: 6-7]. ხობის შესართავთან, ჩვენთვის ამჟამად საინტერესო არეალთან, პირდაპირ თუ ირიბად, მრავალი წერილობითი წყარო და ისტორიული მოვლენაა დაკავშირებული. ისინი, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებთან ერთად, ავსებენ ერთმანეთს და რეგიონის წარსულის შესახებ შედარებით საიმედო ინფორმაციას გვანვძიან.

პირველი და უძველესი ცნობა მდ. ხობთან დაკავშირებით ფსევდო-სკილაქს კარიანდელის (ძვ.წ. IV ს.) პერიპლუსში მოიპოვება.

კოლხეთის მიწაწყალზე ფსევდო-სკილაქსი 9 მდინარეს ასახელებს (მდინარეებს ჩამოთვლის ჩრდილოეთიდან სამხრეთით). ქალაქ გიენოსთან (დღევანდელი ოჩამჩირის მახლობლად) ერთად მოხსენიებული მდინარე გიენოსი – მოქვის წყალი უნდა იყოს. ფასისი დღევანდელი რიონია. მოქვის წყალსა და ფასისს შორის ნახსენები სამი მდინარიდან ქერობიოსი ოქუმში უნდა იყოს (ერისწყლითურთ), ქორიოსი – ენგური და არიოსი – ხობი [ყაუხჩიშვილი თ. 1976: 87].

უმნიშვნელოვანესი ცნობები საქართველოსა და საკუთრივ კოლხეთის შესახებ დიდი ბერძენი გეოგრაფოსის, სტრაბონის (ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეების მიჯნა) ფუნდამენტალურ ნაშრომში, „გეოგრაფიაში“ გვხვდება. სტრაბონი, განსხვავებით სკილაქს კარიანდელისაგან, თანამიმდევრობით არ ჩამოთვლის კოლხეთის მდინარეებს, მაგრამ ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია

მის მიერ ქ. დიოსკურიასთან მოხსენიებული მდ. ქარიესი, აგრეთვე, ფთიროფაგებისა და სვანების ტომი [ყაუხჩიშვილი თ. 1957: 125]. ეს ტომებიცა და მსგავსი ჟღერადობის ჰიდრონიმები, გეოგრაფიულად ყულევის რეგიონთან მიმართებაში სხვა ავტორებთანაც (პომპონიუს მელა, პლინიუს უფროსი) გვხვდება.

მეორე პერიპლუსის ავტორი, რომლის ცნობებიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მდ. ხობთან კავშირში, ცნობილი რომაელი მოღვაწე ფლავიუს არიანეა (95-175 წწ.).

ფლავიუს არიანეს ნაწარმოებია „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, რომელიც 131 წელს დაწერა. ცნობილია, რომ მან რომის იმპერატორ ადრიანეს დავალებით, საჯარისო ნაწილების ინსპექტირების მიზნით, მოიარა სანაპირო ხაზი ტრაპეზუნტიდან დიოსკურიამდე, აღწერა ეს მხარე, რისთვისაც გამოიყენა ძველ წყაროებში დადასტურებული მასალა და დაურთო ეს აღწერა იმპერატორისადმი გაგზავნილ, ლათინურად დაწერილ წერილს. არიანეს პერიპლუსის ნაშრომის პირველი ნაწილი ტრაპეზუნტი-დიოსკურიის ხაზის აღწერას შეიცავს. ამ კონტექსტში, ის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებთან და მდინარეებთან ერთად, მდ. ქარიენტსა და მდ. ქობოსსაც მოიხსენიებს. ამ უკანასკნელზე ის შეჩერებულია კიდევ. შეჩერების მიზეზი არ ჩანს, მაგრამ დასძენს „თუ რატომ (შევისვენეთ აქ) და რა მოვიმოქმედეთ, შენთვის ცხადი გახდება ლათინური წერილიდან“. სამწუხაროდ, ეს წერილი ცნობილი არაა (ლომოური 1968: 35).

მდინარეებსა და დასახლებულ პუნქტებს არიანე, განსხვავებით ფსევდო-სკილაქსისაგან, ჩამოთვლის სამხრეთიდან ჩრდილოეთით. მდინარეთა ჩამონათვალი ასეთია: ...მდ. ფასისი, მდ. ქარიენტი, მდ. ხობოსი, მდ. სიგამე და ა.შ.

მართალია, მკვლევართა ნაწილი (მ. ივაშჩენკო, ლ. ელნიცკი, ნ. ლომოური, თ. მიქელაძე) იმის გამო, რომ დღეს მდ. რიონსა და მდ. ხობს შორის შავ ზღვას არცერთი მდინარე არ შეერთვის, ხოლო არიანესთან მდ. ფასისსა და მდ. ხობოსს შორის მდ. ქარიენტია დასახლებული, მიიჩნევს, რომ არიანესთან ნახსენები ქარიენტი მდ. ხობია. შესაბამისად, მდ. ხობოსი გააიგივეს მდ. ენგურთან [მიქელაძე 1978: 8-9].

მეორე მოსაზრების თანახმად, ენგურის ხობთან გაიგივება ერთგვარ ეჭვს იწვევს [ყაუხჩიშვილი თ. 1976: 98]. სიმონ ჯანაშია, პლინიუს სეკუნდუსზე დაყრდნობით, მიიჩნევს, რომ მდ. ხარიენტი უდრის მდ. ცივს, რომლის ეს ძველი სახელწოდება, სოფელზე გადასული, ამჟამა-

დაც შენახულია მდ. ხობის მარცხენა ნაპირას, ხორგას ქვემოთ მდებარე სოფლის სახელში „ქარიეტა“, ხობი კი თანამედროვე ხობია [ჯანაშია 1959]. ამ მოსაზრებას ნ. ხომტარია და მ. პაჭკორია ც იზიარებენ [ხომტარია 1945: 79; პაჭკორია 1974: 22-26].

ჩვენ იმ შეხედულებებს ვიზიარებთ, რომლის მიხედვითაც არიანესთან ხსენებული მდ. ხობოსი თანამედროვე მდ. ხობია.

მდ. ხობის შესართავთან დაკავშირებით გარკვეული ცნობები კლავდიოს პტოლემეაიოსთანაც (100-178 წწ.) მოიპოვება. კლავდიოს პტოლემეაიოსი ავტორია თხზულებისა „გეოგრაფიული სახელმძღვანელო.“ მან პირველმა შემოიღო კოორდინატების სისტემა, გრძედისა და განედის განსაზღვრა. თავის სახელმძღვანელოს V წიგნში კოლხეთის ტერიტორიის აღწერისას ახსენებს ქალაქ აიას, თითქოს ხობის შესართავთან ახლოს, რომლის იდენტიფიკაცია თანამედროვე პუნქტთან არ ხერხდება. ამავე ტერიტორიაზე ქ. ნეაპოლისზეა (ე.ი. ახალქალაქი) ლაპარაკი, რაც არ გვხვდება არცერთ სხვა წყაროში. არის გამოთქმული ვარაუდი, რომ ეს ქალაქი არიანემ ააშენა მდ. ხობოსის შესართავთან [ყაუხჩიშვილი თ. 1976: 163]. ამგვარი მოსაზრება არიანეს ერთერთმა გამომცემელმა კ. მიულერმა 1888 წელს გამოთქვა, რაც გაიზიარა და დამატებითი არგუმენტებით გაამყარა ნ. ლომოურმა. მისი ვარაუდით, არიანემ აქ საფუძველი ჩაუყარა კიდევ ერთ სიმაგრეს, რომელთა კიდევ ერთ პუნქტს დასავლეთ საქართველოს სანაპიროზე. მაგრამ, როგორც ვიცით, ნ. ლომოური არიანეს ხობოსს დღევანდელ მდ. ენგურთან აიგივებს და, შესაბამისად, ქ. ნეაპოლისის ლოკალიზაციას მის შესართავში გულისხმობს (ლომოური 1968: 35-36).

ჩვენი დამოკიდებულება, არიანესეული ხობოსისა და დღევანდელი მდ. ხობის იგივეობის შესახებ, უკვე გამოვხატეთ. ვიზიარებთ ვარაუდს, რომლის მიხედვითაც პტოლემეაიოსთან ხსენებული ქ. ნეაპოლისი არიანეს მოღვაწეობას უკავშირდება, მაგრამ არა ენგურის, არამედ ხობის შესართავში. ამის საფუძველს, ერთი მხრივ, ის გარემოება იძლევა, რომ ენგურის შესართავთან არიანესა და პტოლემეაიოსის ხანის ძეგლები დადასტურებული არაა. მეორე მხრივ კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ხობის შესართავის მიდამოებში აღნიშნული ეპოქის ქალაქური ტიპის დასახლებები ჯერ ნ. ხომტარიას, შემდეგ კი თ. მიქელაძის, დ. ხახუტაიშვილისა და ჩვენს მიერაა მიკვლეული.

მოცემულ ტერიტორიასთან კავშირში მნიშვნელოვანი ცნობები პლინიუს სეკუნდუსთანაცაა დაცული (23-79 წწ.). პლინიუს სეკუნდუსი, ანუ პლინიუს უფროსი ცნობილი რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, სამხედრო პირი და მწერალია. იგი დაიღუპა ვეზუვის დიდი ამოფრქვევის დროს, 79 წელს. მას დაწერილი აქვს ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „ბუნების ისტორია.“ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ხალხების, ქალაქებისა და მდინარეების ჩამოთვლის დროს იგი აღნიშნავს: მის (ფასისის, რ.პ.) ნაპირებზე გაშენებული იყო მრავალი ქალაქი, მათგან ყველაზე სახელგანთქმულები კინდარიდა, კირკეუმი, კიგნოსი და შესართავთან ფაზისი. აგრეთვე, ...სხვა მდინარეა-ხარიენტი, სალტიების ტომი, ძველები, რომ ფთიროფაგებს ეძახდნენ და სხვა სანები. მდინარე ხობოსი კავკასიონიდან სვანებზე ჩამოდის [გამყრელიძე აღ. 1973: 32].

ხობისა და მისი შესართავის მიდამოები უნდა იყოს აღწერილი რომაელი მწერლის პომპონიუს მელას ნაშრომში „ქოროგრაფია.“ ეს ნაშრომი, როგორც ფიქრობენ, 44 წლის შემდგომ ხანებშია დაწერილი [Латышев 1949: 815].

აქ პომპონიუს მელა დასახლებულ პუნქტებსა და ხალხებს სამხრეთიდან ჩრდილოეთით ჩამოთვლის. სხვა ხალხებს შორის იგივე კონტექსტში, როგორშიაც პლინიუს უფროსი, მოიხსენიებს ფთიროფაგებსაც. ფასისის ჩრდილოეთითაა ქალაქი კიკნოსი, რომელიც „გადმოცემის თანახმად ბერძენ ვაჭრებს დაუარსებიათ. კიკნოსი ბერძნულად ნიშნავს გედს. როცა ბნელი ქარიშხალი მიაქროლებდა მათ და არ იცოდნენ საით იყო მიწა, გედის ხმამ მისცა მათ ნიშანი“ [Латышев 1949: 820].

პროფესორი მერი ინაძე პლინიუს უფროსთან ხსენებულ ქ. კიგნიუმსა და პომპონიუს მელასთან ხსენებულ ქ. კიკნოსს ერთმანეთთან აიგივებს. მათ ლოკალიზაციას მდ. ხობის შესართავის მიდამოებში ახდენს და უკანასკნელ წლებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ დასახლებებს უკავშირებს [ინაძე 2004: 36-44].

ყულევისა და მდ. ხობის შესართავის მიდამოებთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რომაელი მწერლისა და ისტორიკოსის კორნელიუს ტაციტუსის (50-117 წწ.) „ისტორიების“ III წიგნში აღწერილი ამბები ტრაპეზუნტში მონათა აჯანყების შესახებ. ეს აჯანყება ანიკეტის აჯანყების სახელითაა ცნობილი. ტაციტუსის ცნობის გარდა ამ საინტერესო აჯანყებაზე სხვა წყარო არ მოგვეპოვება [გა-

მყრელიძე ალ. 1973: 9].

ტაციტუსის შრომებში „ანალები“ და „ისტორიები“, ნერონის სიკვდილის შემდგომ პონტოსპირეთში მომხდარი ამბებია მოთხრობილი. რადგან ამავე ხანებში მომხდარი ანიკეტის აჯანყების ფინალური სტადია მდ. ხობთანაა დაკავშირებული, ამიტომ მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ ცნობას მთლიანად მოვიტანთ.

„არც სხვა ერები იყვნენ წყნარად. ანაზად იარალი აღმართა პონტოში ბარბაროსმა მონამ, რომელიც ოდესმე სამეფო ფლოტის მეთაური იყო. ის გახლდათ ანიკეტოსი, პოლემონის აზატი, ოდესლაც ფრიად ძლევამოსილი, ხოლო მას შემდეგ, რაც პროვინციად იქცა სამეფო, ცვლილებას ვერ ითმენდა. ამიტომ ვიტელიუსის სახელით მიიმხრო ტომები, რომლებიც პონტოსთან ცხოვრობენ, აგრეთვე ძარცვის იმედით აცთუნა ულატაკესნი, არა მცირე რაზმს ჩაუდგა სათავეში და ანაზად შეიჭრა ტრაპეზუნდში, ძველთაგანვე სახელგანთქმულ ქალაქში, რომელიც ბერძნებისაგან არის დაარსებული შავი ზღვის უკიდურეს სანაპიროზე. შემდეგ მათ რომის მოქალაქეობა და ჩვენებური დროშები და იარალი მიანიჭეს, მაგრამ ბერძნების სიზარმაცე და თავნებობა კი შერჩათ. ფლოტსაც ცეცხლი ნაუკიდა და აბუჩად აიგდო ცარიელი ზღვა, ვინაიდან რჩეული ლიბურნული ხომალდები და მთელი ჯარი მუცლიანუსმა ბიზანტიონს წაიყვანა. ამიტომაც ბარბაროსები თავხედურად დაძრნოდნენ სახელდახელოდ გაკეთებული ნავეებით. [მათ] კამარებს უწოდებენ, [აქვთ] დაბალი გვერდები, განიერი მუცლები; შეკრულნი არიან ბრინჯაოს ანდა რკინის სამაგრების გარეშე და როცა ზღვა ღელავს, ტალღების სიმაღლისადა მიხედვით, ნავებსაც სიმაღლეს უმატებენ ფიცრებით, ვიდრე [სახლის] სახურავივით არ გადაიხურება. ასე დალივლივებენ ტალღებში, აქვთ რა ორივე მხარეს ერთნაირი ცხვირები და ერთნაირი მოსასმელი ნიჩბები, ისე რომ ორივე ცხვირით თანაბრად და უვნებლად [შეუძლიათ] ნაპირს მიადგნენ.

ამ საქმემ იმდენად [მიიქცია] ვესპასიანეს ყურადღება, რომ ლეგიონებიდან გამობრძმედილი სათადარიგო ჯარისკაცები და ომში გამოცდილი სარდალი ვირდიუს გემინუსი ამოირჩია. იგი თავს დაესხა გაბნეულ და ალაფობის ნადილით გაფანტულ მტერს და ხომალდებზე შერეკა; [მერე] მსწრაფლ ააგო ლიბურნული ხომალდები და ანიკეტოსს მდინარე ხობის შესართავში დაენია, სადაც იგი უშიშრად იყო სედოხეზების მეფის შემწეობით, რომელიც მოკავ-

შირობაზე ფულითა და საჩუქრებით დაითანხმა. პირველად მეფე მუქართა და იარალით იცავდა კიდეც [შეფარებულ] მავედრებელს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლალატისთვის ჯილდო, თუ არადა ომი შესთავაზეს, ბარბაროსების ჩვეულები-სამებრ რწმენამერყევი, დათანხმდა ანიკეტოსის დალუპვას და ლტოლვილიც გასცა. ასე მოელო ბოლო მონათა ომს“ [გამყრელიძე ალ. 1973: 129].

ანიკეტის აჯანყებას სპეციალური ნაშრომი უძღვნა ა. ბოლტუნოვამ. მკვლევარის განსაზღვრით აჯანყება უნდა დაწყებულიყო 69 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში, ან მის მეორე ნახევარში. ხოლო ანიკეტის აღსასრული ოქტომბრის შუა რიცხვებში უნდა მომხდარიყო [Болтунова 1934: 57-58].

აღსანიშნავია, რომ სედოხეზები, ტაციტუსის გარდა, სხვას არავის ჰყავს ნახსენები. კომენტატორებს ისინი სანების, ან სვანკოლხების ტომების ნაწილად მიაჩნიათ [გამყრელიძე ალ. 1973: 134]. თვით ანიკეტის პიროვნების შესახებ კი გამოთქმულია ვარაუდი, რომ იგი, შესაძლოა, ადგილობრივი კოლხი ყოფილიყო [გამყრელიძე, თოდუა 2006: 29].

კიდეც ერთი სისხლიანი დრამაა დაკავშირებული მდ. ხობთან. ესაა გუბაზ მეფის მკვლელობა 554 წელს.

ცნობილი ბიზანტიელი მოღვაწე აგათია სქოლასტიკოსი, რომელიც აგრძელებს პროკოფი კესარიელის მიერ დაწყებულ თხრობას ლაზიკესა და მისი ისტორიის შესახებ, დაწვრილებით აღწერს კოლხეთში 552-558 წლებში მომხდარ ამბებს. დროის ამ მონაკვეთში, გუბაზ მეფის მკვლელობის შესახებ კი გვაუწყებს, რომ დაძაბულობა რომაელ სტრატეგოსებსა და გუბაზს შორის თანდათანობით მნიფდებოდა. სტრატეგოსებმა გადაწყვიტეს ლაზთა მეფის თავიდან მოშორება და მოლაპარაკების საბაბით მოიწვიეს ის. გუბაზი ხობის წყალთან უიარალოდ შეეგება მათ. ისინი ონოგურისის ციხეზე სპარსელთა წინააღმდეგ გალაშქრებას სთავაზობდნენ. რომაელთა ერთ-ერთი სარდლის, რუსტიკეს ამ შემოთავაზებას გუბაზმა უპასუხა: „არ გამოგყვებით და არც ომში ჩავებმები, სანამ თქვენს მიერ ჩადენილ ყველა შეცდომას არ უწამლებთ. ...როგორც კი ეს თქვა, მაშინვე ...იმ იოანემ, რომელიც იმ ვერაგთა შიკრიკი იყო, იშიშვლა ჩუმად ხანჯალი და მკერდში ჩასცა გუბაზს, მაგრამ არა სასიკვდილოდ. გუბაზს თურმე ცხენის კისერზე ჰქონდა ფეხები შემოკეცილი და ის ერთბაშად დაეცა ძირს, მე ვფიქრობ, არა იმდენად ხელის დარტყმისაგან, რამდენადაც იმის გამო, რომ

ასე მოულოდნელად დაატყდა თავს ეს ამბავი. გუბაზმა ფორთხვა დაიწყო და ცდილობდა ამდგარიყო, ამ დროს ზედ წაადგა რუსტიკეს მეშუბე, რომელსაც ეს დავალებული ჰქონდა, მახვილით გაუჩხება თავი და ბოლო მოუღო მის სიცოცხლეს“ [ყაუხჩიშვილი ს. 1936: 42-50].

აგათიას მითითებული არ აქვს მდ. ხობის რომელ სანაპიროზე ან რომელ მონაკვეთში დატრიალდა ეს ტრაგედია, თუმცა ვიცით, რომ შესაბამისი დროის დასახლებათა ნაშთი ხობის შესართავის მიდამოებშია შემორჩენილი და შესწავლილი, ჯერ 1944-45 წწ-ში ნინო ხოშტარის მიერ, შემდეგ კი, 1972-73 წწ-ში, თეიმურაზ მიქელაძისა და დავით ხახუტაიშვილის მიერ. რადგან რომაულ-ბიზანტიური ხანის სხვა დასახლება მდ. ხობის ხეობაში ჯერ მიკვლეული არაა, ამიტომ, ამ ტრაგიკულ მოვლენასთან ხსენებულ დასახლებათა დაკავშირება (თუ პირდაპირ არა, ირიბად მაინც) საფუძველს მოკლებულად არ გვეჩვენება.

გამოთქმულია სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით გუბაზ მეფის მკვლელობა უნდა მომხდარიყო იქ, სადაც დღეს ხობის მონასტერია [შონია 1995: 332].

VI საუკუნიდან XVII საუკუნემდე მდ. ხობის შესართავის მიდამოების შესახებ წერილობით წყაროებში მნიშვნელოვანი ცნობები ჩვენთვის ცნობილი არაა.

როგორც ვიცით, 1633-1649 წწ. სამეგრელოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი. მან იტალიაში დაბრუნების შემდეგ, 1654 წელს, გამოსცა ნაშრომი „სამეგრელოს აღწერა“, რომელშიც სამეგრელოს ბუნების, ისტორიის, სოციალური წყობის, სამეურნეო საქმიანობის, ზნე-ჩვეულებებისა და კულტურის დახასიათებასთან ერთად ვხვდებით სამეგრელოს მდინარეთა აღწერილობასაც. არქანჯელო ლამბერტის ამ მრავალმხრივ საინტერესო ნაშრომს თან ერთვის რუკა, ბუნებრივია, მდინარეთა მითითებით.

მდინარეების: ფაზისის (რიონის), ცხენისწყლის, აბაშისა და ტეხურის შემდეგ ლამბერტი მოიხსენიებს მდ. ხობს. „ტეხურს ანუ სიგამეს მოსდევს ხობო (Cobo), რომელსაც მკვიდრნი დღესაც მსგავს სახელს უწოდებენ-ხოფი (Copi). ეს მდინარე მეტად მდიდარია ნაირ-ნაირი თევზებით და ნავით სავალია იმ ადგილამდე, რომელსაც ჰქვია ხოფი (Copi). ამ ადგილის გამო თვით მდინარეს ეწოდა ხოფი. აქ არის ეკლესია, რომელიც წინათ საეპისკოპოსო იყო.

ხოფის შემდეგ რომ მდინარეა, მკვიდრნი

უწოდებენ მას ჭანინწყლად და რუკებზე კი იწერება Cianeo. ეს მდინარე შეერთვის ხოფს და მასთან ერთად შეერთვის ზღვას. ჩემის აზრით, ეს სახელი იმიტომ ეწოდება ამ მდინარეს, რომ მასთან მოდის სავაჭროდ თავისი პატარა ნავებით და ჩერდება ერთი მეზობელი ხალხი, რომელსაც ჰქვია ჭანი“ [ლამბერტი 1938: 175].

თუ ერთმანეთს შევადარებთ თანამედროვე ტოპოგრაფიულ რუკებსა და არქანჯელო ლამბერტის რუკას, ნათელი გახდება, რომ ლამბერტი ცდება. მდ. ჭანინწყალი მდ. ხობს ერთვის ზღვიდან 30-40 კმ. დაშორებით. ის მთის მდინარეთა კატეგორიას განეკუთვნება და სანაოსნო არაა. შესაბამისად ვერც ნავებით მოვიდოდნენ იქ სავაჭროდ.

საფიქრალია, რომ Cianeo-დ წოდებული მდინარე უნდა იყოს მდ. ცივი (ცია), რომელიც ხობს შესართავთან ერთვის არა ჩრდილოეთიდან, როგორც ეს ლამბერტის რუკაზეა, არამედ სამხრეთიდან. სავარაუდოა, ლამბერტის თვითონ არ უნახავს მდ. ხობის შესართავი იმ მიზეზის გამო, რომ წელთაღრიცხვების მიჯნაზე დაწყებული ზღვის ტრანსგრესიის შედეგად, შუა საუკუნეებში, მდ. ხობის ქვემო დინება, გაუვალი ჭაობებითა და ხშირი ტყით დაფარული, თითქმის გაუკაცრიელებული იყო.

ფრანგი ვაჭარი და მოგზაური ჟან შარდენი, 1672 წელს, როდესაც თავის მოგზაურობას აღწერს, ანაკლიიდან ფოთამდე, აღნიშნავს: „მთელი დღე პირქარი ქროდა და თვრამეტი მილის მეტი ვერ გავიარეთ. სალამოს შევედით მდინარე კემხელში. იგი უფრო ღრმა და ისევე განიერია, როგორც ენგური, მაგრამ ნაკლებად სწრაფია.“ შემდეგ, „29-ში (ნოემბერი რ.პ.) გათენებამდე ორი საათით ადრე, მთვარის შუქზე გავემგზავრეთ. შუადღისას მივალწიეთ მდინარე ფაზისს“ [შარდენი 1975: 257].

ჩანს, რომ ღამე გაუთევიათ მდ. ხობის (კემხელის) შესართავში. არავითარ დასახლებულ პუნქტზე აქ ლაპარაკი არაა. შარდენის მოგზაურობის ატლასში (1811 წლის პარიზის გამოცემა) შეტანილ რუკებზე მდ. ხობს აწერია: „Kelmhel ant. Cobus.“ ჩანს, „ანტიკურ“ ხობს (ან მის შესართავს) იმ დროს „კემხელის“ სახელწოდებაც ჰქონია. ამავე დროს, ლამბერტის მსგავსად, შარდენიც ასახელებს მდ. ხობსა და მის შენაკადს Cianée-ს [შარდენი 1975: 257]. Cianee აქაც ჭანინწყლადაა თარგმნილი. ჩვენი დამოკიდებულება მდ. ცივი-ცივა-ციასა და Cianeo-Cianee-ს იგივეობის შესახებ უკვე გამოვხატეთ.

სავარაუდოდ, იგივე მიზეზებით მოსდის შეც-

დომა ვახუშტი ბატონიშვილს XVIII საუკუნის 30-40 იან წლებში შედგენილ რუკებზე, რა მიზეზებიც აქვს დაშვებული შეცდომა არქანჯელო ლამბერტის მდ. ხობის შესართავის განსაზღვრისას.

ვახუშტის პირველ, 1735 წელს შედგენილ ატლასში, ფოთის ჩრდილოეთით, მდ. ხობის ადგილზე აღნიშნულია მდ. ხორგა (ჩვენი აზრით ხობი), რომლის ჩრდილოეთით, იქ სადაც მდ. ჭურია უერთდება ზღვას, აღნიშნულია მდ. ხოფი. მის ჩრდილოეთით კი, მდ. ენგურის ადგილას, მდ. ეგური [ვახუშტი 1997: 2-3].

მეორე, 1745 წელს შედგენილ ატლასში იგივე თანამიმდევრობით მინიშნებულია: მდ. ხორგისა, მდ. ხოფისა და მდ. ეგური. გარდა ამისა, მდ. ხობის შესართავთან მითითებულია ნაგებობა — აზნაურისა. მდ. ჭურიის შესართავთან მითითებულია ნაგებობა — ეკლესია [ვახუშტი 1997: 48-53].

მესამე, რუსულ ენაზე გამოცემულ ატლასში მდ. ხობის ადგილას მითითებულია პუნქტი — Хорга Власной князь და მდინარე — р. Хоргской.. ჭურიის შესართავთან კი პუნქტი — Хоф-Монастырь და მდინარე — р. Чанской (ვახუშტი 1997: 62-63). ამავე ატლასის მეორე ვარიანტში მდ. ხობის შესართავთან ჩანს პუნქტი — Хорга-Крепость და მდინარე — р. Хорга. მდ. ჭურიის შესართავთან კი მითითებულია პუნქტი — Хофи-Монастырь და მდინარე — р. Чани (ვახუშტი 1997: 62-63).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია),“ ვკითხულობთ: „ფოთის ჩრდილოეთით კერძ შესდის ზღვას ხორგის-წყალი. მოიგო სახელი დაბის ხორგისაგან, ზღვის კიდესა ზედა შენისა, სადაცა არს სასახლე აფხაზთა კათალიკოზისა. გამოსდის მასვე ხსენებულს კავკასს და მოდის აღმოსავლეთიდან დასავლეთად. ამავე წყალზედ, მთის ძირში, უნაგირას ჩრდილოთ არს ციხე ჭაქეთით და სასახლე დადიანისა. ხოლო ამ წყლის ჩრდილოთ, მთის ძირს, ველსა ზედა არს ხეთას ციხე და სასახლე დადიანისა. ამის ჩრდილოეთით დის ჭანისწყალი, ნოდებული ქელენჯიხის გამო. გამოდის მასვე კავკასსა და დის აღმოსავლეთიდან დასავლეთად და მიერთვის ზღვას ხოფს. აქა არს ეკლესია გუნბათიანი კეთილშენი და შემკული, აქ მსვენარებს პერანგი ყოლადწმინდის ღვთისმობლისა, სასწაულმომქმედი“ [ვახუშტი 1941: 167].

ამკარაა, ვახუშტიც, ისევე როგორც ლამბერ-

ტი, არაკომპეტენტური წყაროთი სარგებლობს. თუნდაც წარმოვიდგინოთ, რომ მის დროს მდ. ჭურია ხოფად ან ჭანად (ჭანისწყლად) მოიხსენიებოდა, მდ. ხობი კი ხორგად, მაინც წარმოდგენილი და აუხსნელი რჩება ხობის მონასტრის მდ. ჭურიასთან მინიშნება. მითუმეტეს, რომ მდ. ჭურიის შესართავთან არავითარი მინიშნება ძეგლის კვალი ცნობილი არაა. ხობის ცნობილი მონასტერი კი XIII საუკუნის შემდეგ მაინც, თავის ადგილზე დგას.

უფრო მკაფიო და ნათელი ინფორმაცია საკვლევო ტერიტორიის შესახებ XIX საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება. 1804 წლიდან შავი ზღვის საქართველოს ნაპირზე მდ. ხობის შესართავში საფუძველი ეყრება ახალ ნავმისადგომს [დუმბაძე 1973: 912].

მას შემდეგ, რაც მდ. ხობის შესართავთან ორი რუსული სამხედრო გემიდან („ისიდორი“ და „მიხეილი“) ჯარის ნაწილები გადმოსხეს, დაუყოვნებლივ ააშენეს სიმაგრე (ფრანგულად რედუტი). რუსების მიერ რედუტის აშენებამდე მდინარეების ხობისა და ცივის შესართავთან არსებულა თავად ჯაიანის მიერ აგებული სამეთვალყურეო კოშკი (თურქულად კალე, კულე). ჯაიანის ძველმა კულემ და რუსების ახალმა რედუტმა მისცეს მომავალ საპორტო ქალაქს სახელწოდება რედუტ-კალე [პაჭკორია 1974: 34].

რედუტ-კალეს შესახებ ვრცელი ცნობები დაცულია კ. სპასკი-ავტონომოვისა და ნ. დუნკელ ველინგის სტატიებში. ეს ნაშრომები გამოყენებული აქვს მ. პაჭკორიას გამოკვლევაში „ყულევის წარსულიდან“. ამიტომ, ჩვენ მათ არ განვიხილავთ. ვეყრდნობით მ. პაჭკორიას ამ მცირე მოცულობის, მაგრამ მრავალი ინფორმაციით დატვირთულ სტატიას.

რედუტ-კალე XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამიერკავკასიის შავი ზღვის სანაპიროს მთავარ ნავსადგურად იქცა. მისი ამოქმედებით გაუმჯობესდა დასავლეთ საქართველოში დაბანაკებული რუსეთის ჯარის მომარაგება. გაიზარდა მისი სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა. აქ თავს იყრიდნენ: ქართველი, ბერძენი, რუსი, სომეხი და სხვა უცხოელი კომერსანტები.

„ამ ნავსადგურით საქონელბრუნვის მკვეთრ აღმავლობას ადგილი ჰქონდა ტრანზიტისა და ვაჭრობის შეღავათიანი კანონის მოქმედების პერიოდში (1821-1831 წწ.). საბაჭოების ოფიციალური ცნობებით ამ პერიოდში ყულევის გზით ამიერკავკასიაში შემოტანილ იქნა 17 მილიონი მანეთის საქონელი, ხოლო გატანილი 7 მილიონისა.

შელავათიანი ტარიფის გაუქმების შემდეგ, ყულევიტ ტვირთბრუნვა ერთგვარად შემცირდა, მაგრამ არ შეწყვეტილა.

XIX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისშიც მისი საშუალო ტვირთბრუნვა ერთ მილიონ მანეთს შეადგენდა.

ყულევი (რედუტ-კალე) 1840 წელს ქალაქად დამტკიცდა და იქ სამხედრო-სამოქალაქო მმართველობა დაწესდა.

სამოქალაქო ნაგებობანი ყულევიში უმთავრესად ხობის მარცხენა მხარეზე იყო განლაგებული, ხოლო მდინარის მარჯვენა მხარეზე სამხედრო შენობები (ყაზარმები) იდგა იქ მყოფი საზღვაო-სახმელეთო შენაერთებისათვის. შესართავთან სიმაგრე და სათვალთვალ კოშკი მდებარეობდა.

ყულევიში 1853 წლისათვის მცხოვრებთა რაოდენობა, სამხედროების გამოკლებით, 1060 სულს აღწევდა. ამ დროისათვის აქ 68 ხის სახლი და 155 დუქანი მდგარა. ქალაქში ყველაზე უკეთესი მართლმადიდებელთა ეკლესია და სასტუმროს შენობები ყოფილა. გამოირჩეოდა კარანტინისა და საბაჟოს შენობები. ყულევიში იყო ორკლასიანი სკოლა, სასეირნო ბაღი და სხვ.

ყულევიდან სახმელეთო გზები გადიოდა სოხუმის, ქუთაისისა და ფოთის მიმართულებით. სამდინარო გზა ხობიდან ცივზე გავლით გადიოდა სპეციალურ არხში, რომელიც ქალადიდის მახლობლად რიონს უერთდებოდა და მარნამდე (ორპირი) აღწევდა.

გერმანელი მწერლის ფრ. ბოდენშტედტის თქმით, XIX საუკუნის შუა ხანებში „რედუტ-კალე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ყველაზე უფრო გამოცოცხლებული ნავსადგური იყო“ [პაჭკორია 1974: 33-39].

XIX საუკუნის 20-იანი წლების რედუტ-კალე ვრცლად აღწერილი ჟაკ ფრანსუა გამბას ცნობილ ნაწარმოებში „მოგზაურობა კავკასიაში.“

გამბა რედუტ-კალეში ორჯერ იმყოფებოდა. პირველად 1822 წელს, მეორედ კი 1824 წლის მაის-ივლისში. მის ნაწარმოებში რედუტ-კალეს თემა საკმაოდ ფართოდაა გაშლილი და ნათელ წარმოდგენას უქმნის მკითხველს ამ საპორტო ქალაქის ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის შესახებ. მოვიტანთ ვრცელ ამონარიდებს გამბას ხსენებული ნაწარმოებიდან.

1824 წლის მოგზაურობისას ავტორი წერს: „ჩვენ ამ მდინარეს (ხობს რ. პ.) აღმა ავყევით მეგრელი თავადის ჯაიანის მამულამდე, რომელიც რედუტიდან მხოლოდ ორი ვერსითაა დაშორე-

ბული.“

„ხობის შესართავიდან ერთ ვერსზე ვხვდებით ერთ ვინრო, მაგრამ ძალიან ღრმა მდინარეს, რომელიც ერთვის მას და შეიძლება მის აუზად იქნეს გამოყენებული. ამ მდინარეს ცივი ეწოდება. ბაზარში მისასვლელად მას ბორნით გადალახავენ ხოლმე.“

„ჩასატარებელ სამუშაოთა შორის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო იქნება გზატკეცილის გაყვანა ბაზრიდან სიმაგრემდე, სადაც მოთავსებულია აქაური ადმინისტრაცია. ბაზარი ერთი ვერსითაა მისგან დაშორებული და თუ მათ შორის გზა გაიჭრება, ვაჭრები ციხესიმაგრეში მისვლას ხმელეთითაც ყოველთვის შესძლებენ.“

„...დღეს აქ ასზე მეტი სახლია, მოსახლეობის რიცხვი კი ოთხასს ჭარბობს. უმრავლესობას ოჯახები სამეგრელოსა და იმერეთის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში ჰყავთ დაბინავებული.“

„ხობის მარცხენა მხარეზეა, აგრეთვე განლაგებული სავადმყოფოები, ფქვილის მალაზიები, ყაზარმები და ოფიცერთა საცხოვრებლები.“

„გარნიზონი შედგება ექვსასი თუ შვიდასი კაცისაგან. ესენი არიან ქვეითი ჯარისკაცები, არტილერიისტები და კაზაკები. ხობის მარჯვენა მხარეს მოთავსებულია კარანტინი: იგი წარმოადგენს ხის სამ შენობას და საკმაოდ მოხერხებულია. კარანტინი აგებულია 1823 წლის დასაწყისში. მანამდე კი ამ ნავსადგურს, სადაც 1823 წლის 8(20) ოქტომბრის უკანით გაიშალა ვაჭრობა, არცერთი შენობა არ გააჩნდა, უამინდობის დროს საქონლისა და აქ გადმომსხდარი მოგზაურების მისაღებად.

თოფისწამლის, მარილისა და სახელმწიფო მომსახურების სხვა საწყობებიც მდინარის მარჯვენა მხარესაა განლაგებული.“

„1823 წლიდან რედუტ-კალეს ვაჭრობა ძალზე გამოცოცხლდა და დუქნები ქვეყნისათვის საჭირო და საყოველღეო მოხმარების ნაირ-ნაირი საქონლით გაივსო.“

„კონსტანტინოპოლიდან აქ იგზავნება რომი, თავი შაქარი, ყავა და ზოგიერთი სხვა საქონელი, რომლებიც ინგლისიდან და ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებიდან მოდის.

ტრაპიზონი აგზავნის საკმაოდ მდარე ხარისხის ღვინოს, ფორთოხალს, ლიმონს, ზეთს და ზოგჯერ ძალზე უხეშ, თეთრ და მოჩითულ ტილოს.

ტაგანროგიდან შემოდის რკინა, უხეში შალი, ტაკელაჟი, ჭილოფი, დამარილებული და შებოლილი თევზი და არქიპელაგის ღვინო.

ქერჩის ნავსადგურიდან შემოსული ტვირთი შედგება ამ ქალაქის მიდამოებში არსებული მარ-ილის საბადოებიდან ამოღებული მარილისაგან, ტარსიკონისა და ასტრახანული ბატკნის ტყავის სახელწოდებით ცნობილი კრავისა თუ ცხვრის რუხი და შავი ხვეული ბენვის მქონე ტყავისაგან.

დაბოლოს კონსტანტინოპოლთან კონკურენციის მიზნით, ოდესა აქ აგზავნის თავ შაქარს, რომს, მიტკალს, შეღებულ ტილოს, მადს, აბრე-შუმის ქსოვილებს, კავეულობას, შუშხუნა შამ-პანიურ ღვინოებს, ლიქიორისებურ სასმელს და ბევრ სხვა საქონელს. ინგლისელი ბ-ნი მარი (Marr) ოდესაში ეტყუდის სავაჭრო ფირმის ნოქარი, პირველი ევროპელი გახლდათ, რომელიც რედუტ-კალეში 1822 წლის იანვარში ჩამოვიდა და ინგლისური საქონლით მოვაჭრე დუქანი გახსნა... 1822 წლის ბოლოს კი აქ ერთი ფრანგი ვაჭარიც დამკვიდრდა.

კიდევ ექვსი თვის შემდეგ აქ ბ-ნი დე ლ'ეკლუზი ჩამოვიდა გემით, რომელზეც ბელგიური დროშა იყო აღმართული.“

1823 წელს რედუტ-კალემ ტრაპიზონიდან, კონსტანტინოპოლიდან, ოდესიდან და შავი ზღვის სხვა ნავსადგურებიდან მოსული ოთხ-მოცდაექვსი ხომალდი მიიღო, რომელთაგან უმრავლესობა მეტად მცირე წყალწვის იყო.

1824 წელს აქ ჩამოსული ხომალდების რიცხვმა ასორმოცდაათს მიაღწია, ერთი მათგანი აქ პირდაპირ მარსელიდან წამოსულა.

რედუტ-კალეს ვაჭრები ძირითადად სომხები ან ბერძნები არიან. ისინი მეტად ხელმოკლედ ცხოვრობენ და მათი ვაჭრობა იმით შემოიფარგლება, რომ მარილს, რკინას და მათთვის გამოგზავნილ ევროპულ საქონელს ცვლიან ცვილზე, თაფლზე, თუთუნზე, ტყავზე, კაკლისა და ბზის ხეების მასალაზე, ირმის რქებზე, სიმინდსა და კაკალზე. ეს საქონელი მეგრელებს მცირე რაოდენობით შემოაქვთ ბაზარზე.

რედუტ-კალეში თურქული ზომა-წონისა და ფულის ერთეულებია ხმარებაში, ვინაიდან სამეგრელო დიდი ხნის განმავლობაში ხარკს უხდიდა და ემორჩილებოდა ოტომანთა იმპერიას. იმხანად ძირითადი საქონელი, გადასახადის სახით, რომ უხდიდნენ მაჰმადიანებს და რაც დიდად სამარცხვინო იყო ამ მხარის სუვერენისათვის, სილამაზით გამორჩეული გოგონებისა და ყმანვილების გარკვეული რაოდენობა გახლდათ. მოგზაური შარდენი ამტკიცებს, რომ სამეგრელო წელიწადში ორი ათას ტყვეს იძლეოდა, მაგრამ ეს რიცხვი იმდენად დიდია კოლხეთის ამ ძველი ნაწილის მოსახლეობისათვის, რომ ეს ავ-

ტორი, ესოდენ მართალი სხვა შემთხვევაში, ამჯერად უდავოდ ცდება“ [გამბა 1987: 96-101].

„გამბა აფიქსირებს ხობის შესართავთან ნავთობის კვალს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ხობი-რიონის სანაოსნო არტერიას და აღნიშნავს: „ამ სოფლის (ჭალადიდის რ. პ.) ახლოს გაყვანილია არხი, რომელიც ცივამდე აღწევს და რომელმაც სამდინარო კომუნიკაცია დაამყარა ფაზისსა და ხობს შორის. ამ სამუშაოს გამო, რომლის შედეგებიც ასე რიგად სასარგებლო იქნება კომერციისა და ძველი კოლხეთის პროდუქციის გასაღებისათვის, თავადი გორჩაკოვი უდიდეს პატივისცემას იმსახურებს, რამე თუ ეს იდეა მას მოუვიდა“ [გამბა 1987: 138].

რედუტ-კალეს ბაზარზე და ხობი-რიონის სანაოსნო არტერიაზე ამახვილებს ყურადღებას ცნობილი შვეიცარიელი მეცნიერი და მოგზაური დიუბუა დე მონპერეც. მან 1831 წელს იმოგზაურა ამ მხარეში. ის წერს: „მდინარე ხოფა (ხობი) შესართავიდან ზევით ერთ მილამდე ქმნიდა 18 ფუტამდე სიღრმის არხს, რომელსაც საკმაოდ დიდი გემების გატარება შეეძლო. რედუტიდან და კარანტინიდან ხოფაზე აღმა ცურვით ორი ვერსის მანძილზე მარცხენა მხარეს ბაზარია. ამ ბაზარსა და ფაზისს შორის ურთიერთობის განვითარებისათვის, ამ მდინარეს არხით შეუერთეს ცივა, პატარა მდინარე, რომელიც ხოფაში ჩაედინება ბაზარსა და რედუტს შორის. ცივას არხზე ბორანი მოძრაობს, საბაჟოს გალავნიდან რედუტ-კალეს ბაზარი იწყება, რომელიც დუქნების გრძელ რიგს წარმოადგენს. საწყობებში ერთდროულად მილიონობით საქონელი ინახებოდა. მთელი არხის გასწვრივ სანაპირო დასახლების კვალი შეიმჩნეოდა, რომელიც ამ ადგილების მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო ხშირად განახლება-რეკონსტრუქციას საჭიროებდა. ხოფის დინება 26-ე ვერსზე პირველ სადგურამდე ძალიან წყნარია. სტრაბონიდან დაწყებული ყველა მკვლევარი თუ მოგზაური აღტაცებული იყო კოლხეთის მდინარეების შესართავების და ნაპირების მომხიბვლელი-ობით“ [ხუციშვილი 2007: 91].

1804-1854 წლები რედუტ-კალეს აღმავლობის ხანაა. ამ პერიოდში გადაიდგა რამდენიმე ნაბიჯი ქართული ზღვაოსნობის განვითარებისათვის. საარქივო მასალაზე დაყრდნობით, პროფ. თამაზ ბერაძეს აღწერილი აქვს პირველი ქართული საზღვაო ხომალდის შექმნის ისტორია.

„1835 წლის 10 ივნისის ერთ წერილში საქართველოს მთავარმართებელი ბარონი როზენი ახსენებს სავაჭრო ხომალდს, რომელიც სამე-

გრელოს მთავარს აუგია. ხომალდს 1834 წლიდან მოყოლებული რამდენიმე რეისი შეუსრულებია ოდესაში და უკან. ბარონი როზენი წერილში ახსენებს მეორე ხომალდსაც, რომელიც ამ დროს იგებოდა სამეგრელოს მთავრის ბრძანებით. ამ მშენებარე ხომალდის შემდეგი თავგადასავლის შესახებ რაიმე ცნობას ვერ მივაგენით. ლევან V დადიანის მიერ აგებულ პირველ ხომალდს კი „ხოპის ღვთისშობელი“ ეწოდებოდა. მის შესახებ მასალები დაცულია საქ. ცენტრალურ საისტორიო არქივში.

„ზღვად მავალი“ სავაჭრო ხომალდის „ხოპის ღვთისშობლის“ მშენებლობა 1833 წ. მაისში დასრულებულა. იგი აუგიათ ყულევში, მდ. ხოპის შესართავში, ბაზართან ახლოს. ხე-ტყე და მუშახელი ხომალდისათვის სამეგრელოს მთავარს გაუღია. ხომალდის მშენებლობის დაფინანსებაში მონაწილეობა მიუღია აგრეთვე ქუთაისელ მოქალაქეს, ბერძენ ნიკოლოზ მეტაქსისს. ამის გამო, ხომალდი ორივე პირის საერთო საკუთრება ყოფილა. „ხოპის ღვთისშობელს“ რამდენიმე ანდა ჰქონია, ტვირთმზიდაობა კი 22420 ფუთი, ანუ 358,7 ტ. ყოფილა“.

„ხოპის ღვთისშობელი“ ყულევიდან 1834 წლის შემოდგომაზე გავიდა. როზენის წერილში მისი ოდესაში რამდენიმე რეისია მოხსენიებული. შემდეგ კი ამ ხომალდის თავგადასავალი ბურუსითაა მოცული. ერთი რამ ცხადია, თუ სამეგრელოს მთავარს რაიმე მოგების იმედი ჰქონდა ამ ხომალდის წყალობით, მალე უნდა დარწმუნებულიყო, რომ ამგვარ იმედებს განხორციელება არ ეწერა. მას, როგორც ჩანს, რაიმე ანგარიშიც არ მიუღია გემის კაპიტანისაგან.

1837 წლის 23 მარტს ლევან V დადიანმა თხოვნით მიმართა საქართველოს მთავარმართებელს როზენს: უმორჩილესად ვთხოვ თქვენს უმალლესობას, რათა წარუწეროთ ვისდამი ჯერ არს ძალდატანებისათვის ბერძენი მეტაქსისა, რათა მომცეს მე ანგარიში მიღებული მის მიერ დროიდან ცურვისა სავაჭრო ხომალდისა სარგებლობათა.... ხოლო ვიდრე იმ დრომდე უბრძანეთ ხომალდი ესე ქონებად საყარაულოდ ქვეშე ყოველსა შინა.“

ამ განცხადებას შედეგი არ მოჰყოლია. მეტაქსისი ეახლა ლევან V დადიანს და აცნობა, თითქოს მათი ხომალდი ევროპაში თავისუფალ ნაოსნობაში იყო წასული რათა, ნავსადგურებიდან სხვადასხვა ტვირთის გადატანით მოგება მიეღო. როგორც კი შავ ზღვაში დაბრუნდებოდა, რედუტ-კალეს ნავსადგურში შევიდოდა და დადიანს ანგარიშს მიაართმევდა.

ლევან V დადიანი ხუთი წელი ელოდა დანაპირების შესრულებას და 1842 წელს კვლავ იჩივლა. ბოლოს გამოიჩივა, რომ „ხოპის ღვთისშობელი,“ ოდნავ სახეშეცვლილი შეკეთების მოლოდინში იდგა ოდესის ნავსადგურში. ამ დროს თვით ხომალდის კაპიტანმაც იჩივლა. საქმე ოდესის სასამართლომ გაარჩია და დაადგინა, ხომალდი გაეყიდათ და მომჩივანთა კანონიერი პრეტენზიები აღებული თანხით დაექმყოფილებინათ. ამის შემდეგ რა ბედი ეწია გემს, არ ვიცით“ [ბერაძე 1981: 101-104].

ორმოცდაათწლიანი მშვიდობის შემდეგ რედუტ-კალე ცეცხლის ალში გაეხვია. თურქეთსა და რუსეთს შორის 1853 წლის ნოემბერში დაწყებული ე.წ. ყირიმის ომის დროს, ის თურქეთის ჯარების ერთ-ერთ საყრდენ სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ 1854 წ. 7 მაისს თურქებმა და მისმა მოკავშირეებმა რედუტ-კალე ზღვიდან დაბომბეს, დაიკავეს და გარნიზონი ჩააყენეს. თურქეთის ჯარებს სამეგრელოს ფრონტზე ომერ ფაშა მეთაურობდა.

ამ ფრონტზე წარმოებული ბრძოლის პერიპეტეიები დაწვრილებით აქვს აღწერილი კორნელი ბოროზდინს, ნაშრომში: „სამეგრელო და სვანეთი.“ ის ამ დროს სამეგრელოს დედოფლის, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის კარზე ბავშვების აღმზრდელად მუშაობდა და ამდენად, აქ გამართულ საბრძოლო მოქმედებების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა.

რედუტ-კალეს დაბომბვის შესახებ ბოროზდინი გვამცნობს: „რამდენიმე დღის უკან, 7 მაისს, ინგლისელებმა ყულევს ზარბაზნები დაუშინეს. ეს დაბა ოცდახუთის ვერსის მანძილზეა ზუგდიდიდან, ზღვის პირას. სასახლის აივნიდან გვესმოდა ყოველი დაცლა ზარბაზნისა და ვხედავდით ზარბაზნის კვამლს. ამის შემდეგ ყულევი ოსმალის ჯარმა აიღო. ომი გახურდა და მოკლე ხანში სამეგრელო ბრძოლის ველად გადაიქცა.“

„ოსმალელებმა ყულევი რომ აიღეს, დედოფალმა ზუგდიდს თავი დაანება და მთავრის საზაფხულო სამყოფელ ადგილას, გორდში, გადაებარგა.“

„სასახლე ზუგდიდში ოსმალებს ყაზარმად უქცევიათ და შიგ ბატონობდა ისკანდერ-ფაშა, პოლონელთა მოღალატე, გრაფი ილინსკი...“.

„ზუგდიდში, როგორცა ვთქვით, ოსმალთა ჰოსპიტალი იყო და გარნიზონი, მაგრამ ისკანდერ-ფაშამ თავისი რაზმი წაიყვანა, რომ ომერ-ფაშას შეერთებოდა. სწორედ ამ დროს მეგრელების მილიცია ოსმალთ გარნიზონს დაე-

ცა და უმეტესი მათგანი ტყვედ წაასხა. ეს რომ გაიგო ისკანდერ-ფაშამ, საშინლად გაბრაზდა და განიზრახა მეგრელებისათვის სამაგიერო გადაეხადნა, დაბრუნდა ზუგდიდში, გადაჰბუგა მთელი დაბა, მთავრის სასახლე, წინასწარ კი სასახლიდან ყველა ძვირფასი ნივთი გააზიდვინა, ორანჟერიებიდანაც, რის გატანაც კი შეუძლებოდა, ყველაფერი გაატანინა“ .

„მთელ თავის ძალას ომერ-ფაშა ყულევთან იკრეფდა. იქ იშენებდა ქოხებსა, აკეთებდა ბატარეას და ჯებირებს.“

„მეგრელებსა და ოსმალებს შორის უკანასკნელი შეტაკება მოხდა ხორგასა და ყულევს შუა. თავადმა ჯაიანმა და გუბერნიის სეკრეტარმა გაბუნამ მდ. ხობისწყალზე დაინახეს ნავი, რომელშიაც ოსმალი ჯარისკაცები ისხდნენ, მილიციელები დაეცნენ, ზოგი ტყვედ წამოასხეს და დანარჩენი დახოცეს. ყულევიდან ჯარისკაცები მოაშველეს, მაგრამ მეგრელებმა ისინიც დაამარცხეს; ჯაიანი წინიდან ებრძოდა, ხოლო გაბუნია – ზურგს უკანიდან. ოსმალოს კომანდა ყულევში გააქციეს და გამარჯვებულნი უკან დაბრუნდნენ. ეს იყო უკანასკნელი სურათი იმ სისხლისღვრის დრამისა, რომელიც მდ. ინგურზე იქმნა დაწყებული“ [ბოროზდინი 1934: 39-50].

ოსმალთა ჯარებს ყირიმის ომის საზავო მოლაპარაკებამ ყულევში მოუსწრო. 1856 წ. 18 მარტს დადებული ზავის საფუძველზე მეტროლ მხარეებს ერთმანეთისათვის უნდა დაებრუნებინათ დაპყრობილი ტერიტორიები. ყარსის ნაცვლად რუსეთმა დაიბრუნა ყირიმში დაკარგული ქალაქები, სამეგრელოს ნაწილი (ყულევის მიდამოები რ.პ.) და აფხაზეთი [ორჯონიკიძე 1970: 194-215].

თურქებმა, ზუგდიდის მსგავსად, ყულევიც გადაწვეს. გაძარცვული და გადამწვარი ყულევის აღდგენისათვის სერიოზულად არავის მოუკიდია ხელი. ფოთის ნავსადგურის გახსნის შემდეგ კი, ყულევმა თითქმის დაკარგა თავისი მნიშვნელობა და იგი ამიერიდან მხოლოდ ადგილობრივი ნავსადგურის მოვალეობას ასრულებდა [პაჭკორია 1974: 39].

არქეოლოგიური კვლევის ისტორია. პირველი ცნობა ყულევში არქეოლოგიური ძეგლის არსებობის შესახებ ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მასწავლებლის ნ.შაფრანოვის 1885 წლით დათარიღებულ ნაშრომშია დაცული. ის აღნიშნავს, რომ ცივი ისეთივე ჭაობის მდინარეა, როგორც მალთაყვა. ზღვის სანაპიროსთან ახლოს, სადაც ის (მდ. ცივი, რ.პ.) აღმოსავლეთისაკენ უხ-

ვევს, ორი პატარა კუნძულია, საიდანაც მოჩანს რომელიღაც შენობის ნაშთი, რომელიც შედგება კირხსნარისა და ძალიან დიდი ზომის აგურებისაგან (7,3 და 2 ვერშოკი). ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ნაგებობის აშენების დროს, ეს მიდამოები არ უნდა ყოფილიყო დაჭაობებული, რადგანაც აქ ცხოვრება დღეს შეუძლებელიაო [Шафранов 1985: 31-32]. აღნიშნულ ნაგებობებსა და ტერიტორიას 1940-იან წლებში ქ-ნი ნინო ხოშტარია სწავლობდა.

სადაზვერვო ხასიათის არქეოლოგიური სამუშაოების დაწყება ყულევის მიდამოებში დაკავშირებულია ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ყოფილი დირექტორის, კოლხეთის სიძველეთა ცნობილი მკვლევარის ბესარიონ გოგოლიშვილის სახელთან. მის მიერ 1941 წელს შედგენილ კოლხეთის ისტორიული ძეგლების სქემატურ რუკაზე, ყულევის მიდამოებში, პირობითი ნიშნებით დატანილია: „სადგომები-ნახევარფეროს მოყვანილობისა თხრილის გარეშე“, „მოედნები მატერიალური კულტურის ნაშთებით“, „სადგომი-საეკლესიო ნაგებობით“ და „მცირე სადგომებისა და კერების ჯგუფი დამუშავებულ ნაკვეთზე“ [გოგოლიშვილი 1941].

XX საუკუნის 40-იან წლებში სადაზვერვო და გათხრითი სამუშაოები პირველმა ქართველმა არქეოლოგმა ქალმა ნინო ხოშტარიამ ჩაატარა. მან ამ სამუშაოების მოკლე მიმოხილვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ, მოამბის VII ტომში, 1946 წელს გამოაქვეყნა. არქეოლოგიური კვლევის ისტორიისათვის მისი მნიშვნელობის გამო, მიზანშეწონილად მივიჩნევთ ვრცელი ნაწყვეტი წარმოვადგინოთ აღნიშნული ნაშრომიდან.

„სოფ. ყულევში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა უკვე დაადასტურეს მისი უძველესი და მდიდარი წარსული.“

სოფ. ყულევის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ორი ძველი მოსახლობა (ხელოვნურ ბორცვებზე), რომელთა ქვედა ფენები ძვ.წ IV და III ათასწლ. ეკუთვნიან. ყველაზე უფრო გვიანდელი ფენა, რომელიც მხოლოდ ერთ მოსახლობაშია დადგენილი (მდ. ცივაზე), ქალაქის ტიპის შენობათა ნაშთებს წარმოადგენს.

ამ ორი მოსახლობიდან, ერთი ზღვის სანაპიროსთან, მდ. ხობის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს, მეორე კი ზღვიდან 300 მ დაშორებით, მდ. ცივაზე.

მდ. ხობთან მდებარე მოსახლობის სამხრეთი ნაწილი მდინარეს გადაურეცხავს და ამჟამად კულტურული ფენების ნაშთი წყალქვეშ არის

მოქცეული.

რაც შეეხება მეორე მოსახლობას, იგი მდინარე ცივას მიერ ორ ნაწილადაა გაჭრილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ადგილას უძველესი მოსახლობისათვის ბორცვის აგების დროს მდ. ცივა არ იქნებოდა; ის წარმოიშობოდა შემდეგში, ხმელეთის დაძირვასთან ერთად.

ექვს გარეშე უნდა იყოს, რომ მდინარის გაღმა-გამოღმა მყოფი კულტურული ფენები, რომლებიც წყლის ქანობთან გაშიშვლებულან, ერთიმეორის გაგრძელებას წარმოადგენენ“.

„მოსახლეობაში დადგენილია სამი კულტურული ფენა და მეოთხე ფენის კვალი (ორივე მოსახლეობაში), რომელიც ძველ კულტურულ ფენებზე გრუნტის დამატებითი დაყრის დროს გამოუყენებიათ.

უძველესი ფენა (ზემოდან მესამე) წარმოადგენილია კერამიკით, სპილენძის საგნების გამოსადნობი ყალიბით, თიხისაგან გაკეთებული საკულტო დანიშნულების საგნებით, გამომწვარი თიხის გუნდებით („ხელოვნური ქვა“), რომლებიც ჩვეულებრივია კოლხეთის დაბლობის მოსახლეობისათვის და სხვა.

მოსახლობის შუა ფენა, რომელიც ეკუთვნის გვიანი ბრინჯაოს ხანას („ყოხანის პერიოდი“ ანდა „კოლხური ბრინჯაოს პერიოდი“), თარიღდება ძვ.წ I ათ. დასაწყისით. ამ ფენაში აღმოჩენილია მშვენიერი კერამიკა, ბრინჯაოს სამუშაო იარაღი და სამკაული, სპილენძის ზოდების ნატეხები, თიხის კვირისტავები, ქვის იარაღი და სხვა.

მოსახლობის ზედა ფენა წარმოადგენს ორი შენობის ნაშთებს. გარდა ამისა, მესამე შენობის ნაშთები აღმოჩენილია მდ. ცივადან დაშორებით, სადაც ისინი ამჟამად ჭაობით არიან გარშემორტყმული.

ორი შენობიდან ერთი პატარაა (5 x 5 მ), მეორე საკმაოდ დიდია. ჩვენს მიერ უკვე გათხრილი ნაწილის ფართობი 200 კვადრატულ მეტრს აღემატება.

ორივე შენობის კედელი, როგორც მათი ნაშთები გვიჩვენებს, ძირითადად აგურისა ყოფილა, სახურავი კი ბრტყელი და ლარისებური კრამიტისა, პირველი შენობის შემონახული ჩრდილო კედლის ბალავარი ქვიტიკირისაა.

შენობების უკვე გათხრილი ნაშთები სააღმშენებლო ხელოვნების მაღალ დონეზე და გამოყენებული საშენი მასალის კარგ ხარისხზე მიგვითითებენ.

ეს შენობები არქიტექტურულად გაფორმებული ყოფილან; ამას გვიმტკიცებენ შემონ-

ახული შენობები და მათი ზოგიერთი ნაწილი: გამომწვარი თიხისაგან გაკეთებული მორთულობა, თლილი ქვები (მარმარილო) და სხვა.

შენობაში აღმოჩენილია საკმაოდ მრავალი შუშის ნატეხი, რომელთა ნაწილი ძალიან თხელ ჭურჭელს ეკუთვნის, დანარჩენი კი სხვა დანიშნულების საგანთა ნაწილები უნდა იყოს.

შენობის აგურებზე აღმოჩენილია ნიშნები, რომელთა ნაწილი შტამპით გაუკეთებიათ სხვადასხვა ფიგურების სახით (მაგ. დისკები), ნაწილი კი ხელით გამოუყვანიათ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მათ ქართული ანბანის მოხაზულობა აქვთ.

გარდა ამისა, შენობის იატაკზე აღმოჩენილია ოვალური ფორმის თიხის ბეჭედი. მასზე ამოჭრილია 4 ქართული ასო, რომელნიც წყვილ-წყვილად არიან შეერთებული.

ამ აღმოჩენის სიახლე და მნიშვნელობა გვაიძულებს თავი შევიკავოთ მთელი ზედა ფენის დათარიღებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ამ ფენაში აღმოჩენილი შენობების ნაშთები ადრინდელ ხანას ეკუთვნიან (გვიან-რომაულს ან ადრე ბიზანტიურს).

სამუშაოს დამთავრებამდე აგრეთვე ღიად რჩება საკითხი აღმოჩენილი შენობების დანიშნულების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მათი ზოგიერთი თავისებურება ამჟამად შეიძლება აღვნიშნოთ.

ჩვენ მიერ უკვე გამოვლენილი შენობები საცხოვრებელი არ უნდა ყოფილიყვნენ. პირველი შენობა ძალზე პატარაა და მისი იატაკი განსაკუთრებული ხსნარების გამოყენებით გაუკეთებიათ, ეს კი მის რაღაც სპეციალურ დანიშნულებაზე მიგვითითებს.

მეორე შენობა საკმაოდ დიდია და განლაგებულია მდინარის ნაპირის გასწვრივ. უკანასკნელი გარემოება, თვით შენობის მოწყობილობასთან ერთად იმასაც გვეუბნება, რომ შენობა თავისი დანიშნულებით მდინარესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

რაც შეეხება ორთავე შენობას, ერთად აღებულს, შეიძლება ითქვას, რომ არც ერთს და არც მეორეს არ უნდა ჰქონოდა დამოუკიდებელი დანიშნულება; მოსალოდნელია, რომ ისინი რომელიღაც მესამეს მიმართ დამხმარე ხასიათისა იყვნენ – შესაძლებელია იმ შენობის მიმართ, რომელიც მდინარისაგან დაშორებით მდებარეობს და ჩვენი მომავალი გათხრების საგანს წარმოადგენს“ [ხოშტარია 1946: 77-82].

როგორც ვხედავთ, ნინო ხოშტარია ყულევში ორ უბანზე ამახვილებს ყურადღებას (ის

მათ პირველ და მეორე მოსახლობას უწოდებს). ძირითადი სამუშაოები მას ცივის მარცხენა სანაპიროზე ჩაუტარებია და ახ.წ. სანყისი საუკუნეებით დათარიღებული სამი ნაგებობის ნაშთიც აღმოუჩინია, რომლებიც თავის მხრივ ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კულტურულ ფენებზეა გამართული. ძნელია იმის გარკვევა, თუ რა მასალას მიაკუთვნებს ის ძვ.წ. IV-III ათასწლეულებს და რის საფუძველზე განსაზღვრავს აღნიშნული თარიღით [მიქელაძე, ბარამიძე 1973: 54-55]. ეს საკითხი დღესაც აქტუალურია და ამ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ძეგლის შემდგომი გათხრებით გახდება შესაძლებელი.

ერთი გაუხმაურებელი ამბავიც გახდა ჩვენთვის ცნობილი. ნინო ხოშტარიას მაშინდელი დამხმარე მუშის ხუმუტი კაკულიას გადმოცემით, 1945 წელს, საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ, არქეოლოგიური მასალით დატვირთული ნავი მდ. ცივში გადაბრუნებულა. რა თქმა უნდა, მონაპოვრის დიდი ნაწილიც მდინარეში ჩაძირულა. როგორც გადმოგვცეს, ამ სამუშაო ფაქტის გამო, ქალბატონი ნინო ძლიერ აღელვებულა და დიდხანს უტირია.

40-იან წლებში ნინო ხოშტარიას მიერ დაწყებული კვლევა-ძიება 70-იან წლებში გაგრძელდა. 1972-73 წლებში საველე სამუშაოებს ყულევში, ახლადშექმნილი კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია აწარმოებდა. ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელი პროფესორი, თეიმურაზ მიქელაძე იყო, ხოლო საველე სამუშაოებს უშუალოდ წარმართავდა საგანგებო რაზმი პროფესორ დავით ხახუტაიშვილის ხელმძღვანელობით.

1972-73 წ.წ. არქეოლოგიური სამუშაოები სოფ. ყულევში სხვადასხვა ინტენსივობით სამუშაოებზე მიმდინარეობდა.

I უბანი მოქცეული იყო მდინარეების ცივისა და ხობის ხერთვისში. აქ, ხობის სამხრეთი ნაპირის ფლატეში ჩანდა ქვითა და აგურით ნაგები კედლის ნაწილი, რომლის სიგანე – 150 სმ. მიუთითებდა, რომ იგი დიდი შენობის კუთვნილი უნდა ყოფილიყო. ადგილობრივად შეკრებილი ინფორმაციით გამოირკვა, რომ ნახევარი საუკუნის წინ აქ ბორანზე მისასვლელი იყო გამართული. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კულტურული ფენები, შესაძლოა, დარღვეული ყოფილიყო. მართლაც, მცირე ზომის თხრილში (8 x 4 მ) აღმოჩნდა ნარევი მასალა, დაწყებული ადრემუასაუკუნეებიდან, დამთავრებული ახალი დროით: სპილენძის ხუთკაპიკიანი, მოჭრილი 1879 წელს. აქვე იყო შუა ფეოდალური ხანის მოჭიქული კერ-

ამიკის ფრაგმენტები, ახ.წ. სანყისი საუკუნეების კრამიტი და ნითელლაკიანი ჭურჭლის ნატყეხები.

შემდგომი სამუშაოებით გაირკვა, რომ აღნიშნული ნაგებობა ნაშენი ყოფილა აგურით, რიყის და თლილი ქვებით. ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილში დადასტურდა კვადრატული კოშკის საძირკველი (3 x 3 მ), ხოლო ცენტრალურ ნაწილში დარბაზის ტიპის სათავსო, რომლის ფართობი, დაახლოებით 50 კვ. მ აღწევდა. ამკარა გახდა, რომ ყულევის ამ უბნის ნაგებობა გრანდიოზული ზომების უნდა ყოფილიყო.

სამუშაოდ, მისი შემდგომი შესწავლა აღარ გაგრძელდა. ის ამჟამად მოასფალტებული გზით, საგუშაგოს კაპიტალური შენობით და 1973 წლის შემდგომ აგებული გაურკვეველი ნაგებობის ნანგრევებითაა გადაფარული.

ამ შენობაში აღმოჩენილი ნივთიერი მასალის, განსაკუთრებით კი ამფორების (ე.წ. ნელშეზნეკილი ამფორების) შესწავლის საფუძველზე, მიკვლეული ნაგებობის აშენების თარიღად III-VI საუკუნეებია მიჩნეული [მიქელაძე, ბარამიძე 1973: 59-62].

გარდა თიხის ნაწარმისა, ნანგრევებს შორის აღმოჩნდა ბრინჯაოს ფიბულა და რკინის გაურკვეველი წარმოშობის ისრისპირი. განსაკუთრებით საყურადღებოა ექვსი სამარხის აღმოჩენა. მათ შორის უძველესია № 6 ორმოსამარხი, რომელიც ნითელაკიანი ხელადითა და კირმანული თეთრით (ტრაპიზონის იმპერიის ვერცხლის მონეტა) ახ.წ. XIV საუკუნითაა განსაზღვრული. დანარჩენი ხუთი სამარხი უფრო გვიანდელია და მხოლოდ თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. ნავარაუდევია, რომ ეს ნაგებობა შუა საუკუნეებისათვის უკვე ნანგრევებადაა ქცეული. დაკრძალვის ადგილად კი ის, მხოლოდ XIII საუკუნის შემდეგ იქცა [მიქელაძე, ბარამიძე 1973: 57].

1972-73 წწ. ყულევის მეორე არქეოლოგიურ უბნად (ნ. ხოშტარიას მეორე მოსახლობა), ხობის მარჯვენა სანაპიროზე, მდინარესა და ჭაობს შორის მოქცეული ტერიტორია იქნა განსაზღვრული. იმჟამად იქ ვიქტორ ბერაიას საკარმიდამო იყო. ეს საკარმიდამო შემალლებულ ბორცვს – გუძუბას წარმოადგენდა. შემდგომში ეს ადგილი ჩვენს მიერ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითად უბნად იქცა. 1972-73 წლებში აქ ხუთი საცდელი თხრილი იქნა გავლებული. განისაზღვრა ძეგლის ქრონოლოგია და სტრატეგრაფიული სურათი, დაადასტურა ნივთიერი მასალა ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრიდან ახალ დრომდე. შესაბამისი ან-

გარიშებიდან ჩანს, რომ ინტენსიური დასახლება აქ ძვ.წ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში უნდა არსებულებოდა. მესამე უბნად სოფლის ცენტრალურ ნაწილში აგურითა და ქვის შერეული ნივთიერებით ნაშენი ორი ურთიერთპარალელური კედლის ნაშთი იყო მიჩნეული. ეს ორი კედელი დღესაც დგას სოფელში და ერთადერთ მიწისზედა ძეგლს წარმოადგენს. ის გვიანშუასაუკუნეებშია აგებული.

მცირე მასშტაბის სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები სოფ. ყულევში 1978 წელსაც განხორციელდა. ეს სამუშაოები შეასრულა კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომელმა დიმიტრი ახვლედიანმა. მან, მდ. ცივის ორივე სანაპიროზე, იქ სადაც თავის დროზე ნინო ხომტარია თხრიდა, დაადასტურა კულტურული ფენები. მოიპოვა ადრეფეოდალური ხანის (III-VI სს.) სამშენებლო კერამიკა – კრამიტი და აგური.

ყულევის არქეოლოგიური კვლევის უკანასკნელი ეტაპი ნავთპროდუქტების ტერმინალის მშენებლობას უკავშირდება. ტერმინალის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, წარსულის კვალის გამოვლენისა და შესწავლის მიზნით 1999 წლის ნოემბერში განხორციელდა ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური დაზვერვა, რომელიც გულისხმობდა: ტერიტორიის ვიზუალურ დათვალიერებას, ადგილობრივი მოსახლეობისაგან სათანადო ცნობების შეკრებას, გასულ საუკუნეში მიკვლეული ძეგლების გავრცელების არეალის დაზუსტებასა და მცირე ზომის საცდელი თხრილებით სამშენებლო ფართობის ზონდირებას.

უკვე ცნობილი იყო, რომ მდ. ხობის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვიდან 200 მ დაშორებით არსებული შემალღობა არქეოლოგიურ ძეგლს წარმოადგენდა. ამას ადასტურებდა მდინარის მიერ ჩამოშლილი და გაშიშვლებული კულტურული ფენებიც. ნახანძრალი ბათქაშის, ნახშირისა და თიხის ჭურჭლის აურაცხელი ფრაგმენტი, რომლებიც მდინარის მარცხენა ნაპირიდან შეუიარაღებელი თვალითაც კი შეინიშნებოდა. ამ გარემოებათა გამო იქ საძიებო თხრილების საჭიროება აღარ არსებობდა და პირდაპირ ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრები დაიგეგმა.

მნიშვნელოვანი სამუშაოები მშენებლობისათვის გამოყოფილი ფართობის ცენტრალურ ნაწილში გაიშალა. ეს ფართობი ზღვასა და მდ. ცივს შორისაა მოქცეული, სადაც დადასტურდა ძლიერი ხანძრის შედეგად განადგურებული ძე-

ლურ-ბათქაშიანი ნაგებობების ნაშთი, რომელიც ნიადაგში 0,5-1,5 მ სიღრმეზე იყო განფენილი. სხვადასხვა თხრილში მოპოვებული ადგილობრივი და იმპორტული თიხის ნაწარმი ამ ნაშთსაგანებს წინასწარულად, ძვ.წ. V-IV საუკუნეებით განსაზღვრავდა.

ზღვის სანაპირო დიუნებზე (ტალღათცემის შედეგად წარმოქმნილ ქვიშა-ზვინულებზე) 4 ჰა ფართობზე დადასტურდა და შესწავლილ იქნა ქრისტიანული წესით დაკრძალულ მიცვალებულთა უინვენტარო სამარხები (XIX ს-ის ქალაქ რედუტ-კალეს სასაფლაო).

2000-2006 წწ. კვლევის ძირითად ობიექტად მდ. ხობის მარჯვენა სანაპიროზე უკვე ცნობილი ნამოსახლარი იქცა, რომელიც ზღვიდან 200 მეტრის დაშორებით მდებარეობდა და წარმოადგენდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ოდნავ წაგრძელებულ ბორცვს. მისი შემორჩენილი ფართობი 3 ჰექტარამდე აღწევდა, სამი მხრიდან დაჭაობებული 10-15 მ სიფართის არხი შემოუყვებოდა, სამხრეთიდან კი მდ. ხობი ჩაუდიოდა. ბორცვის შემორჩენილი სიმაღლე შავი ზღვის თანამედროვე ზედაპირიდან 1,6 მ-ს აღწევდა. იგი მრავალი წლის განმავლობაში სახნავ-სათესად გამოიყენებოდა. მასზე გამართული იყო საცხოვრებელი სახლები და პირუტყვის სადგომები. მრავალგზის იყო გადათხრილი სხვადასხვა დანიშნულების მიწისქვეშა კომუნიკაციების მოსაწყობად. ზედაპირი დაფარული იყო მრავალწლიანი ხეებით, ბუჩქნარითა და ბალახეული საფარით.

კულტურული ფენა კორდოვანი შრის ადები-სთანავე გამოჩნდა, რომელიც ძლიერი ხანძრის შედეგად აგურისებრ მასად ქცეული ბათქაშებისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებისაგან შედგებოდა. ფენა სხვადასხვა ინტენსივობით ბორცვის მთელ პერიმეტრს მოიცავდა. მასში ჩაჭრილი იყო XIX საუკუნის პირველი ნახევრის, საპორტო ქალაქ რედუტ-კალეს დუღაბით ნაშენი სხვადასხვა შენობის საძირკველი. უფრო ქვემოთ, ერთმანეთისაგან კარგად გამიჯნული კიდევ ორი კულტურული ფენა დადასტურდა.

ამრიგად, ყულევის ამ ვრცელ ნამოსახლარზე სტრატეგრაფიულად ფიქსირებული 4 კულტურული ფენიდან I ფენა XIX საუკუნის ნაგებობათა ნანგრევებითაა წარმოდგენილი, II ფენა ქრონოლოგიურად ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარს, III ფენა ძვ.წ. II და I ათასწლეულების მიჯნას, IV კი ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანას, შესაძლოა მის პირველ ნახევარსაც განეკუთვნება. კლასიკური, ელინისტური და რომაულ-

ბიზანტიური ხანის ფენები ამ ნამოსახლარზე არ დადასტურებულა, თუმცა შესაბამისი დროის ცალკეული არტეფაქტები საკმაო რაოდენობითაა ნაპოვნი. სავარაუდოთ, ისინი რედუტ-კალეს მშენებლობისას უნდა განადგურებულიყო.

შეიძლება ითქვას, რომ ძველი და ახალი აღმორჩენების გათვალისწინებით, ამჟამად ყულევში ერთმანეთისაგან ტერიტორიულად გამიჯნული 8 არქეოლოგიური უბანი – ძეგლია გამოვლენილი (ტაბ. I). თითოეული ერთმანეთისაგან განსხვავდება: დაცულობით, მნიშვნელობით, მასშტაბით, ხასიათით, ქრონოლოგიური დიაპაზონით და შესწავლილობის ხარისხით. ტერმინალის ტერიტორიაზე არსებული ძეგლები ბოლომდეა გათხრილი და ფაქტიურად აღარ არსებობენ. დანარჩენზე კი კვლევა-ძიება მომავალშიც გაგრძელდება. არაა გამორიცხული ყულევში კვლავ იქნეს ადგილი ახალ-ახალ აღმორჩენებს, რომლებიც შეავსებენ და გაამდიდრებენ დღეისათვის არსებულ არქეოლოგიურ რუკას, რომლის თითოეული უბნის მოკლე დახასიათება ამგვარადაა შესაძლებელი:

I უბანი; მდ. ხობის შესართავთან, მის მარჯვე-

ნა სანაპიროზე მდებარეობს. ძეგლი მრავალფენიანია (ტაბ. I₁).

II უბანი; მდ. ცივის მარცხენა სანაპიროზე არსებული ძეგ. VI-III სს. ნამოსახლარებია (ტაბ. I₂).

III უბანი; ქვიშაზვინულზე არსებული XIX ს-ის სამაროვანია (ტაბ. I₃).

IV უბანი; მდ. ხობის მარჯვენა სანაპიროზე, I უბნიდან აღმოსავლეთით, 0,5 კმ. დაშორებით, ძეგ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ერთ-ფენიანი ნამოსახლარია (ტაბ. I₄).

V უბანი; მდინარეების ხობისა და ცივის ხერთვისში შესწავლილი ძეგლია (მიქელაძე-ხახუტაიშვილის გათხრები) (ტაბ. I₅).

VI უბანი; ცივის ორივე სანაპიროზე დადასტურებული ვრცელი მრავალფენიანი ნამოსახლარებია (ნ. ხოშტარია გათხრები) (ტაბ. I₆).

VII უბანი; ხობის მარცხენა სანაპიროზე, სოფლის ცენტრში მდგარი ფეოდალური ეპოქის ორი კედლის შემორჩენილი ფრაგმენტებია (ტაბ. I₇).

VIII უბანი; მდ. ხობის მარცხენა სანაპიროზე, ნყალსაქარის უკან ახლადგამოვლენილი ნასახლარის ნაშთია (ტაბ. I₈).

R. Papuashvili

QULEVI VILLAGE

(Geography, literature sources, history of archaeological investigations)

Summary

Village Qulevi situated on the east shore of the Black Sea, at the confluence of the river Khobi into the sea. His geodetic coordinates are 42°16' 26" of north latitude and of 41°38' 18" east longitude (pl. I).

The existence of this village was depended both now and in ancient times on two rivers – Khobi (Khobistsqali) and Tsivi (Tsiva). Riv. Tsiva flows into the Khobi from the south, at a distance of 600 m from the confluence. Its lower course is almost parallel to the sea shore. 600 meter strip between them concluded swampy forest, sand dune and coastal beach. At the same time, the village is located between two swamped massifs – from the north is bordered by Tchuriya, in the south - by Nabada.

With different goals, objectives, directly or indirectly, r. Khobi and its confluence repeatedly was mentioned in historical sources of different times. This information, along with archaeological data, provide relatively reliable information about the past of this region.

The earliest information on r. Khobi is given in Periplus of Pseudo-Scylax of Caryanda (4th cent. BC). Some information about the region we meet in: Strabo, Arian, Claudius Ptolemy, Plinius Secundus, Pomponius Mela, Tacitus, Archangelo Lamberti, Jean Chardin, Vakhushti Bagrationi, Jean Francois Gamba, Frédéric Dubois de Montperreux, K. Borozdin and other autors.

First who paid attention to the archaeological sites of Qulevi was N. Shafranov (1885). In 1941 B. Gogolishvili on his map of historical monuments of ancient Colchis were placed antiquities of Qulevi. In the subsequent time archaeological excavations were conducted here by N. Khoshtaria (1945-1946), T. Mikeladze and D. Khakhutaishvili (1972-1973), and Colchis archaeological expedition directed by R. Papuashvili (1999-2006).

ლიტერატურა

- ბერაძე თ. 1981:** ზღვაოსნობა ძველ საქართველოში. თბილისი.
- ბოროზდინი კ. 1934:** სამეგრელო და სვანეთი 1854-1861, მოგონებანი. სახელმწიფო გამომცემლობა. თბილისი (თარგმანი თ. სახოკიას მიერ).
- გამბა ჟ. ფ. 1987:** მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტომი I. (ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა). თბილისი .
- გამყრელიძე ალ. 1973:** ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი.
- გამყრელიძე გ. 1993:** ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი. თბილისი.
- გამყრელიძე გ., თოდუა თ. 2006:** რომის სამხედრო პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში. თბილისი.
- გოგაძე ე. 1986:** ყულევის ნამოსახლარები. – ქსე, ტ. 10. თბილისი
- გოგოლიშვილი ბ. 1941:** კოლხეთის ისტორიული ძეგლების სქემატური რუკა. ფოთი (რუკა ინახება ფოთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში).
- დუმბაძე მ. 1973:** იმერეთის სახელმწიფოს გაუქმება და ცარიზმის გაფართოება საქართველოში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბილისი, 844-890.
- ვახუშტი ბაგრატიონი. 1941:** აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
- ვახუშტი ბაგრატიონი 1997:** საქართველოს ატლასი. თბილისი.
- ინაძე მ. 2004:** ძველი კოლხეთის ქალაქები კიგნუმი და ეა-აია. – ქართული წყარომცოდნეობა, ტ. X, 36-42.
- ლამბერტი ა. 1938:** სამეგრელოს აღწერა, (თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ყყონიასი). თბილისი.
- ლომოური ნ. 1968:** ეგრისის სამეფოს ისტორია. თბილისი.
- მიქელაძე თ., ბარამიძე მ. 1973:** კოლხეთის არქეოლოგიური შესწავლის შედეგები (კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1972წელს ჩატარებული კვლევა-ძიების სამეცნიერო ანგარიში), თბილისი. (ნაშრომი ინახებოდა საქ. მეც. აკადემიის არქეოლოგიური კომისიის არქივში. ახლა ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტში).
- მიქელაძე თ. 1978:** არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბილისი.
- ორჯონიკიძე ე. 1970:** ყირიმის ომი. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V. თბილისი, 191-216.
- პაჭკორია მ. 1974:** ფურცლები კოლხეთის იტორიიდან. თბილისი.
- ყაუხჩიშვილი თ. 1957:** სტრაბონის გეოგრაფია. თბილისი
- ყაუხჩიშვილი თ. 1976:** საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბილისი.
- ყაუხჩიშვილი ს. 1936:** გეორგიკა, ტომი III, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი.
- შარდენი ჟ. 1975:** ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევები და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბილისი.
- შონია ნ. 1995:** მე და ჩემი ხობი. ქუთაისი.
- ხოშტარია ნ. 1945:** კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობანი და მათი შესწავლის პრობლემა. – სმამ, ტ. VI, №6, 465.
- ხოშტარია ნ. 1946:** სოფელ ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა. – სმამ, ტ. VII, 1-2, 77-82.
- ხუციშვილი მ. 2007:** საქართველოს პრეისტორიული არქეოლოგიის საწყისი ეტაპი (საფრანგეთის მისიები). – საქართველოს არქეოლოგიის ისტორიის საკითხები. თბილისი, 74-109.
- ჯანაშია ს. 1959:** თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. – შრომები, ტ. 3. თბილისი, 1-74.
- Болтунова А. И. 1934:** Восстание Аникета. – ВДИ, 2 (7), 57-67.

Джанелидзе Ч. 1980: Палеогеография Грузии в голоцене. Тбилиси.

Латышев В. В. 1949: Известия древних писателей о Скифии и Кавказе. – ВДИ, № 1, 730-838.

Ломоури Н. Ю. 1957: Из исторической географии Древней Колхиды. – ВДИ, № 4, 96-109.

Шафранов Н. 1885: Образование Рионской низменности в течении исторического периода. – Сборник сведений Кутаиской губернии, вып.1. Кутаиси, 31-32.


ტაბულის აღწერილობა

ტაბ. I – სოფ. ყულევი და იქ არსებული არქეოლოგიური ძეგლების განლაგება 1970-იან წლებში გადაღებულ აეროფოტოზე.

DESCRIPTION OF THE PLATE

Pl. I – Qulevi village and disposition of archaeological sites on aerial photo of 1970-ies.

ტაბ. I



შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა ორჭოსნიდან

ორჭოსნის ნასახლარი მდებარეობს სამცხეში, ვალეს საბაჟოს მახლობლად, საქართველო-თურქეთის გზატკეცილის მარცხენა მიმდებარე მხარეს, ჩრდილოეთიდან-სამხრეთისაკენ ოდნავ დაქანებულ პატარა ვაკეზე. წლების განმავლობაში ეს ტერიტორია გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო და სამხედრო მიზნებისათვის, რის გამოც ძველი საკმაოდ იყო დაზიანებული.

2003 წლის ივნის-აგვისტოში (I კამპანია) ახალციხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ BP-ის მილსადენის დერეფანში მოქცეულ ამ ნამოსახლარზე, დაახლ. 600 კვ. მეტრი ფართის, ერთმანეთის მეზობლად გავლებულ ორ თხრილში,¹ გამოავლინა სტრატოგრაფიულად ერთმანეთის მონაცვლე შუასაუკუნეებისა და ადრებრინჯაოს ხანის ფენები. მოპოვებული არქეოლოგიური მასალის უმეტესობა ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება, ხოლო შუასაუკუნეებისა – შედარებით მცირერიცხოვანია [ორჯონიკიძე 2004: 29].

I თხრილში გაიწმინდა მომცრო ქვებით მოგებული ფართობი, რომელიც ნაწილობრივ ფარავდა ადრებრინჯაოს ხანის ქვის მომრგვალებული ფორმის შენობას. შუასაუკუნეების თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩენილი კრამიტის ნატეხები გვაფიქრებინებს აქ ამ პერიოდის ნაგებობის ეზოს ან ქუჩის ნაწილის არსებობას. აქვე გაითხარა 3 ორმოსამარხიც. სამარხები შემოზღუდული იყო ოთხი მხრიდან ცალპირად შემოწყობილი ქვებით. მათში დადასტურდა დაკრძალვის როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური წესის არსებობა. მიცვალებული დაკრძალული იყო ქრისტიანულად – გამოტილი, თავით დასავლეთით. მხოლოდ ერთ ინდივიდუალურ სამარხში აღმოჩნდა ინვენტარი – მიცვალებულს თავის ქალასთან ეწყო რკინისა და ბრინჯაოს წვრილი, დაშლილი რგოლები და ძვლის პატარა საკიდი.

II თხრილის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილშიც გამოვლინდა შუასაუკუნეების ნაშთები. შენობები ქვითაა ნაგები, მშრალი წყობით, ან ტა-

ლახის ხსნარზე. ძლიერი დაზიანების გამო ჭირს მათ გეგმარებაზე სრული წარმოდგენის შექმნა. შერჩენილი კედლების მიხედვით ჩანს, რომ საქმე გვაქვს სწორკუთხა არქიტექტურასთან.

ორჭოსნის ნასახლარზე მოპოვებული შუასაუკუნეების მასალა მოყვითალო-მოვარდისფრო და ლეგა-მოშავო ფერის, სხვადასხვა ზომის, ძირითადად, სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების, ფრაგმენტებად წარმოდგენილი თიხის ჭურჭელია. გვხვდება ქვევრის, დერგის, ქოთნის, დოქის და სხვა ტიპის ჭურჭელი, შემკული ყელსა და მხარზე შემოყოლებული პარალელური სწორი (ტაბ. I₃; IV₅), ან ტალღისებრი (ტაბ. III₇; IV_{2,3}) ღარებით. არის რელიეფური სწორი (ტაბ. I₇; II_{1-3,7}; III₁), ან დაკეჭნილი ზოლები კორპუსსა (ტაბ. I₄; II₄) და პირის კიდის გარშემო (ტაბ. I₁; II_{8,9}; III₇; IV₃). ყურები ბრტყელი და ფართოა, ზოგჯერ კოპით (ტაბ. I₅; II₁₀). ეს ჭურჭელი ახლო დგას დმანისის რ-ში, ნაგზაურის საეკლესიო კომპლექსის ტერიტორიაზე აღმოჩენილ კერამიკასთან [კახიანი და სხვ. 2012: 25, სურ. 9]. მრავალი საერთოა ქვაცხელას, ურბნისის [ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: 3-4] და საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ადრეშუასაუკუნეების ძეგლების თიხის ჭურჭელთან, როგორც ფორმის, ისე შემკობის მხრივ. იგივე შეიძლება ითქვას ბრტყელ, გვერდებაკეცილ, მოვარდისფროდ გამომწვარ კრამიტზეც (ტაბ. IV₁). კრამიტთანაა დაკავშირებული თიხის ანტიფიქსი. იგი ბრტყელია, სამკუთხა მოყვანილობის, ნაკლული. ცალ მხარეს რელიეფურადაა გამოყვანილი ანტროპომორფული გამოსახულება პროფილში. იგი გრძელცხვირაა, თავზე მაღალი წვეტიანი ქუდი ახურავს. ხელები განზე აქვს განზიდული. მარცხენა ხელში ჯვარი უკავია. ფილას ზემოდან კოპი აქვს დაძერწილი (ტაბ. IV₄).

ანტიფიქსი საქართველოში გვხვდება როგორც სადაზღვევითი, ისე ორნამენტირებული სახის, აღმოჩენილი ადრეშუასაუკუნეების ეკლესიებთან ახლოს. მიიჩნევენ, რომ ისინი ამ ეკლესიების შესამკობად იხმარებოდა [კახიანი და სხვ. 2012: 24]. თუმცა, არ გამოირიცხავენ მათ გამოყენებას საერო დანიშნულების შენობების

¹ ორჭოსნის ნასახლარის ამ თხრილების ნახაზები გამოქვეყნებულია ამავე კრებულში, ლ. ჯიბლაძისა და ალ. ორჯონიკიძის ერთობლივ სტატიამში, ტაბ. III-IV.

გადახურვაშიც [დიღმელაშვილი 2013: 225].

ანტიფიქსებს გამოსახულებების მიხედვით ოთხ ტიპად ყოფენ: ხის, ირმის ან ირმისნაირთა, ჯვრისა და ანტროპომორფულ ფუგურათა გამომხატველად [დიღმელაშვილი 2013: 226]. ორჭოსნის ეგზემპლარი მიეკუთვნება უკანასკნელს, წარმოდგენილს მხედრის გამოსახულებიანი ცალებით ურბნისიდან, წყალტუბოს რ-ნის სოფ. ზედა მესხეთიდან და ასპინძის რ-ნის სოფ. ქუნციდან [დიღმელაშვილი 2013: 241, სურ. 17-19].

ურბნისის ანტიფიქსზე მხედარი პროფილშია მოცემული, ხელები ფართოდ აქვს გაშლილი, მარცხენაში რალაც საგანი უჭირავს. წყალტუბოს ანტიფიქსზე გამოსახულია წმინდა გიორგი მარცხენა პროფილში, მხედარს ხელთ უპყრია შუბი. ცხენის ფეხებთან ჩანს შუბით განგმირული გველეშაპი. სოფ. ქუნცის ცალზეც ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი ასევე მარცხენა პროფილშია გამოსახული ხელში შუბით, რომელსაც მალტური ჯვრის ბუნი აქვს. ცხენი მოძრაობაშია წარმოდგენილი, ფეხებთან – შუბით განგმირული დიოკლეტიანეა.

ორჭოსნის გამოსახულებასაც განზე განეული ხელით, სავარაუდოდ, ცხენის აღვირი უკავია. ისიც მარცხენა პროფილშია მოცემული. თვლიან, რომ თავდაპირველად გამოსახულება მარჯვენა პროფილში უნდა ყოფილიყო ყალიბზე, ანაბეჭდზე კი ის მოპირდაპირე მიმართულებით აისახა [დიღმელაშვილი 2013: 232]. იგივე შეიძლება დავუშვათ ორჭოსნის ანტიფიქსის გამოსახულების მიმართაც.

არაკერამიკული მასალიდან აღსანიშნავია მსხვილფეხა საქონლის ლულოვანი ძვლისგან დამზადებული იარაღის ტარის თუ სარიტუალო ნივთის გარსაცმის ფრაგმენტი. მასზე გრავირებით დატანილია ზოომორფული გამოსახულებები (ტაბ. III₅). ესაა, გრავირებული რომბების სარტყელებს შორის მოქცეული, ფაქიზად ამოკანრული, საკმაოდ რეალისტურად, მოძრაობაში გადმოცემული ირმის წინა ნაწილი და სხვა ცხოველის (ლომი?) ტანის უკანა მხარე, ზეანეული გრძელი კუდი. შესაძლოა საქმე გვაქვს ნადირობის სცენასთან, რომელიც შემოუყვებოდა გარშემო ამ ნივთს.

ყურადღებას იქცევს საქონლის ფირფიტოვან ძვალზე დამზადებული მრგვალი და ოვალური ფორმის ლილებიც (ტაბ. III₆).

მინის ნივთებიდან აღსანიშნავია მწვანე ფერის მომცრო ჭურჭლის ფრაგმენტი (ტაბ. III₃) და მწვანე ფერის ბეჭდის ნაწილი (ტაბ. III₄). უკა-

ნასკნელს ახლო ანალოგები ეძებნება გველეთის №9 სამარხის მინის ბეჭედთან, რომელსაც, თავის მხრივ, უდარებენ სამთავროს, ურბნისის, ჟინვალის VII-VIII ს. დასაწყისის ცალებს [მინდორაშვილი 2001: 81, სურ. I₃₇]. მსგავსი ბეჭედები მრავლადაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს ადრემუასაუკუნეების სხვა ძეგლებზეც [აფხაზავა 1979: ტაბ. XXXVIII₃₀₋₃₃].

რუსთავეში აღმოჩენილ მინის ბეჭედში გამოყოფილი რამდენიმე ტიპიდან ორჭოსნის ცალი ყველაზე მეტად უახლოვდება II ტიპს, რომელიც VI-VII სს. თარიღდება [ჩხატარაშვილი 2008: 70].

ლითონის ნივთებიდან საინტერესოა რკინის თავბოლონამახული ოთხნახნაგა ისრისპირი (ტაბ. IV₈) და რკინის ორი ყუნწიანი დანისპირი (ტაბ. IV_{6,7}). ორჭოსნის ეს იარაღებიც საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ამ დროის აღმოსავლეთ საქართველოში [მინდორაშვილი 2000: 78]. და ბოლოს, მნიშვნელოვანია აქ ხოსრო II სასანიდის (591-628) ვერცხლის მონეტის აღმოჩენის ფაქტიც [ორჯონიკიძე 2004: 29].²

ორჭოსნის ადრემუასაუკუნეების ნასახლარი უკავშირდება რა საქართველოს სინქრონულ ძეგლებს, განსაკუთრებულ სიახლოვეს ავლენს ქვაცხელას ზედა – A ფენასთან. ამ ძეგლებს ერთმანეთთან აახლოვებს ქვის ნაგებობების, ფორმითა და შემკობით მსგავსი კერამიკის, ანტიფიქსის, ხოსრო II სასანიდის მონეტების არსებობა. ქვაცხელას ამ ნასახლარის იდენტიურად მიჩნეულია ურბნისის შესაბამისი დროის ნაქალაქარი, სადაც ასევე გვხვდება ანალოგიური ჭურჭელი და სასანური მონეტები [ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: 3-4]. ამ რიგის ძეგლების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება. თუმცა, აღნიშნულითაც ჩანს, რომ ორჭოსნის სახით საქმე უნდა გვექონდეს VI-VII საუკუნეების საქართველოს საყურადღებო ნასახლართან.

2 მონეტა განსაზღვრა ნუმიზმატმა ირ. ჯალალანიამ.

A. Orjonikidze

MEDIEVAL ARCHAEOLOGICAL FINDS FROM ORCHOSANI

Summary

During the first archaeological company in Orchosani, in the corridor of British Petroleum pipeline, Akhalt-sikhe archaeological expedition have fixed here the layers of Early Bronze Age and Medieval period. In the last one, dated to 6th-7th centuries were found clay and glass makes, iron weapon, and Sassanian silver coin of Khos-rau II (591-628 AD).

ლიტერატურა


- აფხაზავა ნ. 1979:** ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბილისი.
- დიღმელაშვილი ქ. 2013:** საქართველოს შუასაუკუნეების ანტიფიქსების გამოსახულებათა ტიპოლოგიზაციისათვის. – ანალები, № 9, 225-241.
- კახიანი კ., ჭანიშვილი გ., კოპალიანი ჯ., მაჩაბელი კ., ალექსიძე ზ., ლლიღვაშვილი ე., პატარიძე ნ. 2012:** ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან. თბილისი.
- მინდორაშვილი დ. 2000:** გველეთის სამაროვნის არქეოლოგიური მასალა. – ძიებანი, № 6, 78-86.
- მინდორაშვილი დ. 2001:** გველეთის სამაროვნის არქეოლოგიური მასალა. – ძიებანი, №7, 81-90.
- ორჯონიკიძე ა. 2004:** ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2003 წლის ივნის-აგვისტოში ნასახლარ ორჭოსანზე ჩატარებული სამუშაოების ანგარიში. ხელნაბეჭდი.
- ორჯონიკიძე ა. 2005:** ორჭოსნის ნასახლარის ადრეული კომპლექსები. – ძიებანი, № 15-16, 69-83.
- ჩხატარაშვილი მ. 2008:** მინის ათი ბეჭედი რუსთავიდან. – საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, 65-81.
- ჯავახიშვილი ალ., ლლონტი ლ. 1962:** ურბნისი I. თბილისი.


ტაბულაჰის აღწერილობა


- ტაბ. I-II – თიხის ჭურჭელი.
- ტაბ. III – 1, 2, 6, 7. თიხის ჭურჭელი; 3. მინის ჭურჭელი; 4. მინის ბეჭედი; 5. ძვლის ტარის გარსაცმი; 8. ძვლის ლილები.
- ტაბ. IV – 1. კრამიტი; 2, 3, 5. თიხის ჭურჭელი; 4. თიხის ანტიფიქსი; 6-7. რკინის დანები; 7. რკინის ისრისპირი.

DESCRIPTION OF THE PLATES


- Pl. I-II – Clay vessels.
- Pl. III – 1, 2, 6, 7. Clay vessels; 3. Glass vessel; 4. Glass fingering; 5. Bone handle facing; 8. Bone buttons.
- Pl. IV – 1. Roof tile; 2, 3, 5. Clay vessels; 4. Clay antefix; 6-7. Iron knives; 7. Iron arrowhead.







ტაბ. IV



ანანაურის №3 დიდ ყორღანში აღმოჩენილი ღეროსა და დისკოს კომპლექსური კვლევა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ზ. მახარაძე) 2012 წელს ლაგოდების მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (აფენის სოფსაბჭო, სოფ. ჭაბუკიანის სამხრეთით 6 კმ დაშორებით), მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე შეისწავლა „ანანაურის №3 დიდი“ ყორღანული სამარხი, რომელიც, როგორც გაირკვა, ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნება და ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებით თარიღდება.

ყორღანის დიამეტრი — 100 მ, სიმაღლე — 12 მ.

ყორღანის ცენტრალურ ნაწილში, ყრილის ქვეშ, დაფიქსირდა ორმო, რომელშიც ჩადგმული იყო ხის ნაგებობა. დასაკრძალავი კამერის შიდა ზომებია 9 x 6,5 მ-ზე, სიღრმე 2,75 მ. კამერა მართკუთხა ფორმისაა, მიმართული W-E ხაზზე, ოდნავ გადახრით.

დასაკრძალავ კამერაში აღმოჩნდა ორი ოთხთვალა ეტლი. ეტლი №1 სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ეტლი №2 ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ეტლები ორიენტირებულია აღმოსავლეთით. ეტლების სიგრძე — 2,8 მ, სიგანე 1,1 მ. ბორბლების დიამეტრი — 1,4 მ. ბორბლები სამნაწილადაა, მთლიანი ხისგან გამოთლილი.

№1 ეტლის მეორე და მესამე ბორბალთან და №2 ეტლის პირველ ბორბალთან, გარეთა მხარეს, მორგვთან, აღმოჩნდა ლითონისებრი მასალის სამი დისკოიანი ღერო. ლითონის ამ ნივთების *in situ* მდგომარეობაში აღმოჩენა, აშკარად მიუთითებს, რომ ისინი ბორბლების ღერძის ჩამკეტს წარმოადგენენ.


ლითონისებრი ღეროს სიგრძე — 14 სმ, დიამეტრი — 3 სმ, დისკოს დიამეტრი — 11 სმ, სისქე — 0,7 სმ.

ანალიზი ჩაუტარდა №1 ეტლის მეორე ბორბალთან აღმოჩენილი ლითონისებრ ღეროსა და დისკოს ფრაგმენტს (სურ. 1-2).


წინამდებარე სტატია სწორედ ღეროსა და დისკოს ტექნიკური კვლევას ეთმობა. ჩვენი აზრით, კვლევის შედეგებმა საკმაოდ საინტერესო და ამავდროულად საპოლემიკო საკითხი წარმოშვა, რომელიც შემდგომი კვლევებით კიდევ უფრო დაზუსტდება.

ძვ. წ. III ათასწლეულის ღეროს და დისკოს

კომპლექსური კვლევა წარიმართა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და გერმანიის ქ. მაინცის რომაულ-გერმანული ცენტრალურ მუზეუმის ლაბორატორიებში. კვლევის შედეგებმა დაადასტურეს, რომ არტეფაქტების მასალა წამოადგენს მინერალ ქალკოპირიტის ჟანგვა-აღდგენითი პროცესის შედეგად მიღებულ მინერალებს. სწორედ კვლევის ამ შედეგებმა წარმოშვა საკმაოდ მნიშვნელოვანი კითხვა: ეს მინერალები სპილენძის მრავალსაუკუნოვანი კოროზიის პროდუქტია თუ თავიდანვე იქნა გამოიყენებული როგორც მინერალი?



სურ.1. ღეროს და დისკოს ფრაგმენტი



სურ. 2. ღერო და დისკო *in situ*

საქართველოში თვითნაბადი, სულფიდური, ჟანგეული, სილიკატური და სხვა შედგენილობის მინერალების მოპოვებას, ექსპლოატაციას და

გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ცალკეული მინერალებისა და მათი შემცველი მადნების ადგილობრივი მოსახლეობის მიერ უძველესი დროიდან მოპოვებისა და დამუშავების უტყუარი დასტურია კავკასიონის სამხრეთ კალთებზე (რაჭაში, სვანეთსა და აფხაზეთში), აგრეთვე მცირე კავკასიონზე, ქვემო ქართლში, აჭარაში, გურიასა და კახეთში აღმოჩენილი სამთო გამონამუშევრები, მეტალურგიული კერები, მადნის ნიდეები და ის ნარჩენი ნედლეული, რომელთა პირველადი საბადოები ხშირად დღესაც გვხვდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ბუნებრივ მინერალებს არა მარტო ლითონების მისაღებად მოიხმარდნენ, არამედ ისეთი სახითაც იყენებდნენ, როგორცაც ისინი ბუნებაშია გავრცელებული. თავდაპირველად მათ მხოლოდ მექანიკურად – გამოჭედვით (თვითნაბადი სპილენძი, ოქრო, ვერცხლი) და გამოთლით (ობსიდიანი, ტალკი, სტეატიტი, ქალცედონი, ქალკოზინი, კოველინი და სხვა) აძლევდნენ საჭირო ფორმასა და ზომას. მათგან ამზადებდნენ იარაღს, მძივებს და ამკობდნენ სხვადასხვა დანიშნულების ნივთებს.

ქართველი ტომები უძველესი მელითონები იყენენ. ლითონის ათვისება იწყება თვითნაბადი სპილენძის გაცნობიდან [Rickard 1932: 318]. პირველი ლითონი, რომლის მოპოვება და გამოყენებაც მათ დაიწყეს, ხალასი სპილენძი იყო. ზოგჯერ მასთან ერთად არსებული მეორადი სულფიდებიც გამოიყენებოდა. თვითნაბადი სპილენძისა და მისი შემცველი მეორადი სულფიდური მინერალების მოპოვება და გამოყენება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან ისინი სხვადასხვა ზომის, ფორმისა და წონის თვითნაბადი მასის სახით, უმთავრესად მცირე სიღრმეზე, ზედაპირთან ახლოს წარმოიქმნება და იქვეა გავრცელებული [გაჩეჩილაძე და სხვ. 2006: 44-52].

ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ათასწლეულის ადრეულ (ენეოლითი) ეტაპზე საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენი წინაპრები თვითნაბადი, სულფიდური, სილიკატური და ჟანგეული მინერალების მოპოვებას აწარმოებდნენ და მათი დამუშავების საკმაოდ რთულ ხერხებს ფლობდნენ. ისინი ბუნებრივ მინერალებს ამუშავებდნენ როგორც ცივად – მექანიკური გამოჭედვით ან გამოთლით, ასევე – ცეცხლით გახურებით და გამოჭედვით, ხოლო შემდეგ ეტაპზე მეტალურგიული პროცესით იღებდნენ ცალკეულ ლითონს და მათ შენადნობებს, რომელთაგანაც ამზადებდნენ ნაკეთობებს

უკვე გაღობით და ჩამოსხმით. ძვ.წ. VI-V ათასწლეულების ძეგლების არქეოლოგიურ მონაპოვარ მასალაში, ლითონის არტეფაქტებთან ერთად, სპილენძის მიღება-დამუშავებასთან დაკავშირებული ატრიბუტები ჩნდება – დანაყილი მადნის, ქვის ხელსაწყოების და წარმოების ნარჩენების (ნიდეების, ლითონის ნალვენთების) სახით [Müller-Karpe 1994: 15].

საქართველოს ბევრ რაიონში არქეოლოგიური გათხრების შედეგად სხვადასხვა სამაროვანში აღმოჩენილია სხვადასხვა ეპოქისა და დანიშნულების ლითონური (სპილენძი, ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, სტიბიუმი და სხვა) შედგენილობის ძეგლები. ხშირად სამაროვნებთან ახლოს არსებული თვითნაბადი ლითონების, სულფიდების, ჟანგეულების ან მათი შემცველი მადნების და ნიდეების ნარჩენების ქიმიური შედგენილობის მსგავსება არქეოლოგიური ლითონური შედგენილობის ძეგლების ქიმიურ შედგენილობასთან ამყარებს მოსაზრებას მათი ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ.

საქართველოში მრავლადაა გამოვლენილი თვითნაბადი ლითონების, სულფიდური, ჟანგეული, სილიკატური და სხვა შედგენილობის მადნები და მადანგამოვლინებები, რომლებიც ნედლეულად გამოიყენებოდა ჩვენი წინაპრების მიერ [ფოფორაძე 2007: 297-303; მგელიაშვილი 1991: 169, გაჩეჩილაძე 2009: 142].


საქართველოს უძველეს სამაროვნებში მრავლადაა მხოლოდ მექანიკური პროცესებით დამზადებული იარაღი, სამკაული თუ სხვა დანიშნულების ნაკეთობები, რომელთა აღწერებასაც ამჯერად არ შემოგთავაზებთ. შემოვიფარგლებით მხოლოდ ეტლის თვლების ღერძის დასამაგრებლად გამოყენებული ე.წ ღეროს და დისკოს ნიმუშების ვიზუალური აღწერით და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით კვლევის შედეგების გაანალიზებით, ჩატარებული ოპტიკური მიკროსკოპიის, რენტგენოფლუორესცენციული, რენტგენოსტრუქტურული და ქიმიური კვლევების საფუძველზე ვასკვნით, რომ ღეროს და დისკოს ნედლეული ბუნებრივი პროცესის, კერძოდ კი, პირველადი სულფიდური მინერალის, ქალკოპირიტის, ჟანგვა-აღდგენითი პროცესის ბუნებრივი პროდუქტია.

საანალიზოდ მასალა აღებული იქნა, როგორც ღეროს და დისკოს ზედაპირიდან, ასევე გრძივად და განივად გაჭრილი ზედაპირიდან.

ვიზუალურად ღეროს და დისკოს ნიმუშები მუქი ტყვიისებრ-ნაცრისფერი მოშავომდე ფერისაა. ახალი მონატეხის და გაპრიალებული

ზედაპირის ზოგიერთ ადგილას მოლურჯო ტონალობის და ოქროსფერ-ყვითელი არაკანონ-ზომიერად განლაგებული სხვადასხვა ზომის, ფორმისა და სიმაგრის უბნებია წარმოდგენილი. ნიმუში ადვილად და კარგად პრიალდება და აქვს

ლითონური ელვარება. მუქი ნაცრისფერი მოშავომდე ფერის უბნები ვიზუალური დაკვირვებით და ოპტიკური მიკროსკოპით (სურ. 3) მინერალ ქალკოზინს შეესაბამება, მოლურჯო ტონალობის – კოველინს, ხოლო ოქროსფერ-ყვითელი




სურ. 3. ქალკოზინი ქაკოპირიტის ჩანართებით

– ქალკოპირიტს.

ნიმუშების ტექსტურული და სტრუქტურული თავისებურებების და ჩატარებული მიკროსკოპული, რენტგენოფლორესცენციული და რენტგენოფაზური კვლევების საფუძველზე ცალსახად დადგენილია, რომ ღეროს ნედლეული მეორადი სულფიდური გამდიდრების პროცესის ტიპური ბუნებრივი პროდუქტია, რომელიც პირველადი სულფიდური მინერალის – ქალკოპირიტის (ნიმუშში გვხვდება გადარჩენილი ქალკოპირიტის აგრეგატები და ცალკეული კრისტალები) ხარჯზეა წარმოქმნილი. პირველადი სულფიდური მინერალების ჟანგვის პროცესი რთულ გეოქიმიურ სისტემას წარმოადგენს, რომელიც რთულ ფიზიკურ-ქიმიურ პირობებში ვითარდება, როდესაც გრუნტის წყლები და მისი შემცველი ჟანგბადი, CO_2 , სხვადასხვა მჟავები მოქმედებენ ქალკოპირიტზე და მის ხარჯზე წარმოქმნიან სპილენძისა და რკინის მეორად სულფიდებს, სულფატებს, ჟანგეულებს და ჰიდროჟანგეულებს. მათი უმეტესობა ადვილად იხსნება ჩანაჟონ ზედაპირულ წყლებში, საწყისი ადგილიდან გამოიტუტება და მეორად სულფიდურ მინერალებთან ერთად ხშირ შემთხვევაში აღარ

გვხვდება. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც. სწორედ ასეთი პროცესის შედეგადაა წარმოქმნილი ღეროს საწყისი მასალა, ქალკოზინი. ხოლო, რაც შეეხება პროცესს, რომელიც მიმდინარეობდა ღეროს დამზადების შემდეგ, კერძოდ, მისი ხის თვლებში ჩასმის და ეტლის განამარხების პირობებში, ღეროს გარე შრეებზე გრუნტის წყლების ზემოქმედებით ჟანგვის პროცესის შედეგად გამოტუტული სპილენძის და რკინის იონები და ახლად წარმოქმნილი მინერალები – ქალკოზინი, ლიმონიტი და სპილენძის კარბონატები ანაცვლებს ხის მერქანს. ეს პროცესი დაახლოებით ხუთი ათასი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. რენტგენოფაზური (სურ. 4) და სპექტრული ანალიზებით დასტურდება, რომ ღეროს გარშემო არსებული მერქანი (სურ. 5) გამდიდრებულია სპილენძით, რკინით და მათი შემცველი მეორადი მინერალებით (მალაქიტი, აზურიტი, ლიმონიტი).

ოპტიკური მიკროსკოპით ღეროს ამგები ქალკოზინის ძირითადი მასის ანულიფებში (სურ. 6) მკაფიოდ ჩანს ქალკოპირიტის რელიქტები. ისინი ძარღვაკების, სოლისებრი ან სხვადასხვა ფორმის ლოკალურად განლაგებულ იზოლი-




სურ. 4. ლეროს შემცველი მერქნის რენტგენოგრამა




სპილენძით, რკინით და მათი შემცველი
მინერალებით გამდიდრებული მარქანი


სურ. 5. ლეროს და მერქნის ფრაგმენტი



სურ. 6. ლეროს ნიმუშის ზედაპირი არეკლილ სინათლეზე



სურ. 7. ღერო განიკვეთში



სურ. 8. ღეროს ნიმუშის რენტგენოგრამა

რეზულ უბნებს ქმნიან, ხშირად კონცენტრირებული (სურ. 7). შესაბამისი ნიმუშების ფხვნილის რენტგენოსტრუქტურული და რენტგენოფლოუორესცენციული კვლევები, ასევე ცალსახად ადასტურებს ქალკოზინის მატრიცაში ქალკოპირიტის არსებობას.


რენტგენოფაზური დიფრაქტოგრამის შედეგების (სურ. 8) გაანალიზებით ერთმნიშვნელოვნად დადგინდა, რომ ღერო წარმოდგენილია ქალკოზინით (ტყვიისებრ-ნაცრისფერი) და მცირე რაოდენობით ქალკოპირიტის რელიქტებით. ქალკოზინი ორი მოდიფიკაციისაა: 1 — α-ქალკოზინი (დიგენიტი) კუბური სინგონიის, 2 — β-ქალკოზინი, შედარებით დაბალტემპერატურული, ჰექსაგონური სინგონიის. ქალკოპირიტის გადარჩენილი უბნები მკაფიოდ გამორჩეული თითბერისებრ-ყვითელი ფერისაა, მაგრამ ხშირად გადაკრავს მუქი ყვითელი ან ჭრელი ფერი. ნიმუშის სხვადასხვა უბ-

ნის დიფრაქტოგრამებზე ქალკოპირიტის ფაზები სხვადასხვა რაოდენობითაა.

რენტგენოფლოუორესცენციული ანალიზით ქალკოზინის ქიმიური შედგენილობაა: Cu - 74.34, As - 0.57, ქალკოპირიტის Cu - 30.41, Fe - 28.01, As - 0.65.

როგორც ცნობილია, ჟანგვა-აღდგენითი პროცესისა და ჟანგბადის დეფიციტის პირობებში ქალკოზინის ჩანაცვლების ხარჯზე წარმოიშობა ხალასი სპილენძი, რაც ჩვენს ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ფიქსირდება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ღეროს შემადგენელი მეორადი სულფიდების წარმოშობის ჟანგვა-აღდგენითი პროცესი ჟანგბადით მდიდარი იყო.

დისკო რენტგენოსტრუქტურული (სურ. 9) და რენტგენოფლოუორესცენციული (სურ. 10) ანალიზების მონაცემებით, ძირითადად წარმოდგენილია კოველინით, მცირე რაოდენობით გვხვდება ქალკოზინი, რაც კიდევ ერთხელ




სურ. 9. დისკო წარმოდგენილი კოველინით

მიუთითებს იმაზე, რომ ღეროსა და დისკოს ნედლეული არის სულფიდური მინერალის, კერძოდ ქალკოპირიტის, ჟანგვა-აღდგენითი ბუნებრივი პროცესის ტიპური პროდუქტი. კოველინის ქიმიური შედეგნილობაა $Cu - 62.21, As - 0.87, S - 30.37$.

დასკვნა. ვიზუალური დათვალიერებისა და ჩატარებული დეტალური მიკროსკოპული, რენტგენოფაზური და რენტგენოფლორესცენტული კვლევების საფუძველზე ცალსახადაა დადგენილი, რომ ღერო და დისკო წარმოდგენილია მინერალ ქალკოპირიტის ჟანგვა-აღდგენითი პროცესის შედეგად მიღებული მეორადი მინერალებით, კერძოდ, სოლი ძირითადად – ქალკოზინით, ხოლო დისკო – კოველინით. ქალკოზინი და კოველინი მინარევი ელემენტების შემცველობით რადიკალურად განსხვავდება მადნეულის კარიერის მეორადი სულფიდური მინერალებისაგან [ხ. გაჩეჩილაძე და სხვ., 2010].

გეოლოგები ცალსახად ვთვლით, რომ ღერო და დისკო თავიდანვე გამოთლილია მინერალების, ქალკოზინისა და კოველინისაგან, რომლებსაც თავის მხრივ განამარხების პერიოდში შემდგომი ზედნადები ჟანგვა-აღდგენითი პროცესები აქვს განცდილი, რაც გამოხატულია რკინის ჰიდროჟანგებისა და სპილენძის კარბონატების გაჩენით.

არქეოლოგები კი ღეროსა და დისკოს საწყის მასალად სპილენძს მივიჩნევთ, რომელიც კოროზიით ქალკოზინსა და კოველინშია გადასული.



სურ. 10. დისკოს ნიმუშის რენტგენოგრამა

COMPLEX STUDY OF THE DISK AND THE ROD FOUND IN THE KURGAN ANANAURI 3

Summary

This paper is primarily concerned with the new evidence from the technical study of the items of the III millennium B.C. from the Ananauri № 3 Kurgan (excavated in 2012, head of the archaeological excavation. Z. Makharadze). The diameter of the burial mound is 100 m and it is 12 m high. Two four-wheeled wooden hearses were discovered in the burial. The hearse № 1 was found in the south-western part and the hearse № 2 – in the north-western part.

In Article the attention paid to the technical study of the pin with disk, which was used in construction of the wooden wheels. The items from Kurgan were examined using microscopy, X-radiography, X-ray fluorescence analysis and X-ray diffraction. The technical study of the above mentioned items shows that, pin with disco consist mixture of minerals. Part of the authors (Geologists) think that the material used for manufacturing pin with disc from the outset was mineral, and part of authors (Archaeologists) think, that this is a case of corrosion and that the pin with disco was originally made from copper .

ლიტერატურა

გაჩეჩილაძე ს. 2009: საქართველოს თვითნაბადი ლითონების და მათგან დამზადებული ნაკეთობების ქიმიური შედგენილობის თავისებურებანი. თბილისი.

მგელიაშვილი თ. 1991: საქართველოს გეოარქეოლოგია. თბილისი.

გაჩეჩილაძე ს., გელიაშვილი ვ., დოლიძე ი., ფოფორაძე ნ. 2006: ქვემო ქართლის სპილენძის გამოვლინებები და მასთან დაკავშირებული მელითონეობა. – საქართველოს ნავთობი და გაზი, № 17, 44-52.

Müller-Karpe A. 1994: Altanatolisches Metallhandwerk. Offa-Bücher, Band 75. Hrsg. vom Seminar für Ur- und Frühgeschichte der Uni Kiel. Neumünster.

Rickard T. A. 1932: Man and Metals, I. New-York-London

Poporadze N., Gachechiladze Kh., Geleishvili V. 2007: Chemical Composition of Native Copper and Wares Made of It from Kvemo Kartli. – Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Vol. XVI, 297-303.

დავით გოგელია



2013 წლის 31 დეკემბერს, ქართველ არქეოლოგთა რიგებს ნაადრევად გამოაკლდა ნეოლით-ბრინჯაოს ხანის კულტურის ცნობილი მკვლევარი დავით გოგელია. იგი დაიბადა 1952 წლის 21 ოქტომბერს ბატონ დავით გოგელიასა და ქალბატონ თინათინ ჭანკოტაძის ოჯახში.

თბილისის 62-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1968 წელს დავით გოგელია ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1973 წელს.

1975-1991 წლებში იგი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში მეცნიერ თანამშრომლად.

ბატონი დავითი, სრულიად ახალგაზრდა,

1974 წლიდან აქტიურად ჩაება ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ წარმოებულ სამუშაოებში ან განსვენებულ პროფ. ტარიელ ჩუბინიშვილის ხელმძღვანელობით. მან თავიდანვე აუღო ალლო ისეთი რთული და მრავალსამშენებლო ჰორიზონტიანი ნამოსახლარის გათხრას, როგორცაა არუხლო I.

1978 წელს ბატონი დავითი დაინიშნა აღნიშნული ექსპედიციის ხელმძღვანელად. პარალელურად 1977-1978 წლებში მან ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის შემადგენლობაში, არაგვის ხეობაში, სოფელ ბოდორნასა და ახალ ჟინვალში (ქვემო არანისი) გათხარა ადრესამინათმოქმედო კულტურის ორი ნამოსახლარი.

რაც მთავარია, ბატონმა დავითმა წარმატებით გააგრძელა გათხრები არუხლო I-ზე და სწორედ მისი დამსახურებაა აქ სამშენებლო ჰორიზონტების დაზუსტება, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ცალკეული კომპლექსების გამოყოფა. პარალელურად ბატონმა დავითმა ქვემო ქართლში ახალმშენებლობათა ზონებში გათხარა ან დაზვერვებით შეისწავლა ადრესამინათმოქმედო კულტურის ახალი ნამოსახლარები – არუხლო VI, წითელი სოფელი, ჯავახი, დმანისი, ახმედლო და ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა ეპოქის ყორღანული სამარხები. მის მიერ გათხრილი ძეგლების შესახებ გამოქვეყნებულია კვალიფიციური მეცნიერული ანგარიშები. ამასთანავე ბატონმა დავითმა 1979 წელს გამოაქვეყნა საყურადღებო სტატია „დასახლების თავისებურება არუხლო I-ზე“. ქალბატონ ლიდა ჭელიძესთან ერთად იგი არის საქართველოს არქეოლოგიის II ტომის I თავის თანაავტორი, ხოლო 2004 წელს კი არუხლო I-ზე 1966-1985 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგებზე მისივე ავტორობით აკად. ოთარ ლორდქიფანიძის არქეოლოგიის კვლევის ცენტრის, „ქართული არქეოლოგიის ჟურნალში“ (№1). ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა განმაზოგადებელი ნაშრომი,

ბატონმა დავითმა 20 წლის ასაკში შექმნა მტკიცე, მეგობრული ოჯახი ქალბატონ ეთერ გოგელიასთან ერთად და არის ორი შვილისა და

სამი შვილიშვილის მამა და ბაბუა.

გასული საუკუნის 90-იან მძიმე წლებში ბატონმა დავითმა დროებით დაინყო მუშაობა ავიაკომპანია „ორბის“ მენეჯერად, ხოლო 1996-1999 წლებში შპს „ზენარის“ დირექტორად. 1999-2003 წლებში იყო საქართველოს ავიახაზების დირექტორის მოადგილე, ხოლო 2003-2005 წლებში კავკასიის ავიახაზების კონსულტანტი.


2006 წელს ბატონი დავითი ისევ დაუბრუნდა თავის ძირითად პროფესიას და გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის დირექტორის მოადგილედ.

ბატონი დავითის სახით არქეოლოგიის სამსახურმა დაკარგა საქმიანი და მეგობრული თანამშრომელი, ხოლო ოჯახმა – მზრუნველი და მოსიყვარულე მამა.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლირი მიწა.

გურამ ჩიქოვანი
გურამ მირცხულავა

ზებედე (ბედი) შატბერაშვილის ხსოვნას



2014 წლის 17 თებერვალს ქართულმა არქეოლოგიურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა არქეოლოგიური ცენტრის ღვაწლმოსილი თანამშრომელი ზებედე (ბედი) შატბერაშვილი. არქეოლოგიასთან მისი პირველი შეხება ჯერ კიდევ სტუდენტობაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე მოხდა, სადაც არქეოლოგიის კურსს კითხულობდა იმხანად სრულიად ახალგაზრდა პროფესორი, ამჟამად აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე, რომლის პიროვნულმა ხიბლმა და მის ექსპედიციებში მონაწილეობამ ზებედეს გადააწყვეტინა, რომ სპეციალობად არქეოლოგია აერჩია. ბატონი ოთარისადმი სიყვარული და მადლიერების გრძნობა ზებედე შატბერაშვილს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა და მას ყოველთვის თავის მასწავლებლად თვლიდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ცოდნის გაღრმავება და გამოცდილების მიღება მას უხდებოდა ისეთ სახელოვან მეცნიერებთან, როგორებიც იყვნენ ანდრია აფაქიძე, ტარიელ ჩუბინიშვილი, გერმანე გობეჯიშვილი. მათ ექსპედიციებში მონაწილეობამ ზებედეს

არქეოლოგიური ძეგლების ძიება-გამოვლენის ალლო და ძეგლთა კვალიფიციურად გათხრის ცოდნა განუვითარა. განსაკუთრებით ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობები მას ჰქონდა ბატონ გერმანე გობეჯიშვილთან, რომელმაც სრულიად ახალგაზრდა ზებედე ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილედ დანიშნა და ხშირად ძეგლის შესწავლისა და გათხრის სრულ თავისუფლებასაც ანიჭებდა. მოგვიანებით, ბატონი გერმანეს გარდაცვალების შემდეგ, იგი წლების განმავლობაში თავად ხელმძღვანელობდა თეთრწყაროს არქეოლოგიურ ექსპედიციას. მისი კვლევის სფერო იყო ქართული კულტურის უძველესი პერიოდის, ბრინჯაოს ხანის ძეგლების შესწავლა, კერძოდ კი ბედენური კულტურის ყორღანული სამარხების გამოვლენა და კვლევა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები ქვემო ქართლში – ბედენის მთისა და დურნუკ-წინწყაროს მიდამოებში. მნიშვნელოვანია მისი მოღვაწეობა შიდა ქართლში, სადაც მისი ხელმძღვანელობით გამოვლინდა არაერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი: აშურიანის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი, გრაკლის, ოხერას, მეტეხის ყორღანები, ოკამის ანტიკური ხანის სამაროვანი და სხვ. ძეგლის მოძიებისა და გამოვლენის მისი საოცარი ალლო შესანიშნავად გამოჩნდა, როდესაც მან ყურადღება მიაქცია ხელოვნურ ბორცვს და ზედაპირული დაზვერვის შედეგად მოპოვებული მასალის ანალიზის შემდეგ არქეოლოგიურ ცენტრს შეატყობინა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ობიექტის შესახებ. შემდგომში ეს ძეგლი, საყოველთაოდ ცნობილი ციხიაგორას კომპლექსი, გათხრილი და შესწავლილი იქნა კავთისხევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმ გ. ცქიტიშვილი).

ზებედე შატბერაშვილისათვის დამახასიათებელი იყო ახალგაზრდა არქეოლოგებთან მჭიდრო ურთიერთობა, ყოველთვის ხალისით მიყავდა ისინი თავის ექსპედიციებში, უზიარებდა მის გამოცდილებას და უშურველად აძლევდა მათ მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალას დასამუშავებლად. ბევრმა, ახლა უკვე ცნობილმა არ-

ქეოლოგმა სწორედ მის ექსპედიციებში მიიღო პირველი გამოცდილება. ახალგაზრდებთან მისი ურთიერთობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ექსპედიციებით. იგი წლების განმავლობაში კითხულობდა არქეოლოგიის კურსს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. ბოლო წლებში მან დაიწყო მასალის შეგროვება მონოგრაფიისათვის, რომელიც თავს მოუყრიდა მრავალწლოვანი სავსე სამუშაოების შედეგებს, რომელთა ერთი ნაწილიც სხადასხვა პერიოდულ გამოცემებში იყო დაბეჭდილი, თუმცა საუბედუროდ, მისი მძიმე ავადმყოფობის გამო ნაშრომს საბოლოო სახე ვერ მიეცა და დაუმთავრებელი დარჩა. ამჟამად მიმდინარეობს ამ დაუმთავრებელი ნაშრომის რედაქტირება და არქეოლოგიური საზოგადოება მალე იხილავს საინტერესო და მრავალმხრივ კვლევას, რომელიც ბრინჯაოს ხანის საქართველოს არქეოლოგიისათვის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება.

ზებედე შატბერაშვილისათვის, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ახლობლების თანადგომა იყო, რისთვისაც იგი სხვა, შესაძლოა, საკუთარი კარიერისა და საქმისათვის ძალზე მნიშვნელოვან საქმესაც გადადებდა ხოლმე და ახლობელს უმართავდა ხელს.

ზებედე შატბერაშვილი სულიერად ძლიერი ადამიანი იყო. იგი ვერ გატეხა თავს დამტყდარმა ოჯახურმა ტრაგედიამ – შვილის, ელენე (ეკი) შატბერაშვილის ხანგრძლივმა და მძიმე ავადმყოფობამ და მისმა უდროო გარდაცვალებამ. ასევე მედგრად იტანდა თავის უკურნებელ სენს და არ კარგავდა იუმორის გრძნობას, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთებამდე შეინარჩუნა.

ქართველი მწერლის გიორგი შატბერაშვილისა ოჯახში გაზრდილი ზებედე შატბერაშვილი გამოირჩეოდა პატრიოტიზმის მძაფრი გრძნობითა და სამშობლოს ბედ-იღბალით გამონწვეული წუხილით, მკაცრი პრინციპულობით, კეთილშობილებით, მეგობრებისა და ახლობლებისადმი სიყვარულით. მისმა წასვლამ დიდი ტკივილი დატოვა ახლობლებისა და კოლეგების გულში.

ირინე ჯალალანია



ქართულმა ნუმისმატიკურმა მეცნიერებამ (და არა მარტო ნუმისმატიკურმა) დიდი დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი ნუმისმატიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ირინე ჯალალანია. პირადად მე დავკარგე უახლოესი მეგობარი, კოლეგა, თანამებრძოლი, თანამოკალმე, რომელთანაც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მჭიდრო ერთიერთობა მაკავშირებდა. ირ. ჟალალანიას შესახებ წარსულ დროში წერა ძალიან ძნელია, მაგრამ მოვალე ვარ შევასრულო, ვინაიდან მისი პიროვნული თვისებებისა და მეცნიერული მოღვაწეობის შეფასება ჩემზე უკეთესად არავის ძალუძს.

ირ. ჟალალანია გავიცანი 1958 წლის მაისში, როდესაც ამიყვანეს აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკის კაბინეტის (შემდგომში განყოფილების) სტაჟიორად. აქ დამხვდა ახალგაზრდა ლამაზი ქალბატონი, ვერხლისწყალივით მოძრავი, ცეცხლოვანი ტემპერამენტის მქონე, მამაკაცების ყურადღებით განებრივებული, განათლებული,

ენების მცოდნე (განსაკუთრებით რუსულის), შრომისმოყვარე და ამავე დროს გართობის მოყვარული, თავნება, ქალურად ეშმაკი და საკმაოდ ენამწარე პიროვნება. უნდა ვაღიარო, რომ თითქმის ერთი წლის მანძილზე ირ. ჯალალანია თითქოს არც კი მამჩნევდა, ზურგით მჯდომი ასევე მესაუბრებოდა და ხაზგასმით უგულებელყოფდა ჩემ პერსონას. ცხადია, ახალგაზრდა მამაკაცს ეს ძალიან არ მსიამოვნებდა, მაგრამ ოპტიმიზს არ ვკარგავდი და ვიმედოვნებდი, რომ მისი მხრიდან ეს ცივი დამოკიდებულება ერთ მშვენიერ დღეს დასრულდებოდა. ეს ასეც მოხდა. ჩვენ დავმეგობრდით და საშუალება მომეცა მის პიროვნებაში ახალ-ახალი შტრიხები აღმომეჩინა. ისე, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოლუსების ადამიანი იყო. მას არ შეეძლო ყველასთან ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონოდა. მას უყვარდა ან სძულდა და ამას არც მალავდა, მას შეეძლო ერთგული ძმაცაცავით ამოგდგებოდა გვერდში გაჭირვების ჟამს და შეეძლო შურისძიებაც. მისი კიდევ ერთი საოცარი თვისება გახლდათ ის, რომ, მიუხედავად ამბიციისა, შეეძლო გვერდზე გადაედო თავისი პრეტენზიები და ყოფილიყო შესანიშნავი თანაშემწე. მე იშვიათად შემხვედრია მეცნიერი, რომელიც ასე უდრტვინელად, ასე გულდაგულ, სწრაფად და კვალიფიციურად ასრულებდა ე.წ. შავ სამუშაოს (ახლად აღმოჩენილი მონეტების მომაბეზრებელი ანონვა-გაზომვა, ტოპოგრაფიისა და ბიბლიოგრაფიის შედგენა, ქართული ტექსტები, რუსულად თარგმნა და ა.შ.) ისე რომ, პარალელურად წარმატებით ემუშავა თავის ძირითად სამეცნიერო პრობლემებზე. ამის საშუალებას მას აძლევდა თითქმის დაუშრეტელი ენერჯია და ფართო ერუდიცია. ამავდროულად ირ. ჯალალანია იყო სამაგალითო დიასახლისი, სუფთა, მოწესრიგებული და დიდებული კულინარი, თავგანწირული შვილი და დედა. მე პირადად ვარ მოწმე იმისა, თუ როგორ უპატრონა მან მომაკვდავ დედას თითქმის ერთი წლის მანძილზე ისე, რომ არ ახსოვდა არც სამსახურეობრივი მოვალეობა და არც ბევრი სხვა რამ.

ეს მოკლედ მისი ადამიანური პორტრეტის

შესახებ. ახლა შევეხები მის რამდენიმე ბიოგრაფიულ მომენტს და სამეცნიერო დამსახურებას.

ირინე ლევანის ასული ჯალალანია დაიბადა 1926 წელს ქ. თბილისში. 1944 წელს დაამთავრა თბილისის 23-ე საშუალო სკოლა და ამავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1949 წელს. ამავე წელსვე მუშაობა დაიწყო აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში უფროს ლაბორანტად, შემდეგ გადაყვანილ იქნა უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. მისი მეცნიერი ხელმძღვანელები იყვნენ ქართული ნუმიზმატიკის გამოჩენილი მკვლევარები – ევ. პახომოვი და დ. ლომოური. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ირ. ჯალალანია ბედნიერი ადამიანია – ცხოვრებაში ასე ყველას არ უმართლებს. მისი კვლევის სფეროში ძირითადად მოქცეულია V-XIV სს. საქართველოში მოჭრილი და სინქრონულად საქართველოს სამონეტო ცირკულაციაში ჩართული აღმოსავლური მონეტები. 1958 წელს ევ. პახომოვის ხელმძღვანელობით ირ. ჯალალანიამ მოამზადა მონოგრაფია: „Из истории монетного дела в Грузии XIII века“, Тб., 1958) და ამავე წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ამ თემაზე. 1969 წლამდე ის მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და 20 წლის განმავლობაში უვლიდა და აწესრიგებდა (რა თქმა უნდა, სხვებთან ერთად) მუზეუმის უმდიდრეს ნუმიზმატიკურ მასალას. 1969 წ. ირ. ჯალალანია სამუშაოდ გადადის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საშუალო საუკუნეების არქეოლოგიურ განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჩამოყალიბების შემდეგ (1977 წ.), 1978-2003 წლებში იყო ამ დანესებულების უცვლელი სწავლული მდივანი. არქეოლოგიური კვლევის ცენტრში გადასვლის შემდეგ ირ. ჯალალანიას ინტერესისა და კვლევა-ძიების სფერო მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მან მეცნიერულად განსაზღვრა და პუბლიკაციისთვის მოამზადა არქეოლოგიური ცენტრის დიდი ექსპედიციების მიერ (რუსთავის, თბილისის, ჟინვალის, დმანისის და სხვ.) მოპოვებული ნუმოზმატიკური მასალა. არის 31 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, აქედან ხუთი – მონოგრაფიაა. 1979 წ. გამოქვეყნდა მისი შემაჯამებელი ნაშრომი: „Иноземная монета

в денежном обращении Грузии V-XIII вв.“ (Тб). 1982 წელს მოსკოვში, ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ირ. ჯალალანიამ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „Монетное дело и денежное обращение Грузии V-XIII вв. (по нумизматическим данным)“, სადაც განხილულია საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ვრცელი რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობის მრავალი კარდინალური ასპექტი, საქართველოში უცხოური მონეტების ცირკულაციის საკითხები V-XIII სს-ში. ირ. ჯალალანიამ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა სასანური, სასანურ-ბიზანტიური, სასანურ-არაბული და არაბული მონეტების სრულიად ახალი განძები, პარალელურად მოახდინა უკვე ცნობილი განძების შემადგენლობაში შემავალი მონეტების რეატრიბუტაცია ახალი სამეცნიერო ლიტერატურის შუქზე. მის მიერ გამოქვეყნებული ზოგიერთი განძი რამდენიმე ათას ეგზემპლარს შეიცავს, მათ შორის იშვიათ და უნიკალურ ცალეებს. ირ. ჯალალანია მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტით გათვალისწინებული პროექტების რეალიზაციაში, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია ათას გვერდიანი გამოკვლევა – „ქართული მონეტების კორპუსი“ (პროექტის ხელმძღვანელი გ. დუნდუა. სამწუხაროდ, მისი პუბლიკაცია დღემდე ვერ ხერხდება) და „ქართული ნუმიზმატიკის ლექსიკონი“ (გიორგი დუნდუა, ირინე ჯალალანია, ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009, გამომც. „ნეკერი“). ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეს უკანასკნელი ნაშრომი სავსებით უპრეცედენტოა ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლექსიკოგრაფიაში. ირ. ჯალალანია ნაყოფიერად თანამშრომლობდა ქართული ენციკლოპედიის რედაქციასთან. იყო რესპუბლიკური და ყოფილი საკავშირო სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების მრავალგზის მონაწილე (მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, ბაქო, ტალინი). იყო არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, ასევე არქეოლოგიის, ნუმიზმატიკისა და სფრაგისტიკის დარგში ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოების სწავლული მდივანი.

ირინე ჯალალანია ვალმოხდელი წავიდა ამ ქვეყნიდან. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მინა.

გ. დუნდუა

შემოკლებათა განმარტება

ABBREVIATIONS

აკ - არქეოლოგიური კრებული

გსმ - გორის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი.

დმმნ - დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი.

დსმ - დუშეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი.

ენიკის მოამბე - აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, თბილისი.

თამბ - თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი, თბილისი

თსუ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კაეშ - კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, თბილისი.

კაკ - კავკასიის არქეოლოგიური კრებული, თბილისი.

მაცნე - ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.

მსკა - მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისთვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.

მსკი - მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი.

მსმ - მცხეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი.

საკძ - საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წწ. მოკლე ანგარიშები. თბილისი.

სემ - საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

სემმ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, თბილისი.

სემხმ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი.

სმამ - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბილისი.

სსმაე - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

სსმმ - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბილისი.

სსხმნ - საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები, თბილისი

სხ - საბჭოთა ხელოვნება, თბილისი.

ფსაძ - ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბილისი.

ქაკ - ქრისტიანული არქეოლოგიის კონფერენცია.

ქც - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

ძიებანი - ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში. ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.

ძმ - ძეგლის მეგობარი.

АЭФК – Археология, этнология, фольклористика Кавказа.

ИГАИМК – Известия Государственной академии истории материальной культуры.

ИКОИМАО – Известия кавказского отделения Императорского Московского археологического общества.

КСИА - Краткие сообщения института археологии. Москва.

МАК – **Материалы по археологии Кавказа, Москва.**

МИА – Материалы и исследования по Археологии СССР. Институт археологии АН СССР. Москва.

ПАИ - Полевые археологические исследования. Центр археологических исследований. Тбилиси.

СА – Советская археология. Институт археологии АН СССР. Москва.

САНГ – Сообщения академии наук Грузии, Тбилиси.

СЭ – Советская этнография. Институт этнографии АН СССР. Москва.

ТАИЯЛИ – Труды Абхазского института языка, литературы и истории. Сухуми

AJA – American Journal of Archaeology.

AE – **Arhaologie in Eurasian, Berlin.**

AS – Anatolian studies. Journal of the British Institute of Archaeology at Ankara.

ESA – **Eurasia Septentrionalis Antiqua, Helsinki.**

MAVA – Materialien zur Allgemeinen und Vergleichenden Arhaeologie, Muenchen.